

სხანი შოკოლედი



ივნისი 2012 №80
ფასი 7 ლარი



სპეცპროექტი
„ბუნტარები“ / სალომე აფხაზიშვილი

არტისტი ახლოდან
ნადია წულუკიძე / ნინო ლომაძე

საავტორო
მალათაშვილი / აკაკი შორაჩილაძე

წერილი ლოდონიდან
„ცხოვრების სკოლა“ / მარიკა ქორიყაშვილი

გივი
თევზაძე

რეჟისორი / ანთონ სამადაშვილი

ISSN 1512-2220





ცდუნების ფორმულა
DI MODENA



დანარჩენი ზეღმეობია

სხალი შოკოლადი

№80, ივნისი 2012



ყდაზე გიგი თევზაძე
ფოტო ლევან ხერხეულიძის

	6	რედაქტორის სვეტი
	8	ავტორთა სვეტები
ნარდგენა	10	შაკო ნიკვა, დიზაინერი, ილუსტრატორი
	12	რევოლუციური „არსენა ჯორჯიაშვილი“ – მითი და რეალობა დავით ბუხრიკიძე
ანონსი	20	16 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ სალომე აფხაზიშვილი
რესტორნის კრიტიკა	20	ოპერაცია „ბუდა ბარი“ თამარ კვინიკაძე
საავტორო	22	საქსი ანა კორძია-სამადაშვილი
	24	სისულელის ტრაქტატი გაგა ნახუცრიშვილი
	26	ცოცხების გამყიდველი მაია სარიშვილი
წერილი ლონდონიდან	28	ახალი ადამიანი – არტისტი მარიკა ქოჩიაშვილი
ისტორია	36	გიგი თევზაძე რექტორი მამო სამადაშვილი
არტისტი ახლოდან	46	ვინ არის ნადია წულუკიძე? ნინო ლომაძე
ინტერვიუ	52	ინტერვიუ ნიკოლა ჩერნოკრაკთან ლაშა ოთხმეზური
სპეცპროექტი	56	„ბუნტარები“ სალომე აფხაზიშვილი
ლიტერატურული პროცესი	72	ჯაზი ლიტერატურაში ნინო ნატროშვილი
საავტორო	77	მადათაშვილი აკა მორჩილაძე
მოთხრობა	82	კონვეიერული მეთოდის ზოგადი პრინციპები გელა ჩქვანავა
პოეზია	92	ეკა ქევანიშვილი, პოეტი
საუბრები აბაყურის ქვეშ	94	ჩემი ბებო – ნინო რამიშვილი ნინო სუხიშვილი
რეცენზია	96	რეცეპტები, რეცეპტები... დიანა ანფიმიადი
	100	უკანასკნელი რომანტიკოსი ნუგზარ მუზაშვილი
	104	იერიქონის ვარდი ინა არჩუაშვილი
წიგნები	106	მიმოხილვა
	110	სიცოცხლის ბანკები
	112	დედობა საჩუქრად
რეცენზია	116	ილაპარაკეთ, მოგონებებო დავით ბუხრიკიძე
	118	წერტილები და ხაზები დავით ბუხრიკიძე
	120	ნაფტალინში შენახული პანთეონი დავით ბუხრიკიძე
	122	იფიქრე, ვიდრე გაიხდი დავით ბუხრიკიძე
სტილი	124	იუბილევები თამარ ალავიძე
	126	ტრენდი
	128	დრი ვან ნოტენი – მაღალ მოდას + უნიკალური პრინციპები
	132	ბალენსიაგას ქუდის ევოლუცია თამარ ალავიძე
	134	რომაული ჩანანერები თამარ სულავა
	136	მამაკაცი ქალებისთვის არიელ ლევი
	144	ლუბუტენი დიზაინის მუზეუმში თამარ ალავიძე



ქალაქი შაქმნილი ბუნებაში

ლისი ვერანდა - ისიამოვნე ერთდროულად ბუნებითა და თანამედროვე ცხოვრების სტილით. დატკბი ლისის ტბის მწვანე გარემოთი, იგრძენი თავი კომფორტულად მხოლოდ ათ წუთში თბილისის ცენტრიდან.

595 134 134 | tbi@lisi.ge | www.lisi.ge

მთავარი რედაქტორი
 თამარ ბაბუაძე
„სტილის“ რედაქტორი
 თამარ ალავიძე
„ლიტერატურის“ რედაქტორი
 რატი ქართველიშვილი
რედაქტორების ასისტენტი
 მარიამ სამადაშვილი
ვებგვერდის რედაქტორი
 ნინო ჯაფარიშვილი
არტრედაქტორი
 არჩილ თაბუკაშვილი
ფოტო
 თორნიკე ლორთქიფანიძე
კორექტორი

თამარ ლონდაძე
ნომერზე მუშაობდნენ:

ნომერზე მუშაობდნენ: ნინო ლომაძე, ლაშა
 ოთხმეზური, სალომე აფხაზიშვილი, მარიკა
 ქოჩიაშვილი, მამო სამადაშვილი, ნინო
 ნატროშვილი, ანა კორძაია-სამადაშვილი,
 გაგა ნახუცრიშვილი, მაია სარიშვილი, ნინო
 ჩიმაკაძე, დავით ბუხრიკიძე, აკა მორჩილაძე,
 ნუგზარ მუზაშვილი, ინა არჩუაშვილი, დიანა
 ანფიმიადი, თაკო სულავა.

ფოტო:

ლევან ხერხეულიძე, მაკა გოგალაძე, Luke
 Hays

ილუსტრაცია:

შაკო ნიკვა, მაია სუმბაძე, თაკო ბაქრაძე.

გამომცემელი

შორენა შავერდაშვილი

გინესის განვითარების მენეჯერი

რუსუდან ფურცელაძე
პარტნიორებთან ურთიერთობის

მენეჯერები:

ქეთევან ქავთარაძე, მარიამ მიქელაშვილი,
 სოფო პაპუნაშვილი, ნინო გონიაშვილი,
 ქეთევან ლეკიშვილი.

დისტრიბუცია

მიხეილ გედენიძე



გამომცემლობა:

შპს „მედია ჰაუსი დეკომი“

მისამართი: თბილისი 0183, საქართველო

ფლენტის ქ. 35, ტელ.: +995 32 247 10 05

სსკვამომცემლობა:

„ლიბერალი“, „ბიზნესი-ადამიანები“,

„მეთოდები, სტრატეგიები“, „დიალოგი“,

ქართული ღვინის გზამკვლევი

სტამბა:

„სეზანი“, თბილისი, წერეთლის 140,

ტელ.: 235 70 02

ჟურნალი გამოდის 2004 წლის

25 დეკემბრიდან

© „მედია ჰაუსი დეკომი“ საავტორო

უფლებები დაცულია. ჟურნალში

გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი

ან მთლიანი გამოყენება გამოცემლობის

ნებართვის გარეშე აკრძალულია.

„ცხელი შოკოლადის“ რუბრიკის სპონსორი

არ ერევა შინაარსის შექმნაში.



ელემენტი

„რამდენიმე წლის წინ, ერთი ისტორია მოვისმინე. მასწავლებელი 6 წლის ბავშვებს ხატვის გაკვეთილს უტარებდა. უკანა მერხზე პატარა გოგონა იჯდა და ოცი წუთის განმავლობაში თავულებლად ხატავდა. მასწავლებელმა ჰკითხა:

- რას ხატავ?
- ღმერთის სურათს.
- რომ არავინ იცის, როგორია ღმერთი?
- ჰოდა, ახლა ეცოდინებათ.

...პატარები საოცრად ენდობიან თავიანთ ფანტაზიას, რომელსაც როცა ვიზრდებით, ვკარგავთ. ირონიულია, რომ სწორედ განათლება ამის მიზეზი. შედეგად კი, ბევრ ჩვენგანს აღარც კი ახსოვს, რისი ნიჭი ჰქონდა, ანუ არც ის იცის, რისი მიღწევა შეუძლია“, – რამდენიმე დღის წინ განათლების ექსპერტის, სერ კენ რობინსონის წიგნის კითხვა დავინწყე და საკუთარი შვილებით დანწყებული, ჟურნალის ამ ნომრით დამთავრებული, ბევრ რამეზე დავფიქრდი.

გიგი თევზაძეს, ინტერვიუსთვის, 2009 წელს შევხვდი. ილიას უნივერსიტეტი სამი წლის დაარსებული იყო. მაშინ ჩემს სტატიას მწვავე კრიტიკა მოჰყვა – არ იყო კრიტიკული შეფასებები, არ იყო კომპრომისები, არ იყო ის ყველაფერი, რის ხარჯზეც გიგი თევზაძე დიდი ტრადიციების მქონე საგანმანათლებლო ცენტრების ბატონ-პატრონი გახდა. ახლა ვამბობ „აღსარებას“: მაშინ მე, თსუ-ს კურსდამთავრებულს, „ქსეროქსების“ და „ჩანყოების“ ეპოქიდან მოსულ ადამიანს, გულწრფელად მომხიბლა თანამედროვე საუნივერსიტეტო განათლების იდეამ – რაზეც გიგი თევზაძე ახლაც ხატოვნად მსჯელობს. თუმცა, გამობდა ხანი. თვალსაწიერი გაფართოვდა და როცა კენ რობინსონის წიგნამდე ლოგიკურად მივედი, გავიაზრე, რომ 2012 წელს განათლების ის მოდელიც კი, რომელმაც 2009-ში მომხიბლა, მოძველებულია. კენ რობინსონი თუ მარიკა ქოჩიაშვილის წერილის გმირი, ალან დე ბოტონი, განათლების სისტემის კარდინალურ ცვლილებაზე გველაპარაკებინ; გვეუბნებიან, რომ კაცობრიობის ისტორიის ახალ ეპოქაში სხვა რამეა მოსაფიქრებელი; ადამიანური შესაძლებლობების სრულიად ახალი პარადიგმა, რომელიც ბავშვობაში ჩატოვებულ ნიჭს/გაცაცებას/უნარს გვაპოვინებს.

ამასობაში ჩვენთან სულ სხვა დისკურსია. ახალი თაობის „ბუნტარები“ ფხიზლდებიან და გაპროტესტებას ცდილობენ. თუმცა, მათი მოთხოვნები მხოლოდ ჩანასახი და ფუნდამენტია იმის, რაც შემდეგ ეტაპზე საოცნებო და მოსათხოვნი. როდის დავხურავთ ამ ტურს და ახალ ეტაპზე გადავალთ?

P.S. „სიტყვა „ელემენტი“ იმ პუნქტის მოსანიშნად ვიყენებ, სადაც ერთმანეთს შეხვდება ის, რისი კეთებაც გვიყვარს და რასაც რეალურად ვაკეთებთ. ყველას თავისი „ელემენტი“ აქვს საპოვნელი“, – წერს კენ რობინსონი.

თამარ ბაბუაძე, მთავარი რედაქტორი

მაგთი
MAGTI



1 წლი ნებართვი სარეზერვო!

Samsung
GALAXY Tab
7.7



Samsung
GALAXY Note



Samsung
GALAXY S II
1.2GHz



GALAXY
NEXUS



SAMSUNG

პირველ აბონენტობდა შეიძინეთ სამსუნგის ჰოლოგრამიანი სმარტფონი და 1 წლის განმავლობაში, ყოველთვე სარეზერვო მიიღეთ 1 GB ინტერნეტი მაგთისგან!

აქციის ფარგლებში შეძენილ
ტელეფონზე აკრიფეთ

***222# OK**

ინფორმაციისთვის დარეკეთ 1191



მარიამ ქოჩიაშვილი

– რაზე შენი სტატია?
– „ცხოვრების სკოლაზე“.
– ეს რაიმე რელიგიური დაჯგუფებაა?
– არა, არა, (იქნებ კი?) ალან დე ბოტონის დაარსებული სკოლაა. ახალგაზრდა ფილოსოფოსი, ხომ გაგიგია?

ვცდილობ გავისხენო, რა იყო ჩემი პირველი ასოციაცია, როცა ბაბუმ (თამარ ბაბუაძე) ჩემი სტუდენტური ცხოვრება ამიფორიაქა, „ცხოვრების სკოლა“ მისხენა და სტატიის დაწერა შემომთავაზა.

არ მახსენდება, მეც რელიგიასთან დავაკავშირე თუ არა, თუმცა, რაკი ადამიანებს მსგავსი ასოციაციები უჩნდებათ, ე.ი. ალან დე ბოტონს თავისი მიზნისთვის მიუღწევია.

სხვადასხვა რელიგიებიდან ნაქურდალი იდეებით, ბოტონმა მიწისქვეშა ათეისტური სექტა შექმნა, სადაც ფეხი თუ შედგი, ისეთ კომფორტს შეგიქმნიან, როგორც ფიზიკურს, ისე სულიერს, რომ, ალბათ, რთული იქნება, ცდუნებას გაუძლო და კვლავაც არ მოგინდეს უკან დაბრუნება.

ფრთხილად იყავით, შეტყუებას შუშის კარიდანვე ეცდებიან ნარწერით – Ideas to live by. ეს კარი „უწყინარ“ წიგნის მალაზიაში შეგიყვანთ. თუმცა, მთავარი ის არის, რა ხდება წიგნის მალაზიის ქვემოთ.

ახალი ადამიანი – არტისტი

გვ. 28



ლაშა კოხხეიშვილი

„ხანდახან შენი აგნოსტიციზმის ბევრად უფრო კარგად მესმის, ვიდრე ჩემი რწმენის. რწმენა ამპარტავენულია“, – მითხრა ერთხელ პარიზის წმინდა სერგის მართლმადიდებლური თეოლოგიის ინსტიტუტის რექტორმა და ჩემმა მეგობარმა, მამა ნიკოლა ჩერნოკრაკმა.

წმინდა სერაფიმეს ეკლესიაში, სადაც იგი მღვდელმთავარია, სხვადასხვა რწმენისა და ნაციონალობის ადამიანს ნაწყობებით. ეკლესია, რომელიც პარიზის ტურისტულ ღირსშესანიშნაობად იქცა, ინტელექტუალურ კლუბს უფრო ჰგავს. თავად ნიკოლა ჩერნოკრაკი გარეგნობით ელ გრეკოს რაინდს ნაგავს, ხოლო მისი დახვეწილი და მომხიბვლელი იუმორი ადამიანს ერაზმ როტერდამელზე უფრო აფიქრებინებს, ვიდრე თანამედროვე ინტელექტუალზე. წმინდა მამების ნაწერების გამომცემელს და კომენტატორს, ერაზმ როტერდამელს, არასდროს ავი სიტყვა არ წარმოუთქვამს ქრისტიანულ ტრადიციას, წმინდანების კულტზე თუ კურთხევაზე, თუმცა დახვეწილი იუმორით, შემპარავად აღნიშნავდა, რომ არც მარხვა და არც რაიმე სხვა რიტუალი ქრისტიანს ღმერთთან არ აახლოებს.

ნიკოლა ჩერნოკრაკთან ინტერვიუ, რომელიც „ცხელი შოკოლადის“ ამ ნომერში იბეჭდება, რამდენიმე თვის წინაა ჩანერილი. ძნელია თუ არა მოღვაწეობა მართლმადიდებელი მოძღვრისათვის ისეთ ქვეყანაში, სადაც რელიგია საჯარო სივრცეში წარმოდგენილი არ არის, რა არის თანამედროვე მართლმადიდებლობის გამოწვევა, რამდენად შორს შეიძლება წავიდეს ეკლესია ბიბლიური ტექსტების ადაპტირების პროცესში, როგორი უნდა იყოს ეკლესიისა და მეცნიერების ურთიერთობა თანამედროვე სამყაროში? ამ კითხვებზე, მამა ნიკოლას გულწრფელი და ღრმა პასუხები, ვფიქრობ, საინტერესო უნდა იყოს ქართველი მკითხველისთვის.

ინტერვიუ ნიკოლა ჩერნოკრაკთან

გვ. 52



გიგო სამაღლაშვილი

გიგო თევზაძე „პრეგოში“, საერთო მეგობრების წრეში გავიცანი. იმ დღეს გამოლაპარაკებაც ვერ გავხედე, რალაცნაირად დისტანციური და ქედმაღალი მომეჩვენა. რამდენიმე შეხვედრის შემდეგ, როცა განათლებაზე ჩამოვარდა საუბარი, მეც ჩავერთე და მას შემდეგ ჩვენი საუბრების თემა, ძირითადად, განათლება, უნივერსიტეტი და ლიტერატურაა. მასზე დაწერაც ლიტერატურამ გადამაწყვეტინა, როცა გიგიმ „ოსტატი და მარგარიტას“ ნაკითხვა მიჩნია და დამპირდა, რომ მოგიანებოდა ჩემს შთაბეჭდილებებს აუცილებლად გაიზიარებდა. რა თქმა უნდა, მაშინვე ვიფიქრე, რომ ამისთვის ვერასდროს მოიცლიდა, თუმცა, რამდენიმე კვირაში შეთანხმება შემახსენა და თავისთან, უნივერსიტეტი დამმატიყა. ჩვენი 4-საათიანი საუბრის შემდეგ მიგხვდი, რატომაც გიგო თევზაძე ჩემთვის საინტერესო და ჩავთვალე, რომ ადამიანი, რომელიც ასაკის მიუხედავად, ძალიან ახალგაზრდულად და თანამედროვედ აზროვნებს, მუდმივად სიახლეს ეძებს, ბევრ საინტერესო ამბავს ჰყვება და საკუთარი თავის დაცინვის შესაშური უნარი აქვს, სხვებისთვისაც მიმზიდველი უნდა ყოფილიყო. მუშაობა ადვილი არ ყოფილა. ვიცოდი, რომ გიგო, უბრალოდ, მრავალფეროვანი ინტერესების მქონე ადამიანი არაა, მისი გადანყვეტილებები მუდმივად ხდება საზოგადოებრივი ვენებათაღელვის საგანი. ამის მიუხედავად, ვერ ვიპოვე (ბევრი და მონდომებით ვეძებე) ერთი ადამიანიც კი, რომელიც მას არგუმენტირებულად „დაუპირისპირებოდა“/ლიად გააკრიტიკებდა. რესპონდენტების არყოფას ისიც დაემატა, რომ ინტერვიუს ყველაზე ვრცელი მონაკვეთი დიქტოფონმა არ ჩაინერა, ამასობაში გიგო ერთი კვირით სტოკჰოლმში გაფრინდა და მასალაზე მუშაობის დასრულება კიდევ უფრო სათუო გახდა. ახლა, სტამბამ თუ არაფერი მოინია, წესით, უკვე ამ სვეტს უნდა კითხულობდეთ.

რექტორი

გვ. 36

აქტიურებს თქვენს ბუნებრივ სილამაზას

მე ვიხ ბანსახუთხებუდი



მარცხის სიმპტომების დროს
გლუვი და ნივთიერება თვა

ენიკალური კომბინაცია
და გენიკა ფრჩხილები

MERZ
თქვენს სილამაზას
www.merz-special.com

ABC PHARMACIA
www.abc-pharm.com

პროდუქტი არის რეგისტრირებული ნივთიერება და უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ რეგისტრირებული წიგნით.



გვ. 80



გვ. 84



გვ. 86



გვ. 88

შაკო ნიკვა

დიზაინერი, ილუსტრატორი

შაკო ნიკვა 21 წლის დიზაინერია, წელს სამხატვრო აკადემიის მოდის დიზაინის ფაკულტეტს ამთავრებს, თუმცა მიაჩნია, რომ აკადემიაში ჩაბარებით შეცდომა დაუშვა, ამისთვის მას რამდენიმე არგუმენტი აქვს: გარდა იმისა, რომ სწავლება ზედაპირულია და არც ლექტორები არიან დაინტერესებული სტუდენტებთან აქტიური მუშაობით, დიზაინერებს არ აქვთ საშუალება ყოველდღიურად განვითარდნენ, რაც შაკოს თქმით, აუცილებელია პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის. სწორედ ამ პრეტენზიების გამო შაკო მეორე კურსიდან ლექციებზე აღარ დადის და მთლიანად თვითგანვითარებაზეა გადასული. სწავლის გაგრძელებას ბელგიაში, Royal Academy of Fine Arts-ში გეგმავს, ეს სასწავლებელი კი მსოფლიო ინტელექტუალური მოდის საძირკვლად ითვლება. შაკოსთვის, რომელიც ტანსაცმელს ხელოვნებად აღიქვამს და არა დაჭრილ და შემდეგ აწყობილ ნაჭრად, ეს ადგილი ზედგამოჭრილია, შაკო ამბობს, რომ ანტვერპენში წასვლა მას ინტელექტუალური მოდის სწორად აღქმას და გააზრებას ასწავლის.

წასვლამდე კი გამოფენას მოაწყობს, რომელზეც მის უკანასკნელ მულტიმედია-პროექტს „It's all about me“ წარმოადგენს. პროექტი, მოიცავს როგორც კოსტიუმს და ილუსტრაციას, ასევე ვიდეო-არტს და სკულპტურას.

ამ მედიების დახმარებით შაკო შეეცდება საზოგადოებას საკუთარი თავი და ის პროტესტი აჩვენოს, რომელიც გარემოს მიმართ უჩნდება.

მიუხედავად იმისა, რომ შაკო ძალიან ახალგაზრდაა, მოდის სფეროში უკვე აქვს წარმატებები: 2010 წელს თბილისის მოდის კვირეულზე, დამწყები დიზაინერების კონკურსში გაიმარჯვა, იმავე წელს მონაწილეობა მიიღო საქართველოს მოდის კვირეულის დამწყები დიზაინერების კონკურსში, 2011 წელს კი ახალბედა დიზაინერების კონკურსში „BE NEXT“.

გარდა დიზაინისა, შაკო აკეთებს ილუსტრაციებს. ხატავს ყოველთვის ხელით, რადგან კომპიუტერული მხატვრობა უინტერესოდ ეჩვენება. ბევრი არტისტისგან განსხვავებით, ფორმამდე იდევით არ მიდის, წინასწარ არასდროს იცის, რას დახატავს, მხოლოდ იმ წამს გაჩენილ ემოციებს გადმოსცემს. ძირითადად, ტუშს და აკვარელს იყენებს.

საქართველოში შაკოს ძირითადი პროფესიით მუშაობა ძალიან რთულია, თუმცა „თბილისის მოლში“ Visual Merchandiser-ობაც არაა მოდის სფეროდან შორს, მით უმეტეს, რომ ეს საქმიანობა, როგორც შაკო ამბობს, მის არტს კვებავს.

შაკოს ნამუშევრების ნახვა მის პირად ფეისბუქ-გვერდზე შეგიძლიათ.

Silk^{TV}

ინტერაქტიული ტელევიზია

15 ლარი



გადახზი



დაბრუნე



უყურე



2 100 100
www.silknet.com

Silk^{TV}

ინტერაქტიული ტელევიზია

რევოლუციური „არსენა ჯორჯიაშვილი“ – მითი და რეალობა

ავტორი ღვინო ბუხრიძე

ქართული კინემატოგრაფის ისტორიაში „არსენა ჯორჯიაშვილი“ მცირე, მაგრამ მაინც გარკვეული მითოლოგიური წარმოდგენა დაგვიტოვა ისტორიულ-რევოლუციური ჟანრის შესახებ. 50-წუთიანი მხატვრული ფილმი ქართული კინოს ცნობილი რეჟისორმა, ივანე პერესტიანმა 1921 წელს გადაიღო. მას საფუძვლად უდევს 1905 წლის რევოლუციური გამოსვლების ერთ-ერთი ეპიზოდი, როდესაც დეპოს მუშამ, არსენა ჯორჯიაშვილმა, გაფიცული პროლეტარების გადწყვეტილებით, რევოლუციური მოძრაობის მთავარი მტერი, გენერალი ალექსანდრე გრიანოვი მოკლა.

ამ ტერორისტული აქტიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ არსენა ჯორჯიაშვილი შეიპყრეს და მეტეხის ციხეში მოკლეს, თუმცა რევოლუციონერი და ტერორისტი უშიშრად შეხვდა სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს...

უკვე ის ფაქტი, რომ სცენარის ავტორი კლასიკოსი მწერალი და დრამატურგი შალვა დადიანია, ხოლო ოპერატორი – იმდროინდელი კინოტექნიკის პიონერი ალექსანდრე დიდმელოვი, „არსენა ჯორჯიაშვილს“ გაცილებით მნიშვნელოვან განზომილებას ანიჭებს. ეს არის პირველი ქართული მხატვრული ფილმი რევოლუციის თემაზე. აშკარა იდეოლოგიური განწყობისა და არცთუ სანიმუშო ესთეტიკის მიუხედავად, დღევანდელი გადასახედიდან, ფილმს მითიური და ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

არსენა ჯორჯიაშვილის როლს ცნობილი ქართველი კინორეჟისორი, სახელმწიფო და ხუთგზის სტალინური პრემიების მფლობელი, მიხეილ ჭიაურელი ასრულებს. სადებიუტო როლმა მას იმდენად დიდი წარმატება მოუტანა, რომ კინოში შემდეგაც ხშირად იწვევდნენ როგორც მსახიობს. ითამაშა ოსმან-ალა „სურამის ციხეში“ (1922), ეპიზოდური როლი ფილმში „დაკარგული საუნჯე“ (1924), ჯონდო ფილმში „ნათელა“, (1926), ადამის ძმისწული „ხანუმას“ პირველ ვერსიაში (1927)...



აღსანიშნავია, რომ „არსენა ჯორჯიაშვილი“ პირველად უჩვენეს 1924 წელს, ლიონის საერთაშორისო გამოფენაზე. „სურამის ციხესთან“ (რეჟისორი ივანე პერესტიანი) და „მოდღართან“ (ვლადიმერ ბარსკი) ერთად.

მიხეილ ჭიაურელის გარდა ერთ-ერთ მთავარ როლს (ვორონცოვ-დაშკოვს) თავად ივანე პერესტიანი თამაშობს. დანარჩენ როლებს უკვე აღიარებული კინომსახიობები – ალისა ქიქოძე (ნინო), ნინო დოლიძე (არსენას და), ელისაბედ ჩერქეზიშვილი (არსენას დედა), ნიკოლოზ იაჩმენოვი (გენერალი გრიანოვი), ალექსანდრე იმედაშვილი (რევოლუციონერი მუშა).

ივანე პერესტიანი ტაგანროგში დაიბადა. მისი კარიერის დასაწყისი კინოსააქციო საზოგადოება „ხანუშკოვსა და კომპანიას“ უკავშირდება.

კერძოდ, ფილმს „ნუ ერეკები, მეეტლევ, ცხენებს“, რომელშიც მთავარი როლი შეასრულა. 1917 წელს საკუთარი სცენარით გადაიღო კომედიური ჟანრის ფილმი „თხები, ბეკეკა, თხები“. იყო საზოგადოება „მშობლიური კინემატოგრაფიის კავშირის“ თავმჯდომარე; მუშაობდა რუსეთის სხვადასხვა კინოსტუდიაში.

1921 წელს ჩამოდის საქართველოში და განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ კინოსექციიაში იწყებს მუშაობას. 1926-1928 წლებში ოდესის კინოსტუდიაში გადაიღო „ზვავი“ და „ჭორი“. 1928-1932 წლებში მუშაობდა კინონარმოება „არმენკინოში“, სადაც გადაიღო ფილმები: „ზამალუ“ და „ანუში“. თუმცა, ივანე პერესტიანის შემოქმედების ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი საქართველოს და „სახკინმრენვს“ უკავშირდება. სწორედ აქ გადაიღო ფილმები: „არსენა ჯორჯიაშვილი“ (1921), „სურამის ციხე“ (1922), „კაცი კაცისთვის მგელია“ (1923), „ნითელი ეშმაკუნები“ (1923), „სამი სიცოცხლე“ (1924), „ტარიელ მკლავადის საქმე“ (1925), „სასჯელი“ (1926). 1937 წელს კი – საბავშვო ფილმი „ორი მეგობარი“.

MANGO

უკვე 2 წელია მაღაზიათა ქსელი MANGO ერთგულ მომხმარებლებს სიურპრიზის სახით ექსკლუზიურ ფასდაკლებებს სთავაზობს. სწორედ ასეთი ფასდაკლება დახვდათ 26 აპრილს, ჭაგჭაგადის გამზირზე MANGO-ს მაღაზიაში მისულ მომხმარებლებს - 2012 წლის გაზაფხული-ზაფხულის უახლეს კოლექციამე ერთი დღით 20%-იანი ფასდაკლება იყო გამოცხადებული. ამ სასიამოვნო სიურპრიზთან ერთად, სტუმრებს საჩუქრებიც დაურიგდათ ლონისძიების პარტნიორი ჟურნალი „ცხელი შოკოლადის“ რუბრიკა „სტილისგან“ და პარფიუმერულ მაღაზიათა ქსელი Voulez-Vous-სგან.





შურისმაძიებლები

THE AVENGERS

3D-რუსთაველი/ამირანი

რეჟისორი ჯოს უიდონი

როლებში რობერტ დაუნი უმცროსი, კრის ევანსი, კრის ჰემსვორტი, სკარლეთ იოჰანსონი, ჯერემი რანერი, მარკ რუფალო

ჟანრი მძაფრსიუჟეტოანი სათავგადასავლო



ბნელი ჩრდილები

DARK SHADOWS

რუსთაველი/ამირანი

რეჟისორი ტიმ ბარტონი

როლებში ჯონი დეპი, მიშელ უფაიფერი' ხლოია გრეის მორეცი, ევა გრინი

ჟანრი კომედია ფანტასტიკა



MADAGASCAR 3: EUROPE'S MOST WANTED

3D-რუსთაველი/ამირანი

რეჟისორი ტომ მაკგრათი, ერიკ დარნელი, კონრად ვერნონი

ჟანრი ანიმაცია, სათავგადასავლო, კომედია



MEN IN BLACK III

3D-რუსთაველი/ამირანი

რეჟისორი ბარი სონენფელდი

როლებში უილ სმიტი, ტომი ლი ჯონსი, ჯომ ბროლინი

ჟანრი სათავგადასავლო კომედია



24 მაისი

დიქტატორი

PARAMOUNT PICTURES PRESENTS A FOUR BY TWO FILMS / BERG MANDEL SCHAFER / SCOTT RUON PRODUCTION SACHA BARON COHEN ANNA FARIS AND BEN KINGSLEY
"THE DICTATOR" STARRING SACHA BARON COHEN COSTUME DESIGNER JEFFREY KURLAND EDITOR GREG HAYDEN ERIC KISSACK PRODUCTION DESIGNER VICTOR KEMPSTER DIRECTOR OF PHOTOGRAPHY BRADY COOPER
EXECUTIVE PRODUCERS PETER DAXHOFER MARY JO WINKLER-OFFREDA DAN MAZER PRODUCED BY SACHA BARON COHEN ALEC BERG JEFF SCHAFER DAVID MANDEL AND MONTY HINES SCOTT RUON
WRITTEN BY SACHA BARON COHEN & ALEC BERG & JEFF SCHAFER & DAVID MANDEL DIRECTED BY LAFFER GUBLES

KINOAFISHA.GE



გორის შარბი „ბავშვი“

16 მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც არ უნდა გამოტოვოთ

ავტორი სალომე აფხაზიშვილი

გამოფენა

თბილისის ფოტო ფესტივალი



2012

როდის: 29.05-4.06

თბილისის ყოველწლიური ფოტოფესტივალი, დამთავალიერებულს ფოტოგრაფიის ყველა თანამედროვე მიმართულებას შესთავაზებს – ფოტოჟურნალისტიკიდან კონცეპტუალურ ფოტოგრაფიამდე.

2012 წლის ფოტოფესტივალი ევროპული კვირეულის ფარგლებში ტარ-

დება და ექვს დიდ გამოფენას აერთიანებს: სტენლი გრინის „ჩეჩნეთის გზაზე“, „თანამედროვე ირანელი ქალი ფოტოგრაფების ჯგუფური გამოფენა“, ათი თანამედროვე ფოტოგრაფის მიერ გადაღებული ფოტოების სერია – „შავი ზღვის ფერები“, ნათელა გრიგალაშვილის „დედა ენა“ და „XIX საუკუნის კავკასიური პორტრეტის“ გამოფენა. დაგეგმილია ცნობილი ფოტოგრაფების მასტერკლასების სერია და უკვე ტრადიციად ქცეული ფოტოგრაფიის ლამე, რომელიც 2 ივნისს, ღია ცის ქვეშ, ძველ თბილისში, 21:30 საათიდან 03:00 საათამდე გაიმართება.

თბილისის საერთაშორისო ფოტოფესტივალი პირველად 2010 წელს ჩატარდა. ფესტივალის ძირითადი პარტნიორია – ფრანგული ფოტოფესტივალი – „Les Rencontres d’Arles“, რომელიც, ტრადიციულად, ქალაქ

არლში 1968 წლიდან ტარდება და თანამედროვე ფოტოგრაფიულ სამყაროში აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და მასშტაბური ფოტოგრაფიული ღონისძიება.

ფოტოფესტივალის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები თბილისის სხვადასხვა გალერეაში გაიმართება და რამდენიმე თვის განმავლობაში გაგრძელდება.

დამატებითი ინფორმაციისთვის ენჯით ვებგვერდს – <http://www.tbilisi-photofestival.com/index.php>

ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილი გამოფენები:

„უჩადრო სურათები“

სად: გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი

როდის: 4.06-19.06

გახსნა: 20:00

მისამართი: გიორგი ჭანტურისა ქ. №8

ფოტოგამოფენა „უჩადრო სურათები“ სირიაში, უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს ასახავს. მათ ცხოვრების შესახებ ირანელი ფოტოგრაფები – ნაზილ აბასპური, მეჰრანე ათაში, გოჰარ დეშთი, შადი ლადირიანი, ტაჰმინე მონზავი, მარიამ რაჰმანიანი, გოლარა საიადიანი ნევშა თავაქოლიანი მოგვიყვებიან. აღნიშნული ფოტოგამოფენა თბილისის ფოტოფესტივალის ფარგლებში იმართება.

ნათელა გრიგალაშვილის „დედა ენა“

სად: ახალი გალერეა
როდის: 30.05-5.06
გახსნა: 20:00
მისამართი: ბესიკის ქ. №26

ახალგაზრდა ქართველი ფოტოგრაფი ნათელა გრიგალაშვილი „დედა ენაში“ თავის მუდმივ თემას, ქართულ სოფელს უბრუნდება. ფოტოების ამ სერიის შექმნა, ავტორმა 2011 წელს დაიწყო და ის მთლიანად „დედა ენის“ პრინციპს დაუკავშირა. „ალიონი“, „ზეცა“, „სამშობლო“, „ისტორია“, „ჯიგარი“, „შენი ჭირი მე“ – ეს იმ სიტყვების არასრული ჩამონათვალია, რომელთაც ფოტოგრაფი რეალობის ამსახველ დოკუმენტურ ფოტოებს უკავშირებს. ფოტოგრაფიული გამოსახულება აქ მხოლოდ სიტყვების ილუსტრირებისთვის არ გამოიყენება. ის სრულიად განსხვავებულ პოეტურ მნიშვნელობასა და სიღრმეს იძენს.

„ჩეჩნეთის გზაზე“

სად: საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ეროვნული გალერეა
როდის: 31.05- 30.07
მისამართი: რუსთაველის გამზ. №11

„ჩეჩნეთის გზაზე“ – ასე ჰქვია ფოტოექსპოზიციას, რომელიც ცნობილი ინგლისელი ფოტოგრაფის, სტენლი გრინის მიერ დანახულ ომსა და ომის მსხვერპლს ასახავს. მათ შორის ის ფოტოჟურნალისტებიც არიან, რომლებიც სიბნელეში შუქის შეტანას ცდილობენ. სტენლი გრინი მათ „უბედურების ტურისტებს“ უწოდებს. „მჯერა, რომ უმჯობესია დიდ ფოტოსერიებზე მუშაობა, რომლებიც ფოტოჟურნალისტების ხანგრძლივი

მუშაობის მაგალითია. ამ ფოტოების ხილვისას, ვფიქრობ ამაზეც უნდა დავფიქრდეთ. ხანდახან ჩვენ უფრო ტრაგედიები გვჭირდება“, – ამბობს თავად ფოტოების ავტორი, ამ გამოფენის შესახებ.



„შავი ზღვის ფერები“

სად: საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ეროვნული გალერეა
როდის: 29.05-27.06
მისამართი: რუსთაველის გამზ. №11

ფოტოგამოფენა „შავი ზღვის ფერები“ თანამედროვე ფოტოგრაფიის ათი ყველაზე ცნობილი ავტორის ფოტოებს აერთიანებს. ექსპოზიცია შავი ზღვის აუზის ექვს ქვეყანაში სხვადასხვა დროს – XX საუკუნის 60-იანი წლებიდან XXI საუკუნის 10-იან წლებამდე გადაღებული ფოტოსერიებით დაკომპლექტდა. ფოტოგრაფები და მათი ფოტოსერიები კი ასე გამოიყურება: კლაუდი სლუბანი – „ზამთრის მოგზაურობა“, ვანესა უინშიფი – „უკრაინა, საქართველო, თურქეთი“, ჯორჯ გეორგიუ – „თურქეთი“, ბორის მიხაილოვი – „ყირიმული სნობიზმი“, გიორგი პინხასოვი – „აფხაზეთი“, იური კოზირევი – „ყირიმი – საბჭოთა ნოსტალგია“, იუსტინა მელნიკევიჩი – „Dividede lines. Shared Sorrows“ (საქართველოს სერია), რაფალ მილახი – „Black Sea Concrete“, ფილიპ გიონი და ჟულიენ დანიელი.

მარიამ-სოფო ქორიძის თეატრის მხატვრობა

სად: მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
როდის: 30.05-18.06
გახსნა: 19:00
მისამართი: აღმაშენებლის გამზ. №164

კინომსახიობთა თეატრი ახალგაზრდა მხატვრის მარიამ-სოფო ქორიძის პერსონალურ გამოფენას მასპინძლობს. ექსპოზიციაში წარმოდგენილი ოთხმოცამდე ნამუშევარი სცენოგრაფიულია და ძირითადად, თეატრალური წარმოდგენების ესკიზებსა და ქსოვილში შესრულებულ კოსტიუმებს ასახავს. ნამუშევრებში გამოყენებულია – კომპიუტერული გრაფიკა, შერეული მასალები, ფოტოინსტალაცია, გამჭვირვალე პლასტიკური ქაღალდის მასალა და ნაჭერი.

მარიამ-სოფო ქორიძეს გაფორმებული აქვს ისეთი სპექტაკლები, როგორცაა – „მელოტი მომღერალი ქალი“ (დრამატურგი – ეჟენ იონესკო, რეჟისორი – ზურაბ გენაძე), „ორნი აქა-იქ“ (გურამ დოჩანაშვილის მოთხრობის მიხედვით, რეჟისორი – ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი), „მეა და იო“ (დრამატურგი – თამარ ბართაია, რეჟისორი – კოტე აბაშიძე), „7 პ.პ.“ (დრამატურგი – ლაშა ბულაძე, რეჟისორი – ზურაბ გენაძე), „გმირი“ (დრამატურგი – ჯონ სინგი, რეჟისორი – ზურაბ გენაძე), „ნუ მიგვატოვებ, მზეო“ (ნოდარ დუმბაძის მოთხრობის მიხედვით, რეჟისორი – ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი) და ა.შ.

მარის ლიეპას ფოტოარქივის პრეზენტაცია



სად: ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრი
როდის: 31.05-6.06
მისამართი: აღმაშენებლის გამზ. №182

მუსიკისა და დრამის თეატრი ბალეტის ლატვიელი მოცეკვავის – მარის ლიეპას პირად არქივში დაცული ფოტოების გამოფენას სთავაზობს. გამოფენა მარის ლიეპას სახელობის სა-

ქველმოქმედო ფონდის ორგანიზებით ეწყობა, რომელსაც მისი შვილი, ასევე მოცეკვავე – ანდრეს ლიეპა ხელმძღვანელობს. სპეციალურად გამოფენისთვის, თბილისში ანდრეს ლიეპაც ჩამოვა.

მარის ლიეპას მოღვაწეობა საბჭოთა ეპოქას უკავშირდება. რიგის ქორეოგრაფიული სკოლის დამთავრების შემდეგ, მან პირველი წარმოდგენა 1950 წელს, მოსკოვში გამართა. კარიერის უმაღლეს საფეხურზე, ლიეპა ბალეტის ერთ-ერთ დახვეწილ მამაკაც მოცეკვავედ აღიარეს, რომელსაც, შესრულებული როლების მიხედვით, ყველაზე მრავალფეროვანი მოცეკვავის სტატუსი მიენიჭა.

ქლონი, შმონი და ელტონ ჯონი



სად: „გალა-გალერეა“
როდის: 7.06-20.06

გახსნა: 19:00

მისამართი: ათონელის ქ. №27

„ქლონი, შმონი და ელტონ ჯონი“ თანამედროვე მულტიმედია პროექტია, რომელიც სხვადასხვა მედიების გამოყენებით (ობიექტი, ინსტალაცია, ვიდეო, ტექსტი, მიხედ მედია) ერთ-ერთი ქვეყნის ოკუპირებულ ზონაში ადამიანის კლონირების გასაიდუმლოებული ექსპერიმენტების შესახებ მოგვითხრობს, რომელსაც თავიანთი სიცოცხლის რისკის ფასად, ნათელი ევროკავშირის წარმომადგენლებმა მოჰყენეს.

გამოფენა „არტ პროექტების კვლევითი ინსტიტუტების“ ორგანიზებით ხორციელდება.

ჩემი დაბადების თარიღი

სად: გალერეა „ვანდა-ჰობი“
როდის: 2.06-6.06
მისამართი: ჭონქაძის ქ. №14

თავისი დაბადების ისტორიას, ახალგაზრდა ქართველი მხატვარი სოფო ჩერქეზიშვილი დამთავალიერებელს, ფერწერული ნამუშევრებითა და ვიდეოინსტალაციების გამოყენებით მოუყვება. ცამეტი ფერწერული ნამუშევარი და ვიდეოინსტალაციები, სოფო ჩერქეზიშვილმა სპეციალურად ამ გამოფენისთვის შექმნა.

ალექს ბერლიშვილის პირსონალური გამოფენა

სად: „ვანდა-ჰობი“
როდის: 7.06-18.06

მისამართი: ჭონქაძის ქ. №14

გალერეა „ვანდა“ ალექს ბერდიშვილის ნამუშევრების გამოფენას მასპინძლობს. მათ შორის ის ნამუშევრებია, რომლებიც პირველად, შოტლანდიაში, ქალაქ გლაზგოში გამოიფინა. ექსპოზიცია, ძირითადად, შერეული ტექნიკით შესრულებულ ნამუშევრებსა და ფერწერულ ტილოებს აერთიანებს. კრიტიკოსების შეფასებით, ბერდიშვილის მხატვრობა მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის სხვადასხვა მხატვრული მიმდინარეობების სინთეზს წარმოადგენს და მასში ერთდროულად აისახება, როგორც სიურრეალისტური, ისე აბსტრაქტული და კუბიზმის ელემენტები.

თინგიზ მარის გამოფენა

სად: „ვანდა-ჰობი“
როდის: 25.06-10.07

მისამართი: ჭონქაძის ქ. №14

არქიტექტორი, მხატვარი და დიზაინერი თინგიზ მარი პერსონალურ გამოფენას გამართავს. გალერეა „ვანდა“, მხატვრის ფერწერულ ნამუშევრებს უმასპინძლებს, რომელიც, ძირითადად, ნატურმორტებს, პეიზაჟებსა და ინტერიერის დიზაინის დეტალებით შესრულებულ ნახატებს აერთიანებს.

თეატრი

ფასბინდარის „კატცელმახარი“ თეატრის სეზონაზე

სად: სამეფო უბნის თეატრი
როდის: 20.06

მისამართი: გია აბესაძის ქ. №10

ცნობილი გერმანელი კინორეჟისორისა და დრამატურგის რაინერ ვერ-

ნერ ფასბინდერის პიესა ქართული თეატრის სცენაზე პირველად იდგმება. ახალგაზრდა რეჟისორის მიშა ჩარკვიანის მიერ, სამეფო უბნის თეატრის სცენაზე გაცოცხლებული პიესა გერმანიის ერთ პატარა პროვინციულ ქალაქში მცხოვრებ ახალგაზრდების უსახურ, უინტერესო ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს. ახალგაზრდების ცხოვრება რადიკალურად მაშინც იცვლება, როდესაც გერმანიის ამ პატარა ქალაქში სამუშაოდ, „ღორ კომუნისტად“ აღიარებული ბერძენი ემიგრანტი ჩამოდის. მისი ქალაქში ჩამოსვლისთანავე, გერმანელი ახალგაზრდები ქსენოფობიურ დამოკიდებულებას ავლენენ და დარწმუნებული არიან იმაში, რომ არანაირი ლოგიკით არ შეიძლება „უცხოელი კარგი ადამიანი იყოს“. ფასბინდერის ტექსტში, ქსენოფობიის სიმწვავე მკვეთრად იგრძნობა.

„კატცელმახარზე“ დაყრდნობით, რაინერ ვერნერ ფასბინდერმა, 1969 წელს ფილმიც გადაიღო, რომელშიც ბერძენი ემიგრანტის როლი თავად შეასრულა. ფილმი, ისევე როგორც, პიესა, ლეგენდარული გერმანელი რეჟისორის ერთ-ერთ გამორჩეულ ნამუშევრად არის აღიარებული.

ქართულ თეატრში, „კატცელმახარს“ მუსიკალურად ნიკა ფასური გააფორმებს. სცენოგრაფიის ავტორი – ლევან ოჩხიკიძეა. მსახიობებს შირის კი – პაატა ინაური, გიორგი შარვაშიძე, მაგდა ლებანიძე, შაკო მირიანაშვილი, ანა წერეთელი, იაკო ჭილაია, გიორგი ყორღანაშვილი, სალომე მასისაშვილი და ანი გულიაშვილი არიან.

„ოლივიარი“ რუსთაველის თეატრის სეზონაზე

სად: შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, დიდი სცენა
როდის: 29.05, 30.05, 31.05, 1.06, 2.06, 3.06

დასაწყისი: 19:45

ბილეთის ფასი: 10,15, 20, 25, 30 ლარი

მისამართი: რუსთაველის გამზ. №17

„ყველაზე მასშტაბური და მრავალბიუჯეტიანი მიუზიკლი ქართული



თეატრის ისტორიაში – ასე აფასებენ მიუზიკლს, რომელსაც რუსთაველის თეატრი და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი მასპინძლობს. სცენაზე ჩარლზ დიკენსის – „ოლივერ ტვისტი“ გაცოცხლდება. ეს არის ორმოქმედებიანი მიუზიკლი, რომლისათვისაც ადაპტირებული ტექსტი – ლაიონელ ბარტმა შექმნა. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი დავით საყვარელიძეა, კომპოზიციებს კი ირაკლი ჩოლოყაშვილი ასრულებს.

მიუზიკლში მონაწილეობენ ოპერისა და ბალეტის და რუსთაველის თეატრის მსახიობები: მანანა აბრამიშვილი, ზაზა ბარათაშვილი, გოგა ბარბაქაძე, პაატა გულიაშვილი, დავით დარჩია და სხვები.

კინო

მორიბი ფილმი „ქართული ფილმების კრახულში“

დისკის პრეზენტაცია და კინოჩვენება

სად: კინოთეატრი „ამირანი“

როდის: 30.05

დასაწყისი: 19:00

ჟურნალი „ცხელი შოკოლადისა“ და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ერთობლივი პროექტი, „ცხელი შოკოლადის“ მკითხველს მორიგ ფილმს სთავაზობს. ამჯერად, ფილმების კრებულში ისტორიულ-რევოლუციურ თემატიკაზე შექმნილი პირველი ქართული ფილმი – „არსენა ჯორჯიაშვილი“ მოხვდა. ფილმის რეჟისორი – ივანე პერესტიანია, მთავარ როლს კი, მიხეილ ჭიაურელი ასრულებს.

პროექტი „ქართული ფილმების კრებული“, გენერალური სპონსორის – „თიბისი ბანკის“ და წარმომდგენი კომპანიების – „ბანკი კონსტანტას“, „ავერსისა“ და „კაპაროლ ჯორჯიას“

დახმარებით, „ცხელი შოკოლადის“ მკითხველს იმ ქართულ ფილმებს სთავაზობს, რომელიც ფართო აუდიტორიისთვის ჯერ კიდევ ხელმიუწვდომელია. პროექტის ფარგლებში უკვე ორი ფილმი გამოვიდა – ნუცა ლოლობერიძის „ბუბა“ და ალექსანდრე წუნუნავას „ქრისტიანი“.

ახალ ფილმს, მკითხველი DVD ფორმატში, ჟურნალის ახალ ნომერთან ერთად მიიღებს.

სხვადასხვა

შოუ კლასიკური მუსიკისა და ბრეიქდანსის სინთეზით

სად: შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
როდის: 13.06, 14.06

მისამართი: რუსთაველის გამზ. №17

როიალი, ჩემბალო, ელექტრონული ბითები, პროექცია, შინაარსიანი სიუჟეტი და მსოფლიოს რვა საუკეთესო მოცეკვავის მიერ შესრულებული უნიკალური ქორეოგრაფია – ეს იმ გრანდიოზული შოუს ძირითადი ელემენტებია, რომელსაც ივნისის შუა რიცხვებში, რუსთაველის თეატრი უმასპინძლებს. ბრეიქდანსის მოცეკვავეები იოჰან სებასტიან ბახის ცნობილი ნაწარმოებების ინტერპრეტაციას წარმოადგენენ. სპეციალურად ამ შოუსთვის, თბილისს, გერმანიაში მოღვაწე – „Flying steps“-ის წევრები ეწვევიან.

კონტრასტული ელემენტებით მდიდარი შოუ „Red Bull Flying Bach“-ის მსოფლიო ტურნეს ფარგლებში ტარდება, რომელიც პირველად 2011 წელს გაიმართა. საქართველო კი, წლევანდელი ტურნეს რუკაზე რიგით მეორე ქვეყნის სტატუსით მოხვდა, ხორვატიის შემდეგ.

Flying Steps-ის მოცეკვავეებისა და ბერლინის ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელის კრისტოფ ჰაგელის განცხადებით, მათი საერთო შემოქმედება ვიზუალურად აცოცხლებს ბახის ცნობილ ნაწარმოებს, რისი მიღწევაც აკადემიური მუსიკისა და ახალგაზრდული თანამედროვე ქუჩის კულტურის უნიკალური შეზავებით გახდა შესაძლებელი.

„ლაჯიმი და ბაილიმი“

ლექცია და ვიდეოჩვენება თანამედროვე ქორეოგრაფიის შესახებ

სად: ევროპის სახლი

როდის: 26.06

დასაწყისი: 19:00

მისამართი: შალვა დადიანის ქ.№2

პროექტი – „ერთი და მრავალსახოვანი ევროპა XX და XXI საუკუნეების ბალეტის ფონზე“, ფილოსოფოსისა და დამოუკიდებელი ჟურნალისტის ხათუნა მზარელუას ხელმძღვანელობით მორიგ შეხვედრას გამართავს. ამჯერად, ლექციის თემა თანამედროვე გერმანულ ქორეოგრაფს – პინა ბაუმს, კონკრეტულად კი, მის ქორეოგრაფიულ პიესას – „კონტაქტჰოვის 2008 წლის დადგმას შეეხება. პირველად ეს პიესა, 1978 წლის 9 დეკემბერს ვუპერტალში დაიდგა. ლექციის მეორე ნაწილი, თანამედროვე ფრანგი ქორეოგრაფის – ბორის შარმცის უახლეს ნამუშევარს დაეთმობა. „ბავშვი“ – ასე ჰქვია მის პიესას, რომლის პრემიერა 2011 წლის 7 ივლისს ავინიონის ფესტივალზე შედგა.

ევროპის სახლში დაგეგმილ საღამოზე, ლექციების გარდა, ზემოთ აღნიშნული ქორეოგრაფიული დადგმების ფრაგმენტებსა და ფოტოებსაც უჩვენებენ, რომელიც ხათუნა მზარელუამ, უშუალოდ პინა ბაუმის კომპანია – „ტანცთეატრ ვუპერტალის“, ბორის შარმცისა და ცეკვის მუზეუმთან მიიღო.



ოპერასია „ბუდა-ბარი“

ავტორი თამარ კვინიკაძე

რესტორანი და ლაუნჯი „ბუდა-ბარი“; მისამართი: ძველი თბილისი, რიყე; პარკინგი მოუხერხებელია; შესაძლებელია როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორება

ერთ წვიმიან ღამეს, ტაქსი სანაპიროზე, „მშვიდობის ხიდათა“ გაჩერდა. ხუთნი გადმოვედით. კიბეებს შევუყვით. ხიდზე აქა-იქ ვნებიანად კოცნიდნენ ერთმანეთს წყვილები. უკან გავიხედეთ, „შანგრი-ლას“ ცისარტყელას ყველა ფერში აკაშკაშებული პროექტორებმა მოგვჭრა თვალი. ბზინავდა ხიდის მომწვანო შუშა და ვერცხლისფერი მეტალიც. ამ ხიდზე სულ ასე მჭირს – ჯერ თავი „ოსკარის“ მისაღებად სცენაზე ასული ვარსკვლავი მგონია, მერე მინდება, მიკ ჯაგერით დავეჭყანო და ენა გამოვუყო ყველას და ყველაფერს. ამ განცდით სრულდება მსვლელობა ხიდზე, კიბეებით ჩავდივართ რიყის ჩაბნელებულ მონაკვეთზე, სადაც, ღამის სიშავეშიც გარკვევით მოჩანს ღამესავით შავი ჯიპები. ვხვდებით, რომ „ბუდა ბარში“ ჩვენზე საპატიო სტუმრები მისულან. ზღურბლთან ორი ახოვანი მამაკაცი გვანყვებინებს ლაქლას. წინ გველობებიან და გვეკითხებიან: „ჯავშანი გაქვთ?“ ისეთი ზორბები არიან, ისეთი მკაცრები, რომ ვიბნევი; მგონია, ჯავშანფილეტს, ან რამე სხვა სამხედრო აღკაზმულობას მთხოვენ, რაც არ გამაჩნია. წამიერად გაელვებულ ეჭვს მეორე კითხვა მიმყარებს: „იარალი ხომ არ გაქვთ?“ – ჩემს თანმხლებ ბიჭს ეკითხებიან. თუმცა, რამდენიმე წუთში უკვე შევებით ვსუნთქავთ – „ჯავშანი“ არ აღმოგვაჩნდა, სამაგიეროდ, სუფთები ვართ. მქრქალი შუქით განათებულ შესასვლელში ორი, ასევე პრინციპული და მომთხონი ქალბატონი გამოდის. ოფიციალტს ავალებენ, რესტორანში შეგვიძღვეს – „აი, იმას მიჰყვით“. შინაგანანულის სრული დაცვით (გვერდზეც კი არ ვაპარებ თვალს), ნახევრად ჩაბნელებულ და ნახევრად ცარიელ დარბაზში შევდივართ. ხომ გითხარით, თვალს გვერდით არ ვაპარებ-მეთქი, მაგრამ მხედველობის არეში იაპონელების მდუმარე სუფრა და რომანტიკულად გარინდებული წყვილის სახეები მაინც ხვდება. ვსხდებით, ვმინაურდებით, ვეშვებით. ოფიციალტთან გაბაასებასაც ვაპირებ, რადგან მიყვარს ეს ეფემერული, მაგრამ თავაზიანი ნაცნობობა – რას

ინებებთ? ეს იცით, რა გემრიელია? ჩვენს საფირმო კერძს გირჩევთ, აუცილებლად უნდა გასინჯოთ! აჰ, ამას უკვეთავთ? მაშინ – ეს ლეინო... და ა.შ.

ახლაგაზრდა კაცი, აღმოსავლურ სტილში გადაწყვეტილი სარესტორნო უნიფორმით, მდუმარედ დებს მენიუს სუფრაზე და მიდის. არადა, ათასი კითხვა მაქვს. მაგალითად: ეს კარამელის სოუსი, კარამელიზირებული ხახვითაა, თუ...? ანდა: თქვენს როლებს აქებენ ძალიან და საფირმო როლები უფრო სჯობია, თუ ჩვეულებრივი „კალიფორნია როლები“? – მოკლედ, გურმანის ათასი საჭირობოროტო კითხვა. ამ კითხვებს რომ არ ვსვამ, იმიტომაცაა, რომ სხვათა შორის, გასაოცრად მოკლე დროში მოტანილ აპეტაიზერებს შორის, ორი როლია – „ბუდა ბარის“ საფირმო როლები და ცივი აპეტაიზერებიდან არჩეული ვიეტნამური ფარშირებული როლები მოტკბომომყავო სოუსით. არადა, არ დაგვიკვირვებია.

გითხარით უკვე, რომ გურმანი ვარ, არა? ჰოდა, მთელ ამ დათრგუნულობას მთავარი კერძი ჯერ კიდევ მანამ მისხნის, ვიდრე ოფიციალტი სუფრაზე დადებს. რამდენიმე მეტრიდან ვგრძნობ ღუმელში გამომცხვარი ღორის ფილეს დამატყვევებელ არომატს. არომატი თანდათან მიახლოვდება, მერე აღარც მახსოვს, როგორ აღმოჩნდება ჩემს თეფშზე ხორცის ნაჭრები კარამელის დახვეწილად მოტკბო სოუსით, ფიქრის უნარს რომ მაკარგვინებს...

ასეთ გემოებზე ვამბობ ხოლმე, რომ მრავალშრიანია. ტაილანდურ სამზარეულოს ეს პირველ რიგში ეხება – პირის ყოველ მოძრაობაზე, წამის მეათედებში, ერთმანეთში რომ ირევა ტკბილი, მჟავე, ცხარე, ცივი, ცხელი, სველი გემოები...

კერძები აქ მართლაც გემრიელია. ყველაფერი გასასინჯია. თეფშები უცებ ცარიელდება. ნასიამოვნებს მგონია, რომ უკვე ფხიზელი აზროვნების უნარი დამიბრუნდა, მაგრამ კიდევ უფრო ფხიზლდები, როცა სკამზე გადაწოლილი, გვერდით ვიყურები და მასიური სვეტის იქით რამ-

დენიმე პატივცემულ სახეს ვხედავ – აი, ვისი ყოფილა შესასვლელთან ჩაყენებული ჯიპები. „ჯავშანი“. ვაი!

ახლა შევნიშნე, ჩვენსავით აქ არავინ ხმაურობს. უმსგავსოდ ვქაქანებთ და ვიცინით, თურმე. მგონი, ყველაზე სერიოზული თემა, რომელსაც განვიხილავთ, ესაა – ჩინური სამზარეულო უფრო გვიყვარს, თუ ტაილანდური? აქაური კერძებით შთაგონებული, მე, ტაილანდურისკენ ვარ... მოკლედ, შეძლებისდაგვარად ვარდევთ რესტორნის მართლა ბუდისტურთან მიახლოებულ მშვიდ და გასხვივოსნებულ აურას. დროდადრო, ჩვენს ხმებს „ბუდა ბარის“ მუსიკა თუ ფარავს.

მუსიკა ექსკლუზიურად „ბუდა ბარისთვის“ ინერება. როგორც ნიუსებში ამოვიკითხე, დივეებს ათეულობით ალბომი ჰქონიათ ჩანერილი, მაგრამ იმ საღამოს, „ბუდა ბარის“ საფირმო ლაუნჯ და ჩილაუტ მუსიკას ფრანგული შანსონებიც ერევა. თუმცა, არა მგონია, ქვევით, „ბუდა ბარის“ ლაუნჯში, ბუდას რამდენიმე მეტრიანი ქანდაკების „ჩრდილი“, ფუმფულა სავარძლებში გადწოლილ კლიენტებს ეს მუსიკალური ჰულიგანობა შეეძინათ. იქ, ღია დარბაზში და მძიმე ფარდებით გატიხრულ კუპებში, სულ სხვა კაეშანი სუფევს – საიმოჯოდ თბილისური – თავმომწონედ მძიმე, გასაიდუმლოებული.

ბოლოს ვასკენით, მე თუ მაინცდამაინც ტაილანდურისკენ გავიქაჩები, ამიერიდან აბაშიძეზე, ან კიდევ სხვაგან წავალთ. აცულლუტებული სკოლის მოსწავლეები მასწავლებლის დასანახად რომ ცდილობენ დაწყნარებას, აი, ამ მცდელობით გამოვივართ გარეთ. ზორბებს რომ ვუახლოვდებით, უკვე „ფრიადოსნებივით“ ვართ.

გარეთ ვასკენით: მგონი, სპეციალურად ვიცინოდით ამდენს და ასე თავაწყვეტილად. არ ვიცი, ეტყობა, „ბუდა ბარის“ „სიმტკიცის“ გატყვება გვინდოდა. იმ ერთ საღამოს ეს მოვახერხეთ. „მშვიდობის ხიდის“ აქეთ ნაპირზე, „სამშვიდობის გამოსულბმა“, ვთქვით, რომ მისია შესრულებულია... არა, ამისთვის კიდევ წავალ!



խաղաղ քաղաքակրթւոյ անդրձեռքէ ուս ասորքը սոյ անուանաս





საქსი

ანა კორძია-სამადაშვილი

როცა ერთად ვცხოვრობდით, საქსი მხიარული და გაბრაზებული გოგო იყო. ჩემდა გასახარად, სულ არ შეცვლილა. საქსმა მითხრა, რომ სულ არ შეცვლილვარ და ეს ძალიან უხარია. რამდენად გასახარია ეს ამბავი – არ ვიცი.

მე საქსს ვათვალისწინებდი, საქსი მე მაცქერდებოდა.

აღმოვჩინეთ, რომ ცოტა გავიზარდეთ. ბოროტი კაცი იტყოდა, დაბერდნენო. ჩვენ ვიცით, რომ მაშინ ბავშვები ვიყავით, ახლა კი ახალგაზრდები ვართ. მაშინ, ანუ შვიდი წლის წინათ.

მარადისობასთან შედარებით შვიდი წელი სახსენებელიც არაა.

ჩემი და საქსის მეგობრობა დიდად უცნაური ამბავია.

გაბრაზებული საქსი ბევრს ვერაფერს ხდება, მაგრამ რალაცას აკეთებს ხოლმე.

მე ასეთ დროს მხოლოდ გულზე ვსკდები.

საქსი ნეონაცისტების შეკრებებზე დადის, ცუდ სიტყვებს გაჰყვირის და ტაშტებს და ტოლჩებს არახუნებს. ის, სავარაუდოდ, 50 კილოს ინონის, წესით, ადვილი საცემია, მაგრამ სირბილი ეხერხება და ეს მაგრად შველის.

მე არსადაც არ დავდივარ. მე ცუდ სიტყვებს ვამბობ, კედლების და, დიდი-დიდი, საქსის გასაგონად.

საქსი ანარქისტია, მე – სამზარეულოს ინტელიგენცია.

საქსს ქალები მოსწონს.

მე – არა.

მე და საქსს ერთმანეთი ძალიან გვიყვარს.

. . .

საქსის ქალაქში ვიყავით, პარკში, დიდ შადრევანთან. მზიანი დღე იყო, თბილი, შესანიშნავი. თეთრი ქანდაკებებით გარშემორტყმულები მზეს ვეფიცებოდით.

პატარა როცა ვიყავი, ღია ბარათების კრებული მქონდა: „ესა და ეს ჯადოსნური პარკი“. მაშინ მეგონა, რომ ამ სასახლესა და მის პარკზე მშვენიერი ამქვეყნად არაფერია. ყველა ხედი მომწონდა, ყველა ქანდაკება მელამაზებოდა, და ოცნებაში სულ ამ სასახლის კიბეზე ვეშვებოდი, არაჩვეულებრივი აბრეშუმის კაბით და ბროლის ქოშებით, ჩემი უფლისწულის შესახვედრად. ვერ წარმომედგინა, რომ ოდესმე აქაურობის ხშირი სტუმარი გავხდებოდი და იმდენად გავკადნიერდებოდი, რომ დარბაზებში შესვლა დამეზარებოდა – რამდენჯერ უნდა ვნახო... ამჯერად მხოლოდ მუზეუმის მალაზიაში შევედი, ერთ ჩაის ჭიქას დიდხანს ვუღიმე და ბოლოს არ ვიყიდე – მეძვირა. ახლა ვნანობ.

„ჩემი ლათინურის მასწავლებელი ახირებული კაცი იყო“, – მიყვებოდა საქსი. „გაკვეთილს არ სჯერდებოდა, აქ მოყვავდით ხოლმე და დიდ გამოცდას გვიტარებდა. აბა, ეს რომელი ლმერთია? სწორია. აბა, იმასთან რა ურთიერთობა აქვს?“

„ის ვენერაა?“ ყველა ლამაზი იყო, რა ვიცი...“

„სირცხვილია, პროფესორო, – დამცინა საქსმა, ატრიბუტებს დააკვირდი. ჰო, ჰო... და ბერძნებთან რა ერქვა?“

დიდი გამოცდა ჩავაბარე. დიდად გავერთეთ. ნათელი დაადგეს შენს ლათინურის მასწავლებელს, საქს!

მერე, ქალაქში, კვლავ ქანდაკებასთან შევჩერდით. ეს ლმერთი აღარ იყო, სამხედრო ბრძანდებოდა, ანუ, ჩემი ღრმა რწმენით, ცივისსხლიანი მკვლელი და კაციჭამია, ოღონდ ვინ იყო – არ ვიცოდი.

„არც უნდა იცოდე“, – დამამშვიდა საქსმა. „ისე, მართალი ხარ – ნაძირალაა“.

დიდ მეომარს სახელი იმით გაუთქვამს, რომ ამერიკის კონტინენტის ინდიელებისგან განმეხდის ჩინებული ხერხი გამოუგონია: ტანსაცმელს სჩუქნიდა, ლამაზს – და მოწამლულს. ამ გზით რამდენიმე ასეული ადამიანი მოკლა და ამისთვის ძალიან შეაქეს. კიდევ რამდენი და როგორ დახოცა – არ ვიცი.

საქსმა დაიჩვილა, რომ მრავალი მცდელობის მიუხედავად, ამ კაცის ძეგლი ქალაქს ვერ მოახსენევინეს. მე სერგო ორჯონიკიძის ძეგლის ამბავი გამახსენდა და შევთავაზე, კატაბალახას ნაყენით მოერწყათ. მართალია, ფისოები ბევრს ვერაფერს დააკლებდნენ, მაგრამ მაინც სახალისო კონცერტი იქნებოდა.

„მაგარია“, – თქვა საქსმა და დაფიქრდა, მერე ფართოდ გამიღიმა: „ვიზამ!“

ზუსტად ვიცი – იზამს, და სწორსაც იზამს: ნებისმიერ გენერალს ვენერა სჯობია. ან დიანა. ლამაზებიც არიან და უწყინარებიც.

...ნეტა, უკვე აკნავლდნენ იქაური ხვადები?

ავერსი - მალედი სოციალური პანპანბებლომის მონე ჟობანია



ავერსი "ავეისი" 18 წლის წინ დაახდო და ამ დღეინ მან უამბე სასოციომ სავებს დავომ სავებელე. "ავეისი" მონანი თოთოველი ჩვენანის ჯანმხოველობას და სველი სიმშვიდებე ზეწედა, ამ მონანს უმსახეობე ყოველი პხოვეტი და პხოვამბა, ხომელი ყომპანის დამვედებლის ინოციაციოთე კახედა - სოციალური პხოვეტე, ხომელიც "ავეისი" სახელს უკავშირებეა უამბე ადამიანს უმბეუებებს ებოვებებს.

გასვე წელს ყომპანის დამვედებელმა ბავონმა პააკე პეჩენიძემ სავებელიმვეომ მხოტონხეთე - სავებელიმვეომ ფონეი "ავეისი" დაახს. თემა, სოციალური პხოვეტე, ხომელიც მონახელობის დახმახეობას ითვადისწონებს, მბოლო ფონეი ხოდი აკახებს. "ავეისი" სახელი უკავშირებეა დასავ-ელითის სტანდარტების მენადამის სავეთოაქო ქველს, სახითამოხოსო დონის ფახმავეკვედ ნახმო-ბას, უღვითანბინეძოვე კვენიოთი აღუქვილი კვინიკათო ქველს, სადახლევეომ ყომპანისა - ისინი თავის მხოვე აქეიხად მონანილომბენ სავებელიმვეომ პხოვამებესა თე აქეიბში, ხომელიც სოციალურად დავეველი მონახელობის ჯანმხოველობაზე ზეწედას ისახავს მონედ.

"ავეისი" წლების განმავლობამი ზეწედას მხეწველობამოკველ ბავმეთს და მონხეებელთს თავმენახეობის ზენეფოციხეებზე - ქნაიმეხლეველ, უდემამო ბავმებს, იძელებით გადახელებელ პხოვეტე, გაქიხებელ მონახელობას სხვადახვთე სახის დახმახეობას მენეივედ უწედა.

- "ავეისისთვის" ყვედაზე აქეველი მხავადევილიანთა დახმახეობის პხოვეტი. აქეის ფახტებში დახმახეობე უკვე 2119-მა მკახმა მოლო. თანხა, ხომელიც ამ პხოვამაზე დაახსაქე 1 200 000-მდე (1 168 207, 41) კახს მუადვენს. ის აქეველობას ახ კახგავს, პხოქით, ყოველდღეხად სვე უფიო მუტი მხავადევილიანი მკახი მინახითავს "ავეისს" დახმახეობისთვის.

"ავეისი" დამვედებელი თავდაყ მხავადევილიანთა და ხოგოხე აღნიშნა, ეს პხოვეტი მონთვის გამოჩევედაე მნიშვნეველიანთა:

"უფიქობ, მკახებეს, სადაყ ზეთი და მუტი ბავმეტი იხეებებს სახოგადოებრის მახედაქეხა და ყეხადებეა სქილხებათო. ბეჭითა მკახი, ხომელიც ფინანსური პხოტელებრის მოხედავად მკებებზე უახს ახ ახმობს და მათი უკონომიკური პხოტებრის გათვადისწონებოთ, ეს მახთდაყ დასაფასებე-ლია.

დახმენებელი უახ, მხავადევილიანი მკახებრის დახმახეობით, სკიმერს ვადღვეთ სხეებდაყ, ხომ მით და სამი მკებლის ყოლოთ ახ დავამყოფილენე.

ჩვენი პხოვეტის ყივედ ვითი დავებოთი მახე ის გახდეთ, ხომ სახოგადოებრამი მხავადევილიანობის პხოვედახინახეთე ხედას, ხავ თავის მხოვე დავებელითა უკვენამი დემოკრათეული მდგომარეობის გასავემობუნებელად" - აღნიშნა ბავონმა პააკემ.

პხოვეტი აკვად გიძველდება და მომავალშიც მხავალი მკახი იგხინობს "ავეისის" თანდემონს.



- 2009 წელს "ავეისა" და საქართველოს საპატიოაქიოს მოხის გაფიქმდა მემოხანდემი, ხომლის თანახმად, მღველ-მონახეუნებე და სასელიქო პხოვეტი, უფასოდ იღებენ უქინის მოვი გამომწეილი მღვიკამენებეს და სასებლობენ სხვადახვთე სახევიტონო სეჩიოსით. ეს მემოხანდემი 2011 წლის 3 იანვარის ზედახდა, უკვე ახდელ მუქმწილ სავებელიმვეომ ფონეი "ავეისსა" და საქართველოს საპატიო-აქიოს მოხის განუახლებელი ვადით გაფიქმდა. ამ პხოვეტის ფახტებში უკვე 754 531 კახი დახსაქეა.

- უკვე მეთობე წელიწადისა "ავეისი" ქათველი მონმოკვებრისა და უკვეხანი სპოტესმენების ჯანმ-ხოველობაზე ზეწედას. პხოვეტილი მონმოკვების სპოტესმენებს სავებელიმვეომ ფონეი "ავეისის" მავეითადელი დახმახეობით, საშეველებე უდვედათ უფასოდ მოილონ უქინის მოვი გამომწეილი მღვიკამენებეს და ჩიდახონ ყოველდახი სახევიტონო მომსახეობე. პხოვამაზე 491 419 კახი ბავმა.

"მონახეული უახ, ხომ ღვითის ნეკლებით, მუვეწეუს ძადა, მსგავსი ღონისძიებეტი დავადინანსათო, განდაყხად ყომპანის განუხალქიმე დიქეკოხმა ბავონმა პააკე პეჩენიძემ.

"ავეისის" დამვედებელს სოციალური პანსებისმეებლობის პოცეკიკახს იზიახებს "ავეისის კვინიკა" და სადახლევეომ ყომპანის "ავეისი".

"ავეისის კვინიკის" ინოციაციოთი სახევიტონო გასინეკვების სეჩიო კახებეა იმ იველონის მონახელობისთვის, სადაყ სახევიტონო მომსახეობას ახ აჩის ზეღმონანევეომი.

მგადლითისთვის სახევიტონისი და მალადმითანი ზომონის სოველებიკე ყმახა. ანეთ იველონებში დაჩენეილი მონახელობას მახიში დგომე და დახმახეობე სქილხებებს. სწოხე იზიახებებს, ხომ მათი ყოფეა ყოკათი მონე მენსეზეუებელიყომ "ავეისმა" და "ავეისის კვინიკამ" ვითომღვი აქეების სეჩიო მამოხმეკეს.

"ავეისი" სეგემომბდა ხეკესეჩის, თემუის და სამეკე - კავახეთის. 2-3 ივენისს "ავეისი" და "ავეისის კვინიკა" ყახებელს ზომონს უკვემბედა.

უქმნიკახეული აქეის ფახტებში "ავეისის კვინიკის" უქიმებმა ამ ზომონების მონახეობას უფასო სახევიტონო აველები და ყონსუდაკვლები მესთავახეს. "ავეისმა" თოთოველი გასინეკვი პაკეენეს საშეხად პხოვედაილი მონახეობის მღვიკამენკრისაქან მემდგამი პაკეტი გადასქე. თოთოველი აქეიაზე 100-მდე პაკეტილი გაიხინეკე.

აქეისი ყომხეილელი დანიშნელებე ახ აქეს და პაკეტილების მოხიდაკეს მონედ ახ ისახავს. "ავეისის კვინიკამი" ხეკესეჟოლდენ, თემუილიან და სამეკე - კავახეთიდან პაკეტილებრის მოხედას ახავენ უდღებედა. ეს აჩის მბოლოე უქმნიკახეული აქეის, ხომელიც მონახელობის დახმახეობას ისახავს მონედ.

"ავეისის" სახელი ბეჭის სავებელიმვეომ აქეიას უკავშირებეა, ყოველი მათგანი ვი უკვენის, ვიისა და ადამიანის სოკახელითი აჩის ნეკახ-ნახევი.

"ავეისმა" ახავითი პხოტი და სველი დანიშნეხეა, ხოგოხე მალედი სოციალური პანსებისმეებლობის მქონე ყომპანამ, ხომლის ჩამოთველითავ თავს ახ მუგანეკენთ. ყოველი ეს ჯიღეი დასაქეხთა იმისა, ხომ "ავეისი" მახთდაყ მალედი სოციალური პანსებისმეებლობის მქონე ყომპანია, ხომელიც მდმოკვე ზეწედას თოთოველი ჩვენანის ჯანმხოველობას და სველი სიმშვიდებე.



ავერსი გისურვებთ ჯანმერთელოგას და სულიარ სიგვიდეს!

დავით აღმაშენებლის 148/2 ☎ 2-967 227

WWW.AVERSI.GE



სისულელის ტრაქტატი

ბაბა ნახუსრიძე

ვერის ბალის წიგნის ბაზრობა დამესიზმრა, კვირაობით რომ იმართებოდა, ჩემი სტუდენტობისას, 80-იანების ბოლოს. ეტყობა, მუშაობით გადავიღალე, ან მთლად გამოვტენდი. ხომ გინდა, კაცს წიგნის ბაზრობა დაგესიზმროს?! განსხვავებული და უცნაური სიზმარი კი იყო. მზით განათებულ ვერის ბალში წიგნების მწკრივს მივუყვებოდი. სულ ნაცნობი, ახლობელი, საყვარელი წიგნები მხვდებოდა. ადამიანები კი არსად ჩანდნენ. ერთდროულად სასიამოვნო და სევდიანი განწყობა მეუფლებოდა. წიგნების ნახვა მიხაროდა და ვწუხდი, რომ ადამიანები არსად ჩანდნენ. დაბნეულს გამეღვიძა. მერე, დავფიქრდი – სად იყვნენ ადამიანები, ჩემი ნაცნობები, ახლობლები, მეგობრები... ზოგს, აღარ სცალია, ზოგი, აქ არ არის, ზოგიც – საერთოდ აღარ არის. წიგნებთანაც ისე ვეღარ ვმეგობრობთ – კარგად, ძველებურად. მხოლოდ საქმისთვის თუ ვიყენებთ. ერთმანეთს? იქნებ, ერთმანეთსაც მხოლოდ საქმისთვის ვიყენებთ და ტრივიალურად, ტლანქად ვხსნი – „რას იზამ, დროა ასეთი, პრაგმატული“...

იმ 80-იანებში კი, მახსოვს, როგორ ველოდი ყოველ კვირა დღეს. უბრალოდ, მიხაროდა საყვარელ წიგნებთან და ადამიანებთან შეხვედრა, ურთიერთობა. და ეს ბაზრობა ამის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იყო.

წერა-კითხვაც ისევ „მოდაში შემოვიდა“. ასე, თავისთავად, ჩვეულებრი-

ვად, მარტივად. და ყველა სხვა, სულელურ მოდას ხომ სჯობდა? უცებ, კამიუ და კაფკა გახდნენ ძალიან პოპულარულები, როგორც ხდება ხოლმე ჩვენში, კაცმა არ იცის, რატომ. ჩემ ირგვლივ ბევრი წერდა. ბევრი მათ ბაძავდა. ოღონდ გულწრფელად, ლიტერატურის სიყვარულით და არა პოპულარობისა, თუ ტელესახედ გახდომის სურვილით. თუმცა, სად იყვნენ მაშინ ეს ბითური ტელესახეები. უფრო ნამდვილი დრო იყო. მოკლედ, ასე გაჩნდნენ „გურჯი უცხოები“. ერთ ჩემს ახლობელს ვკითხე კიდეც, სად იპოვე-მეთქი ეგ „გურჯი უცხო“, ცუდად ვუთხარი. სხვანაირად უნდა მეთქვა, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. მაპატიე, ძმობილო. სჯობდა, ჩემი პროზისთვის მიმეხედა, რომელიც გულუბრყვილო და უსუსური იყო...

სკოლა ახალი დამთავრებული მქონდა, როდესაც „დიდტანიანი მოთხრობა“ დავეწერე – „პოვესტს“ რომ უწოდებენ რუსები. „სისულელის ტრაქტატი“ ერქვა. სიუჟეტზე ახლაც მეცინება. ბანალური, მიამიტური, თანაც პრეტენზიული. ჰო, ზუსტად ასეთი იყო.

ახალგაზრდა კაცს მსუბუქი ყოფაქცევის ქალი შეუყვარდება, რომელიც ვენერიული დაავადებით გარდაიცვლება. კაცი განიცდის, მაგრამ სიცოცხლეს განაგრძობს, ცდილობს, სხვა, ლამაზი გოგო შეიყვაროს, რადგან... მოკლედ, სევდანარევი ჰეპი-ენდით მთავრდებოდა. მიბეჭდავს მივაკითხე. კარი შუახნის, სანდომიანი გარეგნო-

ბის ქალბატონმა გამილო. უცნაური ფორმის სათვალე ეკეთა, რომელიც ოდნავ სასაცილო იერს სძენდა.

– „სისულელის ტრაქტატი“... საინტერესო სათაურია, – მითხრა ღიმილით.

– გმადლობთ, დიდი არაფერი, – თითქოს შემრცხვა.

– დღეს, საღამოსვე დაგიბეჭდავ, ძვირიც არ დაგიჯდება!...

– გმადლობთ!...

– თუ რაიმე შეცდომა ვნახე, შეიძლება გაგისწორო? – მკითხა მორიდებით.

– რა თქმა უნდა, დიდი მადლობა, – რედაქტორიც ვიპოვე-მეთქი – გავიფიქრე.

ერთმანეთს დავემშვიდობეთ.

ღილით ისევ მოვინახულე ჩემი „რედაქტორი“. „ტრაქტატი“ უკვე დაბეჭდა. ფული და უამრავი მადლობა გადავუხადე. კაპიკები გამომართვა, ცოტა მომერია კიდევაც...

შინ დავბრუნდი და დაბეჭდილ ტექსტს გადავხედე. სხვა მოთხრობას ვკითხულობდი, რომელიც ოდნავ ჰგავდა ჩემს დაწერილს. ასე ჩამისწორა... მახსოვს, საშინლად მენყინა, მაგრამ აღარ შევხმინებებივარ, საყვედური არ მითქვამს...

ისე, იმ სანდომიანი ქალის მოთხრობაც არ იყო ჩემს „ტრაქტატზე“ უკეთესი.

პოპული - თქვენი ყოველდღიური არჩევანი

კომპანია „პოპულში“ თითქმის ერთი წელია, რაც ახალი მმართველი გუნდი შევიდა, რომელიც ევროპული გამოცდილების და კვალიფიციის მქონე მონვეული პროფესიონალებითაა დაკომპლექტებული. მენეჯმენტის ცვლილება უკვე აისახა „პოპულის“ სწრაფი განვითარებისა და ზრდის ტენდენციაზე, კომპანიის მართვის კონცეფციაზე, მომსახურების თანამედროვე სტანდარტების დანერგვასა და ბიზნეს-საქმიანობის ახლებურ სტრატეგიაზე.

„პოპულის“ ახალი მენეჯმენტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხის მქონე პროდუქციის მიწოდებაა. პროდუქტების ხარისხის კონტროლზე, კომპანიაში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი და დიდი დეპარტამენტი მუშაობს - ხარისხის მართვის დეპარტამენტი პროდუქციის ვარგისიანობას, ვადასა და ხარისხს ამოწმებს. თაროებზე მოხვედრამდე პროდუქტი რამდენიმე ეტაპიან შემოწმებას გადის, მათ შორის ლაბორატორიულ და სადემონსტრაციო ტესტებს. გარდა ხარისხის მართვის დეპარტამენტისა, ასევე მუშაობს შიდა კონტროლის გუნდი, რომელიც პროდუქციის ხარისხსა და ვარგისიანობას უშუალოდ მაღაზიაში მოხვედრის შემდეგ პერმანენტულად ამოწმებს და აკონტროლებს, რათა დაცული იყოს შენახვის პირობები და პროდუქციის ვადიანობა. მაღაზიებს კონტროლის მიზნით, ხშირად სტუმრობენ თავად ტოპ-მენეჯმენტის წევრები, რაც განაპირობებს მაღაზიაში მომუშავე პერსონალის მუდმივ მობილიზებულობას. შესაბამისად, დღესდღეობით თითქმის ნულამდეა დაყვანილი პრობლემა, რომელიც პროდუქციის ხარისხს, ვარგისიანობასა და ვადიანობას შეეხება. რაც „პოპულის“ მიმართ მომხმარებლის ნდობის მთავარი გარანტია და რაზეც „პოპულის“ ახალი გუნდი მოსვლის პირველი დღიდან აქტიურად ზრუნავს და მუშაობს!

სასიამოვნო სიახლეა „პოპ-არტ ბარათის“ მფლობელებისთვისაც. 4 მაისიდან „პოპულის“ სასაჩუქრე კატალოგი განახლდა. „პოპ-არტ ბარათის“ აქტიურ მფლობელებს მაღალი ხარისხისა და თანამედროვე საყოფაცხოვრებო ტექნიკის შერჩევა შეუძლიათ. (მაგ. 135 ქულის სანაცვლოდ თქვენ სამზარეულოს სასწორს მიიღებთ, 175 ქულაზე - ტოსტერს, 700 ქულის დაგროვების შემთხვევაში კი სამზარეულოს კომბაინს გაჩუქებენ). ნებისმიერ კითხვაზე პასუხს მომხმარებელი „პოპულის“ ცხელ ხაზზე მიიღებს - 2 43 11 22

ბარათზე დაგროვილი ქულების გამოყენება 4 მაისიდან 6 თვის განმავლობაშია შესაძლებელი. ამასთან, მაისიდან კიდევ 6 თვის განმავლობაში ძალაში იქნება ის ქულებიც, რომლებიც მომხმარებლებმა აქამდე დააგროვეს.

„პოპულის“ ახალი გუნდის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივაა „პოპულის“ დაბალი საფასო პოლიტიკა.

„პოპული“ პირველი საცალო-სავაჭრო მომსახურების ქსელია, რომელიც პირველადი მოხმარების პროდუქტზე მომხმარებელს ყველაზე დაბალ ფასებს სთავაზობს. ახალი გუნდი საფასო პოლიტიკის შენარჩუნებას აპირებს და მათი წარმომადგენლების თქმით, ე.წ. „სამომხმარებლო კალათის“ ასორტიმენტის გამრავალფეროვნებასა და პროდუქციის ჩამონათვალის გაზრდასაც გეგმავს.

მენეჯმენტის ახალი სტრატეგიიდან გამომდინარე „პოპულმა“ წელს ორი XL ფორმატის მაღაზია დახურა, ხოლო კიდევ ორის ოპტიმიზაცია განახორციელა. როგორც „პოპულის“ გენერალური დირექტორი თეოდორა ტიჩერიჩი აცხადებს: „სხვადასხვა ზომის მაღაზიები განსხვავებული ტიპის სეგმენტსა და მომხმარებელზეა ორიენტირებული. ჩვენთვის კი მნიშვნელოვანია რომ „პოპულის“ მაღაზიები იყოს თბილისის ყველა უბანში, ნებისმიერი ჩვენი მომხმარებლის სახლთან ახლოს. სწორედ ამიტომ, აქცენტი პატარა ფორმატის მაღაზიებსა და, ამასთანავე, მათ სიხშირეზე კეთდება. წლის დასაწყისიდან უკვე 3 ახალი მაღაზია გაიხსნა, და კიდევ სამის გახსნა იგეგმება. „პოპულის“ ქსელი რეგიონების მასშტაბითაც გაფართოვდება.

რატომ უნდა აირჩიო „პოპული“? - ეს არის მაღაზია, რომელიც სახლთან ყველაზე ახლოსაა, პირველადი მოხმარების პროდუქტზე ყველაზე დაბალი ფასები აქვს, ზრუნავს პროდუქციის მაღალ ხარისხზე და ერთგულ მყიდველს ყოველთვის მრავალფეროვან და საინტერესო საჩუქრებსა და აქციებს სთავაზობს.





სოსხების გამყიდველი

მაია სარიკვილი

ხელი ავინიე – წყალს დავლევ-მეთქი და აუდიტორიიდან გამოვედი. ჩემს კურსელებს ჩაეცინათ, რადგან იცოდნენ, ლექციაზე აღარ დავბრუნდებოდი. ასე მემართებოდა ზოგჯერ – სულის ხუთვა და, კი ვინევი ხელს, ვითომ სინდისიერად, მაგრამ უკან უსინდისოდ აღარ ვბრუნდებოდი. ლექტორებიც უკვე არ მსაყვედურობდნენ, თუ მათ მრავლისმეტყველ მზერას არ ჩავთვლით, და მოკლედ, გამოდიოდა, რომ რალაც უსიტყვო შეთანხმებას ჰქონდა ადგილი... ახლაც ასეთი უტიფარი ტყუილით გამოვედი ლექციიდან დერეფანში, მერე ეზოშიც გამოვბოდილდი და ვხედავ, ინსტიტუტის კიბესთან ახლოს, ხის უზურგო სკამზე ცოცხების გამყიდველი კაცი ჩამოფდარა და გაშლილ ქოლგას აწვალებს დაძაბული სახით. დაკეცვა უნდა და ვერ ახერხებს. დეტალურად მახსოვს ეს ფრთამოტეხილი ქოლგა, ყვითელ ფონზე იასამნები იყო უგემოვნებოდ მიხატული. „მოგეხმაროთ?“ – ქოლგაზე ვანიშნებ. „არა!“ – გაბრაზებულია. „არასწორად კეცავთ!“ – არ ვეშვები. „ჩემი ცოლისაა, წავიდა და დარჩა. რალაცაზე დამეჭირა ხელი და გაიშალა“. ქოლგას ლამის ძალით ვართმევ ხელიდან და ვკეცავ ორ წამში. მიღიმის. ძალიან ლამაზი მერვენება. შუახნის კაცია, მალაღლი, გარუჯული, დაუდევრად ჩაცმული. „აქ სწავლობ?“ – თავით მანიშნებს. „დიახ“ – ვეუბნები. „მე სკოლაც კი არ დამიმთავრებია, არ შემეძლო სწავლა. მაგრამ პიანინოზე ვუკრავდი. ძალიან მიყვარს პიანინო“ – ჭუჭყიან ხელე-

ბს დაჰყურებს. „გინდათ დაგაკვრე-ვინოთ?“ – ვეკითხები, ვნანობ იქვე და მინც განვაგრძობ: „ინსტიტუტში აგიყვანთ. 301-ე აუდიტორიაში ახლა არავინ იქნება, მეც ხშირად შევდივარ ხოლმე იქ დასაკრავად“. – მგონია, რომ არ დამთანხმდება, მაგრამ „დავაი!“ – მიცინის და ყოჩაღად დგება, სამივე

„გინდა, ცოცხს გაჩუქებ?“ – თვალეში მიყურებს. „არა!“ – მელიმება. „მამინ იმას, იმ კაცს მიეცი“ – ბატონ ჯემალზე მეუბნება. „კარგით“ – ცოცხს ვართმევ და დეკანატში შემაქვს.

ცოცხს და დაკეცილ ქოლგას ხელში იღებს და შევდივართ ინსტიტუტში. „უი, როიალი ყოფილა!“ – დამფრთხალი მიყურებს და სკამზე დაჯდომას ვერ ბედავს. „ნუ გეშინიათ, არავინ შემოვა!“ – ვამხნევებ და ველოდები, რომ რალაც საოცრება მოხდება, როგორც ფილმებში თუ რომანებში და ჩამოძონძილი კაცი გენიალურად დაუკრავს, უნიჭიერესი მუსიკოსი აღმოჩნდება, შევეყვარდები, ცოლს გაშორდება ჩემი გულისთვის და ათასი საოცარი რამ...

ის კი, ორივე ხელის თითებს მუშტებად კრავს, მერე მხოლოდ საჩვენებელ თითებს ათავისუფლებს ტყვეობიდან და ამ ორი თითით სრული საცოდაობის დაკვრას იწყებს. სულელური მელოდია რომელიღაც სერიალიდან... ლამის ვიტყვი. ამ დროს კარი იხსნება და აუდიტორიაში ჩემი ფაკულტეტის დეკანი, ჯემალ კუპრაშვილი შემოდის. „ვინაა?“ – გაბრაზებას აპირებს. „ცოცხების გამყიდველია, უკრავს“ – მშვიდად ვეუბნები. „ვხედავ!“ – ცოცხებს ხელი დაავლო და ფეხებთან მიუყარა პატრონს. „კიდევ ათი წუთი, რა... ცხოვრებაში პირველად უკრავს როიალზე“ – ვეხვნები. „რა გეშვებება, შენ?!“ – ბატონი ჯემალი კეთილად მიღიმის და გადის. „დაუკართ“ – როიალთან მივანოჩე ჩემი სკამი. „მეტი არაფერი მახსოვს, ყველაფერი დამავიწყდა“ – ადგომას აპირებს. „იგივე დაუკართ“ – არ ვეშვები და ისიც ისევე საჩვენებელი თითებით უკრავს იგივე მელოდიას, მაგრამ ისეთი თავგანწირვითა და ასმაგი მონდომებით, რომ ჩახუტება მინდება და თავს ძლივს ვიკავებ. „სარიკვილი, გავიდა ათი წუთი!“ – ბატონი ჯემალის თავი შემოძვრა კარის ღრეჭოდან და ისევე გაძვრა... „გინდა, ცოცხს გაჩუქებ?“ – თვალეში მიყურებს. „არა!“ – მელიმება. „მამინ იმას, იმ კაცს მიეცი“ – ბატონ ჯემალზე მეუბნება. „კარგით“ – ცოცხს ვართმევ და დეკანატში შემაქვს. „იმან დაგიტოვათ“ – ვეუბნები. „რომელ ლექციაზე უნდა იჯდე ახლა შენ?“ – თბილი გაბრაზებით მეკითხება. მე მხრებს ვიჩეჩავ – „არ ვიცი!“...



SINCE 1884

SARAJISHVILI

სარაჯიშვილი

**THE
SCHOOL
OF LIFE**

SERMONS **CLASSES**
MEALS
BIBLIOTHERAPY PSYCHOTHERAPY
SHOP WEEKENDS

IDEAS TO LIVE BY

The School of Life supports intelligent
ways of thinking about everyday life.

www.theschooloflife.com



ახალი აღმავანი – არტისტი

ავტორი, ფოტო: მარია ქოჩიაშვილი



„იდეა, რომელიც დღეს მინდა საზეიმოდ წარმოგიდგინოთ, ასეთია: როგორ გავხდეთ ახალი ტიპის ათეისტები. სხვა სიტყვებით რომ გითხრათ, მინდა, წარმოგიდგინოთ ათეიზმის ახალი ვერსია, პირობითი სახელწოდებით – ათეიზმი 2.0“, – ასე დაიწყო თავისი ოცნუთიანი გამოსვლა 2011 წლის ივლისში, ედინბურგში, ტედ.კომის ყოველწლიურ კონფერენციაზე ალან დე ბოტონმა, ბრიტანელმა ფილოსოფოსმა და ახალი ათეისტური მსოფლმხედველობის ავტორმა.

ჯერ შევთანხმდეთ, რომ ტედ.კომი უკვე წლებია, მსოფლიოში სრულიად ახალ მედიუმს ქმნის – დაფიქრებისთვის, დისკუსიისთვის, ინფორმაციის მიღებისთვის და შეიძლება ზოგჯერ პიროვნული ტრანსფორმაციისთვისაც. ტედ.კომის კონფერენციებზე ხშირად პირველად ხდება ხოლმე უახლესი ტექნიკური და სამეცნიერო მიღწევების პრეზენტაცია, ზოგჯერ კი იმავე სკენიდან საზოგადოება სრულიად გამაოგნებელ და შთამაგონებელ ადამიანურ ისტორიებსაც ისმენს.

ალან დე ბოტონი ტედ.კომის ვარსკვლავ სპიკერებს შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია. მისი გამოსვლა „ათეიზმი. 2.0“ ვებგვერდზე ატვირთვის შემდეგ 905.830 ადამიანს აქვს ნანახი.

ის, რაც ადამიანებს ბოტონის მოხსენებაში მოსწონთ, გამბედაობა და ძველი თემების ახლებურად გააზრებაა. „ძველი თემა“, ამ შემთხვევაში, ათეიზმის კლასიკური განსაზღვრებაა.

ყველაზე ახალი, რასაც ალან დე ბოტონი ამბობს არის ის, რომ ათეისტებსაც კი შეუძლიათ რელიგიის გარკვეული ნიუანსები საკუთარი სეკულარული ცხოვრების სამსახურში ჩააყენონ – ცხოვრების, რომელსაც ბევრი ნაკლი აქვს. „შეიძლება, ვილაციისთვის საშინელ უსინდისობას ვამბობდე, მაგრამ, მგონი, არაფერია ცუდი იმაში, თუ რელიგიას რაღაც იდეებსა და მიდგომებს მოვპარავთ. მერე რა, რომ რელიგიას საერთოდ არაფრად ვაგდებთ, მაინც შეგვიძლია მისი საუკეთესო ნიუანსები ავიღოთ და გავმიქსოთ. ჩემთვის „ათეიზმი 2.0“ ზუსტად ესაა – სრულიად გაცნობიერებული და მზაკვრული გზა სხვადასხვა რელიგიის გასაცნობად და კითხვის დასასმელად: „აქედან რისი გამოყენება შეგვიძლია?!“

ალან დე ბოტონმა ამ კითხვაზე პასუხი

უკვე იცის. ის ფიქრობს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო, რომელიც შეიძლება ძირეულად შეიცვალოს რელიგიასთან „გამიქსვით“, განათლებაა.

განათლება სეკულარული მსოფლიოს ფუნდამენტია. ესაა ის, რაშიც დიდი ფული იდება; რაც თანამედროვე, მონაზროვნე ადამიანების აზრით, არა მარტო ძალიან საჭირო კომერციულ და ინდუსტრიულ უნარებს გვივითარებს მოქალაქეებს, არამედ უკეთეს პიროვნებადაც გვაქცევს. თუმცა, დღეს უკვე ღიად და სრულიად სხვადასხვა მედიუმით, მსჯელობენ იმაზე, რომ თანამედროვე განათლების სისტე-

„იდეა, რომელიც დღეს მინდა საზეიმოდ წარმოგიდგინოთ, ასეთია: როგორ გავხდეთ ახალი ტიპის ათეისტები. სხვა სიტყვებით რომ გითხრათ, მინდა, წარმოგიდგინოთ ათეიზმის ახალი ვერსია, პირობითი სახელწოდებით – ათეიზმი 2.0“

მა ჩიხშია. ის ვეღარ პასუხობს დროის მოთხოვნებს. აღარ შეუძლია, ახალი საუკუნის ადამიანებს მისცეს იმ სახის განათლება, რაც ახალ გამოწვევებს გადაგვალახინებს.

ალან დე ბოტონი ამბობს, რომ განათლების ლპობაშეპარული სისტემის მკურნალობა რელიგიიდან მოპარული ხერხებით შეიძლება.

„რომ მიხვიდეთ რომელიმე ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტში, ვთქვათ, ჰარვარდში, ან ოქსფორდში, ანდა კემბრიჯში და უთხრათ: „მოვედი იმიტომ, რომ ვეძებ ზნეობას, ნუგეშს, მფარველობას. მინდა ვისწავლო, როგორ ვიცხოვრო. რას გეტყვიან? რას და საგიჟეთში გაგამწესებენ. ჩვენი საუკეთესო

ინსტიტუტები ამ ყველაფრის მოსაცემად არ შექმნილან. რატომ? იმიტომ, რომ უმაღლეს სასწავლებლებში არ ფიქრობენ, რომ ჩვენ ეს ყველაფერი გვაკლია. ჩვენ მათთვის ზრდასრული ადამიანები ვართ და ერთადერთი, რაც გვჭირდება, ინფორმაციაა. ინფორმაცია, მონაცემები და არა დახმარება“.

„როგორი შეიძლება იყოს სკოლა, რომელშიც გასწავლიან ცხოვრებას?“ – ალან დე ბოტონმა ახალი ტიპის სასწავლებლის შექმნაზე ფიქრი ზუსტად ამ კითხვით დაიწყო. შედეგად, უკვე მეოთხე წელია, ლონდონში გახსნილია სკოლა, სადაც ზრდასრულ ადამიანებს – სამსახურიანებს, შვილიანებს, გაყრილებს, თუ შინაბერებს ეხმარებიან პასუხის მოძებნაში კითხვაზე – როგორ ვიცხოვრო?

სკოლის დასაარსებლად წინასწარი კვლევის ჩატარება ალან დე ბოტონმა 2007 წელს დაიწყო – ფოტოგრაფ მარტინ პართან, მწერალ ტომ ჰოკინსონთან და სხვა მეგობარ მწერლებთან, აკადემიკოსებთან, ბიზნესმენებთან და არტისტებთან ერთად. ჩემი რესპონდენტი, კაროლინ ბრიმერი ამ პროცესში თავიდანვე იყო ჩართული. ამიტომ შეხვედრისას სკოლის კონცეფციაზე დიდხანს ვესაუბრე. ყველაზე არსებითად მისი ეს შეფასება მეჩვენა: „ჩვენ ვასწავლით ადამიანებს, როგორ ჰქონდეთ სისხლსავსე ცხოვრება, როგორ დაიხარჯონ ბოლომდე. ჩვენ არ გვავინტერესებს დიდი მონაზროვნებისა და მათი დიდი იდეების ისტორია და ამ ისტორიების გაზეპირება, გვიანდა, ადამიანებს ვასწავლოთ, როგორ მოარგონ საკუთარ ყოველდღიურობას ეს დიდი იდეები“.

– ანუ, აქ სხვადასხვა ფილოსოფიური ნააზრევის უტილიტარული გამოყენება ხდება, არა?

– ასეა. უმაღლეს სასწავლებლებში გასწავლიან ბევრ საინტერესო რამეს, მაგრამ არა, მაგალითად, იმას, როგორ გიყვარდეს უფრო ძლიერ, როგორ იყო უკეთესი მშობელი, როგორ შეცვალო შენი გარემო.

– შეიძლება ვილაკამ იფიქროს, რომ ეს ძალიან პათეტიკური და ბუნდოვანი მიზნებია, როცა საუბარია სკოლაზე.

– შეიძლება, მაგრამ ჩვენი მიზანი მართლაც ესაა. კვირიდან კვირამდე



ალან დე ზოტონი „სხოვრაჲის სკოლაში“ „ქალაქიზაზა“



ქლასი – „წირკა“

შეიძლება, შედეგს ვერც ვამჩნევდე, მაგრამ თავდაჯერება აშკარად მემატება ხოლმე, როცა ვთქვით, ერთი წლის შემდეგ ბრუნდება რომელიმე ჩვენი ყოფილი მოსწავლე და გვეუბნება, – იცით, რამდენი ხანია, მინდოდა შემოვლა და მადლობის თქმა. ძალიან დაბნეული ვიყავი თქვენთან რომ მოვედი, მაგრამ აქედან ნასვლის მერე ყველაფერი შეიცვალა. ზუსტად აქედან გასვლის შემდეგ დაიწყო პროცესი... – ამ დროს ვფიქრობ ხოლმე, რომ ყველას ცხოვრებაში დგება დრო, როცა სულ პატარა დახმარებაც კი, სულ მცირედი, სწორი რჩევაც კი, გადაარჩენს. ჩვენ მარტო ამას ვაკეთებთ: კლასი წარმატებულია, თუ ადამიანი შენობიდან დაფიქრებული გავა. აქ არ გვაქვს მზა რეცეპტები, ადამიანებს უბრალოდ ბიძგს ვაძლევთ“.

კეროლინი მეუბნება, რომ ერთწლიანი კვლევის დროს დიდი სიფრხილით არჩევდნენ შესაფერის შენობას. უნდოდათ, ისეთი რაიონი შეერჩიათ, რომელიც თა-

ვისი ისტორიით სკოლის დანიშნულებასა და ფასეულობებს კიდევ უფრო გამოჰკვეთდა.

The School of Life ლონდონის ცენტრში, ბლუმსბერიზე დასახლდა. რაიონში, რომლის შუაგულშიც British Museum-ია განთავსებული და არანაკლებ მომხიბვლელია იმითაც, რომ იქ, მეოცე საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა და სწავლობდა არტისტების, მწერლების და ფილოსოფოსების მთელი არმია. „ბლუმსბერის ჯგუფი“ – ასე ერქვა მათ გაერთიანებას, რომელშიც ერთ-ერთი გამორჩეული წევრი ვირჯინია ვულფი იყო. იქაურობა ახლაც ინტელექტუალურ სივრცედ ითვლება კოლეჯებით, მუზეუმებით, ბიბლიოთეკებით და წიგნის მაღაზიებით. სწორედ ამ ძველი ლონდონური ფასადების მიღმა, 2008 წლიდან მოყოლებული, ოცი წლის გოგო-ბიჭებსაც და 45 წლის პროფესიონალებსაც, ყოველ შაბათ-კვირას სამ-სამ საათიან გაკვეთილებს უტარებენ იმ სფეროში, რომელსაც თვითონ აირჩევენ.

სკოლაში მის „დაპირუნი“

სკოლაში მეც „დავბრუნდი“. ერთ ჩვეულებრივ, ლონდონურ, წვიმიან დილას, ჩემი ზურგჩანთა მოვიკიდე, ზურგჩანთაში ვაშლი და ბლოკნოტი ჩავიდე, ხელში წიგნი დავიჭირე, ყურებში სასიამოვნო მუსიკა გავიჩქვე (ქოლგა არ მაქვს) და ლონდონელი მოსწავლესავით, სკოლისაკენ გავეშურე.

მეტროს გაჩერება „იუსტონიდან“ რამდენიმე წუთი ფეხით უნდა ვიარო. ტელეფონში რუკას ჩავყურებ და სკოლისკენ გზას მივიკვლევე. რალაც დიდის მოლოდინი მაქვს, იმდენად რომ, როცა რუკა მიჩვენებს, რომ დანიშნულების ადგილს მივალწი, ერთ ხანს გამეშვებული ვდგავარ, აქეთ-იქით ვიყურები და ვცდილობ „ცხოვრების სკოლა (!)“ დავინახო.

„ცხოვრების სკოლა“ ერთი პატარა, ვიტრინებიანი წიგნის მაღაზიასავით ყოფილა. შუშის კარზე წერია – Ideas to live by (იდევბი, რომლითაც უნდა იცხოვრო). თუ ამ წარწერას ყურადღებას მიაქცევ, აქედანვე მიხვდები, რომ „ცოტა სხვა-

გან“ ხარ. თუ არ მიაქცევ და, ჩათვალე, ჩვეულებრივ წიგნის მალაზიაში აღმოჩნდი, უფრო სწორად, სუპერთანამედროვე წიგნის მალაზიაში. ინტერიერიც ასეთია – ეკოლოგიურად სუფთა, მინიმალისტური – ფართო ოთახში აქა-იქ ჩამდგარი დიდი ხეების ტოტებით. შეგიძლია, აარჩიო წიგნები და მერე, იქვე გადაათვალიერო – ბარში, თან ახლად განურული ფორთოხლის წვენი მიაყოლო.

თუ ჯერ კიდევ ჩვეულებრივ, თანამედროვე წიგნის მალაზიაში გგონია თავი, აბა, ამ წარწერას შეხედე წიგნის თაროზე – Self-help books (პირდაპირი თარგმანით „თვითდამხმარე წიგნები“ – მ.ქ.) – უმაღლესი დიდი წიგნები. როცა სათაურებს გადახედავ, შეიძლება მოსწრებული ბრიტანული ხუმრობა გეგონოს: „როგორ ვიპოვოთ კარგი სამსახური“, „როგორ არ გავგიჟდეთ“, „როგორ ვინერვიულოთ ნაკლები ფულზე“, „როგორ გადავრჩეთ ციფრულ სამყაროში“ და ასევე – ალან დე ბოტონის ნაშრომი – „როგორ ვიფიქროთ უფრო მეტი სექსზე“.

არადა, ალან დე ბოტონს ხუმრობა კი უყვარს, მაგრამ „თვითდამხმარე წიგნების“ იდეაზე როცა მსჯელობს, აბსოლუტურად სერიოზულია. „როგორც წესი, ეს „თვითდამხმარე წიგნები“ საშინელი რამეა. ვარდისფერი ყდები აქვთ და უმაღლესი ბედნიერების მოპოვებას, უმაღლესი დიდი ფულის შოვნას გპირდებიან. „ცხოვრების სკოლაში“ ასეთი წიგნები არ გვაქვს, მაგრამ გგონია, რომ ძალიან მაგარია, როცა წიგნს შეუძლია ცხოვრების გზის გაკვლევაში დაგეხმაროს. ასეთ წიგნებზე როცა ვფიქრობ, პლატონი, სენეკა, მონტენი, ნიკოლე მასხენდება. მათი წიგნებიც „თვითდამხმარეა“, უბრალოდ – კარგი“.

რადგან ჯერ ისევ წიგნის მალაზიაში ვტრიალებთ, მოდი, ბიბლიოთეკის განყოფილებაში შევიხედოთ (ეს თქვენც შეგიძლიათ, სკოლის ვებგვერდზე). „ცხოვრების სკოლაში“ გვეუბნებიან: „ერთ დროს საკმაოდ ადვილი იყო, გეპოვა წიგნი, რომელიც სიამოვნებას მოგანიჭებდა. დღეს კი, როცა ყოველ 30 წამში ახალ წიგნს გამოსცემენ, 163 სიცოცხლე მინც დაგჭირდებათ ყველა იმ წიგნის ნასაკითხად, რომელიც Amazon-ზე იყიდება. სწორედ ამიტომ, „ცხოვრების სკოლა“ ბიბლიოთეკის სერვისს გთავაზობთ: შესანიშნავი გზა იმისთვის, რომ აღმოა-

ჩინოთ ლიტერატურა, რომელსაც თქვენი ცხოვრების შეცვლა შეუძლია“.

როგორც წესი, ბიბლიოთეკაპეტი თითოეულ „პაციენტს“ საქმიან კითხვებს უსვამს კითხვის ჩვეულებისა და ცხოვრებისეული პრობლემების შესახებ და მხოლოდ ამის შემდეგ წერს რეცეპტებს. თუმცა, ონლაინ, სკოლის ვებგვერდზე, რამდენიმე ზოგადი რეცეპტიც დევს. მაგალითად, კითხვითი თერაპია ადამიანებისთვის, რომლებიც მიატოვეს. რეცეპტი ასე იწყება:

„გამონერილი კითხვა. დიაგნოზი – გულგატეხილობა. დოზირება – მიიღეთ ნაზად და მოზომილად (Prescribed Reading)“

„არ არსებობს გარტვი და წინასწარ შეფუთული პასუხები, რომლებსაც სალხში გაბატანდ“, – გვიტხრა დასაწყისშივე ჭუგო და ასეც იყო. კითხვაზე – როგორ ვიპოვოთ სასურველი სამსახური, პასუხი – ილოცეთ და მოგეცათ – არ ყოფილა.“

ding. Ailment For broken-hearted; Dosage – Apply gently and with care)“. და შემდეგ მოსდევს იმ წიგნების ჩამონათვალი, რომლებიც გატეხილ გულს ამთვლებს.

„ცხოვრების სკოლაში“ დანერგილი ამ ნოვაციით, გაზეთი „გარდიანიც“ დაინტერესდა. შარშან, შემოდგომაზე, „გარდიანის“ რედაქციამ თავისი ექვსი ყურნალისტი გაგზავნა ბიბლიოთეკაში იმის დასადგენად, ამართლებდა თუ არა ეს ნამოწყება. შემდეგ ექვსივე „გარდიანისთვის“ საკუთარი შთაბეჭდილებები დანერა...

ჯერ კიდევ წიგნის მალაზიაში ბორიასას მეც შევხვდი რამდენიმე ლონდონელს, რომელიც ბიბლიოთეკაპეტის სეანსზე ეწერებოდა. ეს ადამიანები

იხდიდნენ 70 ფუნტ სტერლინგს იმისთვის, რომ წიგნის ძალა სირთულეების გადასალახად გამოეყენებინათ (70 ფუნტი სტერლინგით ლონდონში, საზოგადოებრივი ტრანსპორტით იმგზავრებთ ორ კვირას, 2-ჯერ იყიდი სუპერმარკეტში სურსათ-სანოვაცეს, ანდა დალევ 7 კოქტილს ბარში).

როგორ, როგორ და როგორ...

„როგორ იყო საკუთარ თავში დარწმუნებული“, „როგორ გახდე უკეთესი მეგობარი“, „როგორ შეეგებო სიკვდილს“, „როგორ იპოვო სასურველი სამსახური“ და ა.შ. – „ცხოვრების სკოლაში“ სულ 19 დასახელების კლასი აქვთ.

დიდი აწონ-დაწონის შემდეგ, გავწვყვიტე, დავსწრებოდი კლასს სამსახურის შოვნის შესახებ. ეს კლასი, ალბათ, იმიტომ ავარჩიე, რომ აქტუალური თემა და არც ისეთი „ცაში გატყორცნილი“, როგორც მაგალითად – „როგორ ვიყოთ კრეატიულები“.

ჩემი ვარაუდი, რომ ხელმოცარული, გალოთებული და დეპრესიული ადამიანების ჯგუფი დამხვდებოდა კლასში, არ გამართლდა. არადა, ვფიქრობდი, გაკვეთილზე სასონარკევილი ადამიანები მოვიდოდნენ, რომლებიც უკანასკნელ 20 ფუნტს იხდიდნენ ხელის კანკალით, იმ იმედით, რომ შემდეგ სასურველ სამსახურს იშოვნიდნენ.

ვესტიბულში მშვიდი და სერიოზული სახეებით, დაახლოებით 30 წლის ლონდონელები დამხვდნენ. ზოგი თავისთვის იჯდა, ყავას და ნამცხვარს შეექცეოდა და ელოდა კლასის დანწყებას, ზოგს უკვე გაება დიალოგი. კუთხეში, განმარტოებით, 30-იოდე წლის სიმპატიური ავსტრალიელი ბიჭი იდგა.

- რა გქვია?
- სტეფანი. შენ?
- მე, მარიკა.
- სამსახურს ეძებ? – მრავალმნიშვნელოვნად გავუღიმიე.
- რალაც ჟურნალში წავიკითხე, რომ ასეთი სკოლა გქონია ლონდონში. მერე ვებგვერდი დავათვალიერე და მივხვდი, რომ ზუსტად იმ კითხვებს ნამოწვენ ამ კლასში, რომელთაც ხშირად ვუსვამ ხოლმე საკუთარ თავს კარიერასთან დაკავშირებით. რატომაც არა-მეთქი, ვიფიქრე. აი, ვილაპარაკებთ დღეს ჩვენ-



ჩვენ თავზე და იქნებ, ეს დამეხმაროს პასუხების პოვნაში.

ჩვენი მასწავლებელიც გამოჩნდა, მგონი ჩემხელა, ან სულაც – ჩემზე უმცროსი; მასწავლებელი ჰუგო, რომელმაც კლასში შესვლამდე ჩამოგვიარა ყველას, გაგვეცნო და მოსვლის მიზეზები გვკითხა. მეც მომიახლოვდა. იცის, რომ ჟურნალისტი ვარ.

- მარიკა?
- დიახ! (გულიმი)
- კმაყოფილი ხარ შენი სამსახურით? (მილიმის).

- იეს, - ვპასუხობ, - ძალიან მიყვარს ჩემი საქმე, თუმცა ხანდახან ბევრს ვნერვიულობ, ანუ ზედმეტად ბევრს.

გამიღიმა და მითხრა, რომ დღეს ამაზეც ვილაპარაკებთ.

საკლასო ოთახის თეთრ კედლებზე მსხვილი ფანქრებით ყველაფერი ის ხატია, რაც სახლში სიმყუდროვეს ქმნის: წიგნებით სავსე თაროები, საკიდზე – პალტო, გასაშრობად ტანსაცმელმიფენილი რადიატორი, ფოტოაპარატი, ველოსიპედები...

„არ არსებობს მარტივი და წინასწარ შეფუთული პასუხები, რომლებსაც სალხში გაგატანთ და რომელიც სხვას არავის აქვს“, – გვითხრა დასაწყისშივე ჰუგომ და ასეც იყო. კითხვაზე – როგორ ვიპოვოთ სასურველი სამსახური, პასუხი – ილოცეთ და მოგეცემით – არ ყოფილა.

„ცხოვრების სკოლაში“ პირიქით, კითხვებს აქეთ გვისვამენ, თუმცა სულ სხვა კუთხით, ისე რომ ჩვენ პრობლემებს, დილემებს სულ სხვა პერსპექტივიდან შევხედოთ და კრეატიულ პასუხებამდე თავად მივიდეთ.

პირადი წარსული, ოჯახი და განათლება – ეს ის სამი ასპექტია, რომელთაც ყველაზე დიდი გავლენა შეიძლება ჰქონდეს სამსახურის პოვნისას, – გვეუბნება ჰუგო და აგრძელებს: „ადამიანები ხშირად იმ საქმეს ირჩევენ, რასაც მათი მშობლები აკეთებდნენ. ხომ არ გაიძულეს ან წაგახალისეს, რომ ეს საქმე აგერჩიათ? იფიქრეთ ოჯახის გავლენებზე. რა გზები არსებობს, თქვენი აზრით, რომ ამ გავლენებისგან თავი დააღწიოთ და საერთოდაც, გინდათ კი თავის დაღწევა? რაც

შეეხება განათლებას, რა მოლოდინები გქონდათ და რა მიმართულებით წავიდა თქვენი განათლება? ნამდვილად თქვენ იღებდით გადაწყვეტილებებს? ახლა რომ გქონდეთ არჩევანის შესაძლებლობა, იმავს აირჩევდით?“ – ამ კითხვების დასმის შემდეგ, ცხოვრებაში პირველად დავფიქრდი ჩემს პერსონალურ გავლენებზე. მივხვდი, რომ ბებიარჩემი ცოტა მეტად ძლიერი რომ ყოფილიყო, ახლა ამ სტატიის წერის მაგივრად, ან ინგლისურის მასწავლებელი ვიქნებოდი, ან დიპლომატი. ალბათ, იმიტომაც მსიამოვნებს, რასაც ვაკეთებ, რომ ბებუის გავლენის გარეშე ავირჩიე პროფესიები და ნიშნებიც „ჩანაცობის“ გარეშე მივიღე.

პირველ კითხვებს და პირველ ფიქრებს პირველი დავალება მოსდევს. საკუთარი გადაწყვეტილებების და არჩევანის რუკას ვაკეთებთ – უნდა მოვნიშნოთ ჩვენ-ჩვენ რუკებზე ის ეტაპები, როცა წინაღობები გადავლახეთ, ან პირიქით – დავმარცხდით. შემდეგ, გვერდით მჯდომ სტუდენტებს ვუყვებით საკუთარ რუკაზე მონიშნული ბიოგრაფიული ეპიზო-

დების შესახებ. ჩემ გვერდით მჯდომი ჯო ფურცლებზე ღრუბლებს ხატავს და ისრებით ერთმანეთს უკავშირებს. ზოგი ბურთებს ხატავს და შიგნით რაღაცებს ინიშნავს.

ვლამარაკობთ ფულზე, ფასეულობებზე, მიზნებზე, ნიჭზე. ვაკეთებთ ჩვენ-ჩვენ იერარქიულ კიბეს, რომლის საფეხურებზეც მნიშვნელობის მიხედვით ვუჩინთ ადგილს თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორს – მგონი, ბევრი ჩვენგანი იმ დღეს პირველად უკირკიტებს საკუთარ მიზნებსა და ფასეულობებს და ნომრავს ცხოვრებისეულ პრიორიტეტებს.

მესამე ეტაპი ყველაზე საინტერესოა – უნდა აღვწეროთ ჩვენი „მრავლობითი მეები“, ანუ წარმოსახვას ბოლომდე მივცეთ გასაქანი და წარმოვიდგინოთ საკუთარი თავი სხვადასხვაგვარ ამპლუასა და როლებში – როგორი და როგორი ვიქნებოდით, ერთი კი არა, ერთდროულად რამდენიმე „მე“ რომ გვქონდეს. ფიქრს ორი კითხვა გვიიოლებს:

1. რა ახალ საქმეებს წამოიწყებდით ახლად აღმოჩენილი „მესთვის“?

2. როგორი ადამიანი გნებავთ, რომ იყოს თქვენი ახალი „მე“?

და მერე რჩევა: „გააცნობიერეთ, რა მომხიბვლელია „მრავლობითი მე“ იდეა. დააღწიეთ თავი თქვენს სოციალურ ზონებს; გადაუხვიეთ მთავარი გზიდან; კმარა ფიქრი – იმოქმედეთ!“

ვიმოქმედე და შევექმენი ხუთი ახალი „მე“ ყველაფრის გათვალისწინებით: ვინ ვიქნებოდი, სად ვიცხოვრებდი; სად ვიმუშავებდი; როგორ საზოგადოებაში მესიამოვნებოდა დროის გატარება.

და აი, მე ჩემი ახალი ხუთი პიროვნებით:

- მარიკა – მხატვარი;
- მარიკა – მწერალი;
- მარიკა – ბალერინა;
- მარიკა – სოციალური მუშაკი;
- მარიკა – პროგრამისტი.

გაკვეთილიდან ერთი თვის შემდეგ, გოგონამ, რომელიც ჩემთან ერთად ესწრებოდა ჰუგოს კლასს, 25 წლის სემმა, იმიელი მომწერა:

„პრაქტიკული სავარჯიშოები ძალიან დამეხმარა. პირველად გამოვეკეთე ის ფაქტორები, რომელთაც ჩემზე, თურმე, არნახული გავლენა მოუხდენია. თუნდაც

ის რად ღირდა, მენახა, რამდენი გზა შემეძლო, ამერჩია ცხოვრებაში; „პარალელური ინტერესების“, „პარალელური პროექტების“ იდეა ნამდვილად ღირს საცდელად. პრინციპში, მე უკვე ვცადე – ახლა ვცეკვავ (ადრე მსგავს შეთავაზებას არავითარ შემთხვევაში არ მივიღებდი), ვწერ სტატიას ერთი ახალბედა მედიაკომპანიისთვის, რომელიც ჩემმა მეგობარმა გახსნა. მოკლედ, ერთი წინადადებით შემიძლია, გითხრა, რა დასკვნამდეც მივდი: „სჯობია, იმოქმედო და მერე განსაჯო საკუთარი ნამოქმედარი, ვიდრე, მუდმივ განსჯაში იყო და გულხელდაკრეფილი იჯდე“.

სემს კონკრეტული მოლოდინი არ

**„ქლასები,
ქალაქები,
სადილები“, –
აგაზე დგას
„სხოვრების სკოლა“.
საგანმანათლებლო
პროცესი იბღანად
თანამედროვედ
მიდის, რომ რთულია,
მათში რელიგიური
სახყისაზი აშოიხრო.
არადა, ეს ყველაფერი
ალან დე ბოტონის
„უსინდისო
ქურდობის“
შედეგია.**

ჰქონდა, როცა „ცხოვრების სკოლაში“ მივიდა. არც განათლების მიღებას მოელოდა და არც იმას, რომ უეცრად იდეალურ სამსახურს იპოვინდა. უბრალოდ, გახსნილი გონებით და ერთი სრულიად რეალისტური სურვილით მოვიდა – საკითხზე, რომელზეც დიდი ხანია, ფიქრობს, სახლში დაბრუნების მერე განსხვავებული აზრი უნდა ჰქონოდა. ასეც მოხდა. როგორც ვხვდები, სემი ახლა „მრავლობითი მე“-ს პრინციპით ცხოვრობს...

„ცხოვრების სკოლაში“ მასწავლებლებს და სპიკერებს გადაამწყვეტი როლი აქვთ,

ამიტომ მათ დაკვირვებით და სიფრთხილით არჩევენ. იმისთვის, რომ ამ სკოლის პედაგოგი გახდეს, აუცილებელი მოთხოვნაა, დარგის ექსპერტი იყო. უფრო მნიშვნელოვანია – ხანგრძლივი და მრავალფეროვანი ცხოვრებისეული გამოცდილება და უნარი, გესმოდეს სხვა ადამიანების საჭიროებები. მაგალითად, მწერალი, მასწავლებელი და ჟურნალისტი, „სანდვი თაიმსის“ მიერ 100 საუკეთესო ბლოგერს შორის დასახელებული დოქტორი, მარკ ვერნონი „ცხოვრების სკოლაში“ „სიყვარულის კლასს“ ასწავლის სტუდენტებს. ის თეოლოგიის სპეციალისტია, მრავალმხრივი ინტერესებით გამოირჩევა და თავის პუბლიკაციებში მუდამ უტრიალებს კითხვას – როგორ უნდა ვიცხოვროთ.

აგვისტოში, მაგნუმელი ფოტოგრაფი, მარტინ პარი სტუდენტებს ძველ ზღვისპირა ქალაქ ფოლქსტონს „აღმოაჩინებებს“ და სამდღიან ფოტოტრენინგებს „ცხოვრების სკოლის“ სტუდენტებს თავის საყვარელ სასტუმროში ჩაუტარებს.

მე, კრეატიულობის მასწავლებელს შევხვდი, მაიკლ ატავარს. საყურანმა, ტილოსჩანთიანმა, შუახნის, მომხიბვლელმა მაიკლმა შეხვედრა მუზეუმში, თეთ ბრიტანში დამინიშნა. შეხვედრამდე, მისი წიგნი „კრეატიულობის 12 წესი“ ნავიკითხე, ამიტომ უფრო კრეატიულად მივუდექი მაიკლს. მუზეუმის ბაღში დიდხანს ვისაუბრეთ შემოქმედებითობაზე, მიაბზო თავის გამოცდილებაზე, მკითხა ჩემზეც. „ცხოვრების სკოლაში“ მაიკლი ერთი წლის წინ „გამოიძახეს“, როცა მისი წიგნი „როგორ ვიყო არტისტი“ ნავიკითხეს. მას შემდეგ, მაიკლი იქ კრეატიულობის ორ კლასს, ერთს 3 საათიანს და მეორეს კი – ერთდღიანს უძღვება. ის ადამიანებს ასწავლის, როგორ აღმოაჩინონ საკუთარ თავში შემოქმედებითი ნიჭი, მაშინ, როცა ტვინი გადალილია, თვითშეფასება – ნული.

„კრეატიულობა ისაა, რაც მოცემულ დროს, მოცემულ სივრცეში შეიძლება დაგემართოს. კრეატიულობა არ მოვა გამიზნულ დროს, როცა ვთქვამთ, სახლში ნახვალ და კომპიუტერს მიუჯდები. ეს ისაა, რაც აქ, ამ წუთას, კლასში დაგემართება. კრეატიულობა ტალღასავითაა და ჩემს წიგნშიც ლაპარაკია კრეატიულობაზე, როგორც პროცესზე და არა როგორც პროდუქტზე“, – მითხრა მაი-



კრიატიულობის ავტორი
მაიკლ ატავარი

კლმა და ისიც დაამატა, რომ ზოგჯერ სტუდენტებს ორ საათშიც კი ამჩნევს ცვლილებას მიდგომებსა და შეხედულებებში.

ცხოვრებისეული გამოწვევების მიმართ კრეატიული მიდგომა ამ სკოლის ფუნდამენტია. მეტიც, თანამედროვე მოაზროვნეები კრეატიულობას მიიჩნევენ ჩიხშიშესული განათლების სისტემის მთავარ „მკურნალად“. ამიტომ მაიკლ ატავარის მოსაზრება, რომ ადამიანი უნდა იყოს არტისტი – რომ ადამიანი არტისტულად (თავისუფალისა და კრეატიულის მნიშვნელობით) უნდა მიუდგეს რისკებსა და წინაღობებს „ცხოვრების სკოლის“ კონცეფციაში ერთი ერთზე ჯდება.

„მარტო ამ სკოლაში კი არა, ყველგან, თუნდაც ბიზნეს სექტორში, რომ ასწავლიდნენ ადამიანებს იმას, თუ როგორ გახდნენ არტისტები; ყველას რომ შეეძლოს, გამოვიდეს დადგენილი ჩარჩოებიდან და დღეში ხუთი წუთით მაინც იქცეს არტისტად, დამიჯერე, ეს უამრავ ბიზნე-

სორგანიზაციას ძირფესვიანად შეცვლიდა“, – მიმეორებს მაიკლი და დასძენს, რომ ზუსტად მსგავსი მიდგომის დანერგვას ისურვებდა ზოგადად – განათლების სისტემაში.

„კლასები, ქადაგებები, სადილები“, – ამ სამ ინსტრუმენტზე დგას „ცხოვრების სკოლა“. თითოეული მიმართულებით საგანმანათლებლო პროცესი იმდენად თანამედროვედ და კრეატიულად მიდის, რომ რთულია, მათში რელიგიური საწყისები ამოიცირო. არადა, ეს ყველაფერი ალან დე ბოტონის „უსინდისო ქურდობის“ შედეგია – მოციქულთა ქადაგებების გაზიარებაზე, გულის გადახსნაზე დაფუძნებული სუფრების იდეა ხომ მან სხვადასხვა რელიგიებს მოჰპარა და იმ „ხერხების“ ამოსავსებად გამოიყენა, რომლებიც ათეისტურ თუ სეკულარულ ცხოვრებას მრავლად აქვს.

მეოცე საუკუნის ბოლოსკენ ცხოვრებას ფსიქოლოგები გასწავლიდნენ – პასუხისმგებლობას შენს ნაცვლად თითქოს ისინი იღებდნენ, ჩვენ მათზე მი-

ჯაჭვულები ვხვდებოდით და, მუდმივად დაბნეულებს, კლასიკური განათლების სისტემით დალდასმულებს, ვერც კი წარმოგვედგინა, როგორ შეგვეცვალა საკუთარი ცხოვრება მათ გარეშე. „ცხოვრების სკოლაში“ კი მიგხვდი იმას, რომ საკუთარი თავის ფსიქოლოგობას ასწავლიან ადამიანებს. პასუხისმგებლობის ტვირთად კი არა, უპირატესობად აღქმას აჩვენებენ.

„ზუსტად ასეა,“ – მეთანხმება მაიკლი – „ბევრ სხვადასხვა კლასს რომ დაესწრო „ცხოვრების სკოლაში“, რესურსების საკუთარ, შინაგან „ბიბლიოთეკას“ „აიშენებ“, რომელიც მხოლოდ შენზეა მორგებული და რომელსაც ყოველთვის გამოიყენებ, როცა გაგიჭირდება. თუმცა, აქ კოლექტიური გაზიარების იდეაც მომწონს. გაიზარებ იმას, რომ „ცხოვრების გზაზე გადებული მარტოსული მოგზაური“ არ ხარ, რომ შენსავით ბევრს ჭირდება ნუგეში და დახმარება ამ სამყაროში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეგრძნებაა ჩვენ დროში“.



რეპტორი

ავტორი მამო სამადაშვილი
ფოტო: ლევან ხერხეულიძე, სერგი ბარისაშვილი, გიგი თევზაძის კირადი არქივი



„სალამი, ბატონო გიგი! დიდ ხანს ვფიქრობდი, მომენერა თუ არა, ბოლოს მაინც გადავწყვიტე. ესწავლობ ილიას უნივერსიტეტში, სამართლის ფაკულტეტზე. ჩემი ერთ-ერთი ლექტორი მუდმივად აგდებით ლაპარაკობს მართლმადიდებლობაზე, არადა, მე მორწმუნე ქრისტიანი ვარ და ამას პირად შეურაცხყოფად ვიღებ. თუკი, გეტყვით მის ვინაობას, შეძლებთ ამ პრობლემის გადაჭრას? თუ შემიძლია, მე თვითონ ვუთხრა რამე? დიდი მადლობა წინასწარ, თუკი ამ წერილს წაიკითხავთ“.

„თქვენ გაქვთ ერთი ახალი წერილი“, – რექტორი გიგი თევზაძე თავის უზარმაზარ და მუდმივად არეულ კაბინეტში ზის, როცა კომპიუტერის ეკრანზე პატარა ფანჯარა ინთება.

პასუხს 15 წუთის შემდეგ გზავნის: „რა თქმა უნდა, შეგიძლიათ, უთხრათ. მერე მომწერეთ, რა შედეგი იქნება“, – წერს რექტორი სტუდენტ ეთუნა ვაშაკიძეს.

ეთუნა ვაშაკიძე მე ვარ. ელექტრონული ფოსტის ახალი ანგარიში, გამოგონილი სახელითა და გვარით, მას შემდეგ შევქმენი, რაც ერთ-ერთი შეხვედრის დროს გიგი თევზაძემ მითხრა, რომ სტუდენტების იმეილებს უპასუხოდ არასდროს ტოვებს. რექტორის იმეილის მისამართი ილიაუნის ვებგვერდზე ვიპოვე.

პროფესორ გიგი თევზაძის სამუშაო ოთახი, ყოფილი უცხო ენების ინსტიტუტის შენობაში, მეორე სართულზეა. კაბინეტი დიდ ბიბლიოთეკასაც ჰგავს, ფრიადოსანი მოსწავლის ოთახსაც და თავგადასავლების მოყვარული მოგზაურის კუთხესაც. შესვლისთანავე თვალში მოგხვდება მარცხენა კუთხეში მდგარი, გრძელი მაგიდა, რომელზეც ათობით დამტვერილი წიგნი და უცხოური უნივერსიტეტების საინფორმაციო ბუკლეტები დევს. წიგნებს თვალს ვავლებ: „ალაურ მცენარეთა ეკოლოგია“, „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“, ტატიანა ტოლსტაია – „მოთხრობების კრებული“, გიგა ზედანია – „სეკულარიზაცია/კონცეპტები და კონტექსტი“. თვითონ შვიდი წიგნის ავტორია – „წერა ხომ ნევროზებისგან გათავისუფლების საუკეთესო საშუალებაა“. გამოცემებს – „განჯადობა“, „აქ და ყველგან“ და „ძალაუფლების სიმულაცია“ – 2010 წელს მისი ბოლო წიგნი „უცნობი წიგნების“ ორტომეული მოჰყვა. მასში, გიგის მიერ გამოგონილ წიგნებზე

მისივე რეცენზიებია გაერთიანებული. ერთი ტომი ქართველი მკითხველისთვისაა, მეორე – უცხოელი. ორივე ტომში რეცენზიებიც და წიგნებიც ერთმანეთს ჰგავს, მაგრამ, ამავე დროს, განსხვავდება ერთმანეთისაგან – ისევე როგორც, გიგის აზრით, ერთმანეთისაგან განსხვავდება ქართველი და უცხოელი მკითხველი. ამბობს, რომ ეს „უცნობი წიგნები“ სწორედ ბური ლიტერატურაა, რადგან განათლებულობისა და კარგი იუმორის პრეტენზია აქვს. „ამ წიგნებით ვამბობ, რომ ორივე მაქვს, – ამბობს ღიმილით, – საერთოდ, რთული ენით ვწერ, რაც ჩემს წიგნებს ელიტისტურს ხდის. ზუსტად ვიცი, როცა ჩემი წიგნი გამოდის, სულ ათი კაცი კითხულობს ხოლმე, შემდეგ კი აუდიტორია იზრდება. რადგან წლების მერე უფრო საინტერესო ეჩვენებათ ჩემი ტექსტები, ესე იგი, ღირებულ საკითხავს ვწერ“.

თვითონ სწრაფი მკითხველია. „ქინდლში“ ასობით წიგნი აქვს ჩატვირთული. მის ბიბლიოთეკაში მუდამ სჭარბობს ფენტეზი – ამ ჟანრის ლიტერატურას განათლებული და კარგი იუმორის მქონე ადამიანები წერენო, მისხნის. რექტორის ლიტერატურული გემოვნება უნივერსიტეტის გამომცემლობასაც ემჩნევა, რომელიც ფენტეზის ჟანრის ლიტერატურას ხშირად ბეჭდავს. ორიოდე წლის წინ, სწორედ ამ გამომცემლობამ დასტამბა ფენტეზის ამერიკელი კლასიკოსის, როჯერ ზელაზნის „ამბერის ქრონიკების“ სერიის ხუთ-ტომეული.

საკუთარი, საუნივერსიტეტო გამომცემლობის დაარსება გიგი თევზაძის ერთ-ერთი პრიორიტეტული პროექტია, ისევე როგორც, ლიტერატურული პრემიის დაწესება საუკეთესო რომანისთვის. მეორე წელია, ილიას უნივერსიტეტი გამარჯვებულ მწერალს ათი ათას ლარს გადასცემს. ამ მსხვილი საპრიზო ფონდის მქონე კონკურსის მიზანი ლიტერატურის განვითარებაა. გიგი იზიარებს კრიტიკას, რომ ეს პრემია არ გახდა ბიძგი ხარისხიანი ლიტერატურის შესაქმნელად, თუმცა, მეუბნება, რომ ორივე წელს გამორჩეულად კარგი რომანი დააჯილდოვეს – აკა მორჩილაძის „მამლუქი“ და ზაზა ბურჭულაძის „გასაბერი ანგელოზი“.

დიდი საწერი მაგიდის გვერდით, წიგნებითა და ჟურნალებით მოფენილი სათათბირო მაგიდა და კარადის თაროები.

გიგის მაგიდაზე კი რა და რამდენი დევს, ძნელი გასარკვევია, რადგან საკანცელარო ნივთები, წიგნები და პატარა ქანდაკებები ერთმანეთშია არეული.

მაგიდის უკანა მხარეს მთელი კედელი გიგის დიდ გატაცებას – იარაღებს და ნიღბებს უკავია – აფრიკული სათევზაო შუბის, ყირაფის ფეხის სახელურიანი ბრინჯაოს დანის და კოლუმბიური მაჩეტეს გვერდით, 1887 წლის „ბერდენკა“, გურული ყაჩაღების საყვარელი შაშხანა ჰკიდია. როგორც იცის ხოლმე, მხოლოდ ნახევარი სახით ილიმება და მეუბნება – „ხედავ? ყველაზე მშვიდობიანი ადამიანი ვარ – ყველა იარაღი კედელზე მაქვს ჩამოკიდებული“. გიგი თევზაძე ყველაზე სასაცილო ხუმრობის, ანდა, ზოგადად, ყველაზე მნიშვნელოვანი სათქმელის დროსაც კი არ ცვლის ტონს. ჩვეული, მონოტონური, ერთხაზოვანი ინტონაციით გელაპარაკება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შენგან სათანადო რეაქციას არ ელის. ყოველთვის ცდილობს, გათვალისწინოს მისი რომელი ნათქვამი, როდის და რა ეფექტს მოახდენს მოსაუბრეზე. ეს კონტროლი მას თავისებურ სიამოვნებას ანიჭებს. თუმცა მისი ყველაზე დიდი გატაცება მოგზაურობაა.

შარშან, ზაფხულში გიგი თევზაძემ უნივერსიტეტის კუთვნილი „ტოიოტას“ ვერცხლისფერი ჯიპი თბილისში დატოვა და, მეგობრებთან ერთად, ჯავახეთის ზეგანის გავლით, აჭარაში ცხენით წავიდა. გზად სოფელ აზავრეთში გაიარეს. მანამდე, რაც იქაურობის შესახებ იცოდნენ, იყო ის, რომ აზავრეთში უნიკალური არქიტექტურის ეკლესია იდგა. იქ ყოფნისას კი ისიც შეამჩნიეს, რომ აზავრეთის სოფლისთვის უჩვეულო დაგეგმარება ჰქონდა. გაუჩნდათ ეჭვი, რომ იქ წინათ ქალაქი უნდა ყოფილიყო გაშენებული. გიგი თევზაძის და მისი მეგობრების ექსპედიციის შემდეგ, სოფელი არქეოლოგებმა გამოიკვლიეს და დადასტურდა, რომ აზავრეთი ჩვ.წ.ალ.-მდე მეორე ათასწლეულში, სტრატეგიულ ადგილზე გაშენებული ციხე-ქალაქი ყოფილა.

„მოგზაურობა შემეცნებასავითაა. ღრმა მოხუცებულიც კი ვივლი და გამოვიკვლევ. გემზე ხომ მაინც შევძლებ ასვლას? თუ ვერ ვიარე, არც დავენერ“.

ზაფხულში გიგი თევზაძე ექსპედიციას სვანეთში გეგმავს. თავისი თეორია აქვს

სვანურ კოშკებზე, რომლის დამტკიცებაც უნდა: „მგონია, რომ კოშკები დაგემილად, ორი საუკუნის მონაკვეთში, ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული მტრისგან თავდასაცავადაა აშენებული. ქართული ჩინური კედელია“.

ილიას უნივერსიტეტის გაზრდილი ბიუჯეტის დიდი ნაწილი კვლევებზე იხარჯება. ამ წუთას 46 კვლევითი პროექტი მიმდინარეობს. ჭიათურაში, პალეო-არქეოლოგები პროფესორ ნიკა თუშაბრამიშვილის ხელმძღვანელობით, პირველყოფილი ადამიანის სადგომებს – მღვიმეებს იკვლევენ. საინჟინრო ფაკულტეტის და ეკოლოგიის ინსტიტუტის პროფესორები და სტუდენტები კი შავი ზღვის გამოსაკვლევად ემზადებიან. საკვლევი გემი, რომელიც უნივერსიტეტს ეკუთვნის, თითქმის მზადაა.

...

რექტორი სამუშაო დღეს 9 საათზე იწყებს. 12 საათისთვის მობილურ ტელეფონში ჩანიშნული შეხვედრებიდან რამდენიმე უკვე მოლუული აქვს. ჩემამდე, მისი ოთახიდან სტუდენტები გადიან, რომლებმაც რექტორს უამბეს, რომ ერთ-ერთი საგნის პედაგოგი ლექციის დროს სექსუალურ უმცირესობებს შეურაცხყოფელად მოიხსენიებს; რომ ის ჰომოფობია და სტუდენტები ამას ვერ იტანენ. როცა გიგი თევზაძე ამის შესახებ მიყვება, ვატყობ, სიამოვნებს, სტუდენტები ჰომოფობიამ რომ ააღელვავა; მაგრამ თან მეუბნება, ეს მარტო ორს კი არ უნდა შეემჩნია, 15-ივეს უნდა გაეპროტესტებინა, მაშინ იმასაც შეძლებდნენ, ლექტორი უნივერსიტეტიდან დაეთხოვათო, ან სულ მცირე – გამოეცვალათ მაინც.

გიგი თევზაძეს რომ ჰკითხოთ, გეტყვით, რომ მისი უნივერსიტეტი კვლევაზე, კრიტიკულ აზროვნებაზე და გამოხატვის თავისუფლებაზე დგას. ამის შესახებ მომავალ სტუდენტებს უნივერსიტეტში მისვლისთანავე ეუბნებიან. თუმცა, იდეოლოგიზირებული სკოლიდან მისულებს ხშირად ამ ტერმინების მნიშვნელობაც კი არ ესმით, მით უმეტეს, ვერ ხვდებიან, როგორ უნდა დაიცვან თავისი ინტერესები ყოველდღიურ სასწავლო პროცესში. ამიტომ, ილიას უნივერსიტეტის დაარსებიდან მეექვსე წელსაც კი, სტუდენტებზე უკეთ ხშირად ისევ რექტორმა იცის, რას

იზამდა მათ ადგილას რომ ყოფილიყო და სასწავლო პროცესში რამე არ მოსწონებოდა.

„რა და, ჯერ უნდა იკითხო, გაერკვე საკითხში. თუ პასუხი არ დაგაკმაყოფილებს, საჩივარი დანერო, თუ ესეც არ გაჭრის, აქცია მოაწყო. განათლება სერვისია, რომელშიც სტუდენტები ფულს იხდიან და უფლება აქვთ, მოითხოვონ“, – ამბობს გიგი სტუდენტების პასიურობაზე. იმისთვის, რომ უნივერსიტეტმა თავისუფალი სააზროვნო სივრცე შექმნას, კრიტიკული დისკურსი და ტაბუდადებული თემების ახლებურად დანახვის აუცილებლობა უნდა ნაახალისოს, რათა რამდენიმე წლის შემდეგ, მარტო ერთ-

„სოკრატეს მერე, ასეთი კომპლიმენტი არავის ღირსება“, – მიუზნება გიგი. როცა ვეკითხები, თეოდორა გიგნაძის მოწვევაზე დათანხმება იყო თუ არა გაუნათლებელი და ქსენოფობი მართლმადიდებელი მღვდლების დასინჯვის მსდელოცა, მპასუხობს: „რა თქმა უნდა!“

მა სტუდენტმა კი არა, უმრავლესობამ დასვას კითხვები, რომლებიც სხვა დროს აზრადაც არ მოუვიდოდა. მაგალითად: არის თუ არა ისტორიის პერსონაჟი, შუშანიკი, უპირობოდ ვარსკენის მსხვერპლი, ისე, როგორც ამას სკოლაში გვასწავლიან? ანდა: როგორ უნდა მოვიქცე, თუკი არ მომწონს ლექტორი, და რა შემძლია, გავაკეთო საკუთარი უფლებების დასაცავად? დღეს კი, გიგის გაანგარიშებით, ასე მხოლოდ სტუდენტების 20 პროცენტი აზროვნებს.

...

დაახლოებით ერთი წლის წინ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითმმარ-

თელობამ რექტორს მიმართა თხოვნით, უნივერსიტეტში ლექციების ჩასატარებლად, სასულიერო პირები მიენვიათ. ლექციების ჩატარების უფლება მიიღეს, ოღონდ არასასწავლო დღეს, საღამოს საათებში. თვითმმართველობამ, ერთწლიანი ძებნის შემდეგ, მოწვეულ ლექტორად მღვდელი თეოდორე გიგნაძე შეარჩია. ამ არჩევანს მწვავე კრიტიკა მოჰყვა. თეოდორე გიგნაძე საზოგადოების ლიბერალური ფრთისთვის ჰომოფობისა და ქსენოფობის განსახიერებაა, თვითონ უნივერსიტეტის პროფესორების ნაწილსაც კი მიაჩნდა, რომ გიგი თევზაძეს მამა თეოდორესთან შეხვედრის მოწყობა არ უნდა დაემუშა.

თვითმმართველობის ხელმძღვანელებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ შეხვედრამ არ ჩამოიღო. 2500 სტუდენტის ხელმწიერა შეაგროვეს და რექტორატში წარადგინეს. „2500 ადამიანი ჩვენი სტუდენტების 25 პროცენტია“ – ითვლის გიგი და მეუბნება, რომ ეს საკმარისი არგუმენტია შეხვედრის გასამართლად; უნივერსიტეტში მთავარი გამოხატვის თავისუფლებაა და არა სხვადასხვა გამონათქვამების ცენზურა.

როდესაც მამა თეოდორე უნივერსიტეტში მივიდა და იქ მომხრეებით და მონინააღმდეგეებით გადაჭედული აუდიტორია დახვდა, გარეთ კი ახალგაზრდები – პერფორმანსითა და ფლუმპობით, გიგი თევზაძე მივლინებაში იყო. თუმცა, სტოკჰოლმისკენ გზაზე, სტამბულის აეროპორტშივე, უკვე იცოდა შეხვედრის დეტალები. ის თბილისში არც მაშინ იყო, როცა ორი წლის წინ, ილიაუნში კიდევ უფრო ხმაურიანი რამ მოხდა – ერეკლე დეისაძის წიგნის პრეზენტაციიდან რამდენიმე დღეში, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრებმა უნივერსიტეტთან აქცია მოაწყვეს და „სატანისტი“, „მასონი“ რექტორის გადადგომა მოითხოვეს, რომელიც „ბავშვებს რყვინის“.

„სოკრატეს მერე, ასეთი კომპლიმენტი არავის ღირსება“, – მეუბნება გიგი და ისევ ისე, ნახევარი სახით ილიმება. როცა ვეკითხები, თეოდორე გიგნაძის მოწვევაზე დათანხმება იყო თუ არა გაუნათლებელი და ქსენოფობი მართლმადიდებელი მღვდლების დაცინვის მცდელობა, მპასუხობს: „რა თქმა უნდა!“

გიგი თევზაძე მსგავს სიტუაციებს, თითქოს, განზრახ იწვევს. როგორი გა-

მჭვრევალე და არითმეტიკულად დასაბუთებულად არ უნდა იყოს რექტორის გადამწყვეტილება, მის უკან მუდამ სიტუაციებით მანიპულირების გათვლა იმალება. გიგნადის მოწვევაც სტუდენტებში დაფარული ვნებების გამიშვლების პროვოცირება იყო.

რექტორი ფიქრობს, რომ ამ სტუდენტურ ორგანიზაციაში გაერთიანებული ზოგიერთი ახალგაზრდა თვითმმართველობას პოლიტიკური კარიერისთვის ტრამპლინად იყენებს. სტრატეგია ც პოლიტიკოსების მსგავსი აქვთ: მღვდელი თეოდორე გიგნადის მოწვევით, უმრავლესობის ფასეულობებზე თამაშობენ და მათი მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობენ.

„ჩვენი პრობლემა ისაა, სტუდენტებს გიგნადის მიღმა აზროვნება რომ ვერ ვასწავლეთ, თორემ უნივერსიტეტში ყველა ადამიანის შემოშვება შეიძლება, ვინც საზოგადოებას ძალადობისკენ ღიად არ მოუწოდებს, – ასკვნის გიგი ბოლოს, – ეს შეხვედრა კი საინტერესო გამოდგა – ერთი მხარეც მოვიდა და მეორეც. დარბაზი ისე არ გაივსებოდა, ასეთი „ლიბერალური“ აურზაური რომ არ ამტყდარიყო“.

ათი წლის წინ გიგი თევზაძე აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნებით, აიკიდოთი დაინტერესდა. შეისწავლა მისი ფილოსოფია, ბრძოლის ელემენტები და ახლა პირველ პროფესიულ საფეხურზეა – „პირველ დანას“ ფლობს. აიკიდოს მთავარი არსი ისაა, რომ ბრძოლისას მონინაალმდეგის შემოტევა მინიმალური ძალისხმევით გააკონტროლო. მებრძოლი თავდამსხმელის მოძრაობის რიტმსა და განზრახვას წამებში სწავლობს და მოხერხებულ პოზას და მომენტს იჭერს იმისთვის, რომ მტრის აგრესია მისსავე სანიინაალმდეგოდ გამოიყენოს.

აიკიდოს არსი რაღაცით გიგი თევზაძის ცხოვრებისეულ პრინციპებს წააგავს.

ზამო ვაკეში

გიგი თევზაძე მეორე წელია, ქალაქის ცენტრიდან მოშორებით, ზემო ვაკეში, ჯაფარიძის ვინრო ქუჩაზე, ორსართულიან სახლში ცხოვრობს. გიგიმ ძველი სახლი დაანგრია და ახალი დააპროექტა: „ეს შენობა ერთი დიდი ლაბირინთია, გარე და შიდა კიბეები ისეა დაპროექტებული, რომ სახლის შემოვლა გარედანაც შესა-

ძლებელი იყოს და შიგნიდანაც. ყველა ოთახი საერთო სივრცეში გადის, მეორე სართულზე ფანჯრები კი, კარებიცაა“.

თევზაძეების სახლი დიდია, ნათელი, წიგნებით და მცენარეებით სავსე, შესასვლელში ხის საკიდი დგას, რომელზეც ცხენოსნობისთვის საჭირო ატრიბუტები ჰკიდია: სხვადასხვა ფერის და მოყვანილობის აღვირები, კოვზის ქუდები, მოსასხამები.

გიგის შეკვეთით, მისი მეგობარი, რატი ერადე ახლა ერთ განსაკუთრებულ უნაგირსაც ამზადებს. ძველი დეპოს ტერი-

მებრძოლი თავდამსხმელის მოძრაობის რიტმსა და განზრახვას წამებში სწავლობს და მოხერხებულ პოზას და მომენტს იჭერს იმისთვის, რომ მტრის აბრესია მისსავე სანიინაალმდეგოდ გამოიყენოს. აიკიდოს არსი რაღაცით გიგი თევზაძის ცხოვრებისეულ პრინციპებს წააგავს.

ტორიაზე, მიტოვებულ საწყობში მუშობს. უნაგირი ძველი ქართული უნაგირის განახლებული ვარიანტი იქნება, ახალბედა ცხენოსნისთვის ძალიან მოსახერხებელი და ცხოველსაც რომ არ დააზიანებს, ისეთი.

„აი, ნახე მაკეტი, მეტალოპლასტიკის ქაფით დაფარული ფანერია, ახლა სამუხლები უნდა მივამაგრო და ტყავი გადავაკრა, აი, ასეთი იქნება, – მისხნის რატი, როცა რამდენიმე დღის შემდეგ საწყობში მივდივართ და პლასტიკის პატარა უნაგირს მაჩვენებს, – ნესით, მოხერხებული უნდა იყოს. გიგი, წამოდი, აბა, ცხენზე გამოვცადოთ“.

გაოცებული ვიყურებ და ვფიქრობ, სად შეიძლება იყოს აქ ცხენი?! ვტრიალებდი და გიგის ვხედავ, ორფეხა სახერხზე გადებულ ხის მორზე დაუმაგრებია უნაგირი, ზედ ზის, ფეხებს ბავშვით იქნევს და კმაყოფილი უხსნის რატის, რა უნდა შეცვალოს დიზაინში.

მიყვება, რომ ზუსტად ასე, ყოველდღიურად ამომნებდა მუშებს, რომლებიც გიგის დიზაინით კარადას ამზადებდნენ. ეს კარადა თევზაძეების სახლის შესასვლელშივე, საკიდის გვერდით დგას. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ავეჯია, მაგრამ მისი ორად გაყოფის შემდეგ ყრუ კედელი იქმნება, რომელიც სამკითხველო კუთხეს დანარჩენი ოთახებისგან გამოჰყოფს.

მეორე სართულზე გიგის შვილების – ანდროს, ნიკას და აკლის ოთახებია. ერთ-ერთი საძინებლის გრძელი ფანჯრიდან (რომელსაც კარის ფუნქციაც აქვს) პატარა, საზაფხულო ვერანდაზე გადახარ, აქაც მცენარეებია და ჰამაკი. სულ ბოლო სართული კი უზარმაზარი გაშლილი ვერანდაა, საიდანაც მთელი თბილისი მოჩანს: „მთელი თბილისი კი ჩანს, მაგრამ ეს ერთადერთი ადგილია ქალაქში, საიდანაც ადამიანი სამების საკათედრო ტაძარს ვერ ხედავს. დაპროექტებისას ამაზე არ მიფიქრია, შემთხვევით მოხდა“, – მისხნის ჩვეული ორაზროვანი ღიმილით.

სამაგიეროდ, აქედან კავკასიონის ქედი ჩანს, რადგან მალაღუბა, ძალიან გრილა და მეგობრების შესაკრებადაც საუკეთესო ადგილია. „თუ ჩემი კარგად გაცნობა გინდა, 22-ში უნდა მოხვიდე აქ“, – მეუბნება გიგი.

22 იენისს, გიგის დაბადების დღეს, სახლში დიდი მზიარულებაა, ყველგან საჭმელ-სასმელი დევს, ვერანდაზე კი გიგის სხვადასხვა დროის მეგობრები, როგორც თვითონ ამბობს – ბავშვობის მეგობრები, მეგობრები, მეცხენოსნები და მეძალეები – იყრიან თავს და გვიან ღამემდე მზიარულობენ.

პირველ სართულზე, დიდი ხის მაგიდის შუაგულში, მსხვილ ნაჭრებად დაჭრილი ყველი აწყვია. როკფორი, პარმეზანი და ფეტა, გიგის მეუღლის, ნინოს გამომცხვარი ნამცხვარი მიმზიდველად გამოიყურება. შიგადაშიგ გიგი შუათანა შვილს, ნიკას ეხმინება, რომელიც იქვე ლეპტოპთან ზის და სკოლისთვის ჩინეთზე პრეზენტაციას ამზადებს.



გიგი თევზაძე და მისი პირველი მგლევი „ლოხო“, „ხაშუ“ და „პიროსა“, ლელუბი 1990

– მამა, ჩინეთში რომელი ხეები ხარობს? – ეკითხება ნიკა,

– ბევრი, – პასუხობს გიგი და ჩამოთვლას იწყებს, ნიკა კმაყოფილი სახით ინიშნავს და წერას აგრძელებს.

გიგის და ნინოს სამი შვილი ჰყავთ: 15 წლის ჰოკეისტი და მოკრივე ანდრო, ექსპედიციების მოყვარული 9 წლის ნიკა და ნაბოლარა, ყველაზე მხიარული 7 წლის აკლი, რომელიც წელს სკოლაში მიდის. სახლში გიგი იშვიათადაა და შვილებისთვისაც ცოტა დროს აქვს. „მიუხედავად იმისა, რომ ვილაცისთვის ჯერ კიდევ პატარები არიან, ვიცი, რომ უკვე დამოუკიდებელი ადამიანები არიან, ასე რომ, არა მგონია, ძალიან ბევრს ვაკლებდე“, – ამბობს გიგი.

როცა თავის ბავშვობაზე ვეკითხები, ხანმოკლე ფიქრის შემდეგ მიუხედავად: „მე ისეთი არ ვიყავი, როგორი შვილიც ჩემს მშობლებს უნდოდათ: მეცნიერი, რომელიც მთელ დღეებს სახლში, წიგნებში თავჩარგული გაატარებდა. ასეთი, უფრო, ჩემი ძმა იყო. მერე გელა საზღვარგარეთ წავიდა სასწავლად და სამუშაოდ და 20 წელზე მეტ ხანს აღარ ჩამოსულა, ფაქტობრივად, მთელი ცხოვრება ცალ-ცალკე გავატარეთ. ახლა თელავში ცხოვრობს, თუმცა დიდი ხანია, არ მინახავს.

ლრმა ბავშვობიდან ძალიან განსხვავებულად ერთმანეთისგან, განსხვავებული ხასიათი და ინტერესები გვქონდა. მე მთა და ცხოველები მიყვარდა, სულ გარეთ მივდიოდი. ამიტომ ჩემით, როგორც კარგი შვილით, ჩემებმა სიამაყე საკმაოდ გვიან დაიწყეს – რექტორი რომ გავხდი, მაშინ“, – ელიმება გიგის.

გიგი თევზაძე უკვე ექვსი წელია, ილიას უნივერსიტეტის რექტორია. სასწავლებელს, რომელიც დაარსების პირველ წელიწადს 4-6 მილიონ ლარს განკარგავდა, ახლა 30-მილიონიანი ბიუჯეტი აქვს. მის შემადგენლობაში შედის რამდენიმე კვლევითი ინსტიტუტი და ცენტრი: აბასთუმნის ობსერვატორია, სეისმური მონიტორინგის ცენტრი თბილისში, ყაზბეგის მაღალი მთის ეკოლოგიის ინსტიტუტი, საზღვაო კვლევების ცენტრი გრიგოლეთში, დედოფლისწყაროში კვლევითი ცენტრის მშენებლობა კი ახლა მიმდინარეობს.

კვლევითი ინსტიტუტების შეერთების პროცესი რთულად წავიდა. განსაკუთრებული ხმაური მოჰყვა აბასთუმნის ობსერვატორიის შეერთებას. ათწლეულების განმავლობაში იქაურობა ხომ განცალკევებულ საკვლევ ბაზად ჩამოყალიბდა. მეცნიერები ყანობილის მთაზე ოჯახებით ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ. „ამბობდ-

ნენ, რომ დავლუპავდით ობსერვატორიას, არადა, ნახევარ მილიონამდე ლარით ვაფინანსებთ, სასტუმროც გავაკეთეთ სამეცნიერო კონფერენციებისთვის, მაგრამ კონფერენციები იქ ვერ ტარდება. შორია. თვითონ კი, არ არიან მონდომებულები. უნივერსიტეტთან ერთიანობის აღქმა არ აქვთ. მაგალითად, ასტროფიზიკოსი გია ჯავახიშვილი ილიას უნივერსიტეტის პროფესორობას და თავისი, როგორც მკვლევრის საქმიანობას აბასთუმანში ჯერ კიდევ ერთმანეთისგან მიჯნავს, სინამდვილეში კი სწორედ იმიტომ კითხულობს ლექციებს ჩვენთან, რომ კარგი პროფესორია და გარდა ამისა – აბასთუმნის ობსერვატორია ილიას უნივერსიტეტის შემადგენლობაში შედის. თუმცა ახლა მგონია, რომ შეცდომა იყო ობსერვატორიის შემოერთება, არ ვიცი, რამდენად შეგვიძლია მისი მოვლა“, – ამბობს გიგი და კითხვას, რომელიც მე უნდა დამესვა, თვითონ სვამს: „არც იმაში ვარ დარწმუნებული, უნდა ჰქონდეს თუ არა ასეთი დიდი ქონება უნივერსიტეტს. რომ მცოდნოდა, სახელმწიფო არ გაზრდიდა დაფინანსებას, ალბათ, უარს ვიტყვოდი. ძალიან დიდი ტერიტორია და ძალიან მოძველებული კვლევითი ინფრასტრუქტურაა. დაფინანსება კი – მხოლოდ არსებული

ვითარების შენარჩუნებას და ინფრასტრუქტურის განსავითარებლად განუღმცირე დანახარჯებს ჰყოფნის. გარდა ამისა, აბასთუმნის ობსერვატორიის საკმაო ნაწილი – მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობისაა. უნივერსიტეტი კი ნამდვილად არ უნდა ხარჯავდეს ფულს ისტორიული ძეგლების შენახვაზე“.

ილიას უნივერსიტეტს ხშირად აკრიტიკებენ იმის გამოც, რომ თსუ-ს ხარჯზე შეიქმნა, გიგი კი ამბობს, რომ თსუ-დან ყველანი – გიგა ზედანია, გია ნოდია, სერგო რატიანი, თვითონ და სხვები – 2000 წელს იმიტომ წამოვიდნენ, რომ სასწავლო პროცესზე ვეღარ ახდენდნენ გავლენას და ლექციების ჩატარებაც კი არ ეხალისებოდათ. ჯერ ილია ქავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის და სოციოლოგიის ფაკულტეტი ჩამოაყალიბეს, შემდეგ კი, ორი სახელმწიფო ინსტიტუტის ბაზაზე, დიდი უნივერსიტეტი შეიქმნა, რომელიც სამართავად გიგი თევზაძეს გადაეცა.

ვეკითხები – ვისგან მიიღეთ შეთავაზება რექტორის თანამდებობაზე?

„შეთავაზება არ მიმიღია, გადაწყვეტილება მივიღე“, – თვითონაც კარგად იცის, რომ პასუხით მახნვეს. ჩემს რეაქციას აკვირდება და მცირედი პაუზის შემდეგ აგრძელებს: „მამინ განათლების სამინისტროში ვმუშაობდი, უცხო ენებშიც ვკითხულობდი ლექციებს. ვფიქრობდი, რომ თუ პედაგოგიური და უცხო ენების ინსტიტუტები გაერთიანდებოდა, პრინციპში, შეიძლებოდა კარგი უნივერსიტეტი გამოსულიყო. მიზნად დავისახე, რომ ის, რასაც ყველა სკეპტიკურად უყურებდა, მე გამეკეთებინა. ჰოდა, შევთავაზე მთავრობას გაერთიანებული უნივერსიტეტის გაკეთება. არავინ ჩარეულა. მამინ მე ერთადერთი ვიყავი, რომელსაც ჰქონდა ხედვა, იმიტომ კი არა, რომ განსაკუთრებული უნარები მაქვს, უბრალოდ, სხვას არავის უცდია მსგავსი რამ ესწავლა, სხვამ არავინ იცოდა, რას ნიშნავდა თანამედროვე უმაღლესი განათლება“.

გიგი თევზაძე ფიქრობს, რომ ზუსტად ეს იყო ხელისუფლების მხრიდან უპირობო ნდობის მოპოვების მიზეზი და არა ის, რომ მომავალი რექტორი, გარკვეულწილად, ახალი ხელისუფლების იდეური საყრდენი გახდა.

„ყველა ცოცხალი არსება გენეტიკურად ერთსა და იმავე დროს ალტრუისტიცაა და ეგოისტიც – ეს არ არის მეტაფორა – მეცნიერულადაა დასაბუთებული, უბრალოდ, გააჩნია, რისკენაა ეს ალტრუიზმი მიმართული. იმ დროს ახალი პოლიტიკური ძალებისა და ჩემი ინტერესები ძალიან დაემთხვა ერთმანეთს. ცოტა პათეტიკურად კი ჟღერს, მაგრამ ასეა, თუკი ქვეყნისა და შენი პირადი ინტერესი ემთხვევა, ზოგიერთ გვერდით მოვლენაზე თვალის დახუჭვა გინევს“, – ამ საერთო ინტერესში გიგი თევზაძე განათლების რეფორმას გულისხმობს. იმ გრანდიოზული ცვლილებების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი, რომელიც საგანმანათლებლო სფეროს

„ისეთი არ ვიყავი, როგორი ვიღივს ჩემს მშობლებს უნდოდათ: მეცნიერი, რომლის მთელ დღეებს სახლში, ნიგნავში თავსარბული გაატარებდა. ჩემით, როგორს კარგი ვიღივს, სიამაყე საქმოდ გვიან დაიწყეს – რექტორი რომ გავხდოდი, მაშინ“.

სცდებოდა და ადამიანებისგან მენტალურ ტრანსფორმაციას ითხოვდა, სწორედ გიგი თევზაძე იყო. ის იმხანად განათლების სამინისტროს პროექტის – „ილია ქავჭავაძე“ – დირექტორი იყო, რომელსაც მსოფლიო ბანკი 25 მილიონი დოლარით აფინანსებდა და სკოლების რესტრუქტურისა და გამოცდების სისტემის რეფორმირებას ითვალისწინებდა. უმთავრესი მიზანი კორუფციის მოსპობა იყო.

გიგი თევზაძე, რომ დღემდე პასუხს აგებს მამინ გადადგმულ ყველა ნაბიჯზე, თუმცა ამბობს, რომ როგორ განვითარდებოდა ეს სისტემა, თავიდანვე ჩანდა – ის ნელ-ნელა „გაფუჭდა“:

„სისტემა, რომლის ყველაზე დიდი ღირსებაც საყოველთაოობა იყო, ელიტისტური გახდა. აბიტურიენტები დაფინანსებას ოთხ სავალდებულო საგანში დაგროვილი ქულების მიხედვით იღებენ, ასე კი მდიდარი ოჯახის შვილებს პრივილეგია უჩნდებათ, რადგან მათ აქვთ საშუალება ყველა საგანში რეპეტიტორთან მოეზადონ და წარმატებით ჩააბარონ სასურველ უნივერსიტეტში. თავდაპირველად გამოცდების შემოღების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი რეპეტიტორების რიცხვის შემცირება და სკოლის როლის გაძლიერება იყო, მაგრამ ფაქტია, ამ ცვლილების მიღებიდან 8 წლის შემდეგაც აბიტურიენტების დიდი ნაწილი იმ ადამიანებთან ეზზადება, ვინც გამოცდაზე მათ ნაშრომებს ასწორებს, ასე, რა თქმა უნდა, პირდაპირი „მფარველობა“ ვერ ხდება, მაგრამ გამსწორებელ რეპეტიტორს შეუძლია, თავის მოსწავლეს ასწავლოს, როგორ დაწეროს საგამოცდო დავალება ისე, რომ მაღალი ქულა მიიღოს, აი, მდიდარი ადამიანის კიდევ ერთი დამატებითი პრივილეგია“.

... გიგი თევზაძე იშვიათად ნახულობს მშობლებსაც. მამასთან თითქმის არ საუბრობს, თუმცა საერთო ის აქვთ, რომ ორივე წერს წიგნებს, მაგრამ ამას ცალცალკე, თავისთავს აკეთებენ. როგორც გიგის ბავშვობის მეგობარი ანა კორძაია-სამადაშვილი მეუბნება, სახელოვანი მეცნიერი მამის გამო გიგის ხშირად წამოაძახებდნენ ხოლმე, რომ მამა „ქაჩავდა“ და რომ დისერტაციაც მან დაუწერა.

ამ წლებიდან საუკეთესოდ გორში გაზეთ „ერთობაში“ მუშაობის პერიოდი ახსენდება. 19 წლის იყო, როდესაც „ერთობის“ რედაქტორი გახდა და თბილისის ომის დროს გორელი ბიზნესმენების მიერ გაზეთისთვის შეწირული ფულით მგლები შიმშილით სიკვდილს გადაარჩინა. ერთხელ, იპოდრომზე მისულმა, ზურაბ გურიელიძე გაიცნო, ის, იასონ ბადრიძესთან ერთად, ზოოპარკში მგლებს უვლიდა. გიგიც მგლებს ნელ-ნელა „დაუმეგობრდა“, გალიაშიც შევიდა, ის კი არა, სულ მალე მგლები სახლში წაიყვანა, თუმცა – იასონ ბადრიძის სახლში. იმ პერიოდში გიგი საკუთარ სახლში ცოტა დროს ატარებდა, ან მეგობრების დროებით დაცარიელებულ სახლებში ცხოვრო-

ბდა, ან ექსპედიციებში იყო. პირველად ნ მგელი გაზარდა, როგორც ბავშვებს, ყოველ სამ საათში ერთხელ აჭმევდა. მაშინ სახელმწიფო მიზანმიმართულად ანადგურებდა მგლებს, გიგი და მისი მეგობრები სასიკვდილოდ განწირულ ლეკვებს ვითომ „ცდებისთვის“ ყიდულობდნენ, სინამდვილეში კი ამრავლებდნენ. „ლობო“, „ხეშკე“ და „ვირთხა“ გიგის პირველი მგლები იყვნენ, რომლებიც თრიალეთის ქედზე გაუშვეს. გაშვება იძულებითი იყო – მგლების საჭმელი აღარ ჰქონდათ. გიგის და ზურას მგლები გამოირჩეულად „ჭკვიანურად“ მოქმედებდნენ, ჯერ ძაღლებს იჩვევდნენ, შემდეგ კი შინაურ ცხოველებს იტაცებდნენ. ალბათ, მაშინ თუ გაუჩნდა გიგის პირველი კრიტიკოსები.

...
ვიდრე ერთ-ერთ ოთხშაბათს, ილიას უნივერსიტეტში „უახლესი ქართული ლიტერატურის კრიტიკის“ ლექცია დაიწყება, აუდიტორიაში შეკრებილ სტუდენტებს ვხვდები. მაინტერესებს, რას ფიქრობენ რექტორზე, რა არ მოსწონთ უნივერსიტეტში. ჩემდა გასაკვირად, ბევრს დალიად მელაპარაკებიან, ზოგი აღშფოთებულია, ზოგი – იმედგაცრუებული, ზოგი – კმაყოფილი.

ვიდეოლექციები, ილიას უნივერსიტეტის ერთ-ერთი ნოვაცია, მწვავე კრიტიკის საგანია. სტუდენტები ამბობენ, რომ ვიდეოლექციის შემთხვევაში, მასალის ახსნისას ლექტორს კითხვას ვერ უსვამენ, მათ ნაწილს სახლში არ აქვს კომპიუტერი, ანდა – წვდომა ინტერნეტზე. მიმტკიცებენ, რომ თუ მათ უნივერსიტეტი ასეთი ფორმით სწავლას ავალდებულებს, შესაბამისი პირობებიც უნდა შეუქმნას.

კრიტიკის თემა უნივერსიტეტის შიდა საძიებო სისტემა „არგუსი“. სტუდენტებმა არ იციან, ვისი ინიცირებულია ეს სისტემა, მაგრამ როცა ვეუბნები, რომ მათ სისტემას ანალოგი არ აქვს, „ასეთ საოცრებას ანალოგი როგორ ექნებაო“, – მპასუხობენ.

ძირითადი პრეტენზია სისტემაში რთული ნავიგაცია და არასაჭირო საგნების სიმრავლეა. ლექტორები, საქმის გაიოლების მიზნით, ერთი და იმავე საგნის სახელს და სილაბუსს ცოტათი ცვლიან, სტუდენტები კი არასაჭირო საგნებს ირჩევენ, შემდეგ ეს საგნები არ ეთვლებათ და დამატებითი



ნინო სინსაპა. ნიკა და აკლი თბაქაძეები, მარტი 2011

საგნების აღება, ზოგჯერ კი, დამატებით ფულის გადახდა უწევთ.

„არგუსი“ (არჩევანის გონივრული უზრუნველყოფის სისტემა) ის პროექტია, რითაც გიგი თევზაძე ამყოფს. ის სპეციალურად ილიას უნივერსიტეტის პროფესორ-სტუდენტებისთვის შექმნილი, შიდა ელექტრონული სისტემაა, რომლის საშუალებითაც სტუდენტები ირჩევენ საგნებს, ადგენენ საკუთარ სასწავლო პროგრამას, პროფესორები კი სილაბუსებს აქვეყნებენ, სტუდენტებს დავალებებს უგზავნიან, მიმდინარე ქულებს და გამოცდების შედეგებს აცნობენ. „არგუსისადმი“ პრო-

ტესტის ერთ-ერთი მიზეზი, გიგის აზრით, ამ სისტემაში სტუდენტების გაუთვისებლობაა. „რაც შეეხება ლექტორების „ოინებს“, სისტემაში კონტროლს გავამკაცრებ“, – ამბობს რექტორი.

სტუდენტები ასევე მეუბნებიან, რომ რექტორთან საუბარზე, მისთვის წერილის გაგზავნაზე, არც ფიქრობენ – ჩვენთვის რექტორი მიუწვდომელიაო. ერთი გოგონა მეუბნება, ერთხელ ადმინისტრაციაში ვთქვი, თქვენ თუ არ მენმარებით, რექტორთან შევალ-მეთქი, მათ კი ჩემი გადანყვეტილება სასაცილოდაც არ ეყოთო. ამას როცა ვუყვები, გიგი თევზაძეს

სახე ეცვლება (არადა, ემოცია იშვიათად ეტყობა ხოლმე) და მეუბნება, რომ მასთან მისულ სტუდენტს უკან არაფერს გააბრუნებს, მისი იმეილის მისამართი უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნებული და თუკი ვინმე წერილს სწერს, ყველას თვითონ პასუხობს, რადგან ამ მისამართზე ხელი სხვას არავის მიუწვდება.

რექტორისა და სტუდენტების არგუმენტების ამ „ზინგ-პონგში“ მიჭირს, გავარკვიო, რაში სცოდავს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და რა არის სტუდენტების პასიურობის, ანდა მათი არარეალისტური მოლოდინების ბრალი. გიგი თევზაძეს ვეკითხები: იქნებ სტუდენტების არაინფორმირებულობა თქვენ მიერ შექმნილი სისტემის ყველაზე დიდი ნაკლი?

„ამ ხარვეზს ვხედავ, – მპასუხობს, – ის ადამიანები, ვისაც ევალუბათ სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება, ხშირად არათავიანანად ექცევიან მათ და მაგალითად, კრედიტებს (რითაც სტუდენტები თავიანთ სასწავლო პროცესს გეგმავენ) არსებული წესების მიხედვით კი არ უთვლიან, არამედ საკუთარი შეხედულებებით“.

უნივერსიტეტის პრობლემებზე საუბრისას რექტორს ტონი განსაკუთრებულად ოფიციალური და მკაცრი უხდება. სხვა სიტუაციებშიც სერიოზულია. მისი მეგობრებისგან ვიცი, რომ სასმელიც ძნელად ეკიდება. ერთ-ერთ საღამოს, მასთან სახლში მივდივარ. თავდაპირველად ისევ ისეთი ოფიციალურია, როგორც ინტერვიუებისას, მაგრამ რამდენიმე ჭიქის შემდეგ სასმელი ეკიდება, ხალისიანად ლაპარაკობს და ანეკდოტებსაც ჰყვება. წამოსვლის წინ ეზოს მაჩვენებს და მეუბნება: „როცა გავმდიდრები, უკანა სახლიც უნდა ვიყიდო, ჩემს მეტს მაინც არავის უნდა, ჩვენი ეზო კი ძალიან პატარაა“. როცა ვეკითხები, რით აპირებს გამდიდრებას, მხრების აჩეჩვით მპასუხობს – „რამით“.

ორი წლის შემდეგ, როცა რექტორობიდან წავა, სურს, რომ ილიას უნივერსიტეტი კერძო სასწავლებელი გახდეს.

ვეკითხები: ამ შემთხვევაში უნივერსიტეტს განვითარების მეტი შანსი ექნება?

– რა თქმა უნდა, ასე ბევრი პრობლემის გადაჭრა გადავიღდება, აი, თუნდაც შესყიდვები. როცა სახელმწიფო უნივერსიტეტს მართავ, მთავრობის მიერ დაწესებული რეგულაციებით მუშაობ. მესმის,

რომ სახელმწიფო ვერ მისცემს თავს უფლებას, რომ კონკრეტულ ორგანიზაციას მისცეს შეუზღუდავი მართვის შესაძლებლობა. ეს კი დამოუკიდებლობას ძალიან ზღუდავს.

გიგი ამბობს, რომ რექტორის პოსტიდან წასვლის შემდეგ, უნივერსიტეტში მაინც დარჩება – „დარწმუნებული ვარ, პრივილეგირებული თანამშრომელი ვიქნები, მეტი დრო მექნება ინტერდისციპლინარული კვლევებისთვის და მოგზაურობისთვის“.

ლისის ტბა/სხენოსნობა

ილიას უნივერსიტეტმა საცხენოსნო ცენტრ „რაიმედთან“, რომლის თავლაშიც ახლა 9 ცხენი ცხოვრობს, სულ ახლახან მართვის ხელშეკრულება გააფორმა. რე-

ორი წლის შემდეგ, როცა რექტორობიდან წავა, სურს, რომ ილიას უნივერსიტეტი კერძო სასწავლებელი გახდეს. ვეკითხები: ამ შემთხვევაში უნივერსიტეტს განვითარების მეტი შანსი ექნება? – რა თქმა უნდა.

ქტორის გადანყვეტილებით, ლისის ტბასთან ახლოს მდებარე ცენტრში თუკი სტუდენტები ცხენებს მოუფლიან, საცხენოსნო თერაპიით ბავშვების მკურნალობაში მონაწილეობას მიიღებენ, ცხენზე ჯდომას ისწავლიან და საკუთარ თავს ქართულ ტრადიციულ სპორტულ სახეობებში გამოცდიან, ექვს სასწავლო კრედიტს მიიღებენ, ზუსტად იმდენივეს, რამდენსაც მათ ნებისმიერი რთული საგანი – სამართლის ისტორია ან ბიოლოგია ჰმადობს.

რექტორის სტუდენტებთან შეხვედრა იქვეა დანიშნული, თუმცა ვიდრე გიგი მათ ამ ნაშრომებზე დაელაპარაკება, სადგომებთან მიდის და ცხენებს სათითაოდ

ესალმება. „მარინა“ ყავისფერი ფაშატია, შუბლზე თეთრი ლაქა და დიდი, ლურჯი თვალები აქვს. რიგში „ზინა“, „ლურჯა“, „მაამო“ და სხვები დგანან. სულ მალე გიგის გარშემო 50-მდე სტუდენტი წრეს კრავს, გიგი მათ მონდომებით უხსნის თავის მიზანს: ცხენზე ჯდომა ჯანმრთელობაა, საერთოდ, ცხოველებთან ურთიერთობას თერაპიული გავლენა აქვს და ეს ნაშრომებზე არა მარტო ცერებრალური დამბლის მქონე, არამედ, დაუნის და აუტიზმის სინდრომის მქონე ბავშვებსაც დაეხმარება. გიგის ნაცნობი, რომელიც ძალღებით თერაპიაზე მუშაობს, შეეხსნო, როგორ უყვებოდა ატირებული დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი თავის ენაზე, თავის გასაჭირს ძალღს, ის კი აშკარად უსმენდა და შიგადაშიგ ცრემლებს ულოკავდა...

...

2013 წელს გიგი თევზაძეს რექტორობის მეორე ვადა ეწურება. მიაჩნია, რომ რისი გაკეთებაც სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიძლებოდა, უკვე გააკეთა. მეუბნება, რომ პირველ ხანებში უნივერსიტეტი ძალიან სწრაფად ვითარდებოდა, თუმცა ბოლო დროს განვითარების ტემპმა მკვეთრად იკლო. დღეს უნივერსიტეტი ზღვარზეა და სტრუქტურა თუ არ გადახალისდა, განვითარებას შეწყვეტს. „ეს გარედან არ ჩანს, მაგრამ როცა გამოჩნდება, უკვე გვიან იქნება“, – ამბობს გიგი.

რექტორი კომპიუტერთან ზის, უხმოდ მუშაობს, დროდადრო ოთახის ბოლოში მდგარ მაგიდასთან მიდის, რომელიც მისი დიზაინით დაამზადეს. ხის მაღალ მაგიდაში რამდენიმე ვერტიკალური უჯრაა. უჯრებში ჩაი, ყავა და ფინჯნები ინახება, უჯრების თავსახური მაგიდის ზედაპირია. მაგიდაზე კი ელექტროჩაინდები და ღვივნის ბოთლი დგას.

გიგი ფინჯანს შავი ყავით ივსებს და იმ სკამს მაჩვენებს, რომელზეც წლების მანძილზე იჯდა. სკამს საზურგე არ აქვს, მთელი დატვირთვა მუხლებზე მოდის და ადამიანი იძულებულია, მუდმივად ფხიზლად და ნელგამართული იჯდეს. აქამდე ამ სკამზე ჯდომა მეტაფორულად უნივერსიტეტის განვითარებისთვის ბრძოლას ჰგავდა, ახლა კი, როცა შედეგი თითქმის მიღწეულია, გიგი თევზაძე ტყავის, ღრმად ჩაშვებულ სავარძელში გადაჯდა და თავს დასვენების უფლება მისცა.



გიგი თევზაძე და „მარინა“, სასახელოსნო სეზარი „რაილბილი“, მაისი 2012

ვინ არის ნადია წულუკიძე?

ავტორი ნინო ლომაძე

პირველი შეხვედრიდან ორი წლის მერე ვხვდებით, უკვე ინტერვიუსთვის. შეცვლილია. უფრო განონასწორებული, დაფიქრებული ჩანს. მისი ხმაბალი, ხანდახან კატეგორიული ტონიც დამცხრალი, შერბილებული მეჩვენება. „ჰო, თითქოს დავალაგე რაღაცები, მისხნის, – და მგონი ზედმეტიც მოვინდომე. ბოლოს, ხელში ცარიელი კითხვებილა შემჩა“.

ნადია წულუკიძე პერფორმერ-არტისტი, ან როგორც თვითონ ამბობს: თეატრის „მეიკერი“, რაც ყველაფერი შეიძლება იყოს – მოცეკვავე, რეჟისორი, ქორეოგრაფი, სცენარისტი – „მეიკერია“ ყველა, ვინც პერფორმანსის შექმნაში მონაწილეობს.

პირველად რომ შეხვდით, თეატრის სამაგისტრო პროგრამაზე, დაზარტის სკოლაში სადიპლომო წარმოდგენაზე მუშაობდა. „მზად სიყვარულისთვის, იდენტობის 7 ფრაგმენტი“ – ასე ჰქვია მის სოლოდადგმას, რომლითაც ნადია საკუთარ თავს იკვლევს. პერფორმანსი ჯერ ამსტერდამში, ფლამანდიური კულტურის ცენტრში აჩვენა. ივნისში კი, თბილისში მას მეორედ წარმოადგენს – პროექტის ფარგლებში, რომელსაც „კარმენი – გამორიცხვის მდგომარეობა“ ჰქვია.

მუშაობას რომ იწყებდა, გრძნობდა, რომ სრულიად დაკარგული იყო. ერთადერთი, რისი ჩვენებაც შეეძლო, აღმოჩნდა, რომ თავისი პერსონალური ისტორია – მესხიერება, რომელთანაც თითქოს არაფერი ჰქონდა საერთო. გადაწყვიტა, რომ წარსულის დაბრუნების საუკეთესო გზა ყველაფრის გახსენება და მთელი ცხოვრების პერფორმანსად ქცევა იყო. 41-წუთიანი წარმოდგენა მისი მესხიერების შვიდი ფრაგმენტია, რომელზეც საკუთარი ბიოგრაფია თავიდან ააგო.

2010 წელი. ფლამანდიური კულტურის ცენტრი.

ნაცრისფერ იატაკზე შარვალი და მაისურია დაფენილი. უკან, კედელზე ვიდეოპროექცია მიდის, რომელზეც იგივე სცენა მოჩანს, ოღონდ – ცარიელი. პროექციაზე ნადია კულისებიდან გამოდის და შარვალს და მაისურს ძირს აფენს. რამდენიმე წამში უკვე რეალურ სცენაზეც ჩნდება და ამბობს: მე მქვია ნადია წულუკიძე და ვითამაშებ ნადია წულუკიძეს. ამის შემდეგ, ორივე ნადია ერთდროულად იწყებს ჩაცმას.

პირველი სცენა ნაცნობი და გაცვეთილი საბჭოთა ბავშვობიდანაა. ნადიაზე „სახალისო“ ამბებს დედა და ბებია ჰყვებიან – ენერგიულ და ხალისიან პატარა გოგოზე, რომელიც ოცნებობს, იმ „დიადი მომავლის“ ნაწილად იქცეს, სკოლაში და ტელეეკრანზე რომ უხატავენ.

მისი საბჭოთა ბავშვობა უცხოეთის შაბლონია, კოლექტიური სახეები კი, მისი ოჯახის წევრები არიან. ბებია – მოხუცი ქალი რეპრესირებული ოჯახიდან, რომელიც ტრაგედიის გამეორების შიშით ცხოვრობს. დედა – ახალგაზრდა ქალი, რომელიც სისტემასთან დაპირისპირებას შვილის ცნობიერებაში ავტორიტეტების განადგურებით ცდილობს. და ბაბუა – არხეინი თამადა, ბედს შეგუებული ადამიანის ხატი.

* * *

ნადია ქუთაისში დაიბადა. სამი წლის იყო, დედასთან ერთად, თბილისში, ბებია-ბაბუასთან რომ გადავიდა საცხოვრებლად. მუსიკალურ ტექნიკუმში სწავლობდა. ვიოლინოზე უკრავდა და ახალგაზრდული ორკესტრის წევრი იყო.

დადიოდნენ ფეხით – წერეთლიდან ვერის გავლით მთაწმინდაზე და მერე

უკან. ყოველთვის რამდენიმე ერთად, რომ გზაში ახალგაზრდა გოგოებისთვის ინსტრუმენტები არავის მოეპარა. იყვნენ ერთადერთ გასტროლზე, ბათუმში. უცნაური სიზმარივით ახლოს ძველი მატარებლის კუპე, ტუალეტის სუნი და რამდენიმე წლით უფროსი გვარდიელების ქეიფი, „აბა, ერთი საჭიდაო დაგვიკარით“.

„...საბჭოთა კავშირი დაშლილია. სისტემის ეკონომიკური, იდეოლოგიური ნანგრევები. არავინ სწავლობს. არავინ ასწავლის. ერთადერთი, რაც შეგიძლია გააკეთო, ესაა დაკავდე სექსით“. [ციტატა პერფორმანსიდან]

16 წლისაა. მისი ბოიფრენდის ოჯახი თანახმაა, რომ ნადია რძლად მიიღონ. არც დედაა წინააღმდეგი. „ოჯახი ცხოვრების გაგრძელების ერთადერთი შესაძლებლობაა. ეს შეიძლება იყო ჩემი ქორწინების სოციალური, კულტურული მიზეზი. პერსონალური მიზეზები ჩემთვის ჯერ ისევ ბუნდოვანია... მეზობელი ამბობს, რომ გამიმართლა. არ არის ადვილი იბოვო ქმარი მაშინ, როდესაც აღარ ხარ ქალიშვილი“, – ერთ-ერთ სცენაში ქორწინების ამბავს წერილში კითხულობს. წერილი შირმაა, რომლის საშუალებითაც ამ ისტორიასთან დისტანცირებას ცდილობს. პერსონალურის ძალიან ახლოდან ჩვენება გროტესკად რომ არ ექცეს.

მრავალრიცხოვანი, ძლიერი ოჯახის ხატი მალე ენგრევა. უნდა აირჩიოს: ან ეგუება ბედს და აგრძელებს ცხოვრებას ერთი როლით – მეოჯახე დედის, რომლისთვისაც მთავარი პრიორიტეტი იმ პირობების შესრულებაა, რაც ქორწინების რიტუალის დროს დადო, ან საკუთარი მომავლის საძიებლად მიდის.

გერმანიაში თითქოს თავიდან სწავლობს სიარულს, მოძრაობას. მოგვიან-



ფოტო: ლევან ნაკაშულიძე



ნებით, პერფორმანსში, იმ პერიოდს ასე აჯამებს: „მე უკვე ვიცი, როგორ გავხსნა საბანკო ანგარიში. როგორ ვთქვა უარი. როგორ ავირჩიო. როგორ გადავწყვიტო. როგორ მოვნიო. როგორ ვილაპარაკო ნაკლები. როგორ შევიყვარო. როგორ შემეყვარდეს ნაკლებად. როგორ ველაპარაკო ოფიციალურ პირებს, რომ გამიგრძელონ სასწავლო ვიზა“.

ვიოლინოს თავს ანებებს და ანტროპოსოფიულ სკოლაში ევრიტიმის სწავლას იწყებს. სიტყვების და მუსიკალური ფრაზების სხეულით გამოხატვას ცდილობს.

მესამე კურსზე ხვდება, რომ ეს არის სივრცე, სადაც ყველა კითხვაზე უკვე არსებობს პასუხი, ყველა განმარტება წინასწარაა განსაზღვრული. მოლოდინი, რომ სკოლაში მთელი ცეკვის დისკურსს, ევრიტიმის სხვა ცეკვის ტრადიციებთან მიმართებას ისწავლის, არ მართლდება. ნადიას და მის მეგობრებს ყველაზე მეტად ძველი გამოცდილების თავიდან გააზრება, ახალი ინტერპრეტაციის გზები აინტერესებთ. იკვლევენ, რა გამოცდილებას ეყრდნობიან სკოლაში, რას უარყოფენ და რატომ.

„იქ, ისევ, მხოლოდ შტაინერი ლაპარაკობს. არავითარი დაქვეება, არავითარი კითხვები. მაღიზიანებდა ასეთი მიდგომა. შტაინერის მერე სკოლებში არაფერი შეცვლილა. შეუძლებელია,

მომავლის ნაწილად იქცე, როდესაც განვითარებას უბრალოდ შეწყვეტ. იმ საფუძველს, რაც შტაინერმა შექმნა, დღეს უკვე განვითარება სჭირდება. ამაზე სულ ვლაპარაკობდით, ვაწყობდით დისკუსიებს და ვცდილობდით პასუხები ჩვენივე გვეპოვნა.

...ევრიტიმიაში დღემდე უარყოფენ სექსუალობას. ფიზიკურობა უგულვებლყოფილია. მნიშვნელოვანი მხოლოდ ეთერული და ასტრალური სივრცეა. ჩვენ ვამბობდით, რომ თუ გინდა მოძრაობა შექმნა, უნდა აღიარო, რომ ფიზიკური სხეული პირველი საფეხურია. ჩვენ გაფართოება სხეულიდან დავიწყეთ – შიგნიდან გარეთ, ფიზიკურიდან ეთერული და ასტრალური სივრცისკენ“.

სკოლისგან დამოუკიდებლად, კასელში ალტერნატიული სტუდია შექმნეს, რადგან სკოლაში ექსპერიმენტის დაშვება შეუძლებელი იყო. მოძრაობას სხვა ევრიტიმის სკოლის სტუდენტებიც შეუერთდნენ. მოიპოვეს დაფინანსება და კვლევა განაგრძეს. კლასებისთვის ინვესტირებდნენ პროფესორებს, დებატებს აწყობდნენ. მალე გაირკვა, რომ ისინი მართონ არ იყვნენ – ეს დაპირისპირება მათ ექსპერიმენტამდეც არსებობდა. იყვნენ ევრიტიმისტები, ვისაც რეფორმები, სიახლეები აინტერესებდათ, და კონსერვატორები, ვინც ყოველგვარ სიახლეს ებრძოდა.

„მაშინ პირველად დავფიქრდი იმაზე, რომ ავტორიტარული საზოგადოება მხოლოდ წარსულში არ დარჩენილა. ის ყველგან შეიძლება შეგვხვდეს. რეალობის რელიგიურობამდე გაზვიადება პროგრესს აჩერებს. დავინახე, რომ განვითარების მთავარი შეფერხება ორთოდოქსული საზოგადოებაა, ვისთვისაც ყველა, ვინც სხვანაირად ფიქრობს, საშიშროებას წარმოადგენს“.

28 წლის იყო, მეორედ რომ იქორწინა.

ალტერნატიული ევრიტიმის ფესტივალზე პორტუგალიელი ბიჭი გაიცნო. რამდენიმე თვეში სწავლას ამთავრებდა და გერმანიის საემიგრაციო სამსახური ქვეყნის დატოვებას სთხოვდა. დაქორწინება გადანყვიტეს. „ბიჭის მამამ გვირჩია, დავფიქრებულიყავით. რატომ ვქორწინდებოდით: სიყვარულის გამო, თუ მიზანი ჩემი ქვეყანაში დატოვება იყო? ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, რომ ქორწინების ნამდვილი მოტივი სიყვარული იყო“, – კითხულობს წერილს უკვე მეორე კონვერტიდან, რომელსაც „Marriage II“ აწერია.

„აბორტიდან ორ დღეში, გერმანიაში სამუშაოდ წასვლამდე სამი დღით ადრე“, შაბათს, მეორედ გათხოვდა.

ქმარი შევდეთში დარჩა. „ერთხელ, ხანგრძლივი და დუმილიანი საუბრის დროს, მან მითხრა, რომ აღარ იცოდა,



რატომ მომიყვანა ცოლად – მართლა ვუყვარდი, თუ იმიტომ, რომ შევებრალე“.

ერთ თვეში, შვედეთის საელჩოში ინტერვიუზე დაიბარეს.

საემიგრაციო სამსახურის თანამშრომლებმა მომავალი გეგმების შესახებ მშრალი კითხვები დაუსვეს: სად უნდა ეცხოვრათ, როგორ უნდა ეშოვნათ ფული. ჰკითხეს წარსულზეც: სად შეხვდნენ, რამდენი ხანია, იცნობენ ერთმანეთს. „ვცდილობდი, ყველაფერზე გულწრფელად მეპასუხა. ბოლოს ჩვენი ერთად გადაღებული ფოტოებიც დავათვალიერებინე. არ ვიცი ზუსტად, რა მოხდა ინტერვიუს დროს, მაგრამ საელჩოდან რომ გამოვედი, უკვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ ეშორებოდი და მე საქართველოში ვბრუნდებოდი“.

რევოლუციის წელი იყო. წამოსვლამდე ერთი თვით ადრე თავის მენეჯმენტის მასწავლებელს მიაკითხა და დახმარება სთხოვა. ძალიან დაბნეული და შეშინებული იყო. ვერაფრით ხსნიდა, რას ნიშნავდა დაბრუნება, რადგან ის ყველა სივრცეში უცხო იყო. მასწავლებელმა დავალება მისცა – ეწერა დღიური. მხოლოდ ფაქტები, რა მოხდა და როდის. საკუთარი ემოციების გამოსახატად კი ცარიელ გვერდზე რამე დაეხატა. მისი ირაციონალური შიშის მიზეზი ის იყო, რომ ფაქტებს და საკუ-

თარ ინტერპრეტაციას ერთმანეთისგან ვერ აცალკევებდა.

საქართველოში რომ ჩამოვიდა, მიზანი უკვე ჰქონდა. ექსპერიმენტული თეატრის შექმნა უნდოდა. თეატრისთვის სივრცე, მუსიკოსები, მხატვრები, მოცეკვავეები და მთელი დასი სჭირდებოდა. თანამოაზრეების ძებნა დაიწყო. ცოტა ხანში კი, ჰოლანდიიდან ახლად დაბრუნებულ არტისტს, სოფო ტაბატაძეს შეხვდა. სოფოსთან ერთად „ხინკალი juice“ დააარსა და ჯგუფის სახელით პერფორმანსებზე მუშაობა დაიწყო. მათი ნამუშევრების მიზანი დამკვიდრებული სოციალური ნორმების, ჩვევებისა და ტრადიციების გრეტესკულობის ჩვენება იყო – სუფრის რიტუალები, ქალის როლი, ნაციონალიზმის ექსტრემალური გამოხატულება, მითოლოგიზირებული წარსული, ძველი და ახალი ავტორიტეტები.

მისი ნამუშევრები იმ რეალობის კრიტიკა იყო, რომლის შექმნაშიც მას მონაწილეობა არ მიუღია. ეს სხვების პრობლემები იყო მანამ, სანამ თვითონაც იმ სივრცის ნაწილად არ იქცეოდა. ცვლილებებისთვის მხოლოდ პროტესტი საკმარისი აღარ იყო. მოქმედებისთვის მეტი გამოცდილება სჭირდებოდა.

მეგობრებისგან გაიგო, რომ ჰოლანდიაში არსებობს დაზარტის სკოლა, თეატრის სამაგისტრო პროგრამა, რომლის მთავარი იდეა მოულოდნელი

აღმოჩენების, ექსპერიმენტის ატმოსფეროს შექმნაა. ეს არის თეატრის ლაბორატორია, სადაც სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული პერფორმანს-არტისტები სწავლობენ.


2008 წელს დაზარტში საბუთები გაგზავნა. ჩააბარა და წავიდა.

„დაზარტში კეთება ფიქრს ნიშნავს. ჩვენ ერთნაირები არა ვართ, მოდით, გამოვკვეთოთ ის, რაც ერთმანეთისგან განგვასხვავებს“, – ბარბარა ვან ლინდტი, დაზარტის აღმასრულებელი დირექტორი.

დაზარტში არ არსებობს წინასწარ განსაზღვრული, კლასიკური სასწავლო პროგრამა. ყველა სამაგისტრო კურსის კურიკულუმი განსხვავებულია. პროგრამის შინაარსს, განრიგს და ინტენსივობას, მოწვეულ მენტორებთან ერთად, სკოლის ხელმძღვანელები არჩევენ.

რა პროფესია ექნება კურსის მენტორს, მნიშვნელობა არ აქვს – თეატრის „მეიკერები“, სოციოლოგები, ფილოსოფოსები, ფიზიკოსები, ასტროლოგები, ბიოარტისტები – ნებისმიერი შეიძლება მოწვეული ლექტორი იყოს, ვისაც ორიგინალური კურსის მომზადება შეუძლია. მენტორი მთელი ათი კვირის დრამატურგიას აგებს – გეგმავს სახელოსნოებს, შეხვედრებს, არჩევს ფილმებს.

დაზარტის მთავარი მოთხოვნა – გულწრფელობაა. სხვადასხვა ქვეყნი-



დან ჩასულ არტისტებს შორის დისტანცია უნდა წაიშალოს. ერთმანეთის თვალწინ სრულიად „გამიშვლდნენ“ და საკუთარი კულტურული, პერსონალური გამოცდილება აჩვენონ. დაზარტს თამამი, ინდივიდუალისტი და ჯიუტი ადამიანები აინტერესებს. სტუდენტები ერთად ცხოვრობენ და უცხოთან დაახლოებას სწავლობენ. ღირებულებითი განსხვავებები მათ შორის კონფლიქტებს ამძაფრებს. „იქ დავინახეთ და გამოვცადეთ, როგორ შეიძლება კონფლიქტები საინტერესო პროცესებად აქციო“.

პირველ სემესტრში ჰოლანდიასა და ბელგიაში ნავებით იმოგზაურეს და პირველი მსოფლიო ომის ისტორიის კვალს მისდიეს. მენტორი დირკ ფერშტოქტი იყო, 1980-90-იან წლებში აქტივისტი, რომელიც ნეოლიბერალურ პოლიტიკას, კლიმატურ ცვლილებებს აკრიტიკებს და უმცირესობის უფლებებს იცავს. დირკი დრამატურგი და რეჟისორია.

მოგზაურობისას ჰოლანდიელის იდენტურობას, ცხოვრების წესებს სწავლობდნენ. არკვევდნენ, რას ნიშნავს აშენებულ, ხელოვნურ მიწაზე ცხოვრობდე. ათვალთვლებდნენ არქიტექტურას, რომელიც სივრცის სიმწირის გამო ძალიან სოციალური და პრაქტიკულია. უყურებდნენ ფილმებს. არჩევდნენ სისტემებს და ლაპარაკობდნენ მასების კონტროლის მექანიზ-

მებზე. მსოფლიო ომებზე, თავისუფალ ბაზრებზე. აკვირდებოდნენ, როგორ იქმნებოდა მეოცე საუკუნის შუა წლებიდან მომხმარებლის ახალი კონცეფცია. რას ნიშნავს „თანამონაწილეობა“ ბიზნესში და პოლიტიკაში. რამდენად წინააღმდეგობრივია ეს ორი ცნება.

შემდეგ ბრაზილიელ, უტოპისტ პერფორმანს-არტისტთან ერთად მუშაობდნენ. საკუთარი პოზიციების გამოსახვის სხვადასხვა მეთოდს, ფორმებს და ტექნიკას სწავლობდნენ.

კურსის „ვინ არის მე?“ მიზანი იყო, სტუდენტების საკუთარი შიშებისგან, სტერეოტიპებისგან დისტანცირების ხერხები ეჩვენებინათ.

ვორკშოპის დროს ჯგუფებად დაჰყვეს. თითო ჯგუფში სამი იყვნენ. ერთ-ერთი თავის ყველაზე მძიმე ტრავმაზე ჰყვებოდა. მეორე კითხვებს უსვამდა. მესამე ჩუმად იჯდა და ისმენდა. სავარჯიშოს ბოლოს ჯგუფის ყველაზე მდუმარე წევრი „აღსარების“ ავტორს გულწრფელობისთვის ასაჩუქრებდა და პერფორმანსს უძღვნიდა. „ახლაც ტანში ჟრუანტელი მივლის, რომ მასხენდება. ძალიან თბილი და ამაღელვებელი მომენტები იყო“. თუ პირველ ბლოკში ინტელექტუალური სავარჯიშოები გვექონდა, მეორეში მხოლოდ ჩვენს განცდებს, ემოციებს ვიკვლევდით. ორ თვეში ურთიერთობა აბსოლუტურად შეგვეცვალა. ერთმანეთის მიმართ უფრო მგრძობიარე-

ბი, ფრთხილები გავხდით. კომუნიკაცია უფრო ინტენსიური, ღია გახდა. აზრების გამოსახატად ნაკლები სიტყვები გვეჭირდებოდა. უკვე სხეულით ვლაპარაკობდით“.

ტრანსჰუმანიზმის, ბიოარტის, ასტროლოგიის და სხვა კურსების შემდეგ საჯარო და პირადი სივრცის სპეციფიკას და მათ შორის არსებულ [თუ არარსებულ] საზღვრებს იკვლევდნენ. ხუთი დღის მანძილზე თითო ლამით უცხო ადამიანების სახლებში ცხოვრობდნენ.

ღლით სკოლაში მისამართს და გასაღებს ურიგებდნენ. მკაცრი ინსტრუქცია ჰქონდათ: თავიანთი „საიდუმლო მოგზაურობის“ შესახებ ერთმანეთისთვის არაფერი არ უნდა ეამბნათ. სახლები მეორდებოდა და არავის უნდა სცოდნოდა სად მოხვდებოდა საღამოს.

„ყველგან განსხვავებული გარემო იყო. ზოგან ერთი ოთახი დაკეტილი გვხვდებოდა, სადაც სავარაუდოდ სახლის პატრონი ძალიან პირად და ძვირფას ნივთებს ინახავდა. ზოგან პირიქით – ყველაფერი ღია იყო. თავიდან უხერხულობას ვგრძობდი. და სისულელეებზე ვფიქრობდი: შეიძლება თუ არა კარადა გამოალო, როდესაც იცი, რომ არავინ გითვალთვალებს? ნაიკითხავ ვილაცის ბლოკნოტს, როდესაც იცი, ამას ვერავინ ვერასდროს გაიგებს? რას ნიშნავს ღიაობა? რამდენად ღია ხარ შენ თვითონ? შეგიძლია



სხვების გახსნილობა დააფასო, თუ პირიქით – სხვისი გულწრფელობა გორგუნავს?“ სახლიდან წამოსვლის წინ, საკუთარი ფიქრები დღიურში უნდა ჩაენერათ. სახლის პატრონისთვის კი, რამე, იქვე, თავისი გაკეთებული საჩუქარი დაეტოვებინათ. ეს ხან წერილი იყო, ხან რჩევა, რომელიმე ფილმი ენახათ, ან წიგნი ამა და ამ გვერდზე გადაეფურცლათ. იქვას ესთეტიკით განყობილ, შემაშფოთებლად მონესრიგებულ სახლში, ნადიას გამაფრთხილებელი წერილი დახვდა: „ფეხსაცმელი შემოსასვლელში დატოვე!“ ნადიამ საკუთარი ფეხის ანაბეჭდები ფურცელზე შემოხაზა და უცნობ მასპინძელს საჩუქრად თავისი სტერილური კვალი დაუტოვა.

დაზარტის სკოლა ნადიას ბიოგრაფიაში ბაბილონის გოდოლია, სადაც ყველა ერთ ენაზე საუბარს სწავლობს.

* * *

დღეს რამდენიმე დამოუკიდებელ პროექტზე მუშაობს. მეგობარ არტისტთან ერთად აგრესიას, მის ფორმებს და სხვადასხვა გამოვლინებებს იკვლევს. „კარმენი-გამორიცხვის მდგომარეობა“ ერთგვარი სახელოსნოა, რომელსაც თბილისში ჟურნალის გამოსვლიდან ორ კვირაში გამართავს.

ყველაზე მასშტაბური პროექტი კი „მე და სტალინია“. რომლის რეპეტი-

ციებიც ამსტერდამის ერთ, დასახურად განწირულ, თეატრში მიდის. მისი დრამატურგი დაზარტის სკოლის წევრი, დირკ ფერშტოქტია.

უნდა, ისტორიის ეს უკვე ბრენდად ქცეული მონაკვეთი სხვადასხვა პერსპექტივაში იკვლიოს. ჯერ ისევ მხოლოდ კითხვები აქვს: შეიძლება თუ არა ხედვების სიმრავლით ისტორიის რეკონსტრუქცია? რა იყო იმ ეპოქის მთავარი ნიშნები? ვინ იყვნენ ადამიანები, ვინც იმ ისტორიულ მომენტში ცხოვრობდნენ, როგორ იღებდნენ რეალობას? აგროვებს წერილებში, მემუარებში, კულტურულ და ისტორიულ ძეგლებში ასახულ პოზიციებს და ცდილობს, მიუახლოვდეს ნიშნულს, სადაც პერსპექტივების სიმრავლე რეალობის შესახებ ყველაზე დამაჯერებელ ილუზიას შექმნის. თუმცა ხედება, რომ ის მხოლოდ ისტორიის კიდევ ერთი ვერსიის ჩვენებას შეძლებს, რადგან წარსულის რეკონსტრუირების ყველა მცდელობა საბოლოოდ მაინც კრახისთვისაა განწირული.

“დიდი არტისტების ეპოქა დამთავრდა. ეს პროცესი შეიძლება არ დასრულებულა, მაგრამ აქამდეც მალე მივაღწე. მხოლოდ ერთეულები მოიპოვებენ სახელს. არსებული არტ ბაზარი – რომელიც ხელოვანების მცირე ჯგუფზეა დაფუძნებული – დაიშლება. არტისტები ველარასდროს შეძლებენ ისეთი ცნობილები გახდნენ, როგორც

კლასიკოსი ოსტატები იყვნენ. თანამედროვე ხელოვანები და მათი ნამუშევრები ყურადღებას დიდი ხნით ვეღარ მიიპყრობენ, მათ დროის დინება გაიყოლებს. ხელოვნების მომავალი – არტისტების უზარმაზარი რიცხვია, სადაც საბოლოოდ, რაოდენობა განსაზღვრავს ხარისხს”, – ჟან რიცემა, თეატრის მეიკერი, 2008 წელი, ვენა, საჯარო ლექცია.

ინფორმაციული საუკუნის მთავარი გამოწვევა სწორედ ეს სიმრავლეა. „დედამინაზე არასდროს უცხოვრია ერთდროულად იმდენ გენიოსს, რამდენიც დღეს ცხოვრობს“ (ზურა ჯიშკარიანი). შეიძლება წარმატება წამებში მოიპოვო, მაგრამ რამდენიმე დღეში შენი სახელი აღარავის ახსოვდეს. ამ სიმრავლეში და ქაოსში გადარჩენა განსაკუთრებულ ნიჭს მოითხოვს.

2012 წლიდან ჰოლანდიაში და მთელ ევროპაში კულტურისა და ხელოვნების დარგებს სახელმწიფო დაფინანსება 40 პროცენტით შეუმცირდა. ნადია წულუკიძე, უკვე სხვა არტისტებთან ერთად, ისევ იმავე დილემის წინაშე დგას: როგორ დაიმკვიდროს თავი უცხო ქვეყანაში და როგორ გადარჩეს, როგორც პიროვნება.

„დღეს უკვე შემიძლია ვთქვა, ვინა ვარ და მთავარი ესაა. ალბათ, ვარ ის, ვისაც საკუთარი თავის და ცვლილებების აღარ ეშინია. ამ ეტაპზე, ეს საკმარისია“.

„ღმერთი არ არის კერპი“ ინტერვიუ ნიკოლა ჩერნოკრაკთან

ესაუბრა ლაშა მოხმეაშვირი

ნიკოლა ჩერნოკრაკი პარიზის წმინდა სერგის მართლმადიდებლური თეოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელია. 1925 წელს დაარსებული ინსტიტუტი დასავლეთ ევროპაში მართლმადიდებლური თეოლოგიის უძველეს კერას წარმოადგენს. ნიკოლა ჩერნოკრაკი, აგრეთვე, კათოლიკური ინსტიტუტის პროფესორია, სადაც მართლმადიდებლურ თეოლოგიას ასწავლის. 2006 წლიდან იგი ბიბლიური კვლევის ასოციაციის თანა-პრეზიდენტი. მას ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. ნიკოლა ჩერნოკრაკი, 1951 წელს იუგოსლავიაში, თანამედროვე ხორვატიაში დაიბადა. 1973 წელს, ბელგრადის უნივერსიტეტში სწავლების შემდეგ, იგი განათლების გასაგრძელებლად პარიზში გადავიდა.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად, ნიკოლა ჩერნოკრაკმა ქართველი მღვდელმსახურებისა და თეოლოგებისთვის სამაგისტრო და სადოქტორო კურსებზე ყოველწლიური სასწავლო ვიზები მოიპოვა.

მამაო ნიკოლა, როგორ ფიქრობთ, რთულია სასულიერო პირისთვის მოღვაწეობა ისეთ ქვეყანაში, სადაც საჯარო სივრცეში რელიგიური ინსტიტუტები წარმოდგენილი არ არის?

საფრანგეთში, რომელიც დღეს პოსტ-მოდერნული ქვეყანაა, ერთი საუკუნის წინ საერო და საეკლესიო პირებს შორის დაძაბულობა იმდენად დიდი იყო, რომ თუ მასწავლებელი და მღვდელი ერთმანეთს ქუჩაში შეეჩვენებოდნენ, ერთ-ერთი აუცილებლად ქუჩის მეორე მხარეს გადავიდოდა. დღეს ჩვენ აღარ გვიხდება ტროტუარის გამოცვლა, თუმცა ერთმანეთს მაინც არ ვესაუბრებით. დღესაც არ არსებობს დიალოგი ამ ორ სამყაროს – ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, თუმცა, მომავალში ეს შესაძლებელია შეიცვალოს. მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებლურ რელიგიას ბევრი სისუსტე ახასიათებს, იგი არასდროს არ ჩამოყალიბებულა



სისტემა. რა თქმა უნდა, ცარიზმის ეპოქაში ეკლესია რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას ჰყავდა დამორჩილებული, მაგრამ ეკლესიაში ყოველთვის არსებობდა გამონაკლისი.

აი, ახლა, ჩვენ წმინდა სერაფიმეს ეკლესიაში ვიმყოფებით. სერაფიმე იყო ადამიანი, რომელიც ცხოვრობდა გაზიზნული, სისტემის გარეთ. ეს იყო პუშკინის ეპოქაში. მართალია, პუშკინი და სერაფიმე ერთმანეთს არ იცნობდნენ, მაგრამ ორივე მათგანი იმ ეპოქის

სიმბოლოებს წარმოადგენენ. განახლება ეკლესიაშიც მოხდება, მხოლოდ ამ სისტემის გარეთ მყოფი ადამიანების მიერ. თუმცა, მე ახლა, ალბათ, უკვე ვცდილდები თემას...

აი, ახლა, ხელთა მაქვს იფსოს – ფრანგული სოციალური კვლევების ინსტიტუტის მონაცემები, რომლის მიხედვით, 1968 წელს, ყოველ კვირადღეს ეკლესიაში 37 % ფრანგი ქრისტიანი დადიოდა, 1988 წელს – 25%, დღეს კი 7%-ზე ნაკ-

ლები. მამაო ნიკოლა, არ გეშინიათ, რომ მალე უშუშევარი დარჩებით?

გულწრფელად ვფიქრობ, რომ ეს სიტუაცია სჯობს, ვინაიდან ეკლესია არ არის ადგილი, სადაც ხალხი ძალით უნდა მოდიოდეს. ეკლესიაში მორწმუნენი არ შეიძლება იმის გამო მოდიოდნენ, რომ ამას ზოგადი სოციალური მდგომარეობა მოითხოვს. ადრე ხალხი ეკლესიაში ისე დადიოდა, როგორც დღეს ლუქსემბურგის ბაღში დილის „ჯოგინგზე“. ეს ცხოვრების წესი, მოდა გახლდათ. დღეს ქვეყანა თავისუფალია ამ სოციალური წნეხისგან და ეს ძალიან კარგია.

ჩვენი, ეკლესიის მსახურთა გამოწვევა ისაა, რომ გამოვნახოთ ენა, რომელიც დღეს, თავისუფალ, არატრადიციულ ადამიანს დაინტერესებს.

დღეს ადამიანი არ ცხოვრობს ტრადიციაში და ჩვენ უნდა მოვნახოთ საშუალება, რომ რელიგიით აგნოსტიკოსებიც დავაინტერესოთ. ჩვენ ვცდილობთ, ერთად ვისაუბროთ ისეთ საკითხებზე, რაც ვერტიკალურ განზომილებაში გადაგვიყვანს, რაც საშუალებას მოგვცემს ღმერთსაც ველაპარაკოთ. ჩემი აზრით, ეკლესია, ყოველ შემთხვევაში, დასავლეთში, მონოდებულია, რომ მონახოს სულის და აზრის თავისუფლება. მაგრამ აქ ახალი არაფერია. პავლე მოციქული რას აკეთებდა, თუ არა ამას? იგი ცდილობდა ებრაელებსა და სხვა ხალხებს შორის არსებული უნდობლობის კედელი დაენერია. სამწუხაროდ, ეს კედელი დღესაც არსებობს და ეკლესიის, მაგრამ არა მარტო ეკლესიის, არამედ პოლიტიკოსების ფუნქციაც ისაა, რომ დაანგრეონ ამ უნდობლობისა და გაუცხოების კედლები.

ეკლესიას აქვს თავისი ადგილი საზოგადოებაში. მას, ასევე, თავისი ადგილი აქვს ეროვნულ საზოგადოებაშიც. და ამ გლობალიზაციის ეპოქაში მე კარგად ვგრძნობ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ნაციონალურ კულტურას. მიმაჩნია, რომ კულტურა, რომლის მატარებელი ეკლესიაა, არის როგორც ნაციონალური, ასევე უნივერსალური. ჩემი აზრით, მართლმადიდებლობამ აჩვენა, რომ შეიძლება დარჩე ისტორიულ კონტექსტში და ასევე გახდე უნივერსალური.

ჩვენ, მართლმადიდებლები, აქ – სა-

ფრანგეთში, უმცირესობაში ვართ და ეს მდგომარეობა გვაძლევს საშუალებას სხვანაირად შევიგრძნოთ პან-მართლმადიდებლობა, ვიდრე ჩვენ ამას ეროვნულ კონტექსტში შევიცნობდით. ვფიქრობ, რომ დიასპორის მდგომარეობაში არსებობამ უნიკალური შანსი მისცა ჩვენს ეკლესიას. ის გაფანტულობა, რაც დიასპორაში ცხოვრებას სდევს თან, უნივერსალურ ელფერს აძლევს ჩვენს ეკლესიას. მაგრამ, ამასთანავე, ჩვენ არ ვიჭრით ჭიპლარს ჩვენი ეროვნულობისგან.

დღევანდელი ეკლესიისათვის გამოწვევაა, რომ იგი არ გახდეს კერპ-თავყანისმცემელი. რა მოგვიტანა ჩვენ იუდეურ-ქრისტიანულმა ტრადიციამ? ცოცხალი ღმერთი, რომელიც ადამიანის ბედის თანამონაწილეა. ეს ღმერთი არ არის კერპი. დღევანდელ ეკლესიას სჭირდება თანამედროვე დისკურსის ხილვა.

მე ამ ენაზე საუბარი ვისწავლე წმინდა სერგის ინსტიტუტში და ეს მასწავლეს ბერდიაევმა, ფროლოვსკიმ, პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიის მოძღვარმა ილია მელიამ. თუ ჩვენი ინსტიტუტი თავისუფალია, ეს იმიტომ, რომ ეს თავისუფლება ჩვენ საფრანგეთის სახელმწიფომ, რესპუბლიკამ მოგვცა.

თქვენ მიიჩნევთ, რომ საფრანგეთში დღეს ეკლესია ისევე გამიჯნულია სახელმწიფოსგან, როგორც ეს მეოთხე საუკუნეებში, კონსტანტინე დიდის იმპერატორობამდე იყო?

ვფიქრობ, რომ ასეა და ასეთი მდგომარეობა ბევრად უფრო კარგია ეკლესიისათვის. მე ბევრი ესპანელი მეგობარი მყავს მღვდელმსახურებს შორის, ისინი იეზუიტები იყვნენ. ჩვენ ერთად ვსწავლობდით საფრანგეთში. ფრანკოს სიკვდილის შემდეგ, მოკლე ხანში, ისინი მარქსისტები გახდნენ. საოცარია, არა?! მეოცე საუკუნის დასაწყისში რუსეთში პირიქით მოხდა – მარქსისტები ქრისტიანი თეოლოგები გახდნენ...

ესპანეთი დღესაც თავის წარსულის შესახებ პოლემიკაშია ჩართული, განწყენებულია თავის წარსულზე. ესპანეთში საზოგადოება უფრო რადიკალიზირებულია, ვიდრე საფრანგეთში. ჩემი აზრით, ესპანეთის კანონმდებლო-

ბა, რომელიც უშვებს ჰომოსექსუალურ ქორწინებას და ჰომოსექსუალ წყვილებს ბავშვების აყვანის უფლებას აძლევს, საზოგადოების ანტიკათოლიკური განწყობით არის გამონეული. ესპანეთში ფრანკოს დროს ეკლესიას მთლიანად ეკავა საჯარო სივრცე, ეკლესია და სახელმწიფო ძალიან იყვნენ ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რამაც ზიანი უდავოდ ორივეს მიაყენა. და ეს საშიშროება არსებობს იმ ზოგიერთ პოსტკომუნისტურ ქვეყანაშიც, სადაც ეკლესია ცდილობს დიდი ადგილი დაიკავოს საზოგადო ცხოვრებაში. კომუნისტური სამყაროს გაქრობასთან ერთად, გაქრა ყველა ის ინსტიტუტი, რომელიც ადამიანისთვის შესაძლებელია მორალური ბურჯი გამხდარიყო. იდეოლოგია უნდა შეცვლილიყო, მაგრამ სამწუხაროდ, ეკლესია არ იყო მზად ეს ნიშა დაეკავებინა, რადგანაც მას ამისათვის ინტელექტუალურად მომზადებული ადამიანები არ ჰყავდა. მე არ ვიცი სიტუაციას ბევრ ქვეყანაში, მაგრამ სერბეთში და რუსეთში ამ მხრივ მდგომარეობა სავალალოა. მაგილათად გამოდგება ის, თუ როგორ ხდება ეპისკოპოსების განათლება. ისინი აბსოლუტურად არ არიან ინტელექტუალურად მზად იმ ფუნქციისათვის, რაც უნდა შესარულონ და ამავდროულად უდიდესი ძალაუფლება ეძლევათ.

მამაო ნიკოლა, თქვენ დაიბადეთ იუგოსლავიაში, გაიზარდეთ ბელგრადში. თქვენი წინაპრები სერბო-ხორვატი-იტალიელები იყვნენ. რამდენად დაგვენმარათ ქრისტიანობა ბალკანეთის ომის დროს?

რა თქმა უნდა, მოვლენებს უდიდესი გულსისყურით ვადევნებდი თვალს, ძალზე აფორიაქებული ვიყავი შინაგანად, მაგრამ ვერ ვლაპარაკობდი, ერთი სიტყვაც კი არ წარმომიტყვამს მაშინ. არ ვლაპარაკობდი იმიტომ, რომ ვხვდებოდი, ვერ ვახერხებდი სწორი სიტყვის მოძებნას, ჩემი სიტყვა დევიაციას განიცდიდა. მე ვერ ვიპოვე ჩემი ადგილი. ასე რომ, სიჩუმე ვარჩიე. და ეს ჩემი პირადი აპოკალიფსი გახდა, რასაც მე ვერ ჩავნვდი, ვერ გავიგე, იმიტომ, რომ მე ეს ქვეყანა მიყვარდა, მომწონდა მისი მულტიეთნიკური მხარე და ვფიქრობდი, რომ სიგიჟე იყო ამის დამსხვრევა.

ამასთან ერთად, მე ჩემი მრწამსის მიხედვით რესპუბლიკელი ვარ და ამიტომ მიმაჩნდა, რომ ის, ვისაც გამოყოფა უნდოდა, უნდა გამოყოფილიყო. ყოველი მხრიდან ბოროტება ჩანდა და ეს ყველაფერი ჩემთვის გაუგებარი დარჩა.

როგორც მართლმადიდებელ, ასევე კათოლიკურ ეკლესიაში, პროტესტანტულს არ შეეხებო, ვინაიდან მისი როლი ამ რეგიონში უმნიშვნელოა, პარტიკულარული დისკურსი ძლიერდება. იგივე ჯოზეფ რატცინგერი, დღევანდელი პაპი, აცხადებს, რომ ერთადერთი ეკლესია, რომელსაც ეკლესია შეიძლება ეწოდოს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით – კათოლიკური ეკლესიაა. მართლმადიდებელ ეკლესიაშიც, უფრო და უფრო ხშირად ცდილობენ, რომ რწმენა ეთნოსს დაუკავშირონ...

რა თქმა უნდა, მუხტი ძალზე ძლიერია, მუხტი, რომელიც მიიღების იმისკენ, რომ ქრისტეს ღვთაებრივ-ადამიანური ბუნება, ნაციონალურით შეცვალოს. ამ დროს ქრისტეს გაკერპების საშეშორება ჩნდება, მაგრამ ამასთან ერთად ეკლესია ეს მრევლია, ეს ხალხია, ეს ამ ხალხისათვის დამახასიათებელი კულტურაა, და ჩემი აზრით, ქრისტიანებს უნდა ეყოს სიმნიფე, რათა შეძლონ თავიანთი ისტორიის წაკითხვა.

მახსოვს, როდესაც 22 წლისა საფრანგეთში ჩამოვედი და სორბონაში დავინწყე სწავლა, გარშემომყოფთათვის მე სერბი ან იუგოსლაველი ვიყავი, ამ დროს, სინამდვილეში, შენ არა მარტო სერბი ან იუგოსლაველი ხარ, არამედ ცოტა მეტიც...

აი, ახლა, როცა შენ მოხვედი ჩემთან, მე სხვებს შენი თავი გავაცანი როგორც ქართველი, იმის მაგივრად რომ მე თქვა თუ ვინ ხარ. ასე რომ, ჩვენ ვერ ვახერხებთ ჩვენი ბედისგან, ჩვენი საზღვრებისგან გათავისუფლებას. ამის შემდეგ ეს ჩემსა და შენზეა დამოკიდებული, თუ როგორ შევძლებთ იმ ტვირთის ტარებას, რომელსაც ნაციონალიზმა შექმნა. დიახ, რა თქმა უნდა, ჩვენ – ეკლესიები, როგორც კათოლიკური, ისე მართლმადიდებელი, ვცოდავთ, როცა პარტიკულარისტულ დისკურსზე გადავიდვართ, მაგრამ, ამასთანავე, ძალიან ადამიანურია, რომ მე შენ ეროვნული

ნიშნით განგასხვავო. გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენ ჩვენი ეროვნული ცივილიზაციის მატარებლები ვართ.

მე მესმის, რომ დეკალოგის მეხუთე მცნება – „პატივი ეცი მამას და დედას, რათა დღეგრძელი იყო მიწაზე, რომელიც უფალს, შენს ღმერთს მოუცია შენთვის“ – ყველაზე ადამიანურია, ყველაზე ადვილია დაიცვა, მიუხედავად ამისა, არ მესმის ამ მცნების. შენ ეს საზღვრები უბრალოდ კომფორტს გიქმნის, გკარნახობს, როგორ იცხოვრო, რა აზრი აქვს შენ ცხოვრებას. ეს კი ილუზიაა, ეს ის ჰორიზონტია, რომელზეც ნიციშე ლაპარაკობდა, ფილოსოფოსი, რომელიც დიდად არ არის პატივცემული ღვთისმსახურთა შორის.

ვიცი, რაზეც მიმანიშნებ და გეტყვი, რომ ნიციშე აბსოლუტურად სწორი გახლდათ, როცა ამბობდა, რომ ღმერთი მოკვდა. ღმერთი ისეთ სისტემაში, ისეთ ჩარჩოში მოაქციეს, რომ ის მოკვდეს. ჩემი აზრით, რელიგია მუსიკასავით არის. შენ გაქვს მცდელობა მუზიკირების, რათა ჰარმონია მოხახო. ამ დროს შესაძლებელია ღმერთზე საუბარი ახალი ენით. ამიტომაც არის, რომ აპოფატკურ ენას მართლმადიდებლებისათვის ასეთი დიდი მნიშვნელობა გააჩნია. რაც შეეხება შენი კითხვის პირველ ნაწილს, გეთანხმები, რომ ილუზია ძლიერია და რომ ეს ილუზია ასევე წყაროა სხვისი, არა შენაირის შიშისა, და რელიგიის როლი სწორედ იმაშია, რომ ეს შიში ჩააქროს და არა გააღვივოს.

ლონდონის სუროჟის ეპარქიაში, 5-6 წლის წინ, ეკლესიის თემის იმ ნაწილმა, რომელიც ბოლო, პოსტსაბჭოთა ემიგრაციას წარმოადგენდა, თავისი წესების დაკანონება გადაწყვიტა. ისინი აღშფოთებული იყვნენ იმით, რომ ძველი ემიგრაციის მორწმუნე ქალები ეკლესიაში შარვალში ან თავშიშველი დადიოდნენ. წარმოშვა თუ არა იგივე პრობლემები პარიზის პოსტსაბჭოთა ემიგრაციაში?

არა, ასეთი პრობლემები არ ყოფილა, რადგან აქ ორმოციოდე მართლმადიდებლური ეკლესიაა და ვისაც სად ურჩევნია, იქ ლოცულობს. აქედან ხუთი წუთის მანძილზე, მოსკოვის საპატრიარქოს ეკლესიაა და იქაური მრევლი ძირითადად პოსტსაბჭოთა ემიგრაციაა.

ჩვენთან მრევლი ბევრად უფრო მრავალფეროვანია. ფრანგების გარდა, ბევრია ამერიკელი, ბალკანელი, სლავი... და თუ ჩვენ მრევლში ერთობა სუფევს, ეს ფორმალიზმის ხარჯზე არ ხდება.

თქვენ ახსენებ, რომ ეკლესიას ჭირდება თანამედროვე სიტყვის, თანამედროვე დისკურსის მონახვა. ბრიტანეთის მაგალითებით რომ გავაგრძელოთ, იქ ახალი ალექსანდრე უკვე ნათარგმნია Cockney Rhyming ჟანრის, არსებობს სახარებების ლეგოს და კომიქსების ვერსიაც. ეს კენტრებრის მთავარეპისკოპოსის მიერ დაშვებული ვერსიებია. დროისათვის ფენის აწყობის მცდელობისას ეკლესია „რამდენად შორს“ შეიძლება წავიდეს?

მე, როგორც ახალი ალექსანდრე უკლესისტი და პედაგოგს, მესმის თუ რა პრობლემების წინაშე დგას დღეს ადამიანი. ჩემი აზრით, მთავარია მკითხველს შინაარსი გადასცე, ფორმას კი ნაკლები მნიშვნელობა აქვს. ამ გადაცემისათვის საჭიროა მოიძებნოს ის ენა, რომელზეც მკითხველი ლაპარაკობს და კითხულობს. ამ მხრივ, თავისუფლება ენის არჩევანში აუცილებელია. თქვენ ეს თავისუფლება თვით ახალ ალექსანდრე უკლესისტი გავაქვთ, სადაც ოთხი სახარებაა და ოთხივე მათგანი განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგრამ ენის თავისუფლება არ უნდა გამოიწვიოს ეკლესიაში სხვისი დისკრედიტაცია, როგორც ამას პავლე მოციქული ამბობდა კერპებისადმი შეწირულ ხორცთან დაკავშირებით. ჩემი აზრით, დასავლეთის ეკლესიამ ზედმეტად ახადა ნილაბი მისტერიას – საიდუმლოს და უკვე აღარც იცის, სად არის მისტერია. მართლმადიდებელი კონფესია უფრო არქაულია და ეს არქაულობა ახსნას მოითხოვს. მართლმადიდებლობაში ყოველთვის იყო მისტერიის შენარჩუნების ტრადიცია, რადგანაც ღმერთი ადამიანისათვის საიდუმლოებაა. რა თქმა უნდა, ეს საიდუმლო ენის მეშვეობით უნდა აიხსნას, მაგრამ არა მისტერიის გაბანალურებით.

საფრანგეთში საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში გაცხარდა პოლემიკა ევთანაზიაზე. არის ბიოეთიკის სხვა

საკითხები, რომლებიც დღეს საკანონმდებლო ორგანოებში განიხილება და რომლებზეც დისკუსია ეკლესიაშიც მიდის. მაგალითად, შარშან აგვისტოს, ჰოლანდიაში, ქვეყანაში, სადაც 10 წელია ევთანაზიის პრაქტიკა არსებობს, პატარა სკანდალი მოხდა, როდესაც მღვდელმა უარი თქვა წესი აეგო თავისი მრევლის წევრისთვის, რომელმაც ევთანაზიით დაასრულა სიცოცხლე. მამაო ნიკოლა, რას ფიქრობთ, შეძლებს დღეს ეკლესია საფრანგეთში მეცნიერებასთან ჰარმონიულ ურთიერთობას? არის ეს თქვენთვისაც გამონკვევია?

მართლმადიდებლურ ეკლესიას აქვს უნარი მეცნიერებას აკომპანიონება გაუწიოს. ჩემი აზრით, მართლმადიდებლურ ეკლესიას არ უნდა ჰქონდეს აპრიორისტული, ხისტი პოზიცია ზოგადად მედიცინის და კერძოდ, ევთანაზიის მიმართ. ეს ის საკითხებია, რომლებზეც საჭიროა ფიქრი, განსჯა. თვით ფრანგულ საჯარო სფეროშიც არ არსებობს კონსენსუსი. მთავარია, ეკლესიას არ ჰქონდეს წინასწარ განსაზღვრული ხისტი პოზიცია. მაგალითად, დღეს პროტესტანტულ სამყაროში მიდის დებატები ქალთა ხელდასხმის შესახებ. არ არსებობს დოგმატური წინააღმდეგობა, რომელიც ქალთა ხელდასხმას უარყოფდა. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობამ ძალიან ბევრი გააკეთა ქალის გათავისუფლებისათვის, ქრისტიანულ და იუდეურ ტრადიციაში ქალს ეს როლი არ აკისრია.

თუმცა პავლე მოციქული რომაელთა ეკლესიისადმი მიწერილი ეპისტოლეს ბოლო თავში ახსენებს ქალებს – მათ შორის, პირველ რიგში, ფებეს, კანქრეას ეკლესიის დიაკონს. იგივე პორფირი, მესამე საუკუნის ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსი და ქრისტიანობის დიდი კრიტიკოსი, ქრისტიანულ ეკლესიებს, დამცინავად, ქალთა სენატად მოიხსენიებდა. ეს ფაქტები იმაზე მიანიშნებს, რომ ქრისტიანები იმდენად ღია იყვნენ ქალების მიმართ, რომ მათ, ამ, ასე ვთქვათ, ფემინისტური მიდგომის გამო, აკრიტიკებდნენ კიდევც.

კანონიკურობა არა კანონის თავზე მოხვევა, არამედ ზომიერების ძიებაა. ეკლესიას არასდროს უთქვამს, რომ კანონი დოგმაა. ეკლესიის ისტორიაში არ-

სებობდა ძალიან მნიშვნელოვანი კანონები, რომლებიც დღეს მივიწყებულია და აღარავინ იყენებს. პროტესტანტული ეკლესიები უფრო ქადაგების ლოგიკის გავლენის ქვეშ არიან, მართლმადიდებელი ეკლესია კი ზიარებაზეა ორიენტირებული. ამასთან ერთად, არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ ეს საკითხი, პროტესტანტულ სამყაროში წარმოიშვა. მართლმადიდებლურში იგი არ დასმულა. ზოგადად, მართლმადიდებელ

ნისუა ახსოლუტურად სნორი ბახლდათ, როსა აზოზდა, რომ ლბერთი მოკვდა. ლბერთი ისათ სისტამაში, ისათ ჩარჩოში მოაქსიეს, რომ ის მოქლეს. ჩამი აზრით, რელიგია მუსიკასავით არის. შენ ბაქვს მსლელობა მუზისირების, რათა ჰარმონია მონახო. ამ დროს შესაძლებელია ლბერთში საუბარი ახალი ენით.

ეკლესიას უფრო მეტად ხიზლავს სიტყვის გადაცემა ვიდრე ტრადიცია, ვინაიდან ტრადიცია უცვლელია, ტრანსმისია კი ცვლილებას უშვებს.

თქვენ ჯერ ბელგრადის თეოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობდით და შემდეგ პარიზში, წმინდა სერგის ინსტიტუტში განაგრძეთ განათლება. რა განსხვავება იყო ამ ორ თეოლოგიურ სკოლას შორის?

ბელგრადში ლმერთისადმი დისკურსი აპოლოგეტური იყო, შთაბეჭდილება მექმნებოდა, რომ ჩემი პედაგოგები ლმერთს იცავდნენ ვილაცისგან. ამასთან ერთად, ბელგრადში დისკურსი დოგმატური იყო. მე ეს მიდგომა ჟანგბადის

გარეშე მტოვებდა. აქ ჩამოსვლისას შევხვდი ხალხს, რომლებიც ღმერთთან შერიგებული იყვნენ და მათი დისკურსი დაფუძნებული იყო ღმერთში ცხოვრების გამოცდილებაზე. ეს იყო პერიოდი ისეთი დიდი ფილოსოფოსებისა, როგორებიც იყვნენ ბერდიაევი, ლოსსკი და სხვა მრავალი. ისინი მართლმადიდებლური თეოლოგიის მოდერნიზატორები გახლდნენ. მე ვიტყვოდი, რომ მათ წმინდა მამების მოდერნიზება შეძლეს იმ გაგებით, რომ ისინი მკითხველს დაუახლოვეს. ასე გახდა წმინდა სერგის სკოლა ჩემი სახლი. სახლი, სადაც ჯერ ვსწავლობდი, შემდეგ ვასწავლიდი და რომელსაც ახლა ვხელმძღვანელობ. დღეს წმინდა სერგის ინსტიტუტი აბსოლუტურად საერთაშორისო სტრუქტურაა, სადაც ასწავლიან ფრანგები, ბერძნები, ამერიკელები, რუსები, რუმინელები... გარემო ძალიან ინტერნაციონალურია. დღეს სკოლაში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სამასამდე სტუდენტი სწავლობს. გვაქვს ლიტურგიული გალობის და იკონოგრაფიის სახელოსნოები. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საშუალებით მოვიპოვე სტიპენდიები ქართველებისათვისაც. ამჟამად გვყავს სტიპენდიანტი მამაო აბო თბილისიდან, საპატრიარქოს მიერ გამოგზავნილი. იმედი მაქვს, რომ სექტემბრიდან ახალი სტუდენტები გვეყოლება საქართველოდან.

1973 წელს, საფრანგეთში ჩამოსვლისას, წმინდა სერგის ინსტიტუტში მამაო ილია მელია გავიცანი, რომელიც უნიკალური ადამიანი გახლდათ. ეკუმენიზმი მისი ნამდვილი მოწოდება იყო. ამ ძალზე ღია ადამიანს, ერთი თვისება გააჩნდა, რომელიც მუდამ მხიზლავდა: ის ყოველთვის ყველაზე სუსტს იცავდა. მაგალითად, თუ კლასში ისეთი მოსწავლე გვყავდა, რომელიც ზარმაცობდა და ყველა მის გარიცხვას მოითხოვდა, მამა ილია ყველაფერს აკეთებდა მის დასაცავად. როდესაც ის ხანში შევიდა, წირვის ჩატარება უჭირდა და დახმარებას მე მოთხოვდა ხოლმე. ბოლო ერთი წელი, წმინდა ნინოს ქართულ ეკლესიაში წირვის ჩატარებაში მამა ილიას მე ვეხმარებოდი. ასე რომ, პირადად მე, საქართველოსთან განსაკუთრებული გრძნობები მაკავშირებს.





„ბუნტარები“

ავტორი სალომე აფხაზიშვილი
ფოტო ლევან ხარხაულიძე
ილუსტრაცია თაქო ბაქრაძე

სპექტროექტისთვის მისურები მოგვანოდა www.maikaprint.ge-მ

„ნუ გვატყუებთ!“;

„სწავლა უფლებაა და არა პრივილეგია“;

„არა ექსპლუატაციას!“;

ცოდნა გასაყიდი პროდუქტი არ არის!“;

„შორს შენი რელიგიური ხელები, ჩემი წმინდა სხეულიდან“;

„პური და წიგნები!“;

„ავტონომია უნივერსიტეტს!“ – ეს იმ ლოზუნგების არასრული ჩამონათვალია, რომელთაც, ბოლო რამდენიმე წელია, საუნივერსიტეტო სივრცეებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხშირად გაიგონებთ. ამ მოთხოვნების შინაარსი განსხვავებულია, მაგრამ საერთო აქვთ ძლიერი საპროტესტო მუხტი, რაც ამ ახალგაზრდულ მოძრაობებს კვებას.

პროგრესისა და ცვლილებისთვის ჩემი თაობის წარმომადგენლები თავისებური მეთოდებით იბრძვიან – მუსიკა, პერფორმანსი, ტექსტი, აქცია, დისკუსია, ფილმები, საჯარო ლექციები და ა.შ. უნივერსიტეტების ეზოებში, პარკებსა თუ მოედნებზე, ისინი ხშირად იკრიბებიან და ერთმანეთს იდეებს უზიარებენ, ცდილობენ სტერეოტიპების დარღვევას და აკრიტიკებენ დამახინჯებულ ტრადიციებს.

ზოგიერთი მათგანი იმდენად ამბიციურია, რომ იფიქრებ, ოცი წლის ასაკში უკვე მთელი სამყაროს შექმნა მოასწრესო. ადარდებით თავიანთი თაობისთვის დამახასიათებელი ინდიფერენტულობა და ინერტულობა, ამიტომ არც თანატოლების მხილებას ერიდებიან. ერთი შეხედვით, გეგმები ჩამოყალიბებული აქვთ, მაგრამ სისტემასთან გამარჯვების, ანდა პროტესტის მეთოდოლოგიური წარმართვის გამოცდილება ჯერჯერობით მხოლოდ მცირე მათგანს აქვს.

ვეჭვობ, ერთჯერადი აქციებით, ქაოტური შეკრებებით, ანდა თუნდაც შთამბეჭქდავი პერფორმანსებით პროცესის ბოლომდე მიყვანა იყოს შესაძლებელი. ეს თავისდამშვიდებას უფრო ჰგავს. თუმცა, არც ნაადრევ შეფასებებს გთავაზობთ. პირიქით, ვესაუბრები იმ აქტიურ სტუდენტებს, რომლებიც არ ხუჭავენ თავალს პრობლემებზე და ვსვამ კითხვას: რამდენად შეძლებს ამ ახალგაზრდების ზოგჯერ ვიწრო-ინდივიდუალური და ერთ კონკრეტულ სივრცეში მოქცეული, ფრაგმენტული პროტესტი ფართო მოძრაობად ქცევას, რომელმაც განვითარების უწყვეტი, ერთიანი პროცესი უნდა უზრუნველყოს?

პასუხზე ერთად ვიფიქროთ.



ლიკა ბაბნიძე – 22 წლის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კინო-ტელე ხელოვნების მიმართულება

„ბახლი ვეგანი!“

ლიკა ვეგანი-აქტივისტია. ხმაურიან აქციებსა და დემონსტრაციებზე არ ჩანს, მაგრამ ერთ ქართულ ტრადიციას აპროტესტებს, რაც, მისი აზრით, პრობლემების წყაროა. ესაა ხორცისა და ცხოველური საკვების კულტი. ამის მიმართ აგრესია ჯერ კიდევ ბავშვობაში, სოფელში გაუჩნდა. თითქოს, არაფერი – ერთ დღეს, მამამ მის თვალწინ ქათამი დაკლა, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა: „პირველად ვნახე მაშინ ასეთი რამე – როცა თავნანყვეტილ ქათამს უყურებდა, ჩემი ძალლი ტიროდა, მეც ბოლო ხმაზე ვტიროდი“. 15 წლის იყო, როცა ლომისობის დღესასწაულზე, ხარის დაკვლის რიტუალს უყურა, ვერ მოითმინა და სასულიერო პირს შეეკამათა. ორ წელიწადში კვების რაციონიდან ხორცი საერთოდ ამოიღო. ექვსი თვის წინ კი აიკრძალა ყველა ის

საკვები, რომელიც ცხოველების ექსპლუატაციასთანაა კავშირში.

უმცირესობაში ყოფნით გამოწვეული დისკომფორტის დაძლევა ლიკამ სოციალურ ქსელში, თანამოაზრებთან დაახლოებით დაიწყო. ფეისბუქის გვერდი შექმნა და რამდენიმე თვის წინ, ვეგეტარიანელთა ინტერესების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია დააარსა. მათი აქტივობები, ჯერჯერობით, ბლოგზე პოსტების გამოქვეყნებით შემოიფარგლება, თუმცა უნდა, რომ ვეგეტარიანული კაფე გახსნას – მწვანე ინტერიერით, კინოკლუბით, სასიამოვნო მუსიკით, გემრიელი, ვეგეტარიანული მენიუთი და თემატური პერფორმანსებით.

ლიკა მეუბნება, რომ მისი არჩევანი ბევრ უცხო ადამიანში იწვევს გაოცებას. „როდესაც სუპერმარკეტში მცენარეულ საკვებს დავეძებ, მომსახურე

პერსონალი გაკვირვებული მეკითხება – კი მაგრამ, მარხვა ხომ არ არის და რად გინდათ?“

„ადამიანებისგან განსხვავებით, რომლებსაც შეუძლიათ არასასურველი გარემო შეძლებისდაგვარად შეცვალონ, ცხოველები უსუსურები არიან. ჩემ მოსაკლავად, რომ ვინმე მოვიდეს, ამას ხომ ვიგრძნობ? ასევე გრძნობს ცხოველი, როდესაც მის მოკვლას აპირებენ“, – მარწმუნებს ლიკა და ამბობს, რომ მისთვის ცხოველების ყოველგვარი ექსპლუატაციაა მიუღებელი – ქუჩაშიც, ქარხანაშიც, სახლშიც: „თავისუფალი ვარ, რადგან ჩემს კუჭზე მალა ვარ. მიხარია, რომ დავფასე სიცოცხლე. არ აქვს მნიშვნელობა, ვისი სიცოცხლე – ჩემთვის ადამიანი და ცხოველი ერთნაირად ხელშეუხებელია“.



ქეთო ფროიდი (გჟალდიშვილი) – 21 წლის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფსიქოლოგიის მიმართულება

„დავითასია ინვესტ პროგრამა“

მისი პროტესტი სახელითა და გვარით იწყება. მობეზრდა ყველგან და ყოველთვის ქეთი მჭედლიშვილის სახელით სიარული, ამიტომ პროფესიით ფსიქოლოგმა, ფსიქონალიზის ფუძემდებლის გვარი საკუთარ ფსევდონიმად აქცია. პირველ ინტერვიუზე ქეთო მშრომელთა უფლებების მხარდამჭერი აქციიდან მოვიდა, თუმცა თქვა, რომ ასეთ აქციებს ხშირად აზრი ეკარგება, რადგან მშრომელთა უფლებების დამცველი ორგანო, ისევე როგორც, სხვა სტრუქტურები, ხელისუფლებას ემორჩილება, აქციებიც უშედეგოდ სრულდება.

ქეთო აქტიური ადამიანია და მეუბნება, რომ ასეთია სკოლიდანვე. მეცხრე კლასში იყო, როცა ისტორიის მასწავლებლის გამოცვლა გააპროტესტა, კლასელები აიყოლია, თავისი მოთხოვნა ფურცელზე დაწერა, გაიფიცა

და დირექტორის კაბინეტთან აქცია გამართა. გაიმარჯვეს. კლასს მასწავლებელი დაუბრუნეს.

შემდეგ, უკვე უნივერსიტეტში, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, უამრავი მიზეზი იპოვა, რომელთა გამოც წყნარი და მდორე სტუდენტობა ვერაფრით ექნებოდა. ჯერ იყო და ფაკულტეტს რომ ბიბლიოთეკა არ ჰქონდა, ის არ მოეწონა. ამით დაიწყო ხელმოწერების შეგროვების მთელი სერია, რაც შემდეგ, მისი სტუდენტური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. 2011 წლის მარტში უნივერსიტეტის მესამე კორპუსის სარდაფში, კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა გაიხსნა. ამას მოჰყვა ფსიქოლოგთა კლუბის გახსნა უნივერსიტეტში, სადაც ყოველკვირულ დისკუსიებს და ფილმის ჩვენებებს აწყობენ; შემდეგ – საინიციატივო

ჯგუფი – „თარგმნე“ მთავარი მიზნით – ქართულ ენაზე ითარგმნოს ის პროფესიული ლიტერატურა, რაც სტუდენტებს პროფესიული ზრდისთვის სჭირდებათ. და ბოლოს - ქეთო ფროიდს უნდა, რომ უნივერსიტეტში ფსიქოლოგთა ლაბორატორიაც გახსნას თავის მეგობრებთან ერთად, სადაც პროფესორების დახმარებით ჩაატარებენ კვლევებს, გამოკითხვებს, ფოკუს-ჯგუფებს, რაც მათ ფსიქოლოგიაში პრაქტიკული უნარების განვითარებაში დაეხმარებათ.

ქეთოს სამოქმედო სტრატეგიაა: „როდესაც რაიმე ღონისძიების/აქციის ორგანიზატორი ხარ, უნდა განსაზღვრო შენი მთავარი მიზანი და შეძლო ამ მიზნის გარშემო, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოიძიო, რომ უფრო მეტი ძალით შეუდგე მიზნისკენ სვლას“.



ნიკა მებრაღიშვილი – 22 წლის

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, დრამის რეჟისორი

„პროგრესი ითხოვს სვლილებას“

ზოგადად, პროტესტის იდეა თუ მოსწონს, ეს, პირველ რიგში, მუსიკის გამოა, ამიტომ ლაპარაკს ასე იწყებს: „ბავშვობიდან Rolling Stones-სა და Pink Floyd-ს ვუსმენდი. კარგი მუსიკა კი ყოველთვის გიქმნის პროტესტს ჩვეულებრივისადმი. შენ არ გსურს, რომ სტანდარტული, მოსაწყენი ცხოვრებით იცხოვრო. მუსიკაც სწორედ ესაა: ორიგინალური ფორმით მონოდებული ამბავი, რომელიც გიტაცებს, მოგონს და გაღელვებს. ამას ცხოვრებისეული გამოცდილება ემატება და ხვდება, რომ თვითგამოხატვის სხვა გზებიც არსებობს“.

ნიკა ყოველთვის აპოლიტიკურობით გამოირჩეოდა, მაგრამ უნივერსიტეტსა და თეატრში ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა „აიძულა“ ხმამაღალი პროტესტის მონაწილე გამხდარიყო. გასული წლის მიწურულს, რუსთაველის თეატრის წინ, რობერტ სტურუას მხარდამჭერ

აქციაზე მისულ ათამდე სტუდენტს შორის ნიკაც იყო. წელს კი, როდესაც სახელოვნებო სასწავლებლებს სტატუსი შეუცვალეს, მათ მიერ ორგანიზებულ აქციაზე, თეატრალურ უნივერსიტეტს მხოლოდ ნიკა წარმოადგენდა: „ჩავთვალე, რომ სასწავლებელში, სადაც ერთს მეუბნებიან და სრულიად საპირისპიროს მიკეთებენ, ჩემი, როგორც სტუდენტის და როგორც მოქალაქის, ვალი იყო, პოზიცია ძალიან მკაფიოდ და რადიკალურად გამოემხატა“.

ორი თვეა, სადიპლომო სპექტაკლზე მუშაობს, ამიტომ ჩვენი შეხვედრაც სანდრო ახმეტელის სახელობის ოთახში შედგა. ზემოთ აღნიშნულმა მოვლენებმა ნიკას არჩევანზეც იმოქმედა და სადიპლომო ნამუშევრის თემად, აბსურდისტი დრამატურგის, სლავომირ მროჟეკის პიესა – „ღია ზღვაში“ შეარჩია. მოქმედება ზღვაში, გემზე ვითარდება, სადაც სამი ადამიანია. საკვების გამოლევის შემდეგ, დგება მო-

მენტი, როდესაც მეზღვაურები ერთმანეთის ჭამას იწყებენ. მროჟეკის ამ პიესის მორალი ასეთია: ზღვა ჩვენი ცხოვრებაა. მასში ცურვისას ყოველთვის დგება დრო, როცა ადამიანები თავიანთ სახეს კარგავენ და აკეთებენ ყველაფერს, რაც არაადამიანურია: „ამ სპექტაკლში ადამიანებს თავიანთ სახეს ვაჩვენებ, – ამბობს ნიკა, – როდესაც ამდენი ადამიანის გულგრილობას აწყდები, როცა ყოველთვის ნეიტრალურ პოზიციას ირჩევ და, ზოგადად, არ ინტერესდები შენ გარშემო მიმდინარე პროცესებით, უდავოა, რომ კაციჭამიის პოზიციას ირჩევ“.

ნიკა მეუბნება, რომ მაცურებლისთვის სპექტაკლი მძიმე სანახავი იქნება, რადგან საკუთარი თავის დანახვა კაციჭამიის როლში არავის მოეწონება. მისი სადიპლომო სპექტაკლის პრემიერა მისის ბოლოს, იმავე დარბაზში გაიმართება, სადაც ჩვენი საუბარი შედგა.



მარიამ ბააზოვი – 20 წლის

საქართველოს უნივერსიტეტი, ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულება

„იდეები ტყვიანობარია“

საზოგადოებაში და განსაკუთრებით კი, მის თაობაში არსებული სტერეოტიპების, სტატიკურობისა და ინდიფერენტულობის გაპროტესტებას მარიამ ბააზოვი კინოს საშუალებით ცდილობს. უნივერსიტეტში ჩაბარებისთანავე, თითქმის მარტომ, კინო კლუბი გახსნა. პირველი ფილმი, რომელზეც სტუდენტები დაპატიჟა – დენის განზელის რეჟისორობით გადაღებული „ექსპერიმენტი“ იყო. ამ ფილმით თქვა: კონფორმიზმის შედეგია ის, რომ საბოლოოდ, ასეთი ადამიანი ტოტალიტარული სახელმწიფოს მსხვერპლი ხდება. მარიამმა მეგობრებს სთხოვა, კინორევენებაზე თეთრი ტანსაცმლით მისულიყვნენ – ისევე როგორც, ფილმშია. „ჩემთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ყოველი კინორევენების შემდეგ, ვამჩნევ, რომ ამ ადამიანებში რაღაც იცვლება და ისინი ფიქრს იწყებენ.“

სწორედ, ეს ის ადამიანები არიან, ვისგანაც ცვლილებას არ ველოდები“, – მეუბნება ინტერვიუს დროს.

კინოკლუბის ორგანიზება მარტოს უწევს, თუმცა ამბობს, რომ რადგან ამით თავის სათქმელს გამოხატავს, დროის ხარჯვად ნამდვილად ღირს.

მარიამის მშობლები ებრაულ წესებს ზედმინევენით იცავენ, მისთვის კი რელიგიური თაყვანისცემის დამკვიდრებული ფორმებით ცხოვრება უცხოა. ეს 13 წლის ასაკში გაიაზრა, როდესაც იერუსალიმში, მართლამდიდებლების, იუდეველებისა და მუსულმანების ლოცვას უყურა და მიხვდა, რომ ლოცვა განმარტოებით, მასობრივი აღტკინების გარეშე სჯობს.

თანატოლების მიმართ ყველაზე მძაფრი პროტესტი 2004 წელს, საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს გაუჩნდა, როცა ამ მიზეზით

სასწავლო პროცესი ჩაიშალა: „ვიდეო და ვუყურებდი, როგორ ყვიროდნენ ჩემი კლასელები – „მიშა! მიშა!“, მასწავლებლები კი ამით ბედნიერები იყვნენ. დამრიგებელს ვკითხე კიდევ, რა იყო ზეიმის მიზეზი, მან კი თავიდან მომიშორა, შენი საქმე არ არისო“.

„იმისათვის, რომ შექმნა რაღაც ღირებული, ამისთვის საჭიროა გქონდეს პროტესტის გრძნობა!“ – ამბობს მარიამი. და ამისთვის საჭიროა, ალბათ, ფორმაც. მარიამმა მგონი, ამ ფორმასაც მიაგნო.



ლაშა ქავთარაძე – 20 წლის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჟურნალისტიკის მიმართულება

„აზროვნება ბათავისუფლებს“

ჩაკეტილი სივრცის გარღვევის სურვილი ლაშას ცხოვრებაში რელიგიური დოგმების ეჭვის ქვეშ დაყენებით დაიწყო. პარალელურად, იზრდებოდა პასუხგაუცემელი კითხვების რაოდენობაც. უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ, ლაშა მოხვდა იმ ადამიანების წრეში, რომლებიც მის მსგავსად აზროვნებდნენ, ამან კი მეტი ინფორმაციის მიღების საშუალებაც მისცა. ხატები და სხვა სიმბოლოები თავისი ოთახიდან გაიტანა, კითხვებზე პასუხების გაცემა დაიწყო და ამგვარ დასკვნამდე მივიდა: „არ არის აუცილებელი, ყველაფერი ჩარჩოში მოაქციო, მით უმეტეს, ისეთი საკითხები, რომლებიც აზროვნებასთანაა დაკავშირებული. ჩემთვის მთავარი ღირებულება არის ცალკე აღებული აბსტრაქტული ადამიანი, და არა ქვეყანა, ტერიტორიული ნაგლეჯები, მისი დამახასიათებელი ნიშნები და ა.შ. ამის

გააზრება ყველას შეუძლია, მთავარია, გქონდეს რაიმეს ძიების სურვილი“.

საკუთარ თავში ჩალრმავებისა და ალტერნატიული გზების ძიება ლაშამ წიგნებით დაიწყო. თითქმის სულ კითხულობდა, მერე, როგორც ხდება ხოლმე, ლაშამ წიგნების პერსონაჟებში თავისი თავი იპოვა. მიხვდა, რომ მისი საქმე წერა უნდა ყოფილიყო, ეს იქნებოდა ინსტრუმენტი გარემოში რალაცების შესაცვლელად. მეუბნება, რომ მისთვის წერა იდეალია და ჟურნალისტიკა, როგორც პროფესია, ამ იდეალთან მიხლოების საუკეთესო საშუალება.

ახლა ბლოგერია. მისი პოსტების მთავარი თემა ჟურნალისტური განათლების ხარვეზებია. ამბობს, რომ ჟურნალისტიკის სწავლა მხოლოდ ამერიკულ „ქეისებზე“ დაყრდნობით, შეუძლებელია. ის სტუდენტ-ჟურნალისტებსაც აკრიტიკებს, რომლებიც ხშირად

ზუსტად იმ უნარების განვითარებას არ ცდილობენ, რაც მათთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს: არ ცდილობენ ინფორმაციის „ქექვას“, თვალსაწიერის გაფართოებას, არ აქვთ მოტივაცია, პროფესიულად გაიზარდონ: „ცხოვრების მთავარი „მულამი“ და ხალისი სწორედ ის არის, რომ მუდმივად მოახერხო შენი თავის მოტივირება, რომ რალაცისთვის იბრძოლო, ან რალაცას ებრძოლო, ოღონდ ეს არ უნდა იყოს ბრძოლა ბრძოლისთვის, თვალსაწიერიდან არ უნდა დაგეკარგოს იდეალი, რომლის მიღწევაც გასურს. თუ ბრძოლისა და აქტივიზმის სურვილი არ გაქვს და გადადიხარ სტატიკურ მდგომარეობაში, ვერ ვხვდები, რატომ ირჩევ ჟურნალისტიკის პროფესიას, და საერთოდ, რა აზრი აქვს ცხოვრებას?“



აკადემიის ალტერნატიული ჯგუფი

აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემია

„უარი სწავლავს მოქველავს მიღობავს!“

სამხატვრო აკადემიაში არსებული სწავლის სისტემის გაპროტესტება, აკადემიის სტუდენტების ერთმა ჯგუფმა რამდენიმე თვის წინ დაიწყო. 1990-იან წლებში არსებული ალტერნატიული ჯგუფების – „ფორუმის“, „კრეატორის“, „მულტიმედიური სახელოსნოს“, „თავისუფალი სახელოსნოსა“ და კიდევ რამდენიმე ჯგუფის შემდეგ, სხვადასხვა ფაკულტეტების სტუდენტებმა, აკადემიის სარდაფში, კიდევ ერთხელ მოიყარეს თავი და ასეთი გეგმა დასახეს: მოეწყობა გამოფენები და პერფორმანსები, გამართათ შეხვედრები მათთვის საინტერესო ადამიანებთან, შეემუშავებინათ სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგია, რასაც სხვადასხვა ფაკულტეტებზე სისტემური კვლევის ჩატარების შემდეგ გამოავლენდნენ.

ჯგუფის შექმნის იდეა აკადემიაში

ბოლო პერიოდში დაწყებულ რეორგანიზაციის პროცესს მოჰყვა. სახელოვნებო უნივერსიტეტების სტატუსის შეცვლისა და ახალი რექტორის დანიშვნის შემდეგ, სტუდენტები ინფორმაციულ ვაკუუმში აღმოჩნდნენ. დღეს ჯგუფში ოცდაათამდე წევრია. თუმცა, დაინტერესებულ სტუდენტებს კიდევ ელიან.

„თანამედროვე ხელოვნების სწავლება ძალიან რთული და სპეციფიკურია. ეს არ არის სწავლება, ეს არის მთელი სერია მიდგომებისა, რომ სტუდენტს აზროვნების განვითარებაში დაეხმარო. როცა ნამუშევრის შექმნას გასწავლიან, ჯერ გავალებენ, რომ კარგად შეისწავლო თემა, სცადო და ამ თემას ფილოსოფიური ახსნაც უპოვო. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შექმნა ნამუშევარი. ჩვენ კი ფილოსოფიის საგანსაც კი დაშტამ-

პული თეორიებით გვასწავლიან: აბა, ბავშვებო, „რა არის ფილოსოფია? და ჩვენ ერთხმად უნდა ვუპასუხოთ – „სიბრძნის სიყვარული“. ჩვენ ზუსტად ამ მოძველებულ მიდგომებს ვუპირისპირდებით“, – ამბობს ნატალია ნებიერიძე.

ჯგუფის წევრებს იმედი აქვთ, რომ აკადემიაში დაწყებული ცვლილებების ტალღა, სხვა უნივერსიტეტებშიც გადაინაცვლებს.



ბესიკ ლიპარტიანი – 26 წლის

თბილისის სასულიერო აკადემია

„კოვებით ჭეშმარიტება და ჭეშმარიტებამ კავთაჲისუფლოთ თქვენ“

ბესიკმა ბავშვობა ლენტეხის რაიონში გაატარა. ეკლესიაში პირველი სტიქაროსანი იყო, მარხვებს ინახავდა და წირვა-ლოცვებს არ აცდენდა. მოგვიანებით სასულიერო აკადემიაში ჩააბარა, უნდოდა, რელიგიური საკითხები შეესწავლა და ეკლესიაში მსახურებისას გაჩენილ კითხვებზე პასუხები შესაბამისი განათლებით, წმინდა წერილების კითხვითა და განალიზებით ეპოვა. თუმცა, სასულიერო აკადემიაში მიხვდა, რომ ამ ცოდნას იქ ვერ მიიღებდა. პროფესორები ლექციებზე აგვიანებდნენ, ზოგჯერ კი აცდენდნენ კიდევ.

რელიგიის შესასწავლად თავისუფალი სივრცე ბესიკმა სხვაგან იპოვა. აკადემიაში „აკრძალულ ლიტერატურად“ აღიარებულ საღვთისმეტყველო ჟურნალ „ზღვარში“ მან ბევრი ისეთი მოსაზრება ამოიკითხა, რომელიც

მანამდე პასუხგაუცემელ კითხვებს პასუხობდა. ბესიკს არასამთავრობო ორგანიზაცია „აღვის“ მიერ ორგანიზებული თავისუფალი ლექციების ციკლიც დაეხმარა. ესწრებოდა ლექციებს, რომელთაც ნოდარ ლადარია, ბასილ კობახიძე, ემზარ ჯგერენაია და სხვა მომხსენებლები ატარებდნენ. სწორედ ამის შემდეგ აკადემიაში არსებული სიტუაციის გამოსწორება მან სტუდენტური გაერთიანების შექმნით დაიწყო. გაერთიანების წევრები პერიოდულად თანხას აგროვებდნენ და საკვებს ყიდულობდნენ, რადგან იმ დროს აკადემიის საერთო საცხოვრებელში მძიმე მდგომარეობა იყო. მესამე კურსზე იყო, როცა მონაწილეობა მიიღო რამდენიმე სატელევიზიო გადაცემაში და მართლმადიდებელ მშობელთა კავშირს დაუპირისპირდა. ახლა ბესიკი ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტში რელიგიის სოციოლოგიას სწავლობს. თუმცა, ამბობს, რომ სასულიერო აკადემიის პრობლემებზე თვალის დახუჭვას არ აპირებს. თავის ძველ ჯგუფელბთან ერთად დააფუძნა ორგანიზაცია „ახალგაზრდა ქრისტიანები დემოკრატიისა და მშვიდობისათვის“ და მალე ახალ საღვთისმეტყველო ჟურნალს გამოსცემს.



ლილუ მამულაშვილი – 19 წლის,
ოსუ, სოციოლოგიის მიმართულება

მირანდა ბაბუა – 20 წლის
ოსუ, ფილოსოფიის მიმართულება

„თავისუფლება ქალის უფლებას!“

მირანდა და ლილუ ფემინისტები არიან და უნივერსიტეტში ჩამოყალიბებული პატრიარქალური და არა-ფემინური განწყობის მიუხედავად, მინც სულ ცდილობენ საკუთარი სათქმელი ლექცია-სემინარებზე დააფიქსირონ. სტერეოტიპებით გაჟღენთილ გარემოში გოგონები ხშირად ცინიკური დამოკიდებულების მსხვერპლნიც ხდებიან. სწორედ მსგავსი დამოკიდებულების გამო ვერ მოიძებნა თავისუფალი აუდიტორია უნივერსიტეტში, სადაც ქალთა მიმართ ძალადობის ამსახველი ფოტოგამოფენა და საჯარო ლექცია ჩატარდებოდა. ლილუსა და მირანდას თხოვნით, საბოლოოდ, ლექცია – „ძალადობიდან ესთეტიზაციამდე“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა.

ქალების მიმართ უსამართლო დამოკიდებულების წინააღმდეგ პროტესტი, გოგონებს უნივერსიტეტში ჩაბარებამდე გაუჩნდათ. ლილუზე გავლენა ერთმა ანდერგრაუნდულმა მუსიკალურმა ჯგუფმა მოახდინა. გოგონების სიმღერებში ფემინისტური თემატიკა, ქალების უფლებები ჭარბობდა. მირანდა კი იხსენებს, რომ ზოგადად, ძალიან „ბიჭური“ გოგონა იყო, აინტერესებდა ისეთი პროფესიები, რომელსაც ქალები ნაკლებად ირჩევენ – ფიზიკა და ფილოსოფია. სხვადასხვა ფემინისტური ორგანიზაციების წარმომადგენლების გაცნობის შემდეგ, მირანდა და ლილუ რამდენიმე აქციაზეც მოხვდნენ, რამაც მათ მეტი გამბედაობა შემატა. „ჩემი სხეული ჩემი საქმეა“, „შორს შენი

რელიგიური ხელები ჩემი წმინდა სხეულიდან“, „ეს არ არის 8 მარტი“ – ეს იმ აქციების სახელწოდებაა, რომელთაც გოგონები ჯერ კიდევ სკოლის პერიოდიდან შეუერთდნენ.

ფემინისტი გოგონები, სტუდენტების სოციალური პასუხისმგებლობისა და ტოლერანტობის დაბალ დონეზე საუბრობენ და ამბობენ: „რევოლუცია ქალის გონებიდან უნდა დაიწყოს და თუ ქალს თავისი უფლების დაცვა არ სურს, მამაკაცი ამ უფლების დაცვის ინიციატივას არ აიღებს, არ დათმობს“.



ბუთუ ბილისოქა – 20 წლის

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტოლოგიის მიმართულება

„სვლილაბა მონაწილეობის შედეგია“

„ვერ ვეგუები ისეთ სიტუაციას, სადაც ყველა ერთნაირია. ჩემ გარშემო რომ იყოს ათი ერთნაირი ადამიანი, მე მეთერთმეტე ვერ ვიქნები“, – მეუბნება გიორგი, რომელმაც ზუსტად ამ მიზეზით სახელი შეიცვალა და ბუთუ გახდა.

საგანმანათლებლო სისტემის მიმართ პროტესტი, პირველივე კურსზე გაუჩნდა, რის გამოც სხვა უნივერსიტეტშიც კი გადავიდა, სულ სხვა განხრით – თსუ-ს არქეოლოგიის მიმართულებიდან ილიას უნივერსიტეტში პოლიტოლოგიაზე.

„ახლა ისეთი ლექციიდან მოვდივარ, სადაც ჩემი აზრი ვთქვი რელიგიაზე და ამის გამო, არავინ გამლანძღა“, – მეუბნება ბუთუ შეხვედრისთანავე და ამატებს, რომ ამის გამო თსუ-ში თითოთ საჩვენებელი გახდებოდა, რადგან იქ გატარებული ერთი სემეს-

ტრი დროსა და სივრცეში გამოკეტვას უდრიდა, განსხვავებული აზრის ქონა – სტიგმას.

თუმცა, შედარებით თავისუფალი სასწავლო გარემოს პოვნით არ დაკმაყოფილდა. დღემდე ხვდება სამხატვრო აკადემიის აქტივისტ სტუდენტებს, მონაწილეობს აქციებში, აკეთებს სტენსილებს და პოსტერებს ერთი კონკრეტული მოთხოვნით – „სწავლა არ უნდა იყოს პრივილეგია“. ერთ-ერთ პოსტერზე დახატულია ზვიგენები, რომლებიც თევზებს ჭამენ. ქვემოთ კი – თევზები, რომლებიც ჭამენ ზვიგენებს. ბუთუ მიხსნის, რომ ეს სისტემის წინააღმდეგ საზოგადოების გააქტიურებისკენ პირდაპირი მოწოდებაა.

ბუთუს აღიზიანებს არატოლერანტული საზოგადოება, ამ თვისების ნაკლებობას კი სამოქალაქო

განათლების დაბალი დონით ხსნის. არ უყურებს ტელევიზორს და მას შემდეგ, რაც სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობა 80 თეთრი გახდა, პროტესტის ნიშნად, ყვითელი „მარშრუტკებით“ აღარ მგზავრობს. გადანყვებილება სპონტანურად, ერთ დილას, სახლიდან გამოსვლისას მიიღო და არ შეუცვლია: „მე რომ ვიტყვი – არა, ე.ი. – არა!“



ბიორბი ნონიაშვილი – 20 წლის

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლის მიმართულება

ROCK HARD, DIE YOUNG!

გიორგიმ როკმუსიკის მოსმენა ძალიან პატარა ასაკში დაიწყო. მამა „პინკ ფლოიდის“ ისეთ კომპოზიციებს ასმენინებდა, რომლის გაგებასაც მაშინ ვერ ახერხებდა, მაგრამ მაინც უსმენდა. წლების შემდეგ, მეგობრებთან ერთად როკბენდი შექმნა. ამბობს, რომ მან ჩვეულებრივი ქართველი თინეიჯერებისგან განსხვავებით, მშობლიურ ქალაქ კასპში, კონტრკულტურის დამკვიდრება დაიწყო, რაც რაიონის მოსახლეობისთვის თვალშისაცემი და გამაღიზიანებელიც იყო. დღეს უნივერსიტეტი და სამსახური მისი ვალდებულებებია, ბენდი კი – არჩევანი, რომელიც მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია: „ჩემთვის ბენდი ყველაზე და ყველაფერზე მნიშვნელოვანია. მე ამისთვის ჩემი ნახევარი ცხოვრება გადავდე“, – ამბობს ის.

მშობლების გადამეტებული მზრუნველობის მიმართ პროტესტის განცდა ძალიან ადრე გაუჩნდა. 3 წლის იყო, მაგრამ მაინც ნათლად ახსოვს, როგორ არ მოსწონდა, როცა ნათესა-

ვებისა და მეზობლების წინაშე, დედის თხოვნით, ყველა ცხოველის სახელი უნდა ჩამოეთვალა. ერთ დღესაც ეს ოჯახური ცერემონია ძალიან მობეზრდა და ყველა ცხოველს ერთი სახელი შეარქვა: „აგური“. „დედაჩემის თქმით, სწორედ ეს იყო ჩემი პირველი პროტესტი“, – ამბობს გიორგი.

შემდეგ მის სკოლაში კონფერენციებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტის განხორციელება ამერიკულმა გაცვლითმა პროგრამამ „ფლექსმა“ დაიწყო. ეს გიორგისთვის ახალი იდეების და გამოცდილების მომტანი აღმოჩნდა. მეათე კლასში, მან საინიციატივო ჯგუფი შექმნა და ჯერ თავის სკოლაში და შემდეგ კი, კასპის სხვა სკოლებშიც, საინტერესო შეხვედრებს აწყობდა. თბილისიდან მიწვეული სტუმრები – დავით პაიჭაძე, დათო აფრასიძე, ნოდარ ხადური და სხვები რაიონში მცხოვრებ მოზარდებს მოქალაქის უფლება-მოვალეობის შესახებ ესაუბრებოდნენ.

შემდეგ, სასწავლო პროგრამით ამერიკაში, ორეგონის შტატში გაემგზავრა. იქ გატარებული ერთი ნელინადა ძალიან შეცვალა, გახდა დამოუკიდებელი და, როგორც თვითონ ამბობს, „ცხოვრება ისწავლა“.

თუმცა თვითგამოხატვის ფორმებს მანამდე თავისით მიაგნო. ერთ დღეს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სტალინის ძეგლი მშობლიურ ქალაქ კასპში, ფიზიკურად თუ ვერა, საკუთარ თავში მაინც უნდა გაენადგურებინა. ამიტომ ამერიკაში გამგზავრებამდე რამდენიმე თვით ადრე, სტალინის ძეგლზე ჯერ დიდი კითხვის ნიშნები, თვითმფრინავში ჩაჯდომამდე 24 საათით ადრე კი, საბჭოთა ბელადს, ვამპირის ატრიბუტები მიახატა.

გიორგი პროტესტს საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების უმთავრეს ფაქტორად მიიჩნევს: „თაობას, რომელსაც არ აქვს პროტესტი, ჩანასახნივე მკვდარია და მე ეჭვი მეპარება, ასეთმა თაობამ რაიმე მოგცეს“.



„სოციუმი“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საზოგადოება უკეთესი საზოგადოებისთვის

სტუდენტების თვითორგანიზებული ჯგუფი – „სოციუმი“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პირველად, ინტერნეტში, 2007 წელს გაჩნდა. ახლად გახსნილ ვებგვერდზე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტის მიხეილ გაბელიას ინიციატივით და ამავე ფაკულტეტის პროფესორის, ამირან ბერძენიშვილის ხელშეწყობით, პირველად გაჩნდა იმ სალექციო მასალის ელექტრონული ვერსიები, რომელთა „დაქსეროქებაზეც“ უნივერსიტეტის მინისტრმა გადასასვლელში მდგარ ერთადერთ აპარატზე სტუდენტები მანამდე საათებს ხარჯავდნენ. ვებგვერდს ხარვეზები ჰქონდა, მაგრამ სტუდენტების დრო მაინც ძალიან დაზოგა.

დროთა განმავლობაში, socium.ge-ს სტუდენტური ფორუმიც დაემატა, თუ-

ცა, მან სრულყოფილად მუშობა ვერ შეძლო, ამიტომ, აქტუალური თემების გარშემო, განსხვავებული მოსაზრებების გაცვლა-გამოცვლამ რეალურ სივრცეში, socium.ge-ს სადისკუსიო კლუბში გადაინაცვლა.

სადისკუსიო თემები არა მხოლოდ მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებს უკავშირდებოდა, არამედ უნივერსიტეტში არსებულ შიდა პრობლემებსაც. სტუმრები – ზაზა ფირალიშვილი, ზაზა შათირიშვილი, შოთა მალაშხია, ლევან რამიშვილი, თამარ ჩუგოშვილი, უნივერსიტეტის თვითმმართველობის წევრები და სტუდენტები, ქვეყანაში და მათ თაობაში მიმდინარე პროცესებზე მსჯელობდნენ და კამათობდნენ. სწორედ უნივერსიტეტის თვითმმართველობის არჩევნებს მიეძღვნა ბოლო შეხვედრა, რომელიც არჩევნებში მონაწილე დამოუკიდებელ კან-

დიდატებს და ერთიანი სტუდენტური მოძრაობის წევრებს და მათი პროგრამების განხილვას დაეთმო.

„სოციუმის“ წევრები ამბობენ, რომ მათი უპირატესობაა იდეოლოგიური და თემატური ჩარჩოების გარღვევა: „სოციუმი ეს არის თავისუფალი ერთობა, სადაც ყველა იდეოლოგიის მატარებელი იპოვის თავს – ფემინისტიც, პოლიტიკურად მემარჯვენე-მემარცხენეც და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელიც. ჩვენ გვინდა, ვაჩვენოთ, რომ განსხვავებული მოსაზრებების მქონე ადამიანებსაც შეუძლიათ იყვნენ სოლიდარულები სხვადასხვა პრობლემური და აქტუალური საკითხის მიმართ“.

„სოციუმის“ წევრები სოციოლოგიურ კვლევებსაც ატარებენ, ამბობენ, რომ ეს მათ საზოგადოებაში და უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების გაანალიზებაში და პროგნოზირებაში ეხმარება.



ლევან ლორთქიფანიძე – 19 წლის

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტოლოგიის მიმართულება

„უნივერსიტეტი სტუდენტებსა და ლექტორებს!“

ბრძოლა „ქარის წისქვილებთან“ – ასე აფასებს ლევან ლორთქიფანიძე, თსუ-ს თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას, რომელიც მისი გამარჯვებით დასრულდა. წლების შემდეგ პირველად, „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის“ გვერდით, უნივერსიტეტის თვითმმართველობაში დამოუკიდებელი კანდიდატებიც მოხვდნენ.

უნივერსიტეტის, როგორც ლიბერალური სივრცისთვის, ბრძოლა ლევან ლორთქიფანიძემ პირველი კურსიდან დაიწყო. ლევანი ფიქრობდა, რომ საათობით დგომა რეგისტრაციის რიგში, ბიუროკრატიული აპარატის შეუზღუდავი უფლებები, პროცესების დახურულობა ის პრობლემები იყო, რომლებიც სტუდენტს სწავლასა და განვითარებაში უშლიდა ხელს.

ამიტომ უნივერსიტეტში ჩაბარებისთანავე აქციებსა და საჯარო გამოსვლებს შეუერთდა. შემდეგ კურსელები აიყოლია, საინიციატივო ჯგუფი შექმნა, სხვა სტუდენტებიც მიიმხრო და „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის წარმომადგენლებს“ დაანახა, რომ თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვება, ფინანსური სიძლიერისა და ადმინისტრაციის მხარდაჭერის გარეშე შეიძლება. „სულ 22 ლარი დაგვეხარჯა, ამ თანხით სხვადასხვა შეხვედრისთვის ლენტები, მარკერები და მუყაოს ქაღალდები ვიყიდეთ. მგონი, იმიტომ გავიმარჯვეთ, რომ სტუდენტებს ხშირად ვხვდებოდით, ჩვენი გეგმების შესახებ კითხვებს ამომწურავად ვპასუხობდით და ღიად და დაუფარავად ვუხსნიდით, რატომ იყო ჩვენი თვითმმართველობაში მოსვლა აუ-

ცილებელი“, – ამბობს ლევან ლორთქიფანიძე.

ის დარწმუნებულია, თვითმმართველობაში მისი ჯგუფი განსხვავებულ დისკურსს შეიტანს. სტუდენტის ინტერესების დაცვა, უნივერსიტეტის, როგორც სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განვითარებაზე ზრუნვა და დიალოგისა და ლიბერალური სივრცის შექმნის მცდელობა იქნება ჩვენი მიზანიო, – მეუბნება.

კოვა
მარჯანიშვილის
სახელოვის
სახელმწიფო
დრამატული თეატრი

უილიამ შექსპირი

როგორც გენებოთ

რეჟისორი ლევან წულაძე

www.marjanishvili.com

[www.facebook.com / MARJANISHVILI.THEATRE](https://www.facebook.com/MARJANISHVILI.THEATRE)

სხადი უმკმდედი ლიტერატურა

ლიტერატურული პროცესი
ჯაზი ლიტერატურაში
ნიმე ნატროშვილი

საავტორო
მაღაზრობილი
აკა მორჩილაძე

მოთხრობა
კონვეირული მეთოდის
ზოგადი პრინციპები
გელა ჩქვანავა

საუბრები აზაშურის ქვეშ
ჩემი ბებო – ნიმე რამიშვილი
ნიმე სუხიშვილი

პოეზია
აკა ქვანეშვილი

რეცენზიები:
რეცენზიები, რეცენზიები...
ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიო: „შიშვილის მისამღერი“
კატია ვოლტერსი: „იერიქონის ვარდი“



ჯაზი ლიტერატურაში

ავტორი ნინო ნატროშვილი

„მე, იცი, როდიდან მოვდივარ? აი, კლასობანას თამაშისას თუ გეტყოდნენ, სადავო ხაზზე დაადგი ფეხიო და საკუთარი სიმართლე უნდა დაგემტკიცებინა, გაცხარებული, დედას კი არ იფიცებდი, ამბობდი: „ძია სტალინს გეფიცები, ფეხი არ დამიდგამს“. ეს რკინის არგუმენტი იყო. მაშინვე თავს განებებდნენ... აი, ამ დროიდან მოვდივარ მე. პირველი ბიბლიოგრაფია „ლენინი ქართულ მუსიკაში“ 1967 წელს გავაკეთე, იმის მერე სულ ბიბლიოგრაფიებზე ვმუშაობ“, – ასე ვიწყებთ საუბარს ფერიდე კვაჭანტირაძე და მე.

70-იოდე წლის ფერიდე კვაჭანტირაძეს ეროვნულ ბიბლიოთეკაში რარიტეტული გამოცემების განყოფილება აბარია. ელექტრონული წიგნების „მონინალმდეგე“ ბიბლიოთეკარს ვეძებდი და მასთან ამიტომ მოვედი. ბიბლიოთეკარებისთვის წიგნი, თავისი ტრადიციული ფორმით, ხომ წმიდათანმიდა

რამეა. ფერიდე კვაჭანტირაძის სიტყვები – ძია სტალინს გეფიცები – კი მარწმუნებს, რომ სწორად მოვსულვარ – ის იმ ეპოქიდანაა, რომ, წესით, ძალიან უნდა ბრაზობდეს თანამედროვე ტექნოლოგიებზე, რომლებიც წიგნის კითხვის მთელ პროცესს ცვლის; წიგნის ფურცლებთან შეხებისა და სურნელის ჯადოსნურ განცდას ართმევს მას...

„ბუკრიდერით კითხვაც მოგწონთ?“ – ვითომ გულუბრყვილოდ, ღიმილით დავუსვი წინასწარ მომზადებული „მომაკვინებელი“ კითხვა რესპონდენტს და მოსალოდნელი გამარჯვების მოლოდინში, მრავალმნიშვნელოვნად დავდუმდი.

„იცი, ზოგი როგორაა? არაფერი უნდა ახალი, ყველაფერი ძველი სურს. არადა, მთავარია, წიგნი გინდოდეს, თორემ ფორმას რა მნიშვნელობა აქვს? ამბობენ, ნაბეჭდს სხვა ინტიმი აქვსო. მე ეს ინტიმი იმ მოწყობილობაშიც და-

ვიჭირე: ვიჯექი ბუკრიდერით ხელში კაკლის ხის ძირში და ვკითხულობდი. თანაც, იცი, რომ მაგ მოწყობილობაში 1200 წიგნი შეგიძლია ჩატვირთო? თავისი პასუხით უცებ განმაიარალა ქალბატონმა ფერიდემ და განაგრძო: „ახლა რომ ბატის ფრთით ვწერდეთ, ეს ხომ ისეთივე ანაქრონიზმი იქნება, როგორც 50 წლის შემდეგ ნაბეჭდი წიგნი... პროგრესს ზოგი ადრე იღებს, ზოგი გვიან, მაგრამ მას ვერაფერი შეაჩერებს“.

ნელ-ნელა ხასიათი გამიფუჭდა და გონებით ალტერნატიული რესპონდენტების ძებნა დავიწყე, მაგრამ თან ვიფიქრე, – არა, შეუძლებელია, ყველაფერზე „წამომყვეს!“ ამიტომ ალტკინებულმა, მეორედ ვცაადე:

– ქალბატონო ფერიდე, წარმოიდგინეთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტს მრავალი განვითარება ჰქონდეს: ავთანდილი მიდიოდეს ტარელის საძებნელად, ხვდებოდას ასმათს და უყვარდებოდა.

ბოდეს, თინათინს ივიწყებდეს და მასზე ქორწინდებოდეს... ან ფატმანზე გაგიჟდეს, ანდა, სულაც, ნესტან-დარეჯანს გაუმიჯნურდეს... ან ნესტან-დარეჯანი მისთხოვდეს ხვარაზმას ძეს, მერე დაქვრივდეს და ძველი სიყვარული გაახსენდეს... და თქვენ კი თავად გადაწყვიტოთ, ნებისმიერი მათგანის ბედი, „ბუკრიდერის“ ლილაკზე თითის მარტივი დაჭერით. იცით, რომ ზუსტად ასეთია ნიგნების მომავალი? კითხულობთ, კითხულობთ, მერე უცებ ნკაპ და სრულიად სხვა სიუჟეტში აღმოჩნდებით. ეს მოგნონთ?

გამომეტყველებაზე ვამჩნევ, რომ მიზანს მივალწი – დაბნეული ჩანს: „ამის წარმოდგენა მიჭირს. ავტორის დასრულებული ნაწარმოები მომწონს, თუმცა ეს როგორ არის, ალბათ, იცით? თემა რომ მოგცენ მუსიკაში და სხვადასხვაგვარი არანჭიკობა გაუკეთო... ეს ალბათ ჯაზია, ჯაზი ლიტერატურაში“.

ჯაზი ლიტერატურაში! – ქალბატონმა ფერიდემ იმ პროცესის შესატყვისი ტერმინი იპოვა, რომელიც მსოფლიოში სულ ახლახან დაიწყო და რომლის ზუსტი განმარტება ჯერ არც არსებობს. მოძრაობა ტექსტში, გადასვლა სიუჟეტიდან სიუჟეტში, გმირის ერთი ცხოვრებიდან მეორეში და თან უსასრულოდ...

„ნიგნებს აღარავინ კითხულობს, ამიტომ ამ ბაზარს სერიოზულად არ მივიჩნევ“, – ასე შეაფასა სამი წლის წინ სტივ ჯოხსმა *New York Times*-თან ინტერვიუში ელექტრონული ნიგნები. თუმცა, ტექნოლოგიური ინოვაციების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შემოქმედი, ისევე როგორც, ბევრი სხვა სკეპტიკოსი, შეცდა. 2010 წლის მაისში ეს სტატისტიკითაც დადასტურდა. კომპანია Amazon-ის მონაცემებით, 2010-ში ელექტრონული ნიგნების გაყიდვებმა პირველად გაუსწრო ბეჭდურს. ეს უკვე პრეცედენტი იყო, რომელმაც ელექტრონული ნიგნების მომავალზე ყველა ეჭვი გაფანტა. დღეს კი უკვე ბუკრიდერები, პლანშეტებთან ერთად, ყველაზე პოპულარულ საჩუქრებად ითვლება.

ელექტრონული ნიგნები ისეთივე ფაილია, როგორც, ვთქვათ, თქვენს კომპიუტერში შენახული ნებისმიერი ტექსტური დოკუმენტი. ცხადია,

ამ ფაილების წამკითხველი გაჯეტები ფული ღირს, მაგრამ სამაგიეროდ, მონეობილობას ერთხელ ყიდულობ და მერე მის ასეულობით ფუნქციას კომფორტული კითხვისთვის წლების განმავლობაში იყენებ. ახალი ტექნოლოგიების სპეციალისტები ამბობენ, რომ Kindle-ია, თუ Nook-ი, მათი შესაძლებლობები იმდენად დიდია, რომ უკვე შესაძლებელია, „ვეფხისტყაოსანი“ ისე წაიკითხო, როგორც ქალბატონ ფერიდეს ვეუბნებოდი.

ამის საშუალებას ჰიპერტექსტი იძლევა. ჰიპერტექსტია ელექტრონული ტექსტი, რომელშიც რაიმე სიტყვა ან ფრაზა ინიშნება, მასზე დაჭერით კი ჩნდება სხვა ტექსტი, რომელიც მანამდე არსად ჩანდა. ასე გადადის მკითხველი რომანის ერთი შრიდან მეორეში, იქიდან კიდევ მესამეში და ასე, უსასრულოდ. ეს ტერმინი პირველად 1965 წელს ფილოსოფოსმა და პროგრამისტმა, თეოდორ ნელსონმა გამოიყენა და ასე აღნიშნა დოკუმენტი, რომელიც ტექსტის მცირე ფრაგმენტებისგან იმგვარად იყო შედგენილი, რომ შეიძლებოდა, წაკითხულიყო არა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი წესით, არამედ სხვადასხვა ვარიაციით, მკითხველის ინტერესის გათვალისწინებით.

ჰიპერტექსტს საკუთარ გამოგონებად მიიჩნევენ ტექნიკოსებიც და ჰუმანიტარებიც. სიმართლე კი, ალბათ, სადღაც შუაშია, ყოველ შემთხვევაში, 1940 წლიდან ჰიპერტექსტი პარალელურად ვითარდებოდა, როგორც პროგრამირებაში, ისე ლიტერატურაში, მეოცე საუკუნის ბოლოს კი, ეს ორი მიმართულება ერთმანეთს შეერწყა.

ამიტომ დღეს უკვე იოლია, წარმოიდგინოთ ასეთი რეალობა: თითოეული ელექტრონული ნიგნის ფაილი ისე იყოს დახუნძლული ჰიპერლინკებით, როგორც – „ვიკიპედია“ სტატიები, ამ ჰიპერლინკებს კი, კითხვისას, სხვადასხვა სიუჟეტურ განვითარებაში გადაჰყავდეთ. თანამედროვე ტექნოლოგიები ხომ ზოგადად, ზღაპრების რეალიზაციაა. თითქმის ყველა ერის ზღაპრებში შეხვდებით სიუჟეტს, როცა მთავარი გმირები მიდიან და წინ ხვდებთ ქვა, რომელზეც წერია: აქეთ ნახვალ – მო-

ხვალ, იქით ნახვალ – მოხვალ, პირდაპირ ნახვალ – ვეღარ მოხვალ. როგორც ნესი, ზღაპრებში სამივე სიუჟეტი ვითარდება ხოლმე, ყველაზე სახიფათო გზას კი უმცროსი ძმა ირჩევს, თუმცა ამასაც აღარ აქვს მნიშვნელობა. ელექტრონული ნიგნი უკვე იმის საშუალებას იძლევა, რომ სამ ძმაზე ათასობით ვარიანტი განვითარდეს.

ასეთი თხრობის დროს, „გზაგასაყარი“ სიუჟეტური ხაზის სხვადასხვაგვარ განვითარებებს შორის მთავარი და მეორეხარისხოვანი გმირების ამბებია. ავტორი, რომელიც ელექტრონული ნიგნისთვის ქმნის მხატვრულ ტექსტს, ამ გმირების ცხოვრების შესახებ წინასწარ ათობით ვარიანტს წერს, რაც სიუჟეტის მილიონობით განვითარების საშუალებას იძლევა. საკმარისია თქვენი ბუკრიდერის ეკრანზე დააჭიროთ თითი პატარა ნიშანს, რომ სიუჟეტის მთავარი ხაზიდან გვერდით გადაუხვევთ, კიდევ დააჭერთ და სხვა განვითარებაში მოხვდებით, მოკლედ, უსასრულოდ იმოდრავებთ ტექსტში.

„უმბერტო ეკო ამბობდა, რომ ჰიპერტექსტის ეპოქაში, წერა ისე, როგორც წერდნენ მანამდე, შეუძლებელია. აი, წარმოიდგინეთ კომპიუტერული თამაში „შუტერი“, რომელშიც ადამიანი ოთახებში დადის და ვილაცებს ესვრის, თამაშის განვითარება ყველა მოთამაშის შემთხვევაში სხვადასხვაგვარად ხდება... ნიგნიც ნელ-ნელა აქეთკენ მიდის“, – მეუბნება ელექტრონული ნიგნების ონლაინ-მაღაზია www.lit.ge-ს დამფუძნებელი პაატა სირბილაძე.

იმას, როგორც იკითხება სტანდარტული ბეჭდური მხატვრული ნიგნი, ხაზოვან კითხვას ეძახიან; ის კი, რასაც ელექტრონული ტექნოლოგიები სთავაზობს თანამედროვე მკითხველს – არახაზოვანი კითხვაა. თუმცა, არახაზოვნად კითხვის პირველი მაგალითები, ანუ ჰიპერტექსტების პირველი ანალოგები და მათი „წინაპრები“ პირველად ბეჭდურ ლიტერატურაში გაჩნდა.

ასეთი ტექსტის პირველ მაგალითად საერთოდაც ბიბლია მიიჩნევა – ოთხი სხვადასხვა ავტორის მიერ დაწერილი ისტორია იესო ქრისტეზე, რომელიც სავსეა ანალოგიებით, აღქმის სხვადასხვა ვარიანტებით, ჯვარედინი სის-

ტემებით. შემდეგ უკვე ლიტერატურული ჰიპერტექსტის გამოყენება და ტრადიციული ხაზოვანი ნერის მანერის ნგრევა მწერლებმა დაიწყეს მომდევნო საუკუნეებში. 1969 წელს ჯონ ფაულზმა რომანს „ფრანგი ლეიტენანტის მეგობარი ქალი“ ორი ფინალი დაუწერა. კომპიუტერული ჰიპერლინკებით სარგებლობა მას ჯერ არ შეეძლო და განიცდიდა, რომ მკითხველი „ჭეშმარიტ“ ფინალად აღიქვამდა იმ დასასრულს, რომელიც ბოლო გვერდთან უფრო ახლოს იყო. ფინალების მიმდევრობა მან მონეტის აგდებით განსაზღვრა. ერთ ვარიანტში წყვილი ბედნიერი იყო, მეორეში – პირიქით.

ბაკურ სულაკაურთან საუბრის შემდეგ, გავიხსენე, რომ აკა მორჩილაძის „სანტა-ესპერანსაც“ ჰიპერტექსტის პრინციპზეა აგებული. მანამდე კი, ასეთი მხატვრული ნაწარმოებები ვლადიმერ ნაბოკოვს, ხულიო კორტასარს, ხორხე ლუის ბორხესს, უფრო ახლა კი – ჯონათან საფრან ფოერს, ანდა ამერიკელი ნოტომს აქვთ დაწერილი.

ელექტრონული წიგნების კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ განსაკუთრებული აქტიულობა ჰიპერტექსტს მიღობდა პავიჩმა შესძინა. სერბი მწერალი ამბობდა, რომ ჩვეულებრივი რომანი აღარ „მუშაობს“, რომ ის არ უტოვებს მკითხველს თავისუფლებას და ტექსტის თავიდან ბოლომდე წაკითხვას აიძულებს. პავიჩის ნაწარმოებები, გარკვეული თვალსაზრისით, კომპიუტერული თამაშებია, რომლებიც ავტორმა მალაღმბატურულ დონეზე აიყვანა. მაგალითად, „ხაზართა ლექსიკონი“ თანამედროვე ლიტერატურის ყველაზე მონინავე ტექნოლოგიებზეა აგებული: სამი – ნითელი, მწვანე და ყვითელი წიგნისგან შედგება, ამას გარდა, არსებობს მისი კაცური და ქალური ვერსიებიც: ნაწარმოების მთავარი გმირი ქალი ცოცხალი რჩება, თუ წიგნს ქალი კითხულობს და კვდება – თუ მამაკაცი. სხვათა შორის, „ხაზართა ლექსიკონის“ CD-ზე გადატანის შემდეგ, მწერალმა ტექნოლოგიების სპეციალისტებისგან შეიტყო, რომ ამ რომანის წაკითხვა 2,5 მილიონი ხერხით შეიძლებოდა.

1990 წელს ჰიპერლიტერატურის კლასიკოსმა, ამერიკელმა მაიკლ ჯოის-

მა 5 დისკზე პირველი კომპიუტერული ჰიპერრომანი „შუადღე“ („Afternoon“) გამოსცა. რომანი პირობითი 539 გვერდისგან და 951 ბმულისგან შედგება, რომელთაგან თითოეული სიუჟეტის განვითარების ალტერნატიული გზაა. მაგალითად, რომანი რესტორანში ორი გმირის საუბრით იწყება. ისინი ვინმე პიტერის ყოფილ ცოლს იხსენებენ. სურვილის შემთხვევაში, მკითხველს გმირების საუბრის განწყვეტა და პარალელურ თხრობაში გადასვლა შეუძლია. ამ პარალელურ სამყაროში კი, სიუჟეტი უკვე თავად პიტერზე, ან მის ყოფილ ცოლზეა.

საკუთარი ტექსტის ვარიაციების შექმნა დღემდე სულ რამდენიმე ავტორის პირადი არჩევანი იყო. რა მოხდება მაშინ, როცა ელექტრონული წიგნი თითქმის სრულად ჩანაცვლებს თავის ბეჭდურ წინაპარს და თითოეული ავტორი უკვე იძულებული გახდება, საკუთარი ტექსტის ათობით ვარიაცია წეროს? „ეს დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ამგვარი კოლოსალური შრომა უღირს კი ვინმეს?“ — კითხვაზე კითხვითვე მპასუხობს გამომცემელი ბაკურ სულაკაური. საუბარში კიდევ რამდენიმე კითხვა იბადება: ამ პროცესში როგორ უნდა მიხვდეს მკითხველი, რომელი ვერსიაა „ორიგინალი“, ანუ რომელ სიუჟეტს განვითარებდა მწერალი, მხოლოდ მისი არჩევანი რომ ყოფილიყო? თუ უკვე ესეც მნიშვნელობას კარგავს მკითხველისთვის? რა ემართება ავტორს?

„მწერლის „ქარხანაში“ მკითხველი შედის“, – უცებ პოულობს შეფასებას სოციოლოგი ემზარ ჯგერენაია, როცა ელექტრონული წიგნების მომავალზე ვუყვები, – „ეს ავტორის სიკვდილს ნიშნავს“, – ასკვნის მერე. მანამდე კი, მსჯელობს:

„ვინ არის ავტორი? ის თვითონ წერს ნაწარმოებს თუ მას ტექსტს „აკეთებინებენ“? ის მიჰყვება თავის ესთეტიკას თუ სხვის ესთეტიკას ემორჩილება? ეს საინტერესო მოვლენაა და მარკეტინგულად მოტივირებულიც, რომ მკითხველი მუდმივად მიაბა შენს ნაწარმოებს. თანამედროვე ადამიანის უმთავრესი მოთხოვნილება ხომ აღიარებაა და Facebook-ი ამის საუკეთესო დადასტურება –

რება – ადამიანები თავგადაკლულები ცდილობენ, როგორმე რაიმე „დაუღაიქონ“, ანუ აღიარონ. მწერლის საქმეში ასეთი ჩარევაც აღიარების მოპოვების ერთ-ერთი შესაძლებლობაა. ბოლოს კი, ჩვენ მივიღებთ საშუალო სტატისტიკური ადამიანის გემოვნებით შექმნილ ნაწარმოებს, რომელიც მალაღმბატურული აღარ იქნება. თანამედროვე სამყაროში გადამწყვეტია ფული და თუ ბაზარი მოითხოვს, რომ მწერალმა ამგვარად წეროს, რათა გადარჩეს ბაზარზე არა როგორც მწერალი, არამედ როგორც გარკვეული შემოსავლის მქონე სუბიექტი, ამ შემთხვევში ავტორები, ალბათ, აირჩევენ ამ სტრატეგიას“.

და ტექნოლოგიური იმპროვიზაციების ასეთ ცვალებად ეპოქაში როგორი შეიძლება იყოს ქალაქის წიგნის მომავალი, ან აქვს კი მას საერთოდ მომავალი? იქნებ ბეჭდური წიგნების მასობრივი კითხვის ჩვევა სულაც ბოლო წლებს ითვლის. ადამიანებმა ხომ წიგნი რამდენჯერმე შეცვალეს და ფორმა, რომლითაც დღეს ვიცნობთ მას, ისეთივე პირობითია, როგორიცაა, ვთქვათ, ჩურინგები, ქვები, რომლებსაც ავსტრალიელები კითხვისთვის იყენებდნენ, ანდა შუმერული თიხის ფირფიტები, ეგვიპტური პაპირუსები, ჩინური ბამბუკის წიგნები, ევროპული მანუსკრიპტები და ბოლოს – როგორიც გუტენბერგის გამოგონებაა?

სწორედ გუტენბერგის გამოგონების შემდეგ შეიცვალა წიგნი რევოლუციურად. ის მასობრივი, იაფი და ხელმისაწვდომი გახდა. ადამიანებმაც მოედნებზე, საჯარო კითხვა შეწყვიტეს და წიგნებთან განმარტოვდნენ... დღეს სწორედ ასეთი რევოლუციური ცვლილებების მორიგი ეპოქა დგას: ბუკრიდერი ბეჭდურ წიგნებს ანაცვლებს, კითხვის დღემდე ჩვენთვის ცნობილი ჩვევა კი იხვეწება და ახლა მის ახალ მახასიათებლად ითვლება ის, რომ წაკითხული წიგნის შესახებ შთაბეჭდილებები სხვებს შეგიძლია სიმულანტურად გაუზიარო: ნაიკითხო ახლად დასტამბული რომანი ელექტრონულად, იქვე გააკეთო კომენტარი, მერე სხვებს გაუზიარო, სასურველი ციტატა პირდაპირ facebook-ზე დაპოსტო, ან Twitter-ით გაავრცელო და ნახო, რას ფიქრო-

ბენ ამერიკელი, ინდოელი, ჩინელი და ევროპელი ადამიანები ზუსტად იმ ნაწარმოების იმავე მონაკვეთზე...

„ნიგნი ამ თავის საკრალურ, მისტიკურ და რომანტიკულ მნიშვნელობას, ალბათ, დაკარგავს. ყოველ შემთხვევაში ჩემთვის დროთა განმავლობაში ის ნამდვილად ანტიკვარულ ნივთად იქცევა, თუმცა დედაჩემი მენინალდმდეგება, ბიბლიოთეკარია და ემოციური მოგონებები აქვს ნიგნებთან. მისთვის თაროებზე ნიგნების დალაგებაც მთელი ხელოვნებაა. დედა ამბობს, რომ „ნიგნი მაინც სულ სხვაა“, რომ სხვადასხვაგვარი სუნი აქვს, ფურცლები შრიალებს, თუმცა მგონია, რომ საბოლოოდ ამას ყველა დაივიწყებს და „თაჩებიან სამყაროში“ ნიგნის ადგილი აღარ დარჩება“, – ამბობს ქინდლის თავყანისმცემელი ლაშა, რომელსაც Amazon-ის საფირმო მონეობილობამ კითხვა თავიდან შეაყვარა.

თუმცა, ნიგნების სუნსა და ფურცლებთან შეხების ჯადოსნურ გაცდას, როგორც რაღაც უკვე გადაშენების პირას მყოფსა და ამიტომ – ნოსტალგიურს,

ჩემ გარშემო უამრავი ადამიანი ეპოტინება. აი, ნათია – მეუბნება, რომ არასდროს დააეწყებდა, როგორ კითხულობდა ბავშვობაში პირველად „კალე ბლუმკვისტის თავგადასავალს“. „დღესაც, ასტრიდ ლინდგრენის ყველა ნიგნი ერთნაირ ემოციას აღმიძრავს და ამ ემოციას ჩემი ბავშვობის სუნი აქვს. ეს ემოცია ამას წინათ ძალიან მძაფრად ვიგრძენი, როცა ბუკინისტებში შემთხვევით გადავანყედი ლინდგრენის ძველ გამოცემას. ეს იყო „ჩვენც სალტკროკელები ვართ“, ყვითელყდიანი ნიგნი, რომელიც დღემდე საპატიო ადგილს იკავებს ნიგნების თაროზე და ერთი სული მაქვს, როდის წავაკითხებ ჩემს შვილს“, – მიყვება ნათია. ვუყურებ ნათიას ტკბილი მოგონებებისგან გაბადრულ სახეს, ნიგნებზე ლაპარაკისას რომ აქვს, და თან „სანდროს ნიგნების“ გამომცემლის, სანდრო ასათიანის ნათქვამი მახსენდება. ახალ თაობას Screen Reader-ებს ეძახიან, ანუ ეკრანიდან წამკითხველებსო, – მითხრა ერთხელ სანდრომ, – ჩვენ ხომ ძირითადად ნიგნებიდან ვსწავლობდით და ინფორმაციის დიდი ნაწილი ბეჭდუ-

რი ტექსტებიდან გვაქვს მიღებული? ახალი თაობა კი უკვე ეკრანებიდანაც სწავლობს და ინფორმაციის ძირითად ნაწილს სწორედ სხვადასხვა მონეობილობის ეკრანებიდან იღებს. შესაბამისად, მათთვის ელექტრონული ნიგნი ისეთივე ორგანული და ბუნებრივი მოვლენაა, როგორც ჩვენთვის – თაბახი. ნათიას 2 წლის შვილი ჰყავს, რომელიც პატარა Screen Reader-ია და როგორც არ უნდა ეწყინოს ნათიას, არაა გამორიცხული მისი შვილისთვის ნაბეჭდი ნიგნი ისეთივე გამოუსადეგარ ნივთად იქცეს, როგორც დღეს ეგვიპტური პაპირუსებია. უფრო მეტიც, 10 წელიწადში მას შესაძლოა, აღარც სასკოლო ჩანთა ჰქონდეს. ატაროს პლანშეტი, რომელიც ერთდროულად იქნება სახელმძღვანელოც, რეველიც, რომლითაც დაბეჭდავს, გადაიღებს, დაამონტაჟებს, ნახავს და მოისმენს გაკვეთილებს.

Lit.ge-ს დამფუძნებელი, პაატა სირბილაძე ვარაუდობს, რომ ხუთიოდე წელიწადში ეს რევოლუციური ლიტერატურული პროცესი სწორედ საგანმანათლებლო ლიტერატურით დაიწყე-

Cafe Kala acid bar



New
acid bar

in Gldani
Gldani 2 Mkr. building N24
T: 592 411980





Cafe Kala Now open from 10 am till late!

When one is dancing, someone is singing, others are seating, and also eating, there is some drinking, maybe some flirting, good place for meeting, so pleasant evening...



kala.ge

Kala group

Cafe Kala: 8/10 Erekle II str. tel: 599 799 737. **Cafe KGB:** 8/10 Erekle II str. tel: 832 2985013, 599 674 488 **Acid Bar /1/:** 3a Kazbegi Ave. tel: 599 101 238. **Acid Bar /2/:** 37 Abashidze str. tel: 591 681 000 **Acid Bar /3/:** 9 Leonidze st. tel: 592 221 131. **Cafe Near Opera:** 2 Lagidze str. tel: 599 681 166

ბა. ბაკურ სულაკაურიც მეუბნება, რომ სასწავლო წიგნები ძალიან მალე მაქსიმალურად ინტერაქტიული გახდება. თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით, სახელმძღვანელო ბავშვს მალე არა მარტო აღუწერს, მაგალითად, ოკეანეს, არამედ მის გამოსახულებასაც აჩვენებს და ხმასაც მოასმენინებს, მერე მას იქვე, ცუნამის ვიდეოების ნახვაც შეეძლება და ლაბორატორიული ცდებისთვის თვალის შევლება. შეიცვლება დავალებების ბლოკიც: მაგალითად, პლანშეტი დასვმას კითხვას: „სად არის ინდოეთის ოკეანე?“ და ეკრანზე ცარიელი რუკა გამოჩნდება, ბავშვი თითს დაადებს და სწორი პასუხის შემთხვევაში, შემდგომ ეტაპზე გადავა. მოკლედ, არჩევანის საშუალება ექნება: უნდა ნახავს, უნდა მოისმენს, უნდა წაიკითხავს. „მითხარი და დავიინყებ, მანახე და დავიმასხოვრებ, გამაკეთებინე – გავიგებ. ანუ გაგონილს ნანახი სჯობს და ნანახს – გაკეთებულს“, – ამბობს სულაკაური. ახალი თაობის საბავშვო ელექტრონული წიგნების შექმნაზე მისი გამომცემლობა უკვე მუშაობს და ქართული გასართობი აპლიკაციების გაყიდვასაც გეგმავს.

რატომ აღარ აგზავნიან ადამიანები ფოსტით წერილებს? წერენ, მაგრამ ელექტრონულად აგზავნიან. დღეს უკვე იმასაც ამბობენ, რომ მეილების რაოდენობაც შემცირდა, რომ ჩეტებმა და სოციალურმა ქსელებმა ელექტრონული წერილიც სიკვდილის პირას მიიყვანა და მხოლოდ მოსაწყენი, საქმიანი ფუნქციები დაუტოვა. მათ, ვინც ინტერნეტს ჯერ კიდევ სათავეებიდან იცნობს, ალბათ, ელექტრონულ წერილებთან ბევრი ემოცია აქვს, ისევე როგორც, იმ გოგონას, რომელმაც წერილს პომადიანი ტუჩები დაადო, ქალაქს სუნამო აპკურა და მერე შეყვარებულს გაუგზავნა... ქალაქის წიგნისთვის დამახასიათებელი ეს რომანტიკა ალბათ მერეც იქნება, ოღონდ – მხოლოდ რომანტიკისთვის.

„ავტომობილის გამოგონებამ ცხენი არ გადააშენა, მაგრამ ცხენი, როგორც სატრანსპორტო საშუალება, საგრძნობლად შემცირდა. დაახლოებით ასეთი ბედი ელის ქალაქის წიგნებსაც: იარ-

სებებს, მაგრამ სხვა დანიშნულებისთვის: იქნება გარკვეული კატეგორიის საჩუქარი, ექსკლუზიური ნივთი, ელირება ძვირი, ზუსტად ისე, როგორც ცხენი... შარშან პირველად დავბეჭდე კომპიუტერით და აღმოვაჩინე, რომ ვრცელი ტექსტის ხელით დაწერა სიბრყველა... არადა, 10-15 წელი მეგონა, რომ ხელით წერა „სულ სხვაა“. ქალაქის წიგნის კითხვაც უფრო ჩვევაა, რომელიც ჩემ შვილიშვილებს შეიძლება, აღარც ჰქონდეთ“, – ამბობს ბაკურ სულაკაური.

მიუხედავად ამისა, ალბათ, ბევრი ჩვენგანისთვის მაინც რთულად წარმოსადგენია დრო, როცა ელექტრონულ წიგნებზე გაზრდილი თაობა საბჭოთა ენციკლოპედიებს – ახლა რომ ბევრი ქართული ოჯახის თაროებს ამშვენებს – სარდაფში ჩაიტანს, ან მუზეუმს გადასცემს; როცა წიგნი სამუზეუმო ექსპონატი გახდება. „იმის თქმა, რომ ელექტრონული წიგნი ქალაქის წიგნს ვერ ჩაანაცვლებს, მარტივად – თავდაცვაა. როდესაც სტუდენტებთან შევდივარ და მათთვის წიგნი მიმაქვს, პირველი კითხვა ასეთია: შემიძლია თუ არა ეს მასალა ინტერნეტში წავიკითხო? კონსერვატიზმი და მოდერნულობა ერთმანეთს ყოველთვის დაუპირისპირდება, მაგრამ ადამიანი მოქნილი არსებაა, ჩვენ ვეგუებთ!“ – გამომშვიდობებისას მეუბნება ემზარ ჯგერენია.

ნაწყვეტი საინფორმაციო ბამოშვილიან. ვერსია №1

მსოფლიო ახალი ტიპის ბუკრიდერებზე ალაპარაკდა: ელექტრონული წიგნის მკითხველების ახალი მოწყობილობები ამიერიდან ადამიანების ყნოსვის ორგანოზეც იმოქმედებენ და ელექტრონული წიგნების თავისებურ სურნელს შესთავაზებენ მათ. თუკი, მაგალითად, ქინძლი გაქვთ და ახალ ელექტრონულ წიგნს ჩამოტვირთავთ, მას ახლად ნაყიდი წიგნის სუნი ექნება, უკვე მოძველებულს კი, თქვენს ვირტუალურ თაროზე მტვერი დაედება და ფურცლები დროთა განმავლობაში გაუყვითლდება. ახალი თაობის ბუკრიდერს კიდევ ერთი დამატება აქვს: გადაფურცვლის, შარიშურის ხმა. ახალი გაჯეტი დღეს

ონლაინ მაღაზია Amazon-მა ფრანკ-ფურტის წიგნის მუზეუმში წარადგინა. ფრანკ-ფურტის წიგნის მუზეუმი ცოტა ხნის წინ გაიხსნა და მასში ყველა ის ნაბეჭდი წიგნია თავმოყრილი, რომლებიც ევროპელმა მომხმარებლებმა სანაგვეზე მოისროლეს. აქვეა ის წიგნებიც, რომლებიც რამდენიმე თვის წინ ევროპის წამყვანი ბიბლიოთეკებიდან გაიტანეს.

შეგახსენებთ, უკვე 3 თვეა, ევროპის ქვეყნების ბიბლიოთეკები ელექტრონულ რეჟიმში ფუნქციონირებს და მკითხველებს ბუკრიდერებით მომსახურებას სთავაზობს.

ნაწყვეტი საინფორმაციო ბამოშვილიან. ვერსია №2

წარუმატებელი ტექნოლოგიური ინოვაცია, თუ ბექდური წიგნის უკვდავება? ელექტრონული წიგნების ეიფორია დასრულდა. დღეს კომპანია „ამაზონმა“ გავრცელებული ინფორმაცია ქინძლის წარმოების შეწყვეტის შესახებ ოფიციალურად დაადასტურა. შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ ანალოგიური განცხადება ელექტრონული წამკითხველების სხვა მწარმოებლებმაც გააკეთეს. კომპანიები ამბობენ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის განვითარების მიუხედავად, ადამიანებმა ბექდური წიგნები ვერ დაივიწყეს და კითხვის ტრადიციულ ჩვევაზე უარი ვერ თქვეს. წიგნების გულშემატკივრებმა გამარჯვება დღეს ფრანკ-ფურტის ცენტრში იზეიმეს. გახარებული მკითხველები ბუკრიდერებს პირდაპირ სანაგვეებში ყრიდნენ. ბოლო პერიოდში ელექტრონული წიგნებისა და მათი წამკითხველების რაოდენობა კატასტროფულად შემცირდა, რამაც რამდენიმე მწარმოებლის გაკოტრებაც გამოიწვია.

...
ჯონ ფაულზის მსგავსად, ამ ტექსტის „გაპიპერლინკება“ არ შემეძლო, ამიტომ მეც მონეტა ავაგდე და მათი თანმიმდევრობა ამ სტატიაში ისე განვსაზღვრე... არც ერთი ფინალი არაა სიცრუე, ან სიმართლე, კარგი, ან ცუდი... ირჩევთ იმას, რომელიც თავად გსურთ...



მალთაშვილი (რომანი) ორი ნაწყვეტი

აკა მორჩილაძე

სოგრატა და აბესალო

1977 წლის შუა შემოდგომას, უქმე დღეს, ყველაზე სახელოვან უქმე დღეს ამ ქვეყანაში, ცნობილს შვიდი ნოემბრის სახელით, რაიც იმავდროულად იყო 25 ოქტომბერი, როდესაც პეტროგრადში მოხდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, კარ-ფანჯრის ხელოსანმა სოგრატ დაფელაშვილმა დილიდანვე ცხელი სოუზი მიირთვა, უყურა მშრომელთა დემონსტრაციის და აღლუმის ტელეტრანსლაციას თბილისიდან და მოსკოვიდან და იფიქრა, რახან პრაზნიკის დღეა, წესით კი უნდა დალიოს კაცმა, მარა რალაც სინყნარე ჩანს და მარტოდ არ მივეძალებიო და ერთი ტკბილად გამოძინება გადაწყვიტა.

ახალი მინოლილი იყო ტახტზე, როცა დაუძახა ერთის გამოტოვებით მცხოვრებმა მეზობელმა, აბესალომ, გადმოდიო, არყის ქვაბი მიდგას და ჩემი ძმა და იმისი ამხანაგი არიან მოსულიო, რამე გავძიძგნოთ, ჩემმა ძმამ სამწვადე ამაიტანაო.

ესა ხდებოდა ნახალოვკის უბანში, ფარკოფელის ქუჩაზე, თავდაღმართში, რომელიც კიდეც ერთი თავდაღმართით ჩადიოდა სწორედ იმ ოქტომბრის სახელობის ავენიუზედ.

აბესალოს საარყე ქვაბი დაეღა ტალავერში, უკვე შიშველა ლერნებს შუა და იქავე იყო მწნილები და სქლად დაჭრილი ორმანეთიანი ყველი, ხოლო სამწვადეს, მაყალზე დაატრიალებდა იმის ცოლი მარეხო. სოგრატა ადრეც იცნობდა აბესალოს უფროს ძმას ვიგენტას, რომელიც ავჭალაში ცხოვრობდა და სახლსუკან კაი კოხტა მარანი და ბარი ჰქონდა მოწყობილი. ის ბარი მერე ნახა სოგრატამ, ვიგენტას გასვენებაში რო მივიდა, მანამდე ქება გეგონა.

ვიგენტა და აბესალო ჰგავდნენ ერთმანეთს, შავტუხები იყვნენ, გამხდრები, გრძელები, თხელი უღვაშებით.

ოლონდ, ვიგენტა უფრო დაბერებულიყო.

იმ მესამე კაცს კიდე, ვიგენტას ამხანაგი რო გამოდგა, სოგრატა არა ცნობდა.

აბესალოს კაი სახლის არაყი ჰქონდა ხოლმე.

ეხლაც ხდიდა მეტის ცოდნით, თან ამათ უჯდა, თან ცხლად მოწანკარეს უშვერდა პატარა ჭიქებს. აბესალოს ძველი, გათლილი ჭიქები შემორჩენოდა, ჩაისა კი არა, უფრო პატარა, ძველებურ რუმოჩნიებში რო იყო ხოლმე.

სამ-სამი კი დალიეს და მწვადიც მოვიდა. კაი მწვადი იყო, ნამდვილ ნახალოვკურად გაკეთებული, შემოდგომის უმზეო და ოდნავ მსუსხავ დღეს, გარეთ, ეზოში.

ის დღე ნახალოვკის დღე იყო და აი, რატომც:

ნახალოვკას მაშინ ეწოდებოდა ლენინის რაიონი. ანუ ძველპროლეტარულ პარტიულ გაგებით, მთავარი და უპირველესი რაიონი. ასე არ ხდებოდა, რო რალაცისთვის ჰაიაჰარად მიენიჭებინათ დიდი ლენინის სახელი. ნახალოვკას ეს სახელი მიენიჭა მისი არსისა და რუსეთის რევოლუციაში წვლილის გამო. ძველ მეფის დროს ის გახლდათ თბილისის მუშათა ნამდვილი სლაბოცა, სადაც ადამიანები უნებართვოდ სახლდებოდნენ და ეწერებოდნენ ტფილისის პროლეტარიატის რიგებში. ხოლო ტფილისში რევოლუციის მთავარი ალაგი იყო რკინიგზის სახელოსნოები, იმის მკვებავი კი ნახალოვკის უბანი. ამიტომაც, მიენიჭა ნახალოვკას ლენინის სახელი.

რევოლუციიდან სწორედ სამოცი წლისთავზეაც ნახალოვკაში ბევრი ნამდვილი მუშა ცხოვრობდა, ხოლო იერი მისი იყო ქალაქურად შინაურული და სოფლურად მიმზიდველი, თავის ჭკუაზე ნაშენი, აღმართ-დაღმართებზე, ბალებითა და მისახვევ-მოსახვევებით, ის გახლდათ ერთგვარად საუკეთესო ალაგიც კი, სამეზობლოდ და ქალაქური გაგების მარადიულობის დასანახავად.

ოთხმა კაცმა კიდეც, რახან მიიღო სამ-სამი რუმკა და

კაი მწვადსაც მიეძალა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციის განსაკუთრებულად საიუბილეო მრგვალ თარიღზე, როგორღაც დაატყო, რომ ამ ცხელ-ცხელა არაყს, ქვაბის ტუჩიდან რომ მოწანწკარებს, ცდაც უნდა და ჭრაც ისეთი არა აქვს რო გეგეხარდება, რახან პირველი ხდისა არის.

ეგ არაფერიო, მადლიერად ამბობდა აბესალოს ძმის ამხანაგი, ისეთები დამილევინაო, ისეთს მივტანებოვარო, გაჭირდება მანახეო და ფეხსაცმლის ვაქსისგან გამომდინარი სპირტი დამილევინა რუსეთში ყოფნისასო.

ძმებმა კი იცოდნენ, მაგრამ სოგრატამ პირველად შეიტყო, რო ეს ამხანაგი, რომელსაც რომანა ერქვა, ნაციხარი ყოფილიყო ახალგაზრდობაში. იმის ხელზე დანახული ნაკოლკა სოგრატას არც თავიდან გაჰკვირვებია, მათ ბიჭობაში ნაკოლკას ყველა დაიკრავდა, ან ჯარში ან კიდევ სკოლის დამთავრებისას და თვითონაც ჰქონდა მკლავზე დანას შემოხვეული გველი. რომანას კიდევ მარჯვენა ხელის თითებზე თითო ასო ეწერა რ, ო, მ და ა.

აბესალომ გამოიტანა შარშანდელი არაყი, და ჩამოასხეს. რომანა კიდევ გაერთო გახსენებით, როგორც ხშირია ხოლმე და მოიგონა ყოველნაირი ნაირგვარუცნაური სასმელი, რაც ციმბირს იქეთა ადგილებში მოხერხებინა ხალხს, რათა გამომთვრალიყვნენ. ისეთებიც სთქვა და ასეთებიც. ადეკალონისა ამათაც იცოდნენ, შიგ რო მარილი უნდა ჩაჰყარო და უვარგისს რომ დალექავს და სპირტიანს კი ცალკე დასტოვებს.

ის იყო, აბესალომ ხელი მოავლო რუმკას, რათა ეთქვა მორიგი, მეოთხე სადღეგრძელო, რომ უცებ სოგრატამა უთხრა:

– მაიცა, არა თქვა, ერთ რამეს გადმოვიტან...

– აგე, არაყი არ არი ესა? – შეწუხდა აბესალო, – რა უნდა გადმაიტანო, ბიჭო...

– მაიცა, რა, თქო... აგე, ესა ყვებოდა და ამდენი გაუსინჯია და უნახამს და აბა, მეც გაგასინჯებ, – ჩქარათ წამოდგა სოგრატა, – იხაროს რომანამ... მაიცათ..

და ნაძუნძულდა ჭიშკრისკენ, ორიოდ წუთში კი მობრუნდა. ხელში, ასე, ორასგრამიანი სანამალე შუშით, ძველად რო იოდები ესხა და ქაფურები, ისეთით, და ახლაც ბევრ სახლში შემორჩენილიყო, ვითარცა გამძლე სანამალე შუშა.

– ეჰე... – სთქვა და კმაყოფილებით დაჯდა, – აბა, ჭიქები მაიტა.

ჭიქებში ისევ ესხა არაყი, ამიტომ, აბესალომ, აგე, ახალსა ვხდი, დავი, მიახსი ცეცხლსაო. მიახსეს, იფეთქა და დანყნარდა.

სოგრატამ ფრთხილად ჩამოართვა რუმკა აბესალოს და შუშას თავი მოხადა.

ჭიქა თვალთან გაისწორა და სულ ოდნავ ჩაასხა.

– ეჰე, ეყოფა... – სთქვა კმაყოფილებით და რუმკა აბესალოს გაუწოდა.

– რასა წუნაობ, ბიჭო? – გაიცინა აბესალომ, იმან კი ყურადღება არ მიაქცია და იმ ორ დანარჩენსაც ამდენივე ჩამოუსხა.

– ეს როგორ დავლიო? ენაზე დამადნება, – თქვა აბესალომ.

– სწავს? – იკითხა ვიგენტამაც, რომანამ კი რუმკაში ჩასუნა.

– მისმინე ეხლა. ესა ერთხელ მაქ დალეული, ზუსტათ ორი მაგდენი. ანგარიშით ეგრეა, რო უნდა სამი მაგდენი და ვსიო, გატოვი ხარ...

– გატოვი ხარ? – გაოცდენ ესენი.

– გატოვი ხარ. მე არა ვყოფილვარ გატოვი, მაგრამ ერთმა ეგრე დამატრიალა. გასასინჯად დავლიე... მაგის ნორმა ეგ არი. ვინც მამცა, ეგრე მითხრა.

– სპირტია? – იკითხა რომანამ.

– კამფეტია, – მიუგო სოგრატამ, – როგორც სიროპიანი წყალი, ისე დალეე. აბესალომ კიდევ აღარ უსმინა ამათ განსჯებს, დაუჯერებელის ჩალიმებით ასწია რუმკა და თქვა:

– ოთხი სახარება შეგვეწიოს.

გადაჰკრა უკანმოუხედავად ის მცირედი და მოხედა სამივეს:

– ჰა?

– იფ, – თქვა ვიგენტამ – რალაცა ბალახზეა დაყენებული...

– სიგუხა არა აქვს... ფაბრიჩნი სპირტია, ვიში კაცისთვის, – დაურთო რომანამ.

– ვამბობდი, ეგე... – გაამაყდა სოგრატა, – მაიცა ჯერა. ცოტა დააცადე...

სოგრატას არაყი მართლაც და უცნაურობა იყო. არანაირი საარყე უხერხულობანი იმას არა სდევდა. მართლა ენაზე დადნა.

ხარამო და მალა, – თქვა რუსულად რომანამ.

– აჰ, ეგ არი მაგის ზომა, – ხელისგული დაანახვა სოგრატამ, – სამი სადღეგრძელო მაინც ხო უნდა ვთქვათ? მეტს ვერ იზამ... წაგვაქცევს...

– ბომბია? – ჰკითხა ისევ, რომანამ.

– დააცალე...

და დააცადეს მართლა, წაუჭამეს და მასლაათში, უცებ აბესალომ თქვა:

– ჭრა აქ, ხო იცი, რალაცნაირად ეგრე ვარ, ჩაირ-ჩამაირა, – და წამოსხმულ ტელეგრეიკის შიგნით შეიყო ხელი ტანის მოსაზელათ, ვითომ აქ ჩაიარ-ჩამოაირაო.

– კი, კი, – დაეთანხმა ვიგენტაც.

– მაიტა მეორეც, – მოყოჩაღდა უცებ სოგრატა, რომელიც აღტაცებას ვერა მალავდა მისი სასმელის გამართლებით და ისევ ჩამოაწვეთა რუმკებში.

– ხუთი სახარება შეგვეწიოს, – თქვა აბესალომ.

– სახარება ოთხია, ბიჭო, – არ დაეთანხმა ძმა.

– სახარება ბევრია, ბიჭო, რამდენსაც იტყვი, იმდენია, ღმერთს გეხარდება, – პაპისეული ხუმრობა მოიგონა აბესალომ და გადაუშვა.

– კარქა მიდის...

– ჩააყოლე, მაინც ჩააყოლე, – ურჩია ვიგენტამ.

დალიეს და რატომღაც ჩაჩუმდნენ. აღარც სვამდნენ და აღარცა ჭამდნენ. იჯდნენ ასე. ერთი, აბესალო წამოდგა



ფოტო: სოსო ლავაშვილი

ქვაბზე შემის შესაკეთებლად, ძაბრი გაუსწორა ბოთლას საარყეს ღართან და წაბორძიკდა.

– ვახ, – თქვა შემცბარმა.

– რა იყო, ბიჭო, ხო არ მოგარტყა, – ჰკითხა ძალიდალად ვიგენტამ.

აბესალომ არაფერი უპასუხა, მოვიდა და დაჯდა.

– უღარი აქ, – წაიბურტყუნა რომანამ, ხოლო სოგრატამ ველარაფერი თქვა, მხოლოდ წინ დადგმულ შუშას ხელი წაატანა, ოღონდ ვიგენტამ გააჩერა ხელითვე, აღარ დაასხაო.

ასე დარჩნენ, ტიტველა ტალავერს ქვეშ. ეს ბარე ორმოცდაათზე მეტის კაცები და დუმდნენ. შუშა წაიტკაცა-ნებდა ხოლმე და ეს იყო. მარეხომ რო გამოიხედა კუხნიდან, შეშინდა.

გამოვიდა, დაადგა თავზე და ჰკითხა ოთხივეს, თვალე-ბგამტერებულებს:

– დაითვერით ბიჭო? რასა გევახართ...

– არააა, – ამოთქვა აბესალომ.

– არ გაცივდეთ აქა, დაყრილები, – თქვა მარეხომ და შუშა შეუკეთა ქვაბს – ეს არაყი დეედიდება აქა, გადმოვა. ამის ყარაულიც გამხადეთ ეხლა...

ისე კი ამ სოგრატას არაყს იოლი გამოსვლა ცოდნიყო. თანდათან იფხიზლეს, ვითომ არაფერიყო.

ჯერ ვიგენტამ, მერე რომანამ, მერე ამათაც.

– ჰა, როგორი ყოფილა, – თქვა სოგრატამ ისევ ამაყად,

ვითომ არაფერი მომხდარიყო, – ერთ რუმკაშიც შეიძლება, მარა სამში გაანაწილეო, ეგრე მითხრეს...

– თოფია, რა, – თქვა ვიგენტამ – რანაირი მატყუარაა.

– თან ჰაერზე. ჰაერზე მოგვცა, – აღნიშნა აბესალომ, – პახმელია ვარ, უნამუსო ვიყო....

– გახსომს რამე? – ჰკითხა ვიგენტამ.

აბესალომ თავი დაუქნია.

– რალაცებსა ვფიქრობდი, – თქვა ვიგენტამ, – ვითომ ჩემთან ბაღში ხალხი დავპატიყე. თქვენც იქ იყავით და სუფრა გაეშალე, ვითომ სამოთხე იყო...

– ქეიფი გიყვარს, – მხარზე ხელი დაჰკრა სოგრატამ, – მეც ეგრე ვიფიქრე, რო შენ დამპატიყე და პურმარული გამართე....

მარეხომ კი, რახან დაინახა, რო ესენი უკვე გონს მოსულიყვნენ, წინასწარ ნამზადზეც დაპატიყა: მიხვდა, იფხიზლებენ და უეჭველ ცხელი წვნიანი ეამებათო და თათარიახნად, ძვალი ჰქონოდა და ის ადრევე ჩაედგა მოსახარშად, უკვე ცოტაც და მზად იყო.

ტკბილად შეხვრიპეს ის ცხარე წვენი, თითო აბესალოს წვეთიც ჩააყოლეს და მოვიდნენ ისევე ხასიათზე.

– ეგ რა გვალევინა, – თქვა ხალისით ვიგენტამ – მოვყვე, არ დემეჯერება.

– ეგ სასმელი ვინ მოგვცა? – ჰკითხა უცებ სოგრატას რომანამ, რომელიც მთელი ეს დრო ჩუმად იყო.

– ეხ, – ხელი აიქნია სოგრატამ, – წელიწადია მაქვს.

რო მამცეს, გავსინჯე და ეგ იყო, შკაფში ჩავდე, გოგოებს უთხარი ხელი არ ახლოთ, არც ვინმეს გამოუტანოთ. დასალევათ... მაჩუქეს. ერთმა კაცმა მაჩუქა...

- რა კაცია? - ჰკითხა ისევ რომანამ.
- აღარც არი ცოცხალი. ძლივას დადიოდა. მოფორჩხილი კაცი იყო. მარა დიდი ნასწავლი. ჩემი გოგო ხო აბარებდა პუშკინის უმაღლესში... მეეწყო.

ხოდა ის კაცი ამაცადინებდა ისტორიას. იმასთან დადიოდა. ერთმა მიგვასწავლა. დიდი ნასწავლი კაცი იყო, მარა ინვალიდი. ჩვენზე ხნიანი კაცი იყო. კარგათ ამეცადინებდა. შარშან კიდე ახალ წლებზე, ვიფიქრე, საწყალი კაცია, მასწავლებელი კაცია, ასეთი განათლებული და საახალწლოდ ჩავუღაგე და ავუტანე: გოჭი, ინდოური... როგორც არი... ძაან გეეხარდა... არდადეგი მორჩა, გაიგე შენა, და ჩემმა გოგომ ისევ დაინყო იმასთან სიარული. კარქათ ასწავლა. ისტორიაში ხუთიანი მიიღო. ხოდა, მოვიდა ჩემი გოგო და მოიტანა გახვეული.

გავხსენი ესა, - შუშას მიათითა სოგრატამ - ზედ კიდე, რეზინით აქ ქალაღდი შემოკრული. იმ ქალაღდში კიდე, ლამაზი ხელით წერია. პატივცემულო სოგრათი, თუ როგორც არი, მადლობაო, ესაო, ისაო, და მიიღე ჩემგან ეს

ბალერკა



შაკო ნიკვა
„შენ“, ფანქარი, ტუში, 2012

პატარა საჩუქარიო. ეს არიო სხვანაირი გემოს სასმელიო და ბევრი არ შეილებაო. მოკლეთ, როგორც დავასხი, როგორც ეწერა... ეგ იყო, რა. მერე ჩემი გოგო მოეწყო. ის აღარც მინახავს. ერთხელაც, აგე, ფრიდონასთან დაურეკიათ, მოკვდაო და აველი გასვენებაში. ამაგი ჰქონდა. ფრიდონას ნომერი გვექონდა დატოვებული. აბა, ჩვენ ტელეფონი არა გვაქ...

- ხო, არ გვიდგამენ ტელეფონებსა, - ამოიხრა აბესალომ, - ყოველ წელიწადს მეთოთხმეტე ვარ რიგში.
- მე კიდე მეთორმეტე, - ჩაიხიბითა სოგრატამ, - სამასი მანეთი უნდა ქრთამათ... მიიტან, სამ თვეში დაგიდგამენ. არ მივიტან. რათ მივიტან? აგე, ფრიდონას აქ და იქ დარეკონ....
- ეგ არაყი არ არი, - თქვა უცბათ რომანამ.
- ჰე, აბა, რა არი? - ჰკითხა აბესალომ.
- რალაცა სხვა ნასტოკაა... დაყენებულია რალაცა.
- ჰოო, ეგ აბა აღარ ვიცი, - თქვა ვიგენტამ.
- მაგაში მისხალი სპირტი არ არი, - მტკიცედ აღნიშნა რომანამ.

სოგრატამ კიდე აიჩქარა, წავალ ეხლაო, აგე, რა დრო გასულაო, ეს კი დაურთო, სულაც არ ვიცი, რა არი, კაცმა მაჩუქა და ნაჩუქარს სინჯვას ხო არ დავუწყებდი, გავსინჯე და კაი გამოდგაო.

- კაი, კაი, მართლა კაი გამოდგა, - გახალისდა ვიგენტა.
- სოგრატამ თავის შუშას ხელი მოავლო, სინათლეზე გახედა, რამდენი დარჩა შიგო და ქურთუკის უბისკენ გააქანა.

- მაიტა, რა, ოქრო, ნაპასაშოკ, ერთიც დამისხი, - წარმოთქვა მოულოდნელად რომანამ.
- სოგრატამ ძალისძალად ჩაიღიმა, შუშა უბიდან ამოიღო, რომანას ჭიქა ისევ თვალთან გაისწორა და ფრთხილათ ჩამოაწვეთა.

- მიდი, ოქრო, მიდი, არ დაინანო, - ჩაიხიბითა რომანამ - ისეთი დამიტოვე, სამი პორციის ზომისა იყოს.
- ჰეეე... კი არ მენანება, - წაიბურტყუნა სოგრატამ - ხო ნახე, რაც არი? ისეც წაგაქცევს.
- მერე, ჭიქა რომანას გაუნოდა, ბოთლი ისევ უბეში ჩაიბრუნა და თქვა:
- გაიხარე, აბესალო. მადლობა... აბა, კარქათ გნახეთ. ვიგენტ, ნუ დეგვეკარგები ხოლმე... - და წავიდა ოკრობოკროთ ჭიშკრისკენ.
- ეს იყო ნოემბერი, შვიდი რიცხვი დიდი ზემის დღე.

ბაჰჰრა

გაზაფხულის ერთ მშვენიერ საღამოს, როდესაც მთელს ფარკოფელის ქუჩაზე უკვე აყვავილებულიყო ატმები და ტყემლები და სახლების წინ ჩამომსხდარიყვნენ დედაკაცები და მათ წინაშე მინაში მოჩიჩქნავე შვილიშვილებს ზანტად შეუძახებდნენ ხოლმე, ისე კი ერთმანეთში მასლაათით იყვნენ გართული, კარაკოშკის ხელოსანი, სხვანაირათ კი, დურგალი სოგრატა, შინ დაღლილი მობრუნდა. ჩუმი საღმით ჩაიარა ქუჩაზე და შინ შევიდა. სკამზე

დამჯდარმა ზანტად გაიძრო ფეხსაცმელი, შევიდა შუშა-ბანდში და პირდაპირ, უთქმელად დანვა ტახტზე, ცოლი კი გამოეგება და დაილალო?

სოგრატა დაილალა, მეოთხე დღე იყო, ერთი ბინის ხეზე მუშაობდა.

– სჭამე რამე? – ჰკითხა ნადიამ, მისმა ცოლმა.

– კი, კარქი ხაზეკაა, – თქვა სოგრატამ და ჭერს გააშტერა თვალი.

– მაიცა, ეხლა გაჭმევ, – თქვა ნადიამ, და დალილიმა სოგრატამ გაიგონა გაზის ცეცხლის აბრიალების ხმა კუხნიდან.

ეს ხმა იყო და მოისმა ეზოდანაც:

– ნადოო, ნადოოო...

ნადიამ უცებ გამოირბინა შუშაბანდში და ფანჯრიდან დაინახა მოსული.

– შემო, მარეხო...

– გამო, გამო... – მოისმა ეზოდან.

ნადო გავიდა და ერთ-ორ სეკუნდში შემოვიდა მწვანეთ. დაჯდა სკამზე და გაიხედა არსად.

– ბიჭო, – თქვა წამხდარი ხმით – ვიგენტა აუყვანიათ.

– ჰააა, რათა... – წამოჯდა სოგრატა.

– ცოლი მოსულა ეხლა. ვერ დაურეკნია..

– ფააააა, – გაიკვირვა სოგრატამ – ვიგენტას რა უნდა დეეშავებინა.

– უშიშროება ყოფილა. ორგანო კი არა.

– ფეეეჰ... – სოგრატამ აღარც იცოდა, რა ეთქვა.

– ეხლა ფრიდონასთან შესულა მარეხო, ატეკაში დაურეკნია... სმენას აღრე ათავებდაო და შიშით დაურეკია..

– ჰააა? – თითქოს ვერ მიხვდა სოგრატა.

– აბესალოც აყვანილია.

– მაშინა დაუყენებია ატეკაში და თურმე იქ ელოდებოდენ... აუყვანიათ...

სოგრატამ პირი გაალო და ასე დარჩა.

– რა უნდა იყოს, ჰა? – თითქოს თავის თავს ჰკითხა ნადიამ.

ეს სთქვა და გაისმა ჭიშკრის ხმა.

ნადია წამოხტა ისევ მარეხოს შესაგებებლად, გამოალო კარი და პირკატაცემული გაჩერდა კარის საღებს მოჭიდებული.

– სოგროო... – თქვა ასე.

– ჰა, – ესლა მოასწრო სოგრატამ და გაიგონა უცნობი ხმა:

– დაფელაშვილი სოგრატ დარჩიას ძე... სახლშია?

გოგოებს თითქოს გულმა უგრძნო, გამოსულიყვნენ და გაჩერებულიყვნენ კედელთან.

ნადიამ გზა უტია მოსულ კაცს, რომელსაც რუხი პიჯაკი ეცვა და რომელიც მარტო არ იყო, ორნი მოჰყვებოდნენ.

უკვე ბინდბუნდი იდგა.

სოგრატა წამოდგა, მთელი დალილილობა თითქოს ისევ მოემატა.

– სოგრატ, – ფურცელს ჩასცქეროდა კაცი – დაფელაშვილი... თქვენ ხართ?

სოგრატამ თავი დაუქნია.

კაცმა პიჯაკის წინა ჯიბიდან წითელი საბუთი ამოიღო, დაანახა და თქვა:

– უშიშროების კაპიტანი გია ერაძე, უნდა წამოგვეყვით, რამდენიმე შეკითხვა უნდა დაგისვათ...

მერე კიდევ რალაცა ქალღი ამოიღო და ნადიას დაანახა.

– გაეცანით და ხელი მოაწერეთ... ჩხრეკის ორდერია...

მონმეები მოიყვანეთ? – გადახედა უკან მყოფებს.

– კი, კი....

შუშაბანდიდან ნადია ხედავდა, როგორ მოაჩიქრიქებდნენ ფრიდონას ცოლს და შაქროს ჩხრეკაზე დასასწრებ მონმეებად.

– თქვენ ჩაიცვით, უნდა წამოგვეყვით.

– ვაიმე ჩემ თავს, – შებარბაცდა უცბად ნადია და გოგოები ეცნენ აცრემლებულნი, ხელის შესაშველებლად.

– ნუ აღელდებით, ქალბატონო... – თქვა კაპიტანმა გია ერაძემ – სახლი ვის სახელზეა? საბინაო წიგნი სად არის? მოდით, ბიჭო, დაიწყეთ, – უთხრა იქ მყოფებს.

ეზოში ერთი რვა მუშაკი ყოფილიყო უკვე, თავიდან სამნი ეგონათ.

– ტუფლებს ჩავიცომ, – თქვა ხმადაბლა სოგრატამ.

ნადია კი უეცრივ გონსმოსული მოსწყდა ადგილს და თქვა:

– ეხლავ ჩაულაგეფ, ეხლავ, ორი სეკუნდი, არ წაიყვანოთ, არ წაიყვანოთ ჯერა. ისედაც ფერდები სტიკია, სამუშაო აქს ეგეთი...

უაზროდ ააძრო ადილა ტახტს და ბოხჩის გამოკვრა დაიწყო.

– არ უნდა, ქალბატონო... ძველი დრო კი არ არი, – თქვა უცებ გია ერაძემ, – შეკითხვები გვაქვს. კი არ ვიჭერთ... დაიწყეთ...

შუშაბანდში დაღვრემილ-თავჩახრილი შემოვიდნენ შაქრო და ფრიდონას ცოლი. ვითომ სამძიმარზე იდგნენ. აბა, რა ექნათ?

სამი მუშაკი ნელ-ნელათ შეუდგა საქმეს. სოგრატა კიდევ ისევ ჩაჯდა გაოფლიანებული და ესლა თქვა:

– ქალო, უშვი მაგ ბოხჩას... ტუფლი მამე...

გარეთ სამი მანქანა იდგა. ორი ჟიგული და ერთი ცვოლგა. მეზობლები შეყუჟულიყვნენ, ალბათ, ჭიშკრებს იქიდან იჭყიტებოდნენ.

სოგრატა ვოლგაში, ორი კაცის შუაში ჩაისევს. მეორე მანქანაც გამოჰყვიათ. ის მჩხრეკელები კი დარჩნენ.

სოგრატას ფულებს ისინი ვერ მიაგნებდნენ. სახლში არ იყო. სარაიაში იყო.

სხვა ვინ იცის? სოგრატა ღელავდა. იფიქრა, უჩემოდ ჩემს სახლს რად ჩხრეკენ, რად არ მომაცდევინესო, მაგრამ უშიშროებას რას მოედავები? კაპიტანი გია ერაძე წინ იჯდა, სიგარეტს აბოლებდა და არაფერს ამბობდა.

თბილისში უკვე დაღამებული იყო, ღამის შუქები ანათებდა.

სოგრატამ აღარც კი იცოდა, რა ექნა და როგორ.

რა უნდათო? – ასე ფიქრობდა.



კონვეირული მეთოდის ზოგადი პრინციპები (სიკლიდან „სანაპიროს ქუჩის ამბავი“)

ავტორი ბილა ჩქვანავა
ილუსტრაცია მაია სუბაძე

დოდო ბასილაიას ცოლისდის მიერ ერთი თვის წინ სოფლიდან ჩამოყვანილი დოდოს სიდედრი, რაისა თურნავა, თავშალს შუბლთან რომ იკრავდა საკმაოდ მსხვილი კვანძით, ძიძარას ქუჩაზე, სადაც დოდოს ქვისლი ცხოვრობდა, ლიფტში გაიჭყდა, შიშისა და სირცხვილისაგან ხმა ვერ ამოიღო (ეგონა ლიფტი მისი მიზეზით გაფუჭდა) და იმ ორმოცი წუთის განმავლობაში, რაც იქ გაატარა, მთელი თავისი ცხოვრება გაიხსენა. როგორც წყალში დამახრჩვალს, სიკვდილამდე ნამით ადრე, კინოქრონიკასავით გაურბენს თვალწინ განვლილი ცხოვრება, სწორედ ისე დაემართა რაისასაც და ხელმეორედ განიცადა, ორმოცი წლის წინათ გარდაცვლილი ჩვიდმეტი წლის ვაჟიშვილის და სამი წლის წინ გარდაცვლილი, ოთხმოცდარი წლის ქმრის სიკვდილი. ხოლო მას შემდეგ, რაც ლიფტის ტყვეობიდან დაიხსნეს, კატეგორიული ტონით განაცხადა, მრავალსართულიან კორპუსში ცხოვრებას სიკვდილი მიჩვენიაო.

დოდო ბასილაიას ცოლმა, ნაზიმ, დედა თავისთან წამოიყვანა. რაისა თურნავას კერძო სახლში გადმოყვანამ პირველ დღეს ხასიათი გამოუკეთა, მაგრამ შემდეგ ისევე მოიწინა.

ერთ მშვენიერ დილას კი, დოდო ბასილაიამ სამსახურში წასვლის წინ სიდედრს ჰკითხა, თუ რაზე დარდობდა ასე დაუსრულებლად.

– იმაზე ვფიქრობ, თუ რა წარმავალია ცხოვრება, გახედვ-გამოხედვასაც ვერ მოასწრებ, რომ უკვე ბებერი ხარ, მარილებსგან ორად მოკუნტული. თუ არ გაგიმართლა და ჩემი ბიჭივით ადრე ნახვედი ამ ქვეყნიდან, მაშინ გამოდის რომ ცხოვრება წამიც არ ყოფილა და არაფრად არ ღირებულა, – თქვა რაისა თურნავამ.

– ამაზე აქამდე არ გიფიქრია? – გაცება ვერ დამალა დოდო ბასილაიამ.

– როგორ არა, მაგრამ ქალაქმა უფრო

დამაფიქრა, – გამოტყდა რაისა. – სოფელში ფიქრის დროს არ ვაძლევდი თავს... ერთი სათხოვარი მაქვს შენთან და შემისრულე...

– სოფელში ვერ ნაგიყვან, ზამთარი მოდის, იქ მარტო ვერ გაძლებ! – წყალი გადაუწურა დოდომ სიდედრს.

რაისა თურნავამ, რომელიც გარდაცვლილ შვილზე დარდს ისე დაელია, რომ სიძეს მხრებამდე ძლივს სწვდებოდა, დოდოს მშრალი ბებრული ღიმილი შეანათა.

– ერთი კვირით მაინც წამიყვანეთ, – ითხოვა მან. – ასე ერთბაშად ვერ შევეჩვევი ქალაქს, სულ არ მესმის აქაურობის. შენი ქვისლის ბინის ფანჯრიდან სამკერვალო ფაბრიკა მოჩანდა, სამასი ქალი მუშაობს იმ ფაბრიკაში ორ ცვლად. განათლებული კაცია შენი ქვისლი, მაგრამ შენ უფრო ჭკვიანი და დაკვირვებული ხარ ჩემი ხაზინივით, აცხონოს ღმერთმა... ერთი რაღაცა მინდა გკითხო და არ დამცინო, ერთი უბირი ქალი ვარ...

– გისმენ, – მოსასმენად მოემზადა დოდო, მას გულწრფელად ეცოდებოდა დარდისაგან გაღუული და მარილების დაგროვებისაგან მოკუნტული სიდედრი.

– შენი ქვისლისთვის, ან მისი ცოლისთვის რომ მეკითხა, შეიძლება დაეცინათ. ძალიან განათლებულ ხალხად მოაქვთ თავი, არ უნდა ვამბობდე საკუთარ ქალიშვილზე ამას, მაგრამ ასეა და რა ვქნა...

– არ დაგცინებ! – დაჰპირდა დოდო სიდედრს.

– სამკერვალო ფაბრიკაში, ქალები ხალათებს რომ კერავენ, რატომ არ შეიძლება ის ხალათები სახლებში წაიღონ, იქ შეკერონ და მერე ჩააბარონ. თან ოჯახს არ მოსწყდებიან და ქმარ-შვილსაც მიხედავენ. ძალიან მაინტერესებს ეს ამბავი!

– იმიტომ, რომ კონვეირული მეთოდით მუშაობენ – ერთი ჯიბეს აკერებს, მეორე სახელოებს, მესამე ღილებს და ასე უფრო სწრაფად კეთდება საქმი, – როგორც შეე-

ძლო ისე აუხსნა დოდომ სიდედრს საქმის ვითარება.

რაისა თურნავამ მუშაობის კონვეირული მეთოდის არსის და უპირატესობის ბევრი ვერაფერი გაიგო, მაგრამ სიძისთვის ხათრის გამო მეტი კითხვა აღარ დაუსვამს, მხოლოდ ამოიხვნა.

– ერთი სათხოვარი მაქვს კიდევ შენთან, მაგრამ მთლად დიდი. თუ შეიძლება ჩემი სიკვდილის შემდეგ სახლი მთლანად შენ დაიტოვე, აგარაკად გამოგადგენა. ეზო-კარის ღირებულების ნახევარი გექნება მხოლოდ ქვისლისთვის მისაცემი... ძალიან გაუხარდება შენი ცხოვრებული სიმამრის სულსაც. ძალიან უყვარდი რომ იცოდე, ჭკვიანი კაციაო, ამბობდა შენზე. შენი ქვისლი ხომ უმაღლესგანათლებულია, მაგრამ მაგაზე არ უთქვამს, ჭკვიანიაო. შენი ქვისლის ხელში ის სახლი და ეზო სულ მთლად გავერანდება.

– მოვიფიქრებ რამეს, – გაურკვეველი პასუხი გასცა დოდო ბასილაიამ და სამზარეულოში გავიდა.

რაისა თურნავამ კი სიცოცხლის მუხანათურ წარმავლობაზე განაგრძო ფიქრი.

სამზარეულოში გასულმა დოდომ ოტია ბენდელიანისაგან ნაყიდ მაცივარს შეხედა, კარებზე ნებოვანი ნახატების კვალი რომ აჩნდა და იმაზე გაიფიქრა, მას ბიჭი რომ ჰყოლოდა, ამ მაცივრის კარი ახლა მთლიანად ავტომანქანების ასევე ნებოვანი ნახატებით იქნებოდა აჭრელებული.

– კონვეირული მეთოდი რა არის? – ჰკითხა რაისამ სიძისა და ქალიშვილის სამსახურში წასვლის შემდეგ თავის შვილიშვილს, თოთხმეტი წლის ნაილის, ზოგჯერ სრულიად უადგილოდ რომ გადაიკისკისებდა, ინგლისურის რეპეტიტორთან სიარულს, სოლოფევიოზე მისვლა ერჩივნა და ვიოლინოს ფორმის ყულაბაში, აგერ ორი თვე იყო, რაც ფულს აგროვებდა, რათა ისეთივე მოღური ბოტასები ეყიდა, როგორც მისი ინგლისურის რეპეტიტორის წვივებსკელ სტუდენტ ქალიშვილს ეცვა.

– მაგი როგორ არ იცი, ბებია? – საყვედურს რატომღაც უაზრო კისკისი მოაყოლა ნაილიმ. – ერთ ხაზად რომ დალაგდებიან მუშები და აგურებს რომ გადააწოდებენ ერთმანეთს, ეგ არის კონვეიერული მეთოდი.

– ჩემს ახალგაზრდობაში მასე მანქანებს ვტვირთავდით ჩაით, თუ ნაწვიმარი იყო და მანქანა აღმართის ბოლოს ჩაის პლანტაციამდე ვერ ამოდიოდა, – შენიშნა რაისამ. – ახლა კიდეც იმ მეთოდით ხალათებს კერავენ. ეს, როგორ გართულდა ცხოვრება!

ნაილიმ ბებიას შენიშვნაზე კიდეც ერთხელ გადაიკისკისა, მაგნიტოფონი მთელ ხმაზე ჩართო და ქერის ნაჭრებზე შემდგარმა მასტიკანასმული იატაკის მოპრიალება დაიწყო ცეკვა-ცეკვით.

– სასარგებლოს სასიამოვნოს ვუხამებ, – განუცხადა მან ბებიას. – დედამ დამიბარა იატაკი მოაპრიალეო, მე კიდეც ცეკვა მომიხდა.

რაისამ კაკაფონიური მუსიკისთვის რომ არ ესმინა, გადწყვიტა გარეთ გასულიყო და ეზო დაეგავა.

როგორც კი გრძელტარხანი ცოცხი დაიკავა და დაგვას შეუდგა, თავისი ქმრის ოჯახში გატარებული პირველი დღეები მოაგონდა. მაშინაც გვიანი შემოდგომა იდგა, ეზოში დიდი მსხლის ხე იდგა და

მისი ფოთლებით მთელი ეზო მოფენილიყო. რაისა თან ტიროდა და თან ეზოს გვიდა დილდითაობით. იმიტომ ტიროდა, რომ საშინლად არ მოსწონდა ქმრის სახლეულები, დედამთილ-მამამთილი და ერთმანეთზე ქილიკა სამი მული. რაისას მათი ღიმილი საშინლად აბნევედა და ყველაფერი ხელიდან უცვიოდა. დედამთილ-მამამთილი შეშფოთდნენ, ძალიან დაბნეული რძალი გვყავსო, მულებმა კი, მთელი დღეები სარკის წინ ტრიალის მეტს რომ არაფერს აკეთებდნენ; ეჭვიც კი გამოთქვებს, ჩვენს რძალს ჩვენი ძმა კი არა, ვიღაც სხვა უყვარს, მასზე ფიქრობს და დაბნეულიც იმიტომ არისო. რაისაც ეჭვიანი გახდა, ეჩვენებოდა, რომ გამუდმებით მასზე ჭორაობდნენ.

– რატომ ტირი, ბებია? – მოესმა რაისას შვილიშვილის ხმა.

ლოყებანიტლებული და ცეკვით დაღლილი ნაილი აივანზე იდგა და სულს ითქვამდა.

– ძალიან მძიმე ცხოვრება გამოვიარე და იმიტომ, – უპასუხა რაისამ.

– მერე მაგაზე ახლა ტირი? – გაოცდა ნაილი.

– აბა, მაშინ სატირლად სად მეცავლა. როცა მოიცლი, მაშინ უნდა იტირო. არასოდეს მიწუნუნია, ჰოდა, ტირილის უფლება მაინც მაქვს! – თქვა რაისამ.

– იტირე, თუ ძალიან გინდა! – დაუყვავა ნაილიმ ბებიას და სახლში შებრუნდა.

რაისამ კი დაგვა განაგრძო და თავის გაუხარელ წარსულზე რომ არ ეფიქრა და ამის გამო არ ეტირა, ისევ კონვეიერულ მეთოდზე დაფიქრდა.

ჭიშკარს სანაპიროს ქუჩის ფოსტალიონი, იმავე ქუჩელი თენგიზ ქაჯაია მოადგა. ფოსტალიონი კეთილი კაცი იყო, რაისამ და მან უმალ გაუგეს ერთმანეთს, რადგან ორივეს შვილი დალუპვოდათ.

– როგორ ბრძანდებით, ქალბატონო რაისა? – მიესალმა ფოსტალიონი რაისას და ჭიშკრის ცხაურში გაზეთების შეკვრა გააკვება. – რატომ ხართ ასე მოწყენილი?

რაისამ იმის საჩვენებლად, რომ ქალიშვილისა და სიძისგან არ იყო ნაწყენი, ფოსტალიონის დასანახად მოკრძალებულად გაიღიმა.

– ძალიან გართულდა ცხოვრება, – შესჩვილა მან ფოსტალიონს. – ისე ძალიან გართულდა, რომ ბევრი რაღაცის არ მესმის. აი, მაგალითად, ვერაფერი გავუგე კონვეიერულ მეთოდს. თქვენ გეცოდინებათ, სულ გაზეთებში ხართ.

– როგორ აგიხსნათ... – ცოტა არ იყოს დაიბნა „სულ გაზეთებში მყოფი“ ფოსტალიონი. – აი, მაგალითად, ამ ქუჩას ხომ ხედავთ, აქ დასაწყისიდან ბოლომდე გორგოლაჭებზე თოკი რომ იყოს გაბმული, მე რომ ქუჩის თავში დავდგე, დასარიგებელი გაზეთები თოკზე მივამაგრო სარეცხის შპილკებით და გორგოლაჭები დავატრიალო, გაზეთების პატრონები კიდეც ჭიშკართან დახვდნენ თავიანთ გაზეთებს და ხსნიდნენ... დაახლოებით ამდაგვარი რაღაცაა.

რაისა კონვეიერული მეთოდის პრინციპის ახლებურმა ახსნამ ძალიან დააბნია.

– უყურე შენ! – წამოიძახა მან. – მასე ჩემს ახალგაზრდობაში ხის მორებს აცურებდნენ მდინარით, ახლა კი ხალათებს კერავენ... მდინარის გაყოლებაზე კიდეც სახერხები და შეშის დამამზადებელი ფარდულები იდგა. საფიცრე მორებს ერთი ნაჭდევი ჰქონდა, საშემეს ორი და მეშეშეებიც და მეფიცრეებიც თავიანთ მორებს ადვილად არჩევდნენ ერთმანეთისაგან, მაგრამ ზოგჯერ მეშეშეები ეშმაკობდნენ და საფიცრე მორებიც თავიანთთვის ამოჰქონდათ კაუჭიანი ჯოხებით. საშინლად წაწებდებოდნენ ხოლმე მეშეშეები და მეფიცრეები ერთმანეთთან...

ბალერა



შაკო ნიკვა „დაშლა“, ფანქარი, ტუში, 2012

აქაც რომ ასე იყოს, სხვის გაზეთებს არ ნაიღებდნენ აქაურები?

ფოსტალიონი დაფიქრდა, ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო და მეზობლის სახლებს თვალი მოავლო.

– ნაიღებდნენ, მაგრამ ერთმანეთის გასაპამპულელებლად! – ბრძანა მან ბოლოს.

– ეხ, როგორ გართულდა ცხოვრება! – ამოიოხრა რაისამ და შეეტყო, რომ კონვეირული მეთოდის ვერაფერი გაიგო.

ლამაზად ჩამოლამდა.

რაისა აივანზე იჯდა, მძიმე მოგონებებისაგან თავატიკიებული ტირილისაგან თავს გაჭირვებით იკავებდა და ზღვის შრიალს ისმენდა. რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ ზღვა მასსავით ცუდ ხასიათზე ბრძანდებოდა.

ჭიშკარი ნასვამმა დოღო ბასილაიამ შემოალო.

– სიდედრს ვახლავარ! – ძალიან ყოჩაღად დაიძახა მან, სახლისკენ გამოემართა და სიდედრის გვერდით მოკალათდა.

– თუ იცი, რა გითხრა, ჩემო სიდედრო?.. – ტკბილად გაიღიმა დოღო ბასილაიამ. – შენ რომ კონვეირული მეთოდის ვერაფერი გაიგე, მთელმა ქუჩამ იცის!

– საიდან? – გაოცდა რაისა თურნავა.
– კონვეირული მეთოდით გადაეცა ჭორი! – აუხსნა დოღო ბასილაიამ სიდედრს. – ამ დილით, ეტყობა, შენ რომელიღაც მეზობელს ჰკითხე, კონვეირული მეთოდი რა არისო, იმ მეზობელმა მეორე მეზობელს უთხრა, ასე და ასეა საქმე, დოღოს სიდედრი კონვეირულ მეთოდს იკველევსო, მეორემ მესამეს მოახსენა, მესამე მეთხეს ჩასწორებულა ყურში, მეთხემ მეხუთეს ჩაანვეთა და წავიდა ასე კრუგში, სანამ მე არ გავიგე. ჰოდა, ეგ არის კონვეირული მეთოდი.

– მაინც ვერავინ ამიხსნა გასაგებად, რას ნიშნავს ეს წყეული კონვეირული მეთოდი! – დაიჩვილა რაისამ.

დოღო ბასილაიამ ჯერ ამოიხვნეშა, შემდეგ ამოიოხრა.

– ეტყობა, ვერც გაიგებ! – თავისთვის ჩაილაპარაკა მან და მაშინვე ენაზე იკბინა, რადგან მოულოდნელად სიდედრმა ნათქვამი გაიგო.

– დავთვერი, ამის დედა ვატირე! – თავი იმართლა დოღომ.

რაისა თურნავა შეეცადა არ დაემჩნია,

რომ სიძის ნათქვამი გულს მოხვდა, მაგრამ ვერ შეძლო.

– ოღონდ ჩვენ ვიყოთ კარგად და კონვეირულ მეთოდს მოუკვდა პატრონი! – ხელი ჩაიქნია დოღო ბასილაიამ და დასაძინებლად გაემართა.

იმ ღამეს რაისა თურნავას მსხლის დამჭენარი ფოთლებით მოფენილი დიდი ეზო ესიზმრა – ქმრის მამიესული სახლის ეზო, რომელსაც ახალგაბთხოვილი დილდილობით გვიდა ხოლმე. იმ სიზმარში რაისა თითქოს ახალგაზრდა იყო და ტიროდა – ტირილითა და ეზოს დაგვით იოხებდა გულს. ცრემლებისაგან ასეთი შეება არასოდეს უგრძენია როგორც ამ სიზმარში. სიძის მიერ უხეშად ნათქვამი აგონდებოდა და ტირილს უმატებდა...

სწორედ ტირილით აღესრულა ძილში გაპარული რაისა თურნავა იმ ღამეს. გარდაცვლილს კი ძალიან მშვიდი სახე ჰქონდა და არც ეტყობოდა, რომ სიძის უხეშად ნათქვამი იმქვეყნად ჯავრად წაიყოლა. ან, შეიძლება არც წაყოლია და სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე გადაუარა წყენამ.

დოღო ბასილაიამ კი, რომელსაც სიმართლე რომ ითქვას, მანამდე სიდედრისთვის არასოდეს უწყენინებია, სინდისის ქენჯნა იგრძნო და დანანებით აღნიშნა, ჩემი სიდედრი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ კონვეირული მეთოდის ვერაფერი გაიგო. მეზობლებმა ამ ამბავს კუდი გამოაბეს, დოღომ იქილიკაო, ამტკიცებდნენ. მაგრამ დოღო ბასილაის არ უქილიკია, რადგან ის, როგორც უკვე ვთქვით, სინდისის ქენჯნას განიცდიდა...

ქორილა, ანუ ბედისწერა

(ციკლიდან „სანაპიროს ქუჩის ამბები“)

კახა პაჭკორიას, მამამისივით, უბნის რწმუნებულ ოტია პაჭკორიასავით, ფიცხ, მაგრამ მისვე მსგავსად მიამიტურად კეთილი გულის ბიჭს, გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს მოეჩვენა, რომ ღმერთს ის იმისთვის გაეჩინა, რათა ერთი თავისი თანაკურსელი თეთრპირისკანიანი და ცისფერთვალეა გოგო გაებედნიერებინა იმით, რომ ყოველ დილით მის მიერ პირდაპირ ლოგინში მორთმეული ყავა ეხვრიპა. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ თეთრპირისკანიანი და ცისფერთვალეა გოგოს საკუთარ ბედთან დაკავშირებით

სულ სხვა გეგმები ჰქონდა, რომლის განხორციელებას ის კახა პაჭკორიასზე გაცილებით განათლებული, გაცილებით სიმპათიური და, რაც მთავარია, კახა პაჭკორიასზე სულ ცოტა ერთი თავით მაღალი ბიჭის საშუალებით აპირებდა, რომელიც თურმე ჰპირდებოდა, რომ თანამეცხედრეს ყავას თვითონ მიართმევდა ლოგინში. როგორც ცნობილია, ბედი პრაქტიკოსებს უფრო სწყალობთ ხოლმე. კახა პაჭკორია კი პრაქტიკოსი იყო და, როგორც კი გაეცნო თეთრპირისკანიანი და ცისფერთვალეა გოგოს მანერულ ოცნებებს, მაშინვე მიხვდა, რომ მის მოსახიბლად ცოტა შანსები ჰქონდა. ამიტომაც მან თავისი ოცნების განსახორციელებლად, ანუ ცოლის მიერ პირდაპირ ლოგინში მორთმეული ყავის სურნელით დასატკობად, თეთრპირისკანიანი და ცისფერთვალეა გოგო მოიტაცა. თეთრპირისკანიანი და ცისფერთვალეა გოგოს, როგორც ყველა ქედმაღალ, პრეტენზიულ და მეოცნებე არსებას, უტიფრობა აბნევედა და თრგუნავდა. ის კახა პაჭკორიას უტიფარმა საქციელმა იმდენად დათრგუნა, რომ მოტაცებიდან სულ რაღაც ერთ საათში ძალიან ადვილად დასთანხმდა ცოლობაზე და ქორნილის დღეც მალე დაინიშნა.

ასმათ პაჭკორიამ, კახას დამ და პროფკავშირის ლიდერმა, რომელიც გაბთხოვების სურვილსა და ზედმეტ ენერგიას სწრაფ სიარულსა და საზოგადოებრივი საქმეების პატიოსნად შესრულებაში ხარჯავდა, თავისი ხელით შეავსო მეზობლებისათვის განკუთვნილი ქორნილში მოსაწვევი ბარათები და ისინი სანაპიროს ქუჩის ცალხელა ფოსტალიონს გაატანა დასარიგებლად. მოსაწვევებზე ადრესატები, შემოკლებული ვარიანტით, „ბ-ონ“-ებად, ან „ქ-ონ“-ებად კი არ იყვნენ მოხსენიებულნი, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე მსგავს შემთხვევაში, არამედ მიმართვის ფორმა სრული სახით, ანუ, „ბატონ“-ად და „ქალბატონ“-ად იყო აღნიშნული, რამაც სანაპიროს ქუჩელებს აფიქრებინა, რომ ასმათ პაჭკორია, პროფკავშირის პერსპექტიული ჩინოსანი, მათ აპამპულელებდა. მაგრამ, როხროხა ოტია პაჭკორიამ, რომელსაც გრძელ და ნაწვეტებულბოლოებიანი საყელიანი ბაილონის პერანგების ტარება უყვარდა, თავის რძისფერ „გაზ-21“-ში ჩაჯდომისთანავე

კი ისე გადამეტებულად სერიოზულ-დებოდა, თითქოს კატაფალკის საჭეს მისჯდომი იყო, სახალხოდ განაცხადა, ჩემს ქალიშვილს მეზობლების მასხრად აგდება არც უფიქრიაო. ოტია პაჭკორიამ ეს ისე გულწრფელად თქვა, რომ მას ყველამ დაუფერა. თვითონ ასმათ პაჭკორიამ ამ გაუგებრობის გამო ცოტათი იტირა კიდევ, ხოლო მამამისის მიერ ქორწილში დასაკლავად ანაკლიიდან თუ დარჩელიდან ჩამოყვანილ და პაჭკორიების ლამაზი სახლის უკან, კრამიტის სახურავიან და კედლებიან კოხტა ფარდულში (ფარდულის კედლების კრამიტით განყოფილება ასმათის იდეა გახლდათ) დამწყვედულ ხარზე კი განაცხადა, ირემივით მეტყველი თვალები აქვსო. ასმათ პაჭკორია ხარის ფუნას მის მიერ სახლის წინ გაშენებულ ვარდებს უყრიდა, ხარის სანახავად მისულ მეზობლის ბავშვებს კი ქორწილის სუფრისთვის ბუთხუზ ყუფუნის ქალიშვილის, ლიმონათის ქარხნის მთავარი ტექნოლოგის, ელენე ყუფუნის მიერ ნახევარ ფასად მორთმეულ საგანგებო ჩამოსხმის ფეიჭოას ლიმონათით უმანს-პინძლდებოდა.

ქორწილამდე ორი დღით ადრე, დღით, ოტია პაჭკორია მისმა ცოლმა, ცაქვამ გამოაღვიძა და მშრალ თვალებზე

თავშალის ბოლოები ამოისვა, როგორც მამინ სჩვეოდა ხოლმე, როცა რამე გულისამაჩუყებელი ისტორიის მოყოლას აპირებდა.

– ცუდი სიზმარი ვნახე ძალიან! – ტრაგიკული ტონით ამცნო ცაქვამ ქმარს. – ცხონებული მამაშენი მესიზმრა. ორი ზომით დიდი ფეხსაცმელები ეცვა, როგორც სიცოცხლეში სჩვეოდა ხოლმე კოყიყების გამო. იგრძნო მიცვალებულის სულმა, მისი შვილიშვილი რომ ბედნიერდება და იმიტომ გამომეცხადა-მეთქი, ვიფიქრე სიზმარშივე მე. ქორწილის სუფრაზე გამოსატანი ღვინო დააჭაშნიკე-მეთქი, შევთავაზე. რა დროს ღვინოა, ჩემო რძალო, ჩემი „მაუზერის“ წასაღებად მოვედი, ახლავე თუ არ ნავილე, ჩემს ბიჭს ძალიან დიდი უსიამოვნება მოეღოს მაგ იარაღის გამო, მითხრა. კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ გივი კილასონის სულმა გამოიარა ამ დროს თავისი ცხენით. ჩემი წასვლის დროაო, მითხრა მამაშენმაც, შემოუსკუპდა გივის ცხენზე და გაქრნენ ორივენი. „მაუზერი“ მივეცი თუ არა, არ მახსოვს კარგად.

ცაქვა პაჭკორია დაფიქრდა და შუბლ-შეჭმუნხული მიაჩერდა კედელზე დაკიდებულ ან განსვენებული მამამთილის გადიდებულ ფოტოსურათს.

– ოტია ჩემო, თუ გიყვარდე და ცოტაოდენი ხათრი მაინც თუ გაქვს ჩემი, მოაშორე მაგ ფიშტო სახლიდან ქორწილის დღეებში მაინც. დღეიდან მეზობლებითა და სტუმრებით აივება აქაურობა. ათასი მტერი გყავს შენი სამსახურის გამო, ეშმაკმა უწყის, ვის რა უდევს გულში. არადა, ყველამ იცის მამისეულ „მაუზერს“ სახლში რომ ინახავ... დამიჯერე, ოტია, ენდე ცოლის სიზმარს!.. ტყუილბრალე ლაპარაკი არ იცოდა მამაშენმა!

ოტია პაჭკორიამ ბანჯგვლიანი მკერდი მოიფხანა და მამამისის ფოტოსურათს გაუღიმა.

– კარგი გიქნია ღვინო რომ შესთავაზე. ზედიზედ ორჯერ დამესიზმრა ამას წინათ, ღვინო მწყურიაო, მეუბნებოდა. იმისთვისაც ვერ მოვიცალე საფლავზე ავსულიყავი და ჭიჭა ღვინო წამექცია, – დანანებით აღნიშნა ოტიამ და იმაზე ფიქრს შეუდგა, ვისთვის მიებარებინა მამისეული იარაღი.

– დინჯი კაცი უნდა შეარჩიო, ჩემო ოტია, – ფრთხილად შეაპარა ცაქვამ ქმარს. – დოღო ბასილაისავით დინჯი კაცი არ დადის ჩვენს ქუჩაზე. საიდუმლოს შენახვაც იცის და სახლიდანაც ვერ გამოდის ამ ბოლო დროს. ფილტვების ანთების დიაგნოზით წევს უკვე მეექვსე დღეა.

– შენ იმის ხო არ გეშინია, რომ ქორწილის დღეს დავთვრები და სროლას ავტეხავ, როგორც ცხონებულმა მამაჩემმა გაისროლა იმ „მაუზერიდან“ შენ რომ შემოგიყვანე სახლში მამინ? – ეჭვი გამოთქვა ოტიამ.

– რატომ მაკადრებ მაგას, ოტია, ხომ გითხარი როგორი სიზმარიც ვნახე?! – გული დასწყდა ცაქვას.

ოტია პაჭკორიამ ამოიხსრა.

– ცხონებული მამაჩემი იტყოდა ხოლმე, ორი რამის არც განათხოვრება და არც სხვისთვის მიბარება არ შეიძლება – ცოლისა და იარაღისო, – თქვა ოტიამ. – მაგრამ, ჯანდაბას, ამ ერთხელ დაგიჯერებ. მართალი ხარ შენ – ყველამ იცის რომ „მაუზერი“ სახლში მიდევს და რამე ოინი არ მომიწყონ. ეგერ, გოგი ხარაზია მამისეულ შაშხანას რომ ინახავს უნებართვოდ, ანონიმური წერილები მოდის სულ მილიციაში ამის გამო... ოღონდ გაფრთხილებ, რძლის შემოსვლა ოჯახში კანონიერად გაფორმებული თიფის გასრო-

ბალერა



შაკო ნიკვა „კიბო“, ფანქარი, ტუში, 2012

ლთ უნდა აღვნიშნო მტრების ჯინაზე და არ შემენინა აღმდეგო იცოდე!

– მაგაზე უარს როგორ გეტყვი, შე კაცო! – დაუყვავა ცაქვამ ქმარს.

ნახევარი საათის შემდეგ ოტია პაჭკორია ფილტვების მწვავე ანთების დიაგნოზით ლოგინში ჩანოლილ დოდო ბასილაიას ესტუმრა ღვინით სავსე დოქითა და ორი ხაჭაპურით ხელდამშვენებული.

– საქორნილო ღვინო მინდა გაგასინჯო, დოდო ბატონო, – უთხრა ოტიამ დოდო ბასილაიას და თან მასპინძლის სანოლის თავზე ჩამოკიდებულ მისი მშობლების გადიდებულ ფოტოსურათს ცოტა ნაღვლიანად შეჰღიმა. – ერთი სათხოვარიც მაქვს კიდევ, მეტად დელიკატური და წინასწარ გაფრთხილებ, თუ არ შეგიძლია მისი შესრულება, უარს თქმა არ მოგერიდოს იცოდე!

– რა სათხოვარია ასეთი? – დანტერესდა დოდო ბასილაია. – ცოტა მოშორებით დაჯექი თუ კაცი ხარ, თხის ქონით დამიზილა ამ დილით ზურგი ნაილიმ. ისე ვყარვარ საკუთარი თავი მეზარება. წუხელ კიდევ სულ ძმრიან ტილოებს მაფენდა შუბლზე. დილით სამასხურში წავიდა და სახლის დაღაგებაც ვერ მოასწრო ხეირიანად.

ოტია პაჭკორიამ სერვანდიდან ბროლის ორი საღვინე ჭიქა გამოიღო და მასპინძლის სანოლთან ტაბურეტზე ჩამოაწყო.

– დაულაგებლობა ჩემი სახლის უნდა ნახო შენ! მეზობლის ქალები დილიდან ცაქვას ეხმარებიან ავეჯის გადანყოფაში და ფართის გამონთავისუფლებაში. ყველაფერი ყირაზე დააყენეს. ხვალ დღევანდელზე უფრო მეტი ხალხი მოვა, შენ კიდევ ისეთი კაცი ხარ, საიდუმლოს შენახვა იცი. ჰოდა, თუ შეგიძლია მამაჩემისეული „მაუზერი“ შემინახე სამი დლით.

დოდო ბასილაიამ მისადმი გამოვლენილი ნდობისათვის მადლიერად გაუღიმა სტუმარს და სანოლზე წამოჯდა.

– მაგაზე როგორ გეტყვი უარს, ოტია ბატონო. რა კაცი ვიქნები მაშინ, შენისთანა კარგ კაცს ერთი „მაუზერი“ და ამ „მაუზერის“ შენახვის საიდუმლო თუ ვერ შევუნახე?!.. მართალი ხარ შენ – სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ყველამ იცის, რომ სახლში „მაუზერს“ ინახავ, ხისბუდიანსა და თერთმეტტყვიანს. მოშურნეც ბევრი გყავს, ჰოდა, სწორს

აკეთებ რასაც აკეთებ. შენს მოტანილ ღვინოსაც დავლევ რომ იცოდე. იმდენი წამლებით გამჭყიპა ნაილიმ, ჩემს ორგანიზმში ერთმანეთთან ბრძოლას უნდებოდა და თავისი საქმის გასაკეთებლად ვერ იცლიან. ხაჭაპურისთვის თეფშებიც სერვანდიდან გამოიღე, თორემ სამზარეულოში ჭურჭლის ნასახიც არაა დარჩენილი, მე მგონი. ჩემმა ბოთე სიძემ დაამსხვრია გუმინინი, ნაილისთან შესარიგებლად რომ მოვიდა, მაშინ. თუ არ შემირიდებები, დავლენავ ყველაფერს და შეასრულა კიდევ... ჩამამწარა სიბერე ჩემმა სიძემ. თუ რამე ცოდვა მქონდა ჩადენილი ახალგაზრდობაში, მინია ამ სიბერეში სიძის წყალობით! – ამოიხრა დოდო ბასილაიამ და თვალებიც აუნყლიანდა.

ოტია პაჭკორიას დოდო ბასილაია შეეცოდა და იმანაც ამოიხსრა თანაგრძნობის ნიშნად.

– მომეცი აქეთ შენი იარაღი. ბალიშის ქვეშ ამოვიდებ და შენი წასვლის შემდეგ გადავმალავ საიმედო ადგილას, – უთხრა დოდომ სტუმარს. – კარგს იზამ, თუ საფლავზეც ახვალ და ჭიქა ღვინოს ნაუქცევ მამაშენს. იციან ზოგჯერ მიცვალებულებმა უყურადღებობისთვის გაბრაზება და მართლებიც არიან რომ იცოდე!.. მაგათ ადგილას, რომ წარმოვიდგენ თავს, წინასწარ ვბრაზდები იმ უყურადღებობისთვის, ჩემები რომ გამოიჩინენ ჩემ მიმართ ჩემი სიკვდილის შემდეგ!

– ფუი, ეშმაკს! – პირფარევი გადინწრა ოტიამ. – არ გამაგიჟო, სიკვდილზე დანიყე ფიქრი, დოდო ბატონო?!

– ვიხუმრე, შე კაცო! – ისტიბარი არ გაიტეხა დოდომ.

– ხარი უნდა დავკლათ ხვალ დილით. ყვერებს შევანვევინებ შენ რომ გიყვარს ისე და ჩემი ხელით მოგართმევ! – დაჰპირდა ოტია მასპინძელს.

ოტია პაჭკორიას ჭიშკართან სანაპიროს ქუჩის ძაღლებმა გათენებამდე იწყეს შეგროვება.

– ძაღლები კი არა სვავები არიან ეს უპატრონოები!.. მანც როგორ იგრძნეს, ხარი რომ უნდა დავკლათ დღეს?! – წამოიძახა გაოცებულმა ოტია პაჭკორიამ და დანების აღლევას შეუდგა.

– ქორნილი ხომ ხვალ არის?!.. ჰოდა,

იქნებ ხვალ დაგვეკლა ხარი, – სთხოვა ასმათმა მამას.

– ხვალ ბევრი საქმე გვექნება, ვერ მოვასწრებთ! – მოუჭრა ოტიამ. – მოსახმარებლად მოსულ მეზობლებსაც ხომ უნდა გავუმასპინძლოდეთ დღეს, საქორნილო სეფის მომწყობებსაც!

– ასეც ვიცოდი, რომ უარს მეტყვოდი! – დასვედიანდა ასმათი.

– საიდან იცოდე?

– ძაღლები რომ შეიკრიბნენ უკვე ჩვენ სახლთან, იქიდან. ძაღლები ყველაფერს შეუმცდარად გრძნობენ.

ოტია პაჭკორიას ხასიათი წაუხდა – საქმე იმაში იყო, რომ მას, როგორც მილიციელს, ზურგსუკან ქოფავს ეძახდნენ. ასმათი მიხვდა მამის დანაღვლიანების მიზეზს, ლოყაზე აკოცა და პირველს თვითონ აუნყლიანდა თვალები.

– ხარი იმისთვისაა, რომ უნდა დაიკლას და ქორნილში შეიჭამოს. ბუნების კანონია ასეთი, – შენიშნა ოტიამ. – გულთან მიტანა იცი ყველაფრის. ასე არ შეიძლება!

– მართალი ხარ შენ. ჩემი გადაჭარბებული მზრუნველობის ბრალია ყველაფერი. გადაჭარბებული, რაც არ უნდა იყოს ის, ცუდად მთავრდება ყოველთვის. მეზობლების მოსანვევებიც გადაჭარბებული ზრდილობით რომ შევავსე, სხვანაირად მიიღეს! – დაიჩვილა ასმათმა.

ოტიამ ქალიშვილს შუბლზე აკოცა.

– შენ შენით გაიკვლიე გზა ცხოვრებაში და, რაც ასეთი შემთხვევისათვის ძალიან უცნაურია, მანც ბავშვად დარჩი! – უთხრა ოტიამ ქალიშვილს. – დასაკლავი უნდა დაიკლას, დასაჭერი დაჭერილ უნდა იქნას და მოსატ... – აქ ოტიამ ენაზე იკბინა, რადგან კინალამ უბნის ინსპექტორთათვის საყვარელი უხამსი ფრაზა დაახეთქა.

– შენც ისეთივე დარჩი, როგორიც ცოლის შერთვამდე იყავი – ყმანვილივით უხამსი! – შენიშნა ასმათმა და მამას კიდევ ერთხელ აკოცა ლოყაზე.

ოდნავ შეცბუნებულმა ოტია პაჭკორიამ თავისი ვაჟკაცური ღიმილი გადაიფინა სახეზე და დანების ლესვა განაგრძო.

ხარის დაკვლა დილის ათი საათისთვის დაეთქვათ მეზობლებს. ხარი ოტია ბენდელიანს უნდა დაეკლა, მან კი თანაშემწეებად ბუთხუზ ყუფუნია და მამია ციმიტია დაასახელა. ოტია ბენდელიანი ოტია პაჭკორიას სახლში ათის ნახე-

ვრისთვის გამოცხადდა. ის ყველა საქმეს ძალზე სერიოზულად ეკიდებოდა და გულიანად აკეთებდა დანაშაულებრივ ცოლთან კინკლაობით, რაც მისი გულმოდგინების წყალობით სერიოზულ ჩხუბში გადაიზრდებოდა ხოლმე და, ზამთრისთვის ფანჯრის ჭუჭყურტანების საგოზავით ამოვსებით დამთავრებული, რომლის მოსაშორებლად გაზაფხულობით ოტია ბენდელიანის ოთხივე ბიჭს ოფლად გაღვრა უნებდათ.

ოტია ბენდელიანი იმ დილით მოსახელის სახლში თავის ოთხ ვაჟთან ერთად გამოცხადდა. ოტია ბენდელიანის ბიჭები საქონლის მოხარბულ ღვიძლსა და ელენთაზე გიჟდებოდნენ, ოტია პაჭკორია კი მათ დაჰპირებოდა, ერთსაც და მეორესაც მთლიანად თქვენ ვითმობთო.

– ჩემი ხელით მოგიხარშავთ ღვიძლსაც და ელენთასაც, – უთხრა მათ წინაღობით უბნის ინსპექტორმა. – რომ გაიზრდებით და ცოლს შეირთავთ, სხვა თუ არაფერი, ტკბილად მაინც მომიგონებთ და საქორწილო სუფრაზე სადღეგრძელოში მახსენებთ.

ოტია ბენდელიანს სეხნიის გულუხვობამ ისე აუჩუყა გული, რომ ხარის პატრონს დაჰპირდა, ხარის ტყავისაგან ისეთ ფიტულს დაგიზადებ, მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდანაც კი მო-

ვლენ მის სანახავად. ოტია ბენდელიანი მთელ ქალაქში ცნობილი იყო როგორც ჯიხვების, ტახებისა და დათვების ფიტულების დამზადების დიდოსტატი. ფიტულის დამზადების საიდუმლოს ბაბუაჩემმა მაზიარა და უფლება არა მაქვს გარეშე კაცს გადავცე ეს საგვარეულო ცოდნაო, აცხადებდა. ცოტას თუ სჯეროდა იმისა, რომ ოტია ბენდელიანი ფიტულის დამზადების რამე განსაკუთრებულ ხერხსა და საიდუმლოს ფლობდა, იმიტომ, რომ ოტია ბენდელიანს ყველაფრის საიდუმლოების ბურუსში გახვევა უყვარდა და ყველაფრის გაზვიადება სჩვეოდა, სამაგიეროდ, მისთვის სიტყვის კაცად ყოფნა ძალიან ბევრს ნიშნავდა. ამიტომ ოტია პაჭკორიას არც გაჰკვირვებია, რომ მისი სეხნია დათქმულ დროზე ნახევარი საათით ადრე გამოცხადდა. ოტია ბენდელიანისთვის საქონლის დაკვლა მთელ რიტუალს წარმოადგენდა და ამ დროს ისე სერიოზულდებოდა, თითქოს რამე მისტიურ წეს-ჩვეულებას ასრულებსო.

ოტია ბენდელიანმა მასპინძლის დანას ფხა ცერა თითით შეუმონმა და დაიჭყანა.

– ეს არის კარგი დანა მაქვსო, რომ თქვი? – უსაყვედურა ოტია ბენდელიანმა სეხნიას. – ამ დანით ხარი კი არა რაჟიკო კეზუას ინდაური არ დაიკვლება. კი მიგრძნობდა გული, რომ ჩემი დანა უნდა

მომეტანა. ახია ჩემზე, სულ ასე მემართება ხოლმე, როცა საკუთარ გულისთქმას არ ვუჯერებ!

ოტია ბენდელიანმა ასმათ პაჭკორიას მოვლილ ვარდის ბუჩქებს გადახედა და ჭიშკრისკენ დააღირა.

– სახლში გადავალ და ჩემს დანას მოვიტან, მანამდე კი შენ ხარის გასაკოჭი თოკი მონახე, – დაუბარა მან ჭიშკარში გასვლამდე მასპინძელს და საკუჭმაჭე საქონლის წელეების გასარეცხად მომავალ, აღიარებულ მეკუჭმაჭე ქიონია ესვანჯიას ნაზი ყვითელი ფერის ახალი ბოტები შეუთვალერა. ქიონიამ ყვითელბოტებიანი ფეხები პაჭკორიების ჭიშკართან შეკრებილ ძაღლებს დაუბაკუნა.

– ბოტები იმიტომ ჩავიცვი, რომ ფეხები არ დამსველებოდა წელეების რეცხვისას, – აუხსნა ქიონიამ ოტია ბენდელიანს.

ოტია ბენდელიანი მიხვდა, რომ მეზობლის ბოტებს სულელური დაჟინებით უშტერებდა თვალს, ბავშვივით დაიმორცხვა და გზაზე გამოვიდა.

ამასობაში ხარის სანახავად მისულ ოტია ბენდელიანის ბიჭებს ხარი ფარდულიდან გამოექცათ. სიბნელეს შერვეულ ხარს დღის შუქმა თვალეები მოსჭრა, არეული ნაბიჯებით გამოიარა სახლის მობეტონებული ლაფარო და გაცივებული მიაშტერდა სახლის წინა ეზოში შეკრებილ ხალხს.

– ხარი გამოიქცა! – იკვილა ჭიშკარში შემოსულმა ქიონია ესვანჯიამ და ყვითელბოტებიანი ფეხები ენერგიულად დააბაკუნა, თითქოს ისევ ძაღლებს უწყრებო.

– რა გაკვილებს მერე, შე ქალო, კი არ იკბინება! – უსაყვედურა მას მამია ციმიცტამ და ხარს ქათამივით აუქშია.


– აქმა, შე შერვენებულო!

უკანა ეზოში გამავალი ლაფაროდან პირველი შეროზი ბენდელიანი გამოვარდა, შარვალი მუდამ ჩაჩაჩული რომ ჰქონდა და ბაყაყების დაჭერასა და, განსაკუთრებით მათ გაბურვამში, თავის უფროს ძმას, თორნიკეს რომ არ უდებდა ტოლს.

– ხარი გამოგვექცა, მე ამის დედა ვატირე! – განწირული ხმით იყვირა შეროზი ბენდელიანმა და ქვა რომ ვერსად იპოვა, მარჯვენა ფეხიდან ფეხსაცმელი წაიძრო და ხარს დაუმიზნა.

– რა ქვია ამ ხარს, ოტია ბიძია? – საქმიანად იკითხა თორნიკე ბენდელიანმა

ბალერა



შაკო ნიკვა
„გაქცევა“, ტუში, 2011

და იმანაც ნაიძრო ფეხსაცმელი, ოღონდ მარცხენა ფეხიდან, რადგან ცაცია იყო.

ხარმა, როგორც იქნა, შეაჩვია თვალი სინათლეს, გამოერკვა, ერთბაშად გაამყვდა, თვალები დააბრიალა და დინჯად დაბზრიალდა საკუთარი ღერძის გარშემო.

– ნახეთ რა ქედი აქვს, რა ჯიშინია ეს ოხერი! – აღვრთოვანება ვერ დამალა ბუთხუზ ყუფუნია. – ასე ნასუქარი ხარი ჯერ არავის დაუკლავს ჩვენს ქუჩაზე არც ქორწილში და არც ისე!

– ორას კილო ხორცს მაინც დაყრის! – ივარაუდა მამია ციმინტიამ. – აი, ნახეთ თუ არა, აგერა ვარ მე და აგერ – ხარი!

– დაგახვეთ ყურებს! – შვილების მისამართით დაიღრიალა გზიდან ოტია ბენდელიანმა.

– დაკეტეთ ჭიშკარი! – იყვირა ოტია პაჭკორიამ.

ხარი კიდევ ერთხელ დატრიალდა საკუთარი ღერძის გარშემო და, თითქოს ოტია პაჭკორიას ყვირილი მითითებდა აღიქვაო, ჭიშკრისკენ წავიდა. ღია ჭიშკარში შემოსული ძაღლები ხარს უკან ამოუდგნენ და ნკავნკავნარევი ყეფით შეუტიეს.

– ნახეთ როგორ უთანთალებს ღაბაბი სიარულისას! – ხელები მოიფშვინტა მამია ციმინტიამ. – ორას კილოს ასცდება, რასაც ეს ხორცს დაყრის!

– მშვილდოსან, ნუ აფრთხოხ ხარს! – დაუღრიალა ოტია პაჭკორიამ თავისი სენხიის შუათანა ბიჭს.

– გიმზერ! – დაიღრიალა ოტია ბენდელიანმა გზიდან, მალევე მიხვდა, რომ უმცროსი გიმზერი მშვილდოსანში აერია, მაგრამ იხტიბარი არ გაიტყნა, პაჭკორიების ჭიშკრისკენ გაქანდა ხარის ეზოში შესაბრუნებლად და დროზე რომ არ ეგანა, ხარი უეჭველად გადაქელავდა.

– ბოშათა უბნისკენ მაინც უქენი პირი! – უყვირა ოტია პაჭკორიამ სენხიას.

ხარი ნამით შედგა, ბოშათა უბნისკენ გაიხედა, დაბერილი ნესტოებით ჰაერი შესისუნთქა, ბოშათა უბნიდან მობერილი სიო აშკარად არ მოეწონა, წინა ფლოქეები ასფალტს გაჰკრა, თითქოს წინა მობოცხნაო და სანაპიროს ქუჩის დასაწყისისკენ ნაძუნძულდა.

მისი გრაციით აღვრთოვანებულმა მამია ციმინტიამ, ხარისთვის ბალახის მოსაჭრელად ოტია პაჭკორიასთვის ორი

დღის წინ ნათხოვარ თავის ლურჯტარიან სეკატორს დაავლო ხელი და ყველაზე თამამად გამოენთო ხარს.

– კუდში ჩაავლე ხელი და მობრუნდება! – მიაყვირა მამიას ბუთხუზ ყუფუნია.

ძაღლებიდან პირველმა მერაბ ურიდიას ახალგაზრდა ძუქნამ დასძლია შიში, ხარს გვერდიდან მოუარა და მუცელში ნაჰკრა კბილი. პარმენ გოგიას ნაღვლიანთვალე-ბა გოშია კი ხარს კოჭებში წავიდანა.

– რა ქვია ამ ხარს, რა ქვია-მეთქი? – აკივლდა არიანა ანთია. – დაუძახეთ ვინმემ სახელი და გააჩერეთ!

ხარი ძაღლების დასაფრთხოვად ადგილზე დაბრიალდა და ოტია ბენდელიანს რქა ოდნავ გაჰკრა მუცელზე. ოტიამ განწირული ხმით იყვირა და გზისპირა თხრილში დაიძალა. ოტია ბენდელიანის ცოლის, ყუყუნა ხარაზიას კვილიმა მამია ციმინტიას ხარისთვის კუდში ხელის ჩავლების სურვილი დაუკარგა. ალაპი სამუშაო მამია ციმინტიას სეკატორი გამოსტაცა ხელიდან და ხარს ესროლა. სეკატორი ხარს გავაზე მოხვდა ტარით. ხარი ასფალტზე დაცემულ სეკატორს გაოცებული დაშტერდა და მის დასასუნადაც გაემზადა, მაგრამ ამასობაში რაჟიკო კეზუას ძაღლს, რაკი საკუთარი სახლის სიხლოვეს იგულა თავი, გული მოეცა და ღაბაბზე ჩამოეკიდა კბილებით ხარს.

– ესროლე, გოგი, შაშხანა ესროლე! – დაუყვირა ყუყუნა ხარაზიამ თავისი ოთახიდან გამოსულ ძმას, გოგი ხარაზიას.

– არ ესროლო, ხალხს არ მოხვდეს შემთხვევით და არ დაიღუპო თავი. ნაბახუსეგზე ხარ და ხელები გიკანკალებს! – მშვიდად ურჩია გოგის მისმა სახლის მენილემ, მეორე სართულის აივანზე, გოგის გვერდით სარწვევლა სავარძელში მონაგნავე დარეჯან კვარაცხელიამ.

გოგი ხარაზია ოთახში შებრუნდა და იქიდან შაშხანით შეირაღებული დაბრუნდა.

ხარმა იბღავლა და რაჟიკო კეზუას ძაღლაკიდებული რაჟიკო კეზუას ჭიშკარს გასცდა ტუნძულთ.

ოტია პაჭკორიამ რაჟიკო კეზუასა და პარმენ გოგიას ეზოებს შორის გამავალ საცალფეხო გზისკენ თითი გაიშვირა და რალაცის დაყვირება მოინდომა, მაგრამ ჰაერი არ ეყო და პირი უმწეოდ დააფჩინა.

– იმ გზით თუ წავიდა, პირდაპირ ზღ-

ვისპირა სკვერში ამოყოფს თავს, იქიდან პლაჟზეც გავა და ხალხს დაანოკებს! – სათქმელს მიუხვდა თხრილიდან თავნამოყოფილი ოტია ბენდელიანი სენხიას, ცოლისძმისკენ გაიხედა, შაშხანამომარჯვებული გოგი ხარაზიას დანახვაზე ისევე თხრილში ჩაებტყა და იმანაც უმწეოდ დააფჩინა პირი – ალღვებისაგან ჰაერი არ ეყო დასაყვირებლად.

– არ ესროლო, გოგი. ხალხს არ მოარტყა შემთხვევით! – კიდევ ერთხელ ურჩია გოგი ხარაზიას მისმა სახლის მენილემ დარეჯან კვარაცხელიამ.

ხარმა რაჟიკო კეზუასა და პარმენ გოგიას ეზოებს შორის გაკიდულ ფეხის გზას გვერდი აუარა და სანაპიროს ქუჩას გაუყვა ქალაქის ცენტრისკენ. რაჟიკო კეზუას ძუქნა ისევე ღაბაბზე ეკიდა.

– ქალაქისკენ მიდის! – იყვირა ასმათ პაჭკორიამ, აქამდე ჩუმად რომ იყო, ერთბაშად აინყვიტა, სულ მალე დაწინაურდა, ფეხებში წამოზღანდული თალიკო მასხულის თეთრი ფინია ღონიერი პანჩურით ალაპი სამუშაოს რკინის ღობეს მიანარცხა, სიჩქარეს უმატა, ხარსაც გადაუსწრო, მერე უცებ მოტრიალდა და ხარს ცხვირწინ აესვეტა. ხარი ასეთმა უტიფრობამ დააბნია და ადგილზე გაქევა-ვდა. ოტია პაჭკორიამ რალაც გაურკვეველი იხავლა და ორიოდ წამში ქალიშვილის გვერდით გაჩნდა.

– კოჩია, გააღე ჭიშკარი, შენს ეზოში შევაგდოთ ხარი! – კოჩია ლაკერბაიას სახლის მისამართით იყვირა ოტია პაჭკორიამ. დაძახილზე ლაკერბაიების სახლიდან ბავშვები გამოცვივდნენ.

– მომეცი ახალეე შაშხანა, ბავშვებს არ მოარტყა! – მკაცრად მიმართა დარეჯანმა გოგი ხარაზიას.

– გამოიტანე მაუზერი და ესროლე ხარს! – უყვირა ოტია პაჭკორიამ თავისი სახლის აივანზე საბანნამოფარებულად გამოსულ დოღო ბასილაიას. – ესროლე, თორემ დახოცავს ეს უპატრონო ხალხს!

– ბავშვები განიეთ და ახლავე დავბრუნდები! – იყვირა დოღო ბასილაიამ, საბანი აივნის მოაჯირზე ნაბადივით გადაკიდა და სახლში შევარდა.

ოტია ბენდელიანი ხართან მამია ციმინტიას სეკატორით შეიარაღებული გამოჩნდა და ლაკერბაიას ბავშვებს მოუღერა.

– შედით ახლავე სახლში, თქვე მამა-ძაღლებო, კოჩია გამოვიდეს, ჭიშკარი

გააღოს! – უყვირა ოტია ბენდელიანმა ლაქერბაიების ბავშვებს.

– დანეკით ახლავე. ყველა დანეკს, მე თქვენ გელაპარაკებით! – იჭექა თავისი აივნებიდან გოგი ხარაზიამ.

– სანამ ყველა არ დანეკება, არ ისროლო, იცოდე! – გააფრთხილა გოგი ხარაზია დარეჯან კვარაცხელიამ.

– ჩემი ბავშვები სად არიან? – იკითხა ოტია ბენდელიანმა, როცა ლაქერბაიების ბავშვები სახლში შევიდნენ.

– აქა ვართ! – ფხსაცემელი გამოსტაცა გიმზერს ხელიდან მშვილდოსან ბენდელიანმა.

ოტია ბენდელიანმა შვილები სათითაოდ ჩაყარა გზისპირა თხრილში.

– სად ვესროლო კონკრეტულად? – იკითხა აივანზე ოტია პაჭკორიას მამისეული „მაუზერით“ გამოსულმა დოდო ბასილაიამ.

– სადაც მორატყამ, ოღონდ იარაღი ორივე ხელით დაიჭირე! – უპასუხა ოტია პაჭკორიამ და ოტია ბენდელიანის ნაბადვით ასმათ პაჭკორია გზისპირა თხრილში ჩაჩხა.

ხარი ამდენმა გადაძახილმა დააბნია და ადგილზე დატრიალდა. ოტია პაჭკორია შუა გზაზე დადგა, ხელები გაშალა, წინ წახრილმა თავიც ჩალუნა და ხარს წარბებსქვემოდად შეუბღვირა ანთებული თვლებით. ხარმა ოტია პაჭკორიას პოზა ორთაბრძოლაში გამონევედ მიიღო, წინა ფეხები ასფალტს გაჰკრა, თავი დახარა და ნესტოები დაბერა.

დოდო ბასილაია მიხვდა, რომ ყველაფერს წამები წყვეტდა, პისტოლეტი ხარს თავში დაუმიზნა და სანამ სასხლეტს გამოჰკრა, ცალი თვალი ცისკენ გააპარა, რათა ღმერთისთვის დახმარება ეთხოვა.

– ღმერთო, შენ მიშველე! – გაისმა სიჩუმეში დოდო ბასილაიას ხმა.

– თუ არ დანეკით, პირდაპირ თქვენ დაგახლით! – უღრიალა მეზობლებს გოგი ხარაზიამ.

ოტია პაჭკორიას გარდა ყველა გზისპირა თხრილს მიანყდა.

ზედიზედ ორი გასროლის ხმა გაისმა – ჯერ ოტია პაჭკორიას „მაუზერისა“ და, თითქმის იმავე წამს გოგი ხარაზიას შაშხანისა.

დოდო ბასილაიას ნასროლი ხარს თავში მოხვდა და მაშინვე ასფალტზე და-

ანარცხა. გოგი ხარაზიას შაშხანიდან გამოვარდნილმა ტყვიამ კი, რაკი სამიზნე ადგილზე არ დახვდა, კოჩია ლაქერბაიას ჭიშკრის რკინის ბოძს გაჰკრა, მიმართული იცვალა და რიკოშეტით ასხლეტილი ოტია პაჭკორიას ჩაეჭვდა პირდაპირ ბარძაყში.

ოტია პაჭკორიამ, ავღანეთის ომის ვეტერანმა, სანამ დაეცემოდა, მოასწრო და ნაჭრილობებზე დაიხვდა.

– გოგი ხარაზიას ნასროლი მომხვდა! – აღნიშნა ნატყვიარებში მეტად გამოცდილმა ოტია პაჭკორიამ. – მაგრამ რად გინდა, მაინც ამხნდა ცოლის სიზმარი. ოღონდ ახლა კივილი არ გამაგონოს ქალებმა!.. მე მგონი, ძვალი მთელია. დალლილი ტყვია მომხვდა.

ქალების კივილმა სანაპიროს ქუჩა შესძრა.

ასფალტზე დაცემული ოტია პაჭკორია ტკივილისა და სიბრაზისაგან კბილებს აკრაჭუნებდა და ნატყვიარს ნაფარებული ხელის თითებს შორის გამოჟონილ სისხლს მეორე ხელით იწმენდდა.

– ასე მოუვა ყველას, ვინც ცოლის ჭკუაზე ივლის! – უთხრა მან თავის ქალიშვილს. – რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის ცხონებულ მამაჩემს, ცოლისა და იარაღის სხვისთვის მიბარება არ შეიძლება, სახლში უნდა ინახავდე ორივესო!

– ჩემი ნასროლი ტყვია ხომ არ მოხვდა? – თავისი აივნებიდან ჩამოსძახა ოტია პაჭკორიასთან შეკრებილ მეზობლებს დოდო ბასილაიამ.

– არა, ნუ გეშინია, გოგი ხარაზიასი მოხვდა! – დაუყვირა მას პასუხად მამია ციმინტიამ. – შენ რომ აგეცილებინა ხარისთვის, მაშინ გოგის ტყვია ხარს მოხვდებოდა და ოტია გადარჩებოდა!

– ძალიან კარგი, თუ ჩემი ტყვია არ მოხვედრია! – თქვა დოდო ბასილაიამ და გული წაუვიდა.

– ახლა წინანდელზე უფრო მეტი სისხლი წამოვა, მაგრამ შენ არ შეგეშინდეს! – გააფრთხილა ოტია პაჭკორიამ ქალიშვილი. – ეხ-ხ, ნაილი ბასილაია სახლში რომ იყოს, ფეხს გადამინასკვავდა რეზინის ჩალიჩათი და სისხლდენას შემჩერებდა!

– ჩემი ბრალია ყველაფერი, მე ვუთხარი ოტიას იარაღი დოდო ბასილაიას მიაბარე-მეთქი! – კივილიდან მოთქმაზე გადავიდა ცაქვა პაჭკორია.

ოტია ბენდელიანმა ჭრილობის სიღრმის გაზომვა გრძელი, ძვლის მუდმტუკით განიზრახა, რისთვისაც მას ცოლმა, უფუფუნა ხარაზიამ კეფაში უთაქა.

– საავადმყოფოშია კაცი სასწრაფოდ ნასაყვანი, მაგრამ იქ მილიციას გამოიძახებენ. ჯობია ახლავე ამოვიღოთ ტყვია, მერე ოტია იტყვის, ჩემი ტაბელური იარაღი გამივარდაო და საქმეს არ აღძრვენ, – თქვა ოტია ბენდელიანმა.

ოტია პაჭკორია სენხის ნათქვამზე სახეზე გადაფითრდა.

– ლომში ჩახარული ყველი კი არ არის, შე კაცო, ტყვიაა! – თქვა ოტია პაჭკორიამ.

– საქსოვი ჩხირით ამოვიღოთ ტყვია! – შესთავაზა ორივე ოტია გოგი ხარაზიამ. – როგორ შევეუმონმო ხარს პულსი?.. შეიძლება მკვდარი არ არის ბოლომდე!

– საკონტროლო ესროლე შუბლში! – ურჩია მას რაჟიკო კეზუამ.

– არაფერსაც არ ვესვრი. ზედმეტი ფაქტები მინდა კიდევ მე?! – გაჯიუტდა გოგი ხარაზია, ოტია პაჭკორიასთან ჩაიჩოქა და თავზე გადაუსვა ხელი. – ჩემი შაშხანის ხსენება არ უნდა იყოს ამ საქმეში, იცოდე!

– არ უნდა გამეტანა იარაღი სახლიდან! – თქვა ოტია პაჭკორიამ და ქიონია ესვანჯიას ყვითელ ბოტებზე გაუშტერდა მზერა. – შეიძლება გული წამივიდეს, იმიტომ, რომ ყვითელი წრეები მიტრიალებს თვალებში. ავღანეთშიც ყვითელი წრეები დამიტრიალდა როცა დაეჭვერი, მაგრამ თქვენ ნუ შეგეშინდებთ!

– აი, რას ნიშნავს გამოცდილება! – შენიშნა მამია ციმინტიამ.

– ღმერთო, რა ვაჟკაცია! – ასლუკუნდა ქიონია, რომელიც ვერ ხვდებოდა, რომ მისი ყვითელი ბოტები გულის ნასვლის მაუნყებელ თვალში დატრიალებულ წრეებად აღიქვა ოტია პაჭკორიამ.

– არ უნდა გამეტანა იარაღი სახლიდან და არ ამიხდებოდა მაშინ ცაქვას ცუდი სიზმარი! – თქვა ოტია პაჭკორიამ და გონის დასაკარგად მოემზადა.

– ბედისწერაა ეს ყველაფერი!.. ვერსად წაუხვალ ბედისწერას! – შენიშნა დარეჯან კვარაცხელიამ და გოგი ხარაზიას ბეჭზე უპნკინა. – ადეკი ახლავე და გადამალე მაგ შაშხანა სანამ მილიცია მოსულა, თორემ კიდევ გააფუჭებ რამეს, შენი ამბავი რომ ვიცი!..

უნივერსალური ქართული განათლებით მსოფლიოსკენ ხერძო სკოლა "ლოგოსი"



სკოლის კურსდამთავრებულები წარმატებით
აგრძელებენ სწავლას საქართველოს, ევროპისა და ამერიკის
პრესტიჟულ უნივერსიტეტებში:

სკოლაში მოსაწავლეთა მიღება ხორციელდება ტესტირებისა და
გასაუბრების საფუძველზე.
მათ შორის საუკეთესონი სკოლისაგან იღებენ თანადაფინანსებას.

სკოლის პროგრამა მოიცავს:
მოსწავლეთა საუკეთესოდ მომზადებას საატესტატო და ერთიანი
ეროვნული გამოცდებისათვის
SAT-ში, TOEFL-სა და IELTS-ში მომზადებას
College Counseling-ის ნოვატორული სერვისს - მოსწავლეთა დახმარებას
საზღვარგარეთ სასურველი უნივერსიტეტების შერჩევაში,
აპლიკაციების მომზადება-გადაგზავნასა და დაფინანსების მოპოვებაში

www.facebook.com/logos.edu.ge
www.logos.edu.ge
info@logos.edu.ge

ჩერქეზიშვილის ქ.4 2 475 445, 2 377 008



ეკა ქვანისვილი
პოეტი

ეკა ჟურნალისტი და ამ პროფესიისთვის დამახასიათებელი უკომპრომისობა და პირდაპირობა მის ლექსებშიც იგრძნობა. პოეტის მთავარი ხიბლი უღმობელი გულწრფელობა – ლირიკული „მე“ ხშირად თავადაა რაიმე კონიუნქტურის შემადგენელი და შესაბამისად, მხილების ობიექტიც, ხოლო თუკი ტაბუს არღვევს, არასოდესაა იდეალიზირებული. სწორედ ეს სიმწარე ატყვია აქ წარმოდგენილ ლექსებს. მაგალითად, ლექსში „სამოთხე. ასოციაციები“, ერთი შეხედვით, მარტივი ხატი წარმოჩინდება – სოფელი, როგორც იდილია – მაგრამ სიტყვა „იქნებ“ („იქნებ ესაა სამოთხე“) თავიდანვე მომართავს მკითხველს, ეჭვის თვალთ შეხედოს სურათს. სკეფსისის მთავარი მიზეზი ლირიკული გმირის ირონიზირებული პორტრეტი – შინაგანი სიცარიელით დაავადებული ობივადელი, რომელსაც სოფლის იდილიური გარემო ხსნად ეჩვენება; სინამდვილეში, ამ „იდილიას“ მხოლოდ მოიხმარს: რადგან – ყველაფერი ისეთი ბუნებრივია, როგორც აბლაბუდის ეს ქსელი, რომელსაც ცოტა ხანს უყურებ – როგორც ეგზოტიკას და მერე ჩამოწმენდ, როგორც მტვერს.

ეკას პოეზია არ იძლევა პირდაპირ პასუხებს, შორს დგას დიდაქტიკური ტონალობისგან, მაგრამ ირონია და თვითირონია, რომელსაც ავტორი მიმართავს, ინტუიტიურად მაინც გულისხმობს მორალურ მიჯნას. ეკა ერთ-ერთი საუკეთესოა მათ რიცხვში, ვინც სოციალურ თემატიკაზე მუშაობს, თუმცა ამ ინტერესით არ იზღუდება.

ეკა ქვანისვილი დაიბადა 1979 წლის 23 იანვარს. ამჟამად არის რადიო თავისუფლების რეპორტიორი. სხვადასხვა დროს მუშაობდა გაზეთებში „რეზონანსი“, „ახალი ვერსია“, რადიოში „მწვანე ტალღა“ – გადაცემების ავტორად და წამყვანად. გამოცემული აქვს ორი პოეტური კრებული – „ჭორია“ („დიოგენე“, 2006 წელი), „აქ ნუ დადგები“ („დიოგენე“, 2010 წელი). არის რამდენიმე ლიტერატურული კონკურსის („წერო“, lib.ge-ს მიერ ორგანიზებული კონკურსის) პრიზიორი; ლიტერატურული პრემია „საბას“ ორგანიზაციის ნომინანტი პოეზიაში.

*გულგრილობა ან არც ისე
ჩვენ ახლა დიდზე დიდები ვართ.
დილაობით სამსახურში გვაგვიანდება.
დედები ვართ. მამები გავხდით.
ჯვარისკაცი, მწერალი, ლოთი, ექიმი და მასწავლებელი.
შენუხებულები სახეებით თვეში ერთხელ
მორჩილად ვიხდით გადასახადებს.
პარასკევობით ლოტოს ვთამაშობთ.
ვინ მარხვას იცავს. ვინ კი იკიდებს.
ბალი და სკოლა, რაც შეიძლება პრესტიჟული,
უკეთესი, ვიდრე ჩვენ გვექნა, ვიდრე შეგვეძლო.
რუტინა. ვცოცხლობთ ზიგზაგებით.
ვინ ქვესკნელშია და ვინ მწვერვალზე.
ნიკოს მესამე შვილი ეყოლა, ლეა მარტოა, ეკა დაშორდა.
შენ არ გვახსოვხარ.*

*ზამთარში – ზამთრის კურორტებზე ვხვდებით ახალ წელს,
ზაფხულში ზღვაზე მიგვეყვას ოჯახი.
ნესი – ნესია.
უცხოეთიც მოვიარეთ – თუკი არ გვევრა,
ვირტუალურ სივრცეს ჩახედე –
ჩვენი ფოტოალბომების სათაურები – „პარიზი, ვენა...“
სურათებს თითქმის აღარ ვებეჭადეთ,
დღეს მოდაში აღარ არის ჩანთით ტარება.
შენ არ გვახსოვხარ.*

*ჩვენ დიდები და გარყვნილები ვართ.
ჩვენ დიდები და გულგრილები ვართ.
ჩვენ შენ მკვდარი არ გვინახიხარ.
და თავს როგორც შეგვიძლია, ისე ვიმართლებთ:
რომ ჩვენ არ გვევრა.
რომ არავის უნახიხარ, როგორ აღარ ხარ.
რომ შენ ისიც კი ვერ შეძელი, ვინც ცოცხალია,
საკუთარი კუბოს გარშემო შემოგვეკრიბა.
რომ არ ვიცით სად მოვიდეთ,
ჯვარი სად დავსვათ.
ძალით გვიწყებთ,
თითქოს თუკი სიტყვა სიკვდილს აღარ ვახსენებთ,
ჩვენ აგვცდება,
ჩვენთან არ მოვა..*

*ამ ზაფხულს,
მე და ჩემმა რვა წლის გოგონამ
არცთუ შემთხვევით, შენს ქუჩაზე ჩამოვიარეთ.
ეზოს სიღრმეში დედაშენი იჯდა – შავებში.
გონებაში მისამძიმრების აბლაუბდა წინადადება მივჭერ-
მოვჭერი
და ის იყო დავაპირე კარის შეღება,
მივხვდი, მომეკალი უნდა თავიდან
და უსიტყვოდ შემოვტრიალდი.*

ინანჩის

არასოდეს მიატოვოთ გოგო ზამთარში.
ყინულზე ფეხი დაუცდება.
სხვაზე დაყრდნობას შერჩეული, სადმე
ქუჩაში,
ხალხის თვალნი აყირავდება.
და გრძელ, ჭრელ წინდებს, როგორც
ცხოვრებას, ისე გამოფენს.
მუხლი რა, მუხლი შეხორცდება,
იდაყვიც, კეფაც.

საძილე აბი – ორით მეტი, ორით
ნაკლები
მოკლე სიკვდილსაც დაუძვრება.
ვენები. დედა. შვილი. ღმერთი.
ძველი სქემაა.

არასოდეს გაადგათ ფეხი, როცა ყინავს.
ბრწყვილა ფიფქად გადაიქცევა –
მიეკრობა ცხვირით ფანჯარას.
და თუ სიცივე დიდხანს გაგრძელდა,
დარჩება ასე, ახალი წლის დეკორაცია,
ჩამოხსნა რომ გადააყინდათ.

არასოდეს ნახვიდეთ მაშინ, როცა
ბარდნის.
როცა გვაცვია ისე თბილად,
ერთმანეთის სხეულების სუნიც არ
ჟონავს.

ნუ წახვალთ მათგან იანვარში,
როცა მკვდარია ყველაფერი,
ჩვენ კი რატომღაც,
აქედან ვინცებთ ახალ წელიწადს.

ორი პარი

სოფლებში სახლებს ორი ჭიშკარი აქვს,
ერთი – წინა, შესასვლელი,
მეორე, უკანა, გასასვლელი.
პირველი საჩვენებელი კარია – ლამაზი,
შეღებილი.
ზედ თაბაშირის ჩიტებიც
მიუმავრებიანთ,
საფოსტო ყუთებიც.
მეორე — მორღვეული, დამპალი ხისაა,
საკეტმორყეული, ფრიალებს.
პირველი უცხოების კარია,
ჩაცმულ-დახურული სიარულის,
სამსახურში წასვლის.
მეორე — მასპინძლის,
საშინაო ფლასების, ტალახიანი
ბოტების.
პირველ კართან უცხოს შესვლადაც

გიხარია,

არაფრის გრცხვენია.
მეორესთან — ღმერთმა ნუ ქნას,
გადაგვეყაროს.

ადამიანსაც უნდა ჰქონდეს ორი ასეთი
კარი.
ხან სტუმარი იქნებოდა თავის თავის,
ხან მასპინძელი.

სამოთხე, ასოციაციები

შეიძლება, ეს არის სამოთხე:
ბავშვობის სახლი. ზაფხულია.
აბლაბუდებით ვაგებულა ფანჯრის
რაფები.
სახურავიდან წვიმა წვეთავს და ჭერზე
ხატავს ჟანგის ფიგურებს.
მოაჯირებს კი აქერცლილი საღებავი
ალაგ-ალაგ უფარავს რკინას.
ლოგინს დაჰკრავს ნესტის სუნი,
კედლებს – არყოფნის.

სანოლის ქვეშ გეგულება ძველი ჰამაკი
– დამტვერილა.

ახლართულ თოკებს აცალკევებ,
თითქოს წასული წლები გინდა
დალაგო, დაახარისხო.
ახლა გჭირდება ის ორი ხე, სადაც
გააბამ.

ერთი მოტყდა, ერთიც გამხმარა.
სხვა ორი ხის ძებნას იწყებ. რაც არ
დაგირგავს,
რას იპოვი, რას აღმოაჩენ.

შეიძლება, ეს არის სამოთხე.

აქ ხომ დაღლილი, დასასვენებლად
მოხვედი.

არაფრის საკეთებლად, არაფრის
მოსასმენად.

ტვინის გასარეცხად.
როგორც ღილებით და ათასგვარი
წვრილმანით სავსე

ძველი ზარდახშა, თავი უნდა
დააპირქვაო
და ცარიელი ისევ დაიდგა.

უნდა ისევ დაიბრუნო შეგრძნებები,
მაგალითად, გიკვირდეს ჩიტი,
ღილით ხის ტოტზე ჩამომჯდარი,
როგორ გიყვება ქვეყნის ამბავს.
გიკვირდეს, მამამ როგორ მოთიბა
სველი ბალახი,
დიდი გროვა იღლიაში ამოიჩარა

და გამოკვება მთელი საკურდღლე ასე
მარტივად.

რომ მზეზე დანვე, ჭიანჭველები
ამოგაცოცდნენ ტანზე, ცოტა ხანს
იმოგ ზაურონ –
მერე გაუშვა და არც შეჰყვირო.
იყო დრო, ერთად ბედნიერად
ცხოვრობდით და
ერთმანეთის არ გეშინოდათ.

შეიძლება ესაა.
სალამოხანს იწვიმოს და ოდნავ
აგრილდეს.
ლაბე კი დადგეს ისეთი მშვიდი,
სანოლში ფრთხილად გადატრიალდე –
ამ სიჩუმეში ჩქამსაც ექო აქვს.

შეიძლება აქაა სამოთხე,

სადაც არ გჭირდება ცოდნის აფიშირება.
ნაკითხულის მოკლე შინაარსი.
ვილაცაზე უფრო კარგობა.
არც დეკორატიული კოსმეტიკა.
არც სავარცხლების კოლექცია.
არც ფეხსაცმელების კარადა.
არც ვიაიპი საშვი, შეშვებული ხარ.

რადგან – ყველაფერი ისეთი ბუნებრივია,
როგორც აბლაბუდის ეს ქსელი,
რომელსაც ცოტა ხანს უყურებ –
როგორც ეგ ზოტიკას
და მერე ჩამონმენდ, როგორც მტვერს.

შეიძლება ესაა.

რადგან ძველებურად გვხვდება ნივთები,
რომლებიც აღარ გჭირდება, მაგრამ
გიყვარს.

რადგან ისინი მონაწილეობდნენ
ისტორიაში,
რომელშიც მოხვედი.

რადგან მათაც ახსოვთ და ჩუმად არიან,
არ ყაყანებენ.

ერთგული მონმეებებით დგანან.
როცა გინდა, გამოიძახებ ამ ფორსაკრავს
ანდა ღია ბარათების კოლექციას,
ნემსების ბალიშს, საათს – გუგულით.

ზუსტად არ ვიცი,
მაგრამ შეიძლება, ესეცაა სამოთხე.
სადაც შენი მისვლა უხარიათ.
სადაც შეგიძლია სიბერემდეც მიხვიდე და
დარჩე.



საუბრები აბაშურის ქვეშ

ჩემი ბებო – ნინო რამიშვილი

ავტორი ნინო სუსიშვილი

მე დღემდე ვცხოვრობ იმ სახლში, რომელშიც ილიკო და ნინო ცხოვრობდნენ და რომელშიც დავიბადე. ჩემთვის ეს სახლი-მუზეუმი, რომელიც არც მაშინ მივატოვე, როცა ჩემი მშობლები სხვაგან გადავიდნენ.

ბოლო პერიოდში მარტო მე და ნინო ვცხოვრობდით აქ. მასთან ერთად ვიყავი სულ – სახლში, სამსახურში, რეპეტიციებზე, გასტროლებზე. ერთმანეთთან განსაკუთრებით ბოლო 15 წლის განმავლობაში ვმეგობრობდით – როცა ილიკოს შემდეგ მარტო დარჩა. მას შემდეგ მე ვიყავი მისი თანაშემწე, მეგობარი, შვილი, შვილიშვილი, დედა, არ ვიცი, ყველაფერი.

მისი წასვლით ჩემს ცხოვრებაში ისეთი სიცარიელე დარჩა, რომ თითქოს აღარ ვიცოდი, რა უნდა გა-

მეკეთებინა და ვისთვის მეცხოვრა. ყოველთვის ვცდილობდი, რალაცით გამეკვირვებინა და მესიამოვნებინა ბებიაჩემი. მისი წასვლის მერე კი, ძალიან გამიჭირდა. მაგრამ იმის შეგრძნება, რომ ის დღესაც ჩემ გვერდითაა, სულ მაქვს. რასაც არ უნდა ვაკეთებდე, ყველაფერს თითქოს უხილავად მას ვუთანხმებ. ზუსტად ვიცი, რა მოენონებოდა, რა არა და დღემდე მისი აზრი ჩემთვის ბარომეტრია. ხშირად ვამბობ: ბებიაჩემი ამას ასე იტყოდა, ახლა ასე მოიქცეოდა...

ძალიან დახვეწილი გემოვნების ქალი იყო. ერთი საათი უნდებოდა სარკესთან მომზადებას, სანამ სახლიდან გავიდოდა. რეპეტიციებზე ყოველდღე მაღალი ქუსლებით დადიოდა. მახსოვს, როგორი განსაკუ-

თრებული ჩანთები და ფეხსაცმელები ჰქონდა, როგორი თავსაბურავები. ძალიან უყვარდა სამკაულებიც: ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები, ბოლომდე იყენებდა ამ ყველაფერს.

ბავშვობაში ძალიან მიყვარდა მის კარადაში ძრომიალი. ვიცვამდი მის ფეხსაცმელებს, ტანსაცმელს, ვიქექებოდი მის სკივრში. სარკის წინ ვიდექი მისი სამკაულებით და პრინცესობანას ვთამაშობდი. არასდროს მიბრაზებოდა.

როცა წამოვიზარდე, სულ გიჟდებოდა, როგორ შეიძლება, ერთი ჯინსით, ერთი მაისურით და ერთი თმის სამაგრიტო იარო და ისე გახვიდე სახლიდან, სარკეში არც ჩაიხედო.

ბოლო წლებში არაფრით არ გაიკეთა პლასტიკური ოპერაცია, სახე ძა-

ლიან დანაოჭებული ჰქონდა, მაგრამ მანაც არ უნდოდა არც გადაჭიმვა, არც არაფერი. როცა ამის შესახებ ეუბნებოდნენ, სულ ანა მანიანის სიტყვებს იხსენებდა: „ნუ მალავთ ჩემს ნაოჭებს, ისინი მე ძალიან ძვირი დამიჯდა“. ნინოც სულ ამბობდა, ამ ყველა ნაოჭს დღე და რიცხვი აქვსო.

ჩვენს სახლში ყოველთვის ძალიან საინტერესო ადამიანები იკრიბებოდნენ: მახსოვს, სოლიკო ვირსალაძე ხშირი სტუმარი იყო ჩვენი, ასევე ქეთევან მაღალაშვილი – მას ნინოს პორტრეტაც აქვს დახატული. კარგად მახსოვს სესილია თაყაიშვილიც, რომელიც ქუჩის გადაღმა ცხოვრობდა და ასევე ხშირად მოდიოდა ჩვენთან. სვამდნენ ჩაის და უამრავ საინტერესო ამბავს ყვებოდნენ.

საოცრად ქველმოქმედი იყო; ამ სახლში გამუდმებით ვიღაც ცხოვრობდა: ხან მისი მკერავი, ხან მამაჩემის გამზრდელი, რომელიც მოხუცდა და მოვლა სჭირდებოდა, ხან ჩემი ძიძა...

ხშირად ეპატიჟებოდა სადილად ჩვენს მეეზოვეს, რომელიც ახალგაზრდობიდან ამ ეზოში მუშაობს. ძალიან უყვარდა ხალხთან ურთიერთობა. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით მკაცრი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ძალიან თბილი და მოსიყვარულე ადამიანი იყო.

პროფესიაში უკომპრომისო და მომთხოვნი იყო: როგორც მოცეკვავეების, ისე საკუთარი თავის მიმართაც, ვერავინ გაბედავდა რეპეტიციაზე დაგვიანებას. მოცეკვავეები სულ ფორმაში უნდა ყოფილიყვნენ. მაშინ, ანსამბლის გარდა თითქმის ვერავინ გადიოდა საზღვარგარეთ და ამიტომ დასს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა ჰქონდა: მთელი მსოფლიოსთვის გაცენო და დადებითად წარმოეჩინა საქართველო. ეს ყველაფერი კი ხდებოდა ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდში, როცა სულ იმის მტკიცება გინევდა, რომ ქართველი ხარ და არა რუსი, და როცა უამრავი უშიშროების თანამშრომელი დაგყვებოდა, ოფიციალურადაც და არაოფიციალურადაც.

ხშირად ამბობდა ხოლმე: მე მებრძოლი ვარ, მთელი ცხოვრება ვიბრძვიო.



პატარა რომ ვიყავი, სულ მიკვირდა, ნეტავ, რას იბრძვის ეს ქალი-მეთქი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ მართლა იბრძოდა მთელი ცხოვრება, ბოლო წუთამდე იბრძოდა...

მახსოვს, 1990-იანი წლების დასწყისში, იმ რთულ პერიოდში, ერთ დღეს არ ჩავარდნილა რეპეტიცია. ნინო ყოველდღე დადიოდა სამსახურში, ხელთათმანებით და ქურთუკით იჯდა და ასე ატარებდა რეპეტიციებს, რაც ძალიან დიდი სტიმული იყო ანსამბლისთვის.

გასტროლებისას, ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობისას, ხანდახან 10-12 საათი გვიწევდა ავტობუსში ყოფნა. ნინო ერთი წუთით არ მოიხრებოდა, სარივით გამართული იჯდა: მაღალი ქუსლებით, მაკიაჟით, ასხმული საყურეებით და ბეჭდებით. არასდროს გაგრძნობინებდა, რომ დაღლილი იყო. ამის შემხედვარე, ახალგაზრდებს უკვე რცხვენოდათ, რამეზე დაენუნუნათ.

მე და ილიკოს ბავშვობაში არასდროს გვაძალებდნენ, რომ მათი საქმე გაგვეგრძელებინა, საერთოდ არ ვიზრდებოდით ამ იდეით, მიაჩნდათ, რომ ცეკვა თვითონ უნდა მოგინდეს და არა ვილაცის გავლენის გამო. როცა გადავწყვიტე, რომ ჩემი თავი სცენაზე სერიოზულად გამომეცადა, კაი ხანი ვერ ვუმხელდი ნინოს. დიდი პრეტენზია იყო ეს ჩემი მხრიდან 20 წლის ასაკში და ძალიან ბევრი მუშა-

ობა დამჭირდა, სანამ დასს შევუერთდებოდი.

90 წლის ასაკშიც კი ბუნებით ახალგაზრდა და ნოვატორი იყო, ყოველთვის ძალიან უყვარდა ახალგაზრდებთან კონტაქტი. ჩემი მეგობრები ხშირად მასთან საურთიერთოდ უფრო მოდიოდნენ, ვიდრე ჩემთან. ბოლო პერიოდშიც, ჩვენს ახალ წამოწყებებს ძალიან დადებითად აფასებდა. სულ ამბობდა, ანსამბლი არ არის ცეკვის მუზეუმი, ეს არის ცოცხალი ორგანიზმი და უნდა ვითარდებოდესო.

მახსოვს, ბოლოს როგორ უხაროდა: ვიცი, რომ ეს ყველაფერი საიმედო ხელშიაო. ამბობდა, მე ვიცი, რომ ილიკო გენიოსია და გააკეთებს იმას, რაც მე ვერ მოვასწაროო.

...

ახლა, როცა კედლებზე მის ფოტოებს ვუყურებ, სულ თვალწინ წარმომიდგება მისი საოცარი ფერის, ვარსკვლავით ანთებული თვალები და სიცოცხლით აღსავსე გამომეტყველება. ამბობენ, ასაკში თვალი ქრებაო, მას არ ჩაუქრა, ბოლომდე ცოცხალი და ხასხასა თვალები ჰქონდა; ძალიან ლამაზი, ღრმა და თითქოს უკიდევანო...



რეცეპტები, რეცეპტები...

(მსიჩაე კულინარიული პიესა)

ავტორი ღიანა ანთიმიანი

ერთ მშვენიერ დღეს აიღო ერთმა კაცმა თიხა, დაასველა, მოზილა, კიდევ მოზილა. მერე სცადა და ფორმა მისცა – თასი გამოუვიდა, არ მოეწონა, ფორმა შეუცვალა, ახლა დოქია, მერე სტვირი, ბოლოს მობეზრდა თამაში, თავისნაირი კაცი გააკეთა – მასალა დიდი არაფერი, თიხა და წყალი, მერე ცეცხლზე გამოწვა, ბოლოს სული შეუბერა გასაგრძელებლად, პოდა, თავისდა უნებურად, სული ჩაჰბერა – არადა, რეცეპტით სულ სხვა რამე უნდა გამოსულიყო, სხვა ხომ არაფერი დამამატებიაო – რეცეპტს ჩახედა, არა, თითქოს არაფერი. დაიხარა და ის თიხა მოსინჯა, რომელიც გამოიყენა – მოწითალო ნიდაგიდან ქიანჭველა გამოძვრა – ჯერ, ერთი, მერე – მეორე, მერე მესამე. ამიტომაც ამერია,

თქვა მან, არასდროს იცი, რად იქცევა რეცეპტი მომზადების მერე.

და თქვა უფალმა – კარგზე რა მოგახსენოთ, მაგრამ არა უშავსო და დაისვენა...

ქმეზა

დიდი ხანია, აღარ მეჯერა რეცეპტების, დიდი ხანია, სულ სხვა რამეს ვგეგმავ და სულ სხვა გამოდის. ყველაფერში ასეა. არ ამართლებს ეს რეცეპტები და მომკალი! ბებიჩემის რეცეპტით, პედიატრი უნდა ვიყო, ბევრი პაციენტი უნდა მყავდეს და შვილებიც – ბლომად. ჩემი მეგობრის რეცეპტით, საფრანგეთის რომელიმე უნივერსიტეტის პროფესორი უნდა ვავხედე და ზღვისპირა ფრანგულ ქალაქში ეზოიანყვავილებიანლამაზჭიშკრიანი სა-

ხლი მქონდეს. მაგრამ, კიდევ ვიმეორებ – არ ამართლებს ეს რეცეპტებით ცხოვრება, რალაც უკეთესი გამოდის, რალაც პირიქით. კულინარიაშიც ასეა – როგორც არ უნდა ზუსტად დაიცვა პარამეტრები, ძირითადად, ის მაინც არ გამოვა, რასაც რეცეპტის ავტორი გულისხმობდა.

დაახლოებით ლექსის თარგმანს შგავს, შეიძლება შედეგი უკეთესიც იყოს, მაგრამ არა ისეთი, როგორიც ორიგინალში – აი, ასეთი წინასწარ განსაზღვრული დამოკიდებულებით დავინწყე კულინარიული წიგნების ძებნა ამ რამდენიმე დღის წინ – კულინარიული წიგნი ხომ, საერთოდ, რეცეპტების მთელი კრებულია, შესაბამისად, რჩევებისა და დარიგებების მთელი საბადო. როგორ აადვილებს ცხოვრებას,

თავად წარმოიდგინეთ!

ამ ბოლო დროს ქართულ ენაზე გამოცემული კულინარიული წიგნების რაოდენობამ, ხარისხმა და ვიზუალურმა მიმზიდველობამ საგრძნობლად იმატა, ხოლო მკითხველი და მიზნობრივი აუდიტორია ამ წიგნებს რომ ყოველთვის ბევრი ჰყავდა, ეს ეჭვმიუტანელი ქვეყნარტებაა.

ამ წიგნებს კითხულობენ ისინიც, ვინც პაეჩიზე ცხვირს იბზუებს და ბეგბედური უყვარს, ისინიც, ვინც მხოლოდ იმ წიგნებს კითხულობს, რომელთა მიხედვითაც ჰოლივუდური ფილმებია გადაღებული, ისინიც, ვისთვისაც ლიტერატურის მთავალი სამეცნიერო ფანტასტიკაა და ისინიც, ვისთვისაც ლიტერატურა დიდი ხანია, მოკვდა.

დავდივარ წიგნის მალაზიებში, ვეკითხები მეგობრებს, ვიქექები ჩემს საკუთარ ბიბლიოთეკაში – ვეძებ წიგნებს, მიზანი კი ორი მაქვს, ერთი საზოგადო და მეორე – პირადული – მანტერესებს, როგორ განვითარდა ქართული საგამომცემლო ბიზნესი ამ კუთხით და მეორე – დედა ჩამოდის და მინდა რამე ახალი, უცხო და გემრიელი დავახვედრო. ვნახოთ, რა გამოვივა.

ოპოპოპო, რამდენი რამეა, ხელებს ვიფშენეტ, პრიალა ფურცლებს ვშლი, ფოტოებს ვათვალიერებ: „დიდი წიგნი ცხოვისათვის“, „ოჯახური სადილები“, „საოჯახო სამზარეულო“, „მხოლოდ 5 ინგრედიენტი“, „სადილი მარტივად“, „საუზმე მარტივად“, „ვახშიმი მარტივად“, „ქართული სამზარეულო“, „კულინარიული ენციკლოპედია“, „კულინარია დამწყებთათვის“, „საოჯახო სამზარეულო“, „მსოფლიო კულინარიის თხუთმეტომეული“ და ა.შ. და ა.შ.

ქართველი კლასიკოსის ციტატა რომ მოვიპარო, წიგნებზე „ნადირობის ტრფიალს რომ იტყვიან, სწორედ ისა ვარ“, თუმცა არჩევანი უსათუოდ აქვე უნდა გავაკეთო, იმიტომ, რომ პაულ ცელანის ზვიად რატინისული თარგმანების წიგნისაგან განსხვავებით, კულინარიული წიგნები საკმაოდ ძვირი ღირს.

დავიწყებ ქართული სამზარეულოთი, ყველაზე მეტად ორი წიგნი მომწონს – „ქართული სამზარეულო“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა) და მსოფლიო კულინარიის სერიაში შესული ქართული კულინარიის ტომი (გამომცემლობა „პა-

ლიტრა L“). პირველისგან განსხვავებით, მეორე წიგნში მცირე კულტურული, ისტორიული და გეოგრაფიული მიმოხილვაა, ქართული სამზარეულოსთვის დამახასიათებელი პროდუქტების შესახებ საინტერესო ინფორმაციის მითითებით. საერთოდ, აუცილებლად უნდა აღვნიშნო მსოფლიო კულინარიის ეს სერია, რომელშიც კერძების რეცეპტების გარდა, სხვადასხვა ქვეყნის კულტურულ თუ ეთნოკულტურულ თავისებურებებზე ბევრ საინტერესოს გაიგებ. ასეთი კუთხით დანახული კულინარია კვლევისა თუ დაკვირვების ბევრ საშუალებას იძლევა, სამზარეულო ხომ, პირველ რიგში, კულტურაა, ქვეყნის ისტორიის, ერის მიგრაციისა თუ სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებების ლაქმუსი, ისევე როგორც, ენა.

ფრანგული, იტალიური, ჩინური, იაპონური, ბერძნული, არაბული, რუსული... ყველა ტომი ძალიან საინტერესოა, ყველა მინდა! ბერძნული სამზარეულოს ქართულ ენაზე გამოცემა ხომ საერთოდ, ძალიან გამახარა, რომელი ავარჩიო, მაინც რომელი?! მაგრამ დაცა, „არგენტინული სამზარეულო“ – არასდროს არ მქონია ამ ქვეყნის კერძებთან შეხება, არც არასდროს დავინტერესებულვარ, ჰოდა, ამას ნავიღებ, ისე შენი ხათრით, ხორხე ლუის! – ესეც მეორე წიგნი ჩემს კალათში.

ვაგრძელებ ძებნას – „ვახშიმი მარტივად“, „საუზმე მარტივად“, „სადილი მარტივად“ – ამას ისედაც ვახერხებ, არ მინდა.

„კულინარია დამწყებთათვის“ – არც მთლად დამწყები მეთქმის, ასე რომ, არც ამას ნავიღებ, თუმცა ყველა ეს წიგნი ძალიან სასარგებლო რესურსია, რებეკა ჯილიბინის რეცეპტების წიგნის თარგმანია და დამწყებ მზარეულს მართლაც ძალიან გამოადგება, მარტივი და ცნობილი კერძების რეცეპტები, საჭირო რჩევები და ინსტრუქციები.

და აი, ისიც, მესამე წიგნი ჩემს კალათში – „დიდი წიგნი ცხოვისათვის“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა), ცომი ჩემი სისუსტეა, ამიტომ ამ წიგნს შინ აუცილებლად ნავიღებ.

კიდევ ერთი წიგნი მიმზერს წიგნის თაროდან მაცდურად – „მხოლოდ 5 ინგრედიენტი“, – მიმზიდველი სათაურია, ესეც მეოთხე წიგნი.

და ბოლო, მეხუთე – თქმა არ უნდა,

ყველაზე დიდი სიამოვნებით ჩვენი ოჯახის წევრებისათვის ვამზადებთ, ამიტომ „საოჯახო სამზარეულო“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა) უდავოდ გამომადგება.

ესეც ასე, შემდეგი სადგური ჩემი სამზარეულო.

II შემთხვევითი არჩევანი

ასეთი რამე მოვიფიქრე, ალაღებზე გადავშლი წიგნს და სადაც მოვხვდები, იმ კერძს გავაკეთებ.

1. „დიდი წიგნი ცხოვისათვის“ (გემრიელი ნამცხვრები და პირის ჩასატკბარუნებლები):

სულაკაურის გამომცემლობის მიერ მომზადებული ეს წიგნი ქართულ თარგმანს წარმოადგენს, სარჩევი საკმაოდ საინტერესოა და რეცეპტებთან ერთად სხვადასხვა სახის ინფორმაციასაც იძლევა ცომის ნაირსახეობებისა თუ სხვადასხვა დღესასწაულების შესახებ, ამ წიგნში თქვენ გაიგებთ, თუ რა უნდა უშველოთ მიმწვარ ნამცხვარს ან წელიწადის რომელ დროს რა უნდა გამოაცხოთ.

აქ 250 სწრაფი, მარტივი თუ რთული რეცეპტია, აქვე მოცემულია ხილის სეზონური კალენდარი, ნამცხვრები სხვადასხვა დღესასწაულისა თუ წვეულებისათვის, პური, პიცა, სხვადასხვაგვარი ფუნთუშა თუ ლეგზელი. თითოეულ კერძს სისწრაფის, სიიაფისა და სიმარტივის დონე აქვს აღნიშნული, რაც დამატებითი კომფორტია მზარეულისათვის.

საერთო ჯამში, მშვენიერი შენაძენია კულინარიით დაინტერესებული ადამიანისთვის.

მამ ასე, ვიღებ წიგნს, ვითვლი სამამდე და ვშლი – 108-ე გვერდზე 2 ნამცხვარია, მე გოგრის ნამცხვარს ვანიჭებ უპირატესობას და პატარა ბლოკნოტში ვინერ, თუ რა პროდუქტები უნდა დავაბარო ზაზას სუპერმარკეტში – პროდუქტი სავსებით ადვილად საშოვნელია. ნამცხვარში განსაკუთრებით ბევრი სანელებელია – კოჭა, ჯავზი, დარიჩინი, მიხაკი – ვფიქრობ, რომ არომატული უნდა გამოვიდეს.

2. მხოლოდ 5 ინგრედიენტი; გემრიელი კერძები უმოკლეს დროში – (გამომცემლობა „პალიტრა L“):

უხვად დასურათებულ ამ წიგნსაც უცხოელი ავტორი ჰყავს – რეიჩელ ლეი-

ნი. პირადად მე, გამიხარდებოდა, ავტორის შესახებაც თუ გავიგებდი რამეს, ვფიქრობ, კულინარიული წიგნის თარგმნისას მისი ავტორის შესახებ მცირე რეზიუმეს დართვა, ცუდი არ იქნებოდა.

სირთულის მიხედვით კლასიფიკაცია ამ წიგნშიცაა მოცემული, კერძები საკმაოდ მრავალფეროვანია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ინგრედიენტების სიმცირე სულაც არ უმარტივებს საქმეს ოჯახის ბიუჯეტს, პირიქითაც კი. ამ მხრივ საქმე რთულადაა, რადგან ზოგიერთი ინგრედიენტი ან სულ არ იშოვება ჩვენს მაღაზიებში, ან კიდევ ძალიან ძვირია. საერთო ჯამში, თავისებური წიგნია, თუმცა, არა ჩემი ფავორიტი.

რეცეპტს რაც შეეხება, ამ წიგნისთვის გამონაკლისი გავაკეთე და სამჯერ გადავშალე, რადგან ზღვის წყალმცენარეების თუ ზღვის ეშმაკის მოძებნა ჩემს ძალებს აღემატებოდა. „არომატული ქათამი შემწვარი პომიდვრით“ – კიდევ რამდენიმე პროდუქტი დაემატა საყიდლების სიას.

3. „საოჯახო სამზარეულო“ – (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

ამ წიგნის, რომელიც აგრეთვე თარგმანს წარმოადგენს, წინასიტყვაობაში გვაფრთხილებენ, რომ „ყველა რეცეპტი შემოწმებულია კულინარიულ ლაბორატორიაში, რაც გამორიცხავს შეცდომას უცნობი კერძის მომზადების დროს“.

დიაპაზონი აქაც ფართოა – სალათები და საუზმეული, ოჯახური სადილები, თევზი, ბოსტნეული, დესერტი და სასმელები. საინტერესო და საჭირო რეცეპტებია, თან ქართულ გარემოსთან მორგებული, ეს ისეთი წიგნია, რომელსაც ნამდვილად კარგად გამოიყენებთ.

წიგნს ვშლი – ბურახის წვნიანი – შემთხვევითობაც ასეთი მესმის, არასდროს გამოიყენებია ბურახი წვნიანებში, ლუდი, კიდევ ხო. – საყიდლების სია ისევ იზრდება.

4. „არგენტინული სამზარეულო“ – მსოფლიო კულინარიის სერიიდან, გამომცემლობა „პალიტრა L“:

წიგნების ამ სერიაზე შეყვარებული ვარ. ვეცდები, რომ თანდათანობით ყველა დავაბინავო ჩემი კულინარიული წიგნების თაროზე.

არგენტინა და იმიგრანტების კულტურა, ღირსშესანიშნაობები, გეოგრაფია, გასტრონომიული რეგიონები, ძირითადი პროდუქტები, სამზარეულოს ჭურჭელი, ტრადიციული სასმელები, გაუჩოები, მატეს ჩაი, შოკოლადი და სხვა... შესანიშნავი მიდგომაა კულინარიასთან, რადგან ნებისმიერი კერძის კულტურული თავისებურების გარეშე განხილვა თუ ამოხსნა, იგივეა, რაც პოეტი – ბიოგრაფიის გარეშე.

ამ წიგნიდან ჩემი, ბრმად შერჩეული, 58-ე გვერდზე მოთავსებული დღის კერძია „გისო კარერო – ჩაკოს პროვინციის ტიპური კერძი – ძალიან იოლი და ხელმისაწვდომი, მას სამფეხა კლასიკურ ქვაბში ამზადებდნენ, რომელსაც გლეხები ოთხთვალაზე ჩამოკიდებულს ატარებდნენ“- მცირედენი წარმოსახვა და ეს ფრაზები უცებ გაგაჩენს არგენტინის რომელიმე სოფელში...

5. ქართული სამზარეულო – ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

ისევ მშობლიური, მშობლიური და ყველაზე კარგად ნაცნობი 90 კერძი. ამ წიგნის მომზადებაში გამომცემლობის პარტნიორი M/group-ის რესტორნების ქსელია, ხოლო კონსულტანტი – ამ რესტორნების ქსელის მზარეული – შოთა დვალისვილი, რაც, როგორც წინასიტყვაობაში გვპირდებიან, ავაცილებს „კერძის მომზადებისას დაშვებულ შეცდომებს“.

წიგნის „მენიუ“ ტრადიციულია: სალათები, თევზეული, ცივი და ცხელი კერძები, წვნიანი, სოუსები და მწნილი, ცომეული და დესერტები, – შესანიშნავი ფოტოები კიდევ ერთხელ გაძლევს საშუალებას იამაყო ქართული კულინარიის საგანძურით.

ამ წიგნიდან ვამზადებ „კალმას ბრონეული სოუსში“ – ჩემი საყვარელი ბრონეული, ჩემს დღევანდელ, შემთხვევით არჩევანს ნამდვილად არ ვემდური.

III – შიღებები

ცხოვრებაში პირველად ზუსტად მიყვევი რეცეპტებს, არც ერთი გრამი მეტი, არც ერთი გრამი ნაკლები, დრო, ინგრედიენტები – ვცადე ყველაფერი რეცეპტის მიხედვით გამეკეთებინა.

შედეგად, დედას ვახვედრებ – უგემრიელეს კალმასს ბრონეულით, სოუსში ბრონეულის გარდა, ხახვი, წითელი ღვინო, ლიმონის წვენი, სახამებელი და პილპილი გამოვიყენე, ისე, როგორც წიგნმა მასწავლა – ძალიან გემრიელი თევზი გამოვიდა, თუმცა, სხვა დროს, როცა წიგნს აღარ გამოვცდი, ვფიქრობ, რომ ცოტადენი დარიჩინსაც დავუმატებ, წესით, პილპილსა და ღვინოს უნდა მოუხდეს.

ბურახის წვნიანი – ცოტა უცნაური კერძია, მდოგვი და ბურახი, შაქარი და მარილი საინტერესო მიქსს ქმნის, საქონლის ხორცსა და კვერცხს არაჟანი და კამა (მთელი ორი კონა) აცოცხლებს. კარგი ექსპერიმენტია, თუმცა, არ ვფიქრობ, რომ ჩემი ხშირი და საყვარელი კერძების ათეულში შევიყვანო.

„არომატული ქათამი შემწვარი პომიდვრით“ – ჩვეულებრივი, სტანდარტულად გემრიელი კერძია, ტრადიციული მენიუს მოყვარულებს მოეწონებათ, არომატული ძმარი და რეჰანი – სულ ოდნავ ხიბლს მატებს პომიდვრისა და შემწვარი ქათამის ცნობილ შეთანხმებას, ეს კერძი ბავშვებისთვის მოამზადეთ, როგორც წესი, მათ არ უყვართ კულინარიული ექსპერიმენტები.

არგენტინული კერძი ძალიან ნოყიერი და მანიერია – ხორცი, ბარდა, წინაკა, ლობიო, გოგრა, კარტოფილი, ხახვი, სტაფილო – ეს ყველაფერი ერთ ქვაბში, სანელბლებით შეკმაზული და ცხლად მორთმეული – ჭეშმარიტი გაუჩოების სადილია.

და ბოლოს, დღევანდელი დღის გვირგვინი – გოგრის ნამცხვარი – საოცრად არომატული და მშვენიერი – კოჭა, მიხაკი, ჯავზი, დარიჩინი, დაფქული ნუში, გოგრის თესლი, ფორთოხლის წვენი, გოგრა – გემოების მთელი თავიგულია. ამ ნამცხვარს აუცილებლად გავაკეთებ კიდევ ერთხელ.

IV მორალი

ზოგჯერ მზა რეცეპტები სასურველია, ზოგჯერ საჭირო და ზოგჯერ აუცილებელიც, იმის მიხედვით, კვირის რომელი დღეა და რა ახალი ამბით იწყება იმ დღის საინფორმაციო პროგრამები.

V ფარლა



დაუვინყარი შეხვედრები მარიოტში

როდესაც საქმე თქვენი ღონისძიების დაგეგმვას ეხება, მარიოტი უსაზღვრო შესაძლებლობებს ვთავაზობთ, თბილისი მარიოტისა და ქორთიარდ მარიოტის ღონისძიებათა დარბაზები იდეალურია თქვენი კონფერენციის, ბანკეტისა თუ საქმიანი შეხვედრისათვის.

დარბაზის წყობა და გაფორმება, ინდივიდუალურად შექმნილი მენიუ და უახლესი აღჭურვილობა უზრუნველყოფს თქვენი ღონისძიების წარმატებას. მარიოტის გამოცდილი გუნდი კი მუდმივ მზადყოფნაშია თქვენი და თქვენი სტუმრების ნებისმიერი სურვილის შესასრულებლად.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით +995 32 277 91 55

უკანასკნელი რომანტიკოსი



„შიმშილის მისამღერი“
ავტორი ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიო
გამომცემლობა „აგორა“

1

ფრანგი მწერალი ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიო დღეს უკვე სამოცდათორმეტი წლისაა და ორმოცამდე წიგნის ავტორია, მაგრამ რომ არა 2008 წელს მისთვის მინიჭებული ნობელის პრემია, საეჭვოა, მის სახელს ჩვენში ვინმესთვის რამე ეთქვა. თუმცა ნობელის პრემიამაც ვერ უშველა ისეთ სახელებს, როგორებიცაა ვისლავა შიმბორსკა, დარიო ფო, ჟოზე სარამაგო, იმრე კერტესი ან თუნდაც დორის ლესინგი... – ჩვენმა მკითხველმა მათზე ძალიან ცოტა რამ ან, საერთოდ, არაფერი იცის. როგორც ჩანს, მარკესის შემდეგ საბოლოოდ წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ნობელის კომიტეტი, თითქოს მხოლოდ ადასტურებდა, რომ ამა თუ იმ მწერალს შემთხვევით როდი გაეთქვა სახელი მთელ მსოფლიოში. ასეა თუ ისეა, ლე კლეზიო ბედნიერი გამოცდილის ალმოჩნდა. რამდენადაც ვიცი, დღეს უკვე შეგვიძლია ამ მწერლის ორი წიგნი წავიკითხოთ ქართულად. ახლა სწორედ მის ბოლო რომანზე უნდა ვი-

საუბროთ, რომელსაც „შიმშილის მისამღერი“ ჰქვია და რომელიც ქართულად ია ბერსენაძემ თარგმნა.

2.

ძველი ჭეშმარიტებაა: თუ გინდა მწერალზე ასე თუ ისე სრულყოფილი წარმოდგენა შეიქმნა, მისი ყველა ნაწარმოები უნდა წაიკითხო. ამ ბედნიერებას ყოველთვის მოკლებული ვიყავით. ჩვენში დღემდე იშვიათ გამონაკლისად რჩება იმგვარი თანმიმდევრულობა, როგორც თავის დროზე ივანე მაჩაბელმა გამოიჩინა შექსპირის თარგმნისას, ან ისეთი, როგორითაც ვახტანგ ქელიძე მიუდგა ჰემინგუეის ნაწარმოებების თარგმნას.

ლე კლეზიომ თავისი პირველი რომანი 1963 წელს გამოაქვეყნა; „შიმშილის მისამღერი“ მისი ჯერჯერობით ბოლო, მეთვრამეტე რომანია. განსხვავებით სხვა თარგმანების უმრავლესობისგან, რომლებიც დღეს ჩვენში ელვისებური სისწრაფით გამოდის და, რომლებიც ხშირად არაპროფესიონალიზმითა და უგემოვნობით გამოირჩევიან, ქართული „შიმშილის მისამღერი“ ნამდვილად ხარისხიანი ნამუშევარია, თუმცა, არ ვიცი, ჩვენმა მთარგმნელმა მაინცდამაინც ეს ტექსტი რატომ შეარჩია სათარგმნელად, რადგან ამ წიგნს შეუძლია ჩვენებური ინტელექტუალების ერთგვარი მსუბუქი დაბნეულობა გამოიწვიოს. ოღონდ არა იმიტომ, რომ „შიმშილის მისამღერი“ ჯოისის რომანებისგან განსაკუთრებით რთული აღსაქმელია. სწორედ რომ პირიქით.

3.

შევეცდები განვმარტო, რას ვგულისხმობ. ნობელის პრემიის კომიტეტმა მისთვის ჩვეული ლაკონიურობით ლე კლეზიო დაახასიათა როგორც ახალი მიმართულებების შემქმნელი, ვისი წიგნებიც გვიტაცებენ პოეტური თავგადასავლებითა და გრძნობითი ექსტაზით; მწერალი, რომელიც ადამიანის არსს იკვლევს როგორც გაბატონებული ცივილიზაციის მიღმა, ისე მის ფარგლებშიც.

ეს მართლაც ასეა, მაგრამ არა „შიმშილის მისამღერში“.

თუ წიგნი უკვე წაიკითხეთ, დამეთანხმებით, რომ გრძნობებს, რომლებიც რომანშია აღწერილი, საერთო არაფერი აქვთ ექსტაზთან და, რასაკვირველია, არც გასაცოდავებელი ლტოლვილების პარიზიდან ნიცისკენ გადაადგილება პოეტური თავგადასავალი.

ერთი სიტყვით, ვისაც ჟან-მარი ლე კლეზიოს „შიმშილის მისამღერის“ გარდა სხვა ნაწარმოები არ წაუკითხავს, ადვილი შესაძლებელია ფრანგი მწერალი ახალი მიმართულებების შემქმნელად კი არა, პირიქით, თანამედროვე კულტურული სიტუაციიდან საერთოდ „ამოვარდნილ“ ერთგვარ არქაისტად მიიჩნიოს და იმედგაცრუებულმა წიგნი გვერდით გადადოს.

4.

დავაზუსტოთ: არა მგონია, დამაბნეველ შთაბეჭდილებას ის გარემოება ტოვებდეს, რომ რომანი მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდს და თავად ომის ეპოქას აღწერს. ერთი რუსი მწერლის მოსწრებული თქმით, ევროპულ ლიტერატურასა და ხელოვნებას არ შეუძლია ისევე და ისევე არ დაუბრუნდეს მეორე მსოფლიო ომსა და ჰოლოკოსტს, ისევე როგორც, თავის დროზე არ შეეძლო კვლავ და კვლავ არ დაბრუნებოდა ტროას ომს. მეორე მსოფლიო ომსაც ჰყავს თავისი აქილევსები, ოდისევსები, ენეასები, თავისი ბრისიედა-კრესიდები და უგზო-უკვლოდ ჩახოცილი უსახელო ფაღანგები. ამიტომ თუა, რომ მიუხედავად ზღვა ლიტერატურის არსებობისა, ეს თემა დღემდე ვერ ამოწურა, ვთქვათ, ისეთმა სერიოზულმა თანამედროვე ფრანგმა მწერალმა, როგორიცაა პატრიკ მოდიანო.

ეს გასაგებია. უცნაური სხვა რამე ჩანს. „შიმშილის მისამღერში“ მოვლენები პატარა გოგოს თვალთაა დანახული და მის განცდაში გამოტარებული. აქ არის

ბაბუასა და შვილიშვილის სათუთი ურთიერთობაც, არის პატარა გოგონების თავდავინწყებული მეგობრობაც, სქესის გაღვივებაც, სიყვარულიც; მერე თვალნათლივ დაინახავთ და იგრძნობთ მთელი ამ ლამაზი ბავშვური სამყაროს გაფერმკრთალებისა და საბოლოოდ გაქრობის გულდასაწყვეტ სურათსაც, ოჯახის გაკოტრებას, გაჭირვებას, ლტოლვილების სვლას სამხრეთისკენ...

რომანში არავის კლავენ, არ ისმის ტყვიამფრქვევების ჯერის ხისტი ტკაცვა-ტკუცი და ბომბდამშენების მოტორების ავისმომასწავებელი ზუზუნი, საერთოდ ვერ ნახავთ მძაფრი ვნებათაღვლით შეპყრობილ ადამიანებს, მათ გაუნონანსორებულ ქცევას, შეცდომებს, ბორგვას, კონფუსიებს, ტრაგედიას... მაგრამ ვერ შეიგრძნობთ ვერც იმ სპეციფიკურ, მხოლოდ XX საუკუნისთვის დამახასიათებელ სიტუაციას, რომელიც ტოტალურად აუცხოებს, ვთქვათ, კამიუს პერსონაჟს ან გულზიდვამდე მიჰყავს სარტრის გმირი. არც ფორმით და არც შინაარსით მწერალი თითქოს არც თვითონ ცდილობს და არც ჩვენ გვაიძულებს აღწერილი მოვლენებიდან ერთი მიმართულების დასკვნები გამოვიტანოთ, განვაზოგადოთ და თანამედროვე მსოფლიოს ერთმნიშვნელოვნად უიმედო მდგომარეობა გავაცნობიეროთ, თუნდაც ისე, როგორც ამას ქართულად უფრო ხშირად თარგმნილ მიშელ უელბეკის ტექსტების კითხვისას ვაკეთებთ.

ერთი კრიტიკოსის თქმით, რომანის კითხვისას, ეტელის ოჯახის ბედი გვეხმარება ისტორიული კრიზისის არსის გააზრებაში, ხოლო თავად ისტორიულ კრიზისს სააშკარაოზე გამოაქვს ოჯახის პრობლემები და აჩქარებს მის დაცემას.

ეს აზრი შეიძლება სხვაგვარადაც გამოითქვას: ერთი ოჯახის კერძო ისტორია არ რჩება როგორც რაღაც ყურადღების არაღირსი, უინტერესო, არაფრით გამორჩეული ამბავი. მწერალი თვალნათლივ გვაჩვენებს ადამიანთათვის ჩვეულ უმწეობასა და წინდაუხედაობას მოახლოებული კატასტროფის წინა დღეებში, ბავშვობის

მშვიდობიანი ცხოვრების ეფემერულობას და სიტკობებს; განგაშის განცდის ზრდასთან ერთად სულ უფრო ხელშესახები ხდება დროის წარმავლობის მწვავე შეგრძნება.

„შიმშილის მისამღერში“ მოვლენებს თითქოს დაღლილი, ჩამავალი მზის შუქი ანათებს. თხრობის მანერა ტრადიციულია, ნათელი, დახვეწილი და ეს ყველაფერი ქართულადაც შესანიშნავად ჟღერს – ისეთი განცდა გიჩნდებათ, თითქოს მოულოდნელად დიდი ხნის უნახავ საყვარელ ქალს შეხვდით...

5.

ამ გრძნობას ვერ გაგიფერმკრთალებთ ის გარემოება, რომ პარიზის ოკუპაცია და ვიშის რეჟიმის პოლიტიკა ნაჩვენებია არა, ასე ვთქვათ, ტრადიციულად, ანუ მოქმედებით, არამედ მარშალ პეტენისა და მისი კაბინეტის მიერ მიღებული სამარცხვინო ბრძანებულებების დოკუმენტური სიზუსტით ციტირებული ტექსტებით.

ვერც ის, რომ რომანში არ არის არც სიყვარულის ეშმაკობა, არც კაცის კვლა, არც უიმედო ქალის ოხვრა, არც ამნეზია, არც წყალში გადავარდნა და არც სხვა რამ მასების გულის მოსაფხანი იაფფასიანი ხერხი;

როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა, ამგვარი რამ აქ არ არის.

არ არის არც ალენ რობ-გრეის თავის დროზე ფრიად ნოვატორული და ზუსტად ასეთივე ხარისხით გულის შემალონებელი შოზიზმი; არც ნატალი საროტისებური ადამიანური გრძნობებისა და ფსიქიკური რეაქციების უმცირესი ნიუანსების დაუსრულებელი და დეტალური აღწერები; არც ჟან ჟენესთვის დამახასიათებელი და ფრანგი ინტელექტუალების მიერ თავის დროზე დიდად ნაქები უჩვეულო უცერემონიო და პილბილი; არც მიშელ უელბეკის შეუბრალებლობა და მკრეხელობა და არც ფრედერიკ ბეგბედერისთვის ჩვეული სკანდალურობა.

დიდი ხნის უნახავ საყვარელ ადამიანთან შეხვედრის სინანულნარევ ტკბილ განცდას არაფერი აგიმღერვთ – არც მასკულტურული სისულელეები

და არც მოდერნისტული სიღრმეები. და თუ საკუთარი გულისთვის ყურის დაგდების უნარი ჯერ კიდევ არ დაგიკარგავთ, აღმოაჩენთ, რომ მიუხედავად ამდენი დროის გასვლისა, ამ ქალს არც მომხიბვლელობა დაუკარგავს, არც გრაცია, არც სიღრმე... და ისევ გიზიდავთ. მაგრამ...

მაგრამ დროს მაინც ნაუღია რაღაც მნიშვნელოვანი, რაღაც მოუხელთებელი. დიდი ხნის გასვლის შემდეგ განახლებული სიყვარული გრილია. თქვენ ველარ იგრძნობთ თავდაპირველ თავდავინწყებას. და ბოლოს, თავს ველარ დააღწევთ საიდანლაც მოსულ ასეთ აზრს:

ეს ყველაფერი მართლაც კარგია, მაგრამ ამგვარ თემებზე ამგვარივე მანერით ხომ სულ სხვა ეპოქაში დაწერილი მრავალი კარგი წიგნი წაგვიკითხავს და უფრო მეტი კარგი ფილმი გვინახავს?!

საკმარისია დღეს ეს იმისთვის, რომ ფრანგებმა ცოცხალ კლასიკოსად მიგიჩნიონ, ხოლო შევედეთის აკადემიამ ნობელის პრემია მოგანიჭოს?

ეს კითხვები შეიძლება რიტორიკულად და, ალბათ, უადგილოდაც მიიჩნიოს მან, ვინც თანამედროვე ფრანგულ მწერლობას მხოლოდ ქართული თარგმანებით არ ეცნობა, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ საესეებით კანონზომიერი იქნება იმ ინტელექტუალისთვის, რომელმაც ფუკოსა და დერიდას სახელებით კექნაობაში უკვე საკმაო ოსტატობას მიაღწია, მაგრამ ვისაც ჟან-მარი ლე კლეზიოს სახელი აქამდე ბერს არაფერს ეუბნებოდა.

6.

ფრანგულ მწერლობას ისეთი დროც ახსოვს, როცა ერთდროულად ცხოვრობდნენ და წერდნენ, ერთი მხრივ, მოპასანი, ემილ ზოლა და ოქტავ მირო და, მეორე მხრივ, ბოდლერი, მალარმე, ვერლენი და რემბო. ერთდროულად ინერებოდა და ქვეყნდებოდა როგორც ნატურალიზმამდე მისული რეალისტური მეთოდით შექმნილი შედეგები, ისე თითქმის ეზოთერული სიმბოლისტური პოეზიის არაჩვეულებრივი ნიმუშები.

რეალისტურსა და სიმბოლისტურ მსოფლალქმეებს შორის არსებული შეუ-რიგებელი წინააღმდეგობა და, მიუხე-დავად ამისა, მათი ერთდროული არსე-ბობა, ახლა ფრანგული ლიტერატურის სიდიადის ხაზგასასმელად და მისთვის მორიგი ხოტბის აღსავლენად არ გამი-ხსენებია. საქმე ის არის, რომ ამ ვი-თარებას შეიძლება სხვა კუთხიდანაც შევხედოთ:

იმის გასააზრებლად, რატომ ვერ ეგუებოდნენ სიმბოლისტები თავიანთ თანადროულ საზოგადოებას, რატომ ზარავდათ ასე ძლიერ ე.წ. მასობრი-ვი ობიექტების ბატონობა, მოზეი-მე ფილისტერობა და კმაყოფილი და აგრესიული მეშჩანობა, რატომ მოი-თხოვდნენ ხელოვანის „სპილოს ძვლის კოშკში ჩაკეტვას“, ერთი სიტყვით, რატომ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ხელოვნება მხოლოდ ხელოვნებისთვის არსებობდა, – აი, ყოველივე ამის ასა-ხსნელად უკეთესი საშუალება, ვიდრე იმავე მოპასანის, ზოლასა და მირბოს კითხვაა, ძნელი წარმოსადგენია.

თუ გინდათ გაიგოთ, საგანგებოდ რატომ ართულებდა სიმბოლისტი პო-ეტი შტეფან გეორგე თავისი ისედაც რთული ნაწარმოებების აღქმას, რა-ტომ ცდილობდა მისი წიგნები მასო-ბრივ მკითხველს არ ჩავარდნოდა ხელ-ში, ოქტავ მირბო უნდა ნაიკითხოთ, რომელიც ძირითადად სწორედ ამ „მა-სობრივი მკითხველის“ ზნე-ჩვეულებე-ბს აღწერდა.

„შიმშილის მისამღერში“ ლე კლე-ზიოც აღწერს XX საუკუნის 30-იანი წლების ფრანგული ბურჟუაზიის ზნე-ჩვეულებებს; რომანში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა ე.წ. სალონურ საუ-ბრებს, რომლებსაც ეტელის მშობლე-ბის სალონის მუდმივი სტუმრები მარ-თავენ. ამიტომ იქნებ ზემოხსენებული სქემა ამჯერადაც გამოგვეყენებინა ანუ იქნებ ამ საუბრებში გამოვლენილი მთელი ეს ფილისტერული უხამსობა, ჩიტირეკიობა, სიხისტე, შეუწყნარე-ბლობა და რადიკალურობა ერთგვა-რად იმის ასახსნელად გამოდგეს, რა-ტომაც, ვთქვათ, მიშელ უელბეკი ასეთი პესიმისტი და რატომაც მისი რომანე-ბის მთავარი გმირი ყოველთვის აბ-სოლუტურად ხელმოცარული, მუდამ

დაღვრემილი, რაღაც თავისებურად ნაცრისფერი ტიპი გამოკვეთილად არაჯანსაღი იუმორის გრძნობით?

მაგრამ საამისოდ ლე კლეზიოს აკლია ის, რაც, ვთქვათ, მირბოს მკი-თხველს მაშინვე თვალში ხვდება: მძა-ფრი სიძულვილი კმაყოფილი და აგრე-სიული მეშჩანობის მიმართ.

ეტელის თვალთ დახახული ალექ-სანდრე ერთი თავქარიანი და, ძირი-თადად, ამის გამო შეუმდგარი ავან-ტიურისტია; იგი მთელი ცხოვრება მემკვიდრეობით მიღებული ქონების რაღაც საეჭვო პროექტებსა და გა-ბანკროტებული საწარმოების აქციე-ბში ჩადებით იყო დაკავებული, ვი-დრე ყველაფერი არ გაანიავა. თვით ისეთი ნაძირლებიც კი როგორებიც არიან შმენი და კლოდიოს ტალონი, თავიანთი სიმდაბლით ახლოსაც ვერ მივლენ მოპასანის ან მირბოს მიერ დახატულ ბურჟუებთან. მაგრამ არა იმიტომ, რომ ლე კლეზიოს ოსტატო-ბა აკლია, უბრალოდ, მას ბურჟუა-ზიის მოკრძალებული ხიბლის გად-მოცემა არა აქვს მიზნად დასახული. იგი არ ცდილობს ცხოვრების „მარ-თალი“ სურათები დახატოს. თავისი მსოფლგანცდით მას შატობრიანთან, ჟერარ დე ნერვალთან და თეოფილ გოტიესთან უფრო მეტი აქვს საერ-თო, ვიდრე რეალისტებთან. ერთი რუსი მთარგმნელის თქმით, ლე კლე-ზიო უკანასკნელი რომანტიკოსია. სწორედ ეს არის უცნაური და სწო-რედ ამან შეიძლება ჩვენებური ინტე-ლექტუალი დააბნიოს, რადგან...

7.

რადგან მან იცის, რომ ფილიპ სო-ლერსის ლეგენდარული „ტელ კელის“ შემდეგ თანამედროვე დასავლური კულტურის პოსტსტრუქტურალის-ტურ-პოსტმოდერნისტულ-დეკონს-ტრუქტურისტურმა დინებამ სწორედ ფრანგული ინტელექტუალური სივრ-ციდან აიღო სათავე;

რადგან ჩვენებური ინტელექტუალი მუდამ ცდილობს რომის პაპზე უკეთე-სი კათოლიკე გამოჩნდეს;

რადგან ჩვენში უიმედოდ მოძველე-ბულად ითვლება ტექსტი, ნათარგმნი თუ ქართულად დაწერილი, თუ მასში

ვერ განიჭვრიტება ინტერტექსტუა-ლურობა, კოლაჟის ან ნონსელექციის პრინციპი, ორმაგი თუ დომინანტური კოდი, მუტოპია, დოქსა, რიზომა, ეპის-ტემა...

არ ვიცი, აცნობიერებს თუ არა ია ბერსენაძე, რომ ნებისთ თუ უნე-ბლიეთ, მის მიერ თარგმნილ ლე კლე-ზიოს „შიმშილის მისამღერს“ შეუძლია კარგი გაკვეთილი ჩაუტაროს გონიერ ადამიანს, რაკი ეს უკანასკნელი ნა-ხავს, რომ არსებობს თანამედროვე ფრანგი მწერალი, რომელიც სრუ-ლიადაც არ წერს ისე, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია, რომ XXI საუკუნე-ში უნდა წერდეს ევროპელი და თან ფრანგი მწერალი.

ასეთი გაკვეთილის მიღების შემდეგ, ალბათ, იმის გამოკვლევაც აღარ იქ-ნება რთული საქმე, რომ თავის დრო-ზე, ლე კლეზიო ტოლს არავის უდებდა ექსპერიმენტატორობაში;

რომ 1963 წელს ჟორჟ პერეკის, ანრი მიშოს, მიშელ ბიუტორის, მიშელ ფუკოსა და ჟილ დელიოზის თაყვანის-მცემელი ოცდასამი წლის მწერლის მიერ გამოქვეყნებულმა პირველივე მოდერნისტულმა რომანმა მაშინვე მიიღო თეოფრასტ რენოდოს პრემია და გონკურების პრემიის ნომინანტი გახდა;

რომ 70-იანი წლების ბოლოდან, პანამის ინდიელებთან გატარებული ოთხი წლის შემდეგ, ლე კლეზიო უარს ამბობს ნოვატორულ ძიებებზე და მის შემოქმედებაში უმთავრეს ადგილს იკავებს თანამედროვე ცივილიზაციის წინაშე მდგარი ადამიანის დრამატული ბედი;

რომ მოყოლებული 70-იანი წლები-დან ლე კლეზიო, საერთოდ, იშვიათად იმყოფება საფრანგეთში და ძირითა-დად მესამე სამყაროს ქვეყნებში ცხო-ვრობს;

რომ როგორც რომანტიკოსს შეე-ფერება, ლე კლეზიოც თანამედროვე დასავლური ცივილიზაციისა და მომხ-მარებლური საზოგადოების თანმიმდე-ვრული კრიტიკოსია. ერთი მკვლევრის თქმით, მისი შემოქმედების ლეიტმო-ტივად შეიძლება მივიჩნიოთ იდეა იმის შესახებ, რომ ინდიელი და აფრიკული ტომების წარმომადგენლები უფრო მე-

ტად იმსახურებენ უფლებას ადამიანებად იწოდებოდნენ, ვიდრე ფეშენებელური მეგაპოლისების მცხოვრებლები. „ისინი უკანასკნელი თავისუფალი ადამიანები არიან, – წერს ერთგან ლე კლეზიო, – ხოლო ჩვენ მონები ვართ, ეს სავსებით ცხადია. ჩვენ მონების სამყაროში მონების ცხოვრებით ვცხოვრობთ, ხოლო პანამის ინდიელთა ტომმა დღემდე შეინარჩუნა თავისუფლება. მათ იციან ის, რაც მხოლოდ თავისუფალი ადამიანებისთვისაა ხელმისაწვდომი“;

რომ ერთ თავის იშვიათ ინტერვიუში ლე კლეზიო ამბობს: „ჩვენ აღარ ვართ ისეთი გულუბრყვილოები, როგორებიც სარტრის ეპოქაში ვიყავით, და აღარ შეგვიძლია გვეჯეროდეს თითქოს რომანს შეუძლია ცხოვრება შეცვალოს. დღეს მწერალს მხოლოდ თავისი პოლიტიკური უძღურების კონსტატირება შეუძლია. სარტრს, კამიუს, დოს პასოსს ან სტეინბეკს რომ კითხულობთ, ხედავთ, რომ ამ მწერლებს სწა-

მდათ ადამიანის დანიშნულებისა და ლიტერატურის ძალაუფლებისა. ჩვენ ეს რწმენა დავკარგეთ. თანამედროვე ლიტერატურა – უიმედობის ლიტერატურაა“.

და, მე მგონი, ამის შემდეგ აღარც იმის გაცნობიერება გაჭირდება, რომ პოსტმოდერნისტული მგრძნობიარობა შეიძლება იმ ფორმითაც ვლინდებოდეს, როგორც ეს ლე კლეზიოს შემოქმედებაში ვლინდება, და რომ, ამ თვალსაზრისით, სინამდვილეში, არავითარი ჩარჩოები და შეზღუდვები არ არსებობს, თუ ჩვენ თვითონ არ წარმოვიდგენთ მათ არსებობას.

8.

დაბოლოს, კიდევ ერთი რამ.

ლე კლეზიო სათოფეზე არ ეკარება პარიზის ლიტერატურული კლანების „საინტერესო“ ცხოვრებას, არ იძლევა ინტერვიუებს; ვერც მის წიგნებსა და ვერც მის ცხოვრებაში თქვენ ვერ დაინახავთ და ვერც იგრძნობთ

ვერავითარ წრიალს, ვერავითარ ეპატაჟის მოხდენის სურვილს, ვერავითარ კეკლუცობას ან დაბალი გემოვნების მკითხველის გულის მოგების მცდელობას, რაც, ვთქვათ, ზოგჯერ თვალში გეჩხირებათ იმავე ფილიპ სოლერსის, ფრედერიკ ბრეგბედერის ან თუნდაც მიშელ უელბეკის წიგნებისა და ინტერვიუების კითხვისას და, რაც სხვა არაფერს ისახავს მიზნად, თუ არა პუბლიკის ყურადღების მიქცევას. ლე კლეზიოს ურჩევნია თავისთვის მშვიდად იცხოვროს, წეროს იმაზე და ისე, რაზეც უნდა და როგორც უნდა და თავის წიგნებს თავად მიანდოს გზის გაკაფვა მკითხველის გულისკენ.

თქვენი არ ვიცი და მე ყველაზე მეტად მაინც ის მიკვირს, რომ ამის გამო მის წიგნებს ოდნავადაც არ გასჭირვებით მკითხველთა გულებისკენ მიმავალი გზის მიგნება.

ნუგზარ მუზაშვილი

ჩარგეიშვილის საადვოკატო დარბაზი

ბიზნეს და საგადასახადო დავები

სამეწარმეო
კორპორაციული სამართალი

შრომის სამართალი



სამოქალაქო სამართალი

სისხლის სამართალი
(ეკონომიკური დანაშაულები)

ადმინისტრაციული სამართალი

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 15ა ოფისი 28ა, ქ.თბილისი
ტელ: (+995 32) 237 93 00
ფოსტა: info@chargeishvili.ge
ვებ-გვერდი: http://www.chargeishvili.ge

იერიქონის ვარდი



„იერიქონის ვარდი“
ავტორი კატია ვოლტერსი
გამომცემლობა „საუნჯე“

რამდენიმე დღის წინ გამომცემლობა „საუნჯე“ გამოსცა გერმანიაში მცხოვრები ქართველი ავტორის, კატია ვოლტერსის რომანი „იერიქონის ვარდი“. ლიტერატურის მოყვარულები ტყუილად ნუ დაიწყებთ იმაზე ფიქრს, შეგხვედრიათ თუ არა მისი სახელი და გვარი პერიოდული პრესის ფურცლებზე, რადგან ის დებიუტანტია და საჯაროდ პირველად უნდა წარდგეს მკითხველის წინაშე.

ამ შინაარსით საინტერესო და ვიზუალურად სადა, დახვეწილი წიგნის გარეკანი პოლონელი და ქართველი დიზაინერების ერთობლივი ნამუშევარია. გარეკანზე გამოსახული ფოტო კი მოგზაურობითა და ფოტოგრაფიით გატაცებულ ცნობილ ებრაელ ბიოქიმიკოსს, პოლ. კ. ლაიუს ეკუთვნის, რომელმაც მის სანაცვლოდ, სიმბოლურად, წიგნის ერთი ეგზემპლარი ითხოვა. „იერიქონის ვარდი“ სულ მალე გამოჩნდება წიგნის მაღაზიებში და დიდი იმედი მაქვს, ქართველი მკითხველი მას ინტერესით გაცნობა.

ამბობენ, წიგნებს ადამიანებივით თავიანთი ბედისწერა დაჰყვებაო. ამ თვალსაზრისით არც „იერიქონის ვარდი“ გამონაკლისი. მისი დაბადება (განსაკუთრებით ქართულ ენაზე) დღემდე დაუფერებლად მიაჩნია ავტორს. დაახლოებით ერთი წლის წინ, სრულიად მოულოდნელად, კატამ რომანის წერა თავის მყუდრო, შუა საუკუნეებში დაარსებულ პატარა გერმანულ ქალაქში დაიწყო, ოღონდ, როგორც თავად ამბობს, „ინგლისურად და ძალიან გაუბედავად“ (პროფესიით საერთაშორისო სამართლის სპეციალისტს, მანამდე წიგნთან მხოლოდ ლიტერატურის სიყვარული აკავშირებდა). შემდეგ თავისით, ძალდაუტანებლად განვითარდა სიუჟეტი; ერთიმეორის მიყოლებით გაჩნდნენ გმირები და როდესაც ტექსტმა მეტნაკლებად სრულყოფილი სახე მიიღო, ჯერ ინგლისელ ლიტერატურათმცოდნე მეგობრებს გაუგზავნა წასაკითხად, მერე გერმანიაში მცხოვრებ ქართველ მეგობრებსაც გაანდო. მაქსიმალისტმა ქართველებმა მას სასწრაფოდ მოსთხოვეს რომანის ქართულად თარგმნა. იდეა ავტორსაც მოეწონა და მალევე დაიწყო მუშაობა, მაგრამ აქ კიდევ ერთი უცნაურობა მოხდა: მშობლიური ენა ისე თამამად შეიჭრა თარგმანში, ისე შეცვალა ცალკეული ფრაზები, დიალოგები და ნაწილობრივ შინაარსიც, რომ ბოლოს ავტორმა გადაწყვიტა, წიგნისთვის დაემოუკიდებელი, „ქართული სტატუსი“ მიენიჭებინა. ასე დაიბადა ორი „იერიქონის ვარდი“ – ქართულ და ინგლისურ ენებზე.

დამეთანხმებით, ჩვენს დროში ავტორისგან დიდ გამბედაობას მოითხოვს ლიტერატურაში „სასიყვარულო რომანით შემობიჯება“, რადგან მსგავსი შინაარსის ნაწარმოების მიმართ მკითხველი თავიდანვე უნდობლად და ირონიულადაც კი არის განწყობილი. თუმცა, დაწმუნებული ვარ, „იერიქონის ვარდის“ შემთხვევაში სხვაგვარად იქნება საქმე. პირველივე ფრაზების ნაკითხვის შემდეგ, რომანის ერთ-ერთი პერსონაჟის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მეტის ხილვა გნადია, მეტის შეცნობა“ და რაც უფრო

ღრმად ეფლობი წიგნის შინაარსში, მით მეტად იხიბლები მწერლის მიერ ცოცხლად დახატული სცენებით და დაჯერება გიჭირს, რომ ხელში რომელიმე ცნობილი მწერლის კი არა, დებიუტანტი ავტორის წიგნი გიჭირავს.

სიუჟეტი უმთავრესად თანამედროვე ინგლისში ვითარდება, უფრო კონკრეტულად კი მის დედაქალაქსა და აღმოსავლეთ მიდლენდის ერთ-ერთ „ფერწერულ“ სოფელში, უბრალო ფენიდან გამოსული, მაგრამ უკვე წარმატებული მსახიობის, „თავგადაკლული სოციალისტის“, ელი ბელამისა და წარჩინებული გვარის წარმომადგენლის, სოლენე დარმონდ დრაქსის განსაცდელებით სავსე, ზოგჯერ სასონარკვეთამდე მისული სიყვარულის ფონზე. თუმცა გამიჯნურებული წყვილისთვის ყველაზე ძნელად გადასალახავი ბარიერი საკუთარი ცხოვრების წესსა და ზნეობრივ პრინციპებზე უარის თქმაა და არა კლასებს შორის ჯერ კიდევ არსებული წინააღმდეგობის დაძლევა, რომელიც რომანის სხვა გმირების ერთმანეთთან ურთიერთობაში აშკარად იგრძნობა. ამ უკანასკნელ პრობლემას ისე ზუსტად და სწორად ხედავს ყველაფერ ამისგან ერთი შეხედვით შორს მდგომი უცხოელი ავტორი, რომ თვით ინგლისელთა კომპლიმენტსაც იმსახურებს. აი, რას ამბობს რომანის ინგლისური ვერსიის რედაქტორი, სცენარისტი პიტერ ბარნსი:

„ამ არცთუ მცირე მოცულობის რომანში უცხოელი ავტორის მიერ ზედმინევენით სწორადაა დანახული დღევანდელი ინგლისი. ავტორი სენტ ეგზიუპერის მსგავსი ლაკონურობითა და დაკვირვებულობით ახერხებს ბრიტანული საზოგადოების სხვადასხვა კლასების წარმომადგენელთა საოცრად ზუსტ დახასიათებას. ის გასოცარი სიზუსტით ინარჩუნებს იმ განსხვავებულ კილოს, მეტყველების სტილს, ლექსიკურ მარაგს, რომლითაც ბრიტანეთში ესოდენ განსხვავდებიან ერთმანეთისგან სხვადასხვა კლასის წარმომადგენლები“.

გულდასაწყვეტია, რომ „განსხვავება“ სამეტყველო ენაში, რომელზეც ბატონი

ბარნსი საუბრობს, ქართულში მკვეთრად ვერ წარმოჩინდა. თუმცა ამ „ხარვეზს“ მშვენივრად ავსებს დრამონდ დრაქსის ჯორჯიანული სტილით ნაგები რუხი ქვის სასახლის, მისი ანტიკვარული ლამპებით განათებული ოთახებისა და ეგზოტიკური მცენარეებით სავსე ულამაზესი ზამთრის ბაღის, ასევე სერ რიჩარდ დარლინგტონის სახასიათო ჩაცმულობისა და „ძვირადღირებულ სკოლა-ინტერნატებში ნასწავლი“ პერსონაჟების დახვეწილი მანერების აღწერა. ამ ერთობ ძველმოდურ, მომხიბლავ, თუმცა თითქოს ადგილზე გაყინულ ატმოსფეროს თავიანთი კოლორიტულობით აცოცხლებენ ნაწარმოების უცხოელი პერსონაჟებიც: ტემპერამენტით აღსავსე კატალონიელი დივა ნურია პუიგბერტ ორეიანა და ამერიკელი როკერი – ხალისიანი და დაუდგრომელი გაბრიელ რიისი.

შეუძლებელია მკითხველს მხედვე-

ლობიდან გამორჩეს მწერლის დახვეწილი, ქართულ-ინგლისური „მარილით“ შეზავებული იუმორი და მუსიკალური გემოვნება. მთელ რომანს, შეიძლება ითქვას, ფონად გასდევს სწორად შერჩეული, სიტუაციის შესაფერისი კლასიკური მუსიკა; კულინარიაში კარგად ჩახედული ავტორის დამსახურებაა ნიგნში აღწერილი მადისაღმძვრელი „გასტრონომიული სურათებიც“: „სადა, თეთრ ფაიფურზე მწვანედ მოხასხასე სალათის ფურცლებზე გიშრის მძივებით ელავდა ზეთისხილი; მოწნულ კალათაში ჩაფენილი ქათქათა ხელსახოციდან მადის აღმძვრელად იჭვრიტებოდა თბილი ჩაბატა, რომლის გვერდითაც ჩემს მზრუნველ მასპინძელს ხელით დამტვრეული ოქროსფერი პარიმიჯანო მიედეგა ნამცეცა ლანგრით“.

დაბოლოს, მინდა ყურადღება ერთ უცნაურობაზეც გავამახვილო, რომე-

ლიც ზუსტად არ ვიცი, ავტორის დამსახურება უფროა თუ რომანში მოთხრობილი ამბისა: ეს არის საოცრად ცხადი შეგრძნება ვარდის და სიძველის სურნელისა, რომელშიც სასიამოვნოდ ეხვევი ნაწარმოების კითხვისას; ეს არის შეგრძნება, რომელსაც ლიტერატურის მოყვარულებს ანიჭებდა (ან დღემდე ანიჭებს) ინგლისური ლიტერატურის „პირველი ლედის“, ჯეინ ოსტინისა და დები ბრონტეების რომანებში გაყურსვა.

გირჩევთ, აუცილებლად წაიკითხოთ „იერიქონის ვარდი“. ის თქვენამდე კვლავაც მოიტანს ვიქტორიანული ეპოქის სურნელს, ოღონდ თხრობის ახლებური მანერით, და, რაც მთავარია, სულ სხვა ქვეყანაში დაბადებული ახალი ავტორის, კატია ვოლტერსის სახელითა და გვარით.

ინა არჩუაშვილი


www.MaikaPrint.ge
შექმენი შენი ღიზაინი
 პასპარის ქ. №3 ბულ: 2 951 072; 595 29 10 20

**ინტ.განსაყმლის და უნიფორმების ქარხანა; კომპიუტერული ქარხანა, თარგმანი
 ბეჭდვა, ტრაფარეტული ბეჭდვა, აქსესუარების და სუვენირების დაყზადება;**



„მისტერ სამლერის პლანეტა“

სოლ ბელოუ
მთარგმნელი: გვანცა ჯობავა
გამომცემლობა: „ინტელექტი“
გამოცემის წელი: 2012
ფასი: 10 ლარი

ებრაული წარმომავლობის ამერიკელ მწერალს, სოლ ბელოუს (1915-2005) ადრეული ნამუშევრების გამოქვეყნებისთანავე XX საუკუნის უდიდესი რომანისტი უწოდეს.

სოლ ბელოუს 1975 წელს „პულიტცერის“, ხოლო 1976 წელს ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია გადაეცა. ამასთან, იგი ერთადერთი რომანისტი მწერალია, რომელმაც ეროვნული პრემია სამჯერ მიიღო, ერთ-ერთი რომანისთვის „მისტერ სამლერის პლანეტა“.

ჯოის კეროლ ოუტისი წერდა: „მისტერ სამლერის პლანეტის“ ფინალი იმდენად ძლიერია, რომ გვიბძგებს დაუყოვნებლივ ხელახლა მივუბრუნდეთ რომანს, რადგან კითხვის პროცესში შევიცვალეთ და მხოლოდ მისი ფინალის გაგების შემდეგ ვხვდებით, რომ წიგნი ჯერ კიდევ არ წაგვიკითხავს“.

„დაკარგული ბიჭი და სხვა მოთხრობები“

თომას ვულფი
გამომცემლობა: „არტანუჯი“
გამოცემის წელი: 2012
ფასი: 8 ლარი

ცნობილი ამერიკელი რომანისტის თომას ვულფის შედევრი – „დაკარგული ბიჭი“ ქართულად პირველად

ათეული წლების წინ ითარგმნა, შემდეგ მას მოჰყვა რამდენიმე მოთხრობა, რომლებიც ლიტერატურულ პერიოდიკაში დაიბეჭდა. კრებულში შესული თხზულებათა უმეტესობა კი საგანგებოდ ამ გამოცემისთვისაა თარგმნილი.

თომას ვულფი ავტორია საქვეყნოდ ცნობილი წიგნებისა – „სახლს მოხედე, ანგელოზო“, „დროისა და მდინარის ამბავი“, „კლდე და აბლაბუდა“, „შინ ველარ დაბრუნდები“. მის შემოქმედებას სხვადასხვა დროს მალალი შეფასება მისცეს გამოჩენილმა მწერლებმა – უილიამ ფოლკნერმა, ჯეკ კერუაკმა, რეი ბრედბერიმ და ფილიპ როტმა.



„თუ“

რადიარდ კიპლინგი
გამომცემლობა: „ინტელექტი“
გამოცემის წელი: 2012
ფასი: 3 ლარი

რადიარდ კიპლინგის შედევრი „თუ“ პირველად მის კრებულში – „ჯილდოები და ფერიები“ 1909 წელს გამოჩნდა. „თუ“ ქართულ ენაზე პირველად მურმან ლებანიძემ თარგმნა, რომელსაც გასული საუკუნის 90-იან წლებში მაია ნათაძისა და კოტე ყუბანიშვილის თარგმანებიც მოჰყვა. „ინტელექტის“ მიერ გამოცხადებული კონკურსის შედეგად კი დამატებით თორმეტი თარგმანი შეირჩა და მკითხველს საშუალება აქვს, სრულად გაეცნოს ამ ლექსის ყველა ქართულ ვერსიას.



„ნაპოლეონი. ერთი ცხოვრების საბედისწერო მომენტები“

ჟან ტიულარი
მთარგმნელი: მარინა ბალავაძე
გამომცემლობა: „აგორა“
გამოცემის წელი: 2012
ფასი: 10 ლარი

„ისეთ გეგმებს მომანერენ, რომლებიც არასდროს მქონია; გაჩნდება კითხვა, მსურდა თუ არა მსოფლიო ბატონობა. დიდხანს იმსჯელებენ იმის გასარკვევად, ჩემი აბსოლუტური ძალაუფლება და თვითნებური ქმედებები ჩემი ხასიათიდან გამომდინარეობდა თუ გათვლების შედეგი იყო, ჩემი დაუსრულებელი ომები ჩემი სურვილით წარმოებდა თუ დაცვის საშუალება იყო. ამ ყველაფრიდან კი შეიქმნება ლეგენდა, რომელსაც ჩემს ცხოვრებას დაარქმევენ“.

ნაპოლეონი

ფრანგები ამბობენ, ნაპოლეონზე იმდენი წიგნი დაიწერა, რამდენი დღეც მისი გარდაცვალებიდან გავიდაო. მორალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, ნაპოლეონის საზოგადოების საპატიო პრეზიდენტმა, ჟან ტიულარმა ორმოცი წელი შეაღია ნაპოლეონის ბიოგრაფიის კვლევას და არაერთი ფუნდამენტური ნაშრომის გამოცემის შემდეგ, საზოგადოებას შესთავაზა წიგნი, რომელიც ნაშრომადგენს ამ ლეგენდარული პიროვნების ცხოვრების ერთიან ანალიზს, რაც სცილდება უბრალო ბიოგრაფიის ჩარჩოებს.

პირველი ქართული ღვინის გზამკვლევი უკვე იყიდება

“ლიტერატურული კაფეების” ქსელში:

- “წიგნის სახლი” - პეკინის #31
- “ლიტერატურული” - ზამბის რიგი #7
- “ლიტერატურული” - აბაშიძის #22
- “ლიტერატურული” - თარხნიშვილის #2

წიგნის მაღაზიებში:

- “სანტა ესპერანსა” - სანკტ-პეტერბურგის #12
- “ლიგამუსი” - ჭავჭავაძის გამზ. #32
- “წიგნები ვაკეში” - ფალიაშვილის #66
- “პროსპეროს ბუქსი” - რუსთაველის #34
- “დიოგენე” - აფაქიძის #9

ღვინის მაღაზიებში:

- “la Maison de vin” - შარდენის #18
- “ვინოთეკა” - კოტე აფხაზის #33
- “ღვინის სახლი”
 - პეკინის #45
 - ლესელიძის #55
- “ხარება” - რუსთაველის #50
- “ხოხბის ცრემლები” - სიღნაღი, ნიკოლოზ ბარათაშვილის #18
- “ღვინის სამყარო” - ლალიძის #2
- შატო მუხრანის ღვინის მაღაზია - მეიდანზე

სასტუმროებში:

- “რჩეული”
 - ბათუმი, ჟორდანიას #31
 - სიღნაღი, აღმაშენებლის #6
 - ქუთაისი, გრიგოლ ხანძთელის #21ბ
 - თელავი, ჭავჭავაძის გამზ. #154
- “შერატონი”
 - თბილისი, თელავის #20
 - ბათუმი, რუსთაველის #28
- “სიტადინი” - თავისუფლების მოედანი #4

მაღაზიაში:

- “შემოქმედებითი სტუდია ემელი” - თუმანიანის #15

ბალერეები:

- წიგნის გალერეა, რუსთაველის #11
- ცისფერი გალერეა, რუსთაველის #11
- ეროვნული გალერეა, რუსთაველი #3

“საქართველოს ფოსტის” ჯიხურების ქსელში

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
ტელ: + 995 32 2471005
მედია ჰაუსი დეკომი



2012

ქართული
ღვინის გზამკვლევი

Georgian
Wine Guide



მალხაზ ხარბედია
Malkhaz Kharbedia



„ელექტროთაობა“

მარი ბექაური

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

გამოცემის წელი: 2012

ფასი: 6.90 ლარი

„მართალია, „ლიტერატურული ვოიაჟი“ ასე წერს, მაგრამ მე მგონია, რომ მარი ბექაურის პროზა ეროტიკული კი არა, გულწრფელია.

მე კი გულწრფელობა ლიტერატურაშიც ისევე მიყვარს, როგორც – ცხოვრებაში და როგორც არ უნდა წარმართოს მისი ლიტერატურული ცხოვრება, ყოველთვის სიამოვნებით წავიკითხავ მარის მოთხრობებს.

საერთოდ, ძალიან მაინტერესებს ქართველი პროზაიკოსი ქალები, რადგან მათი ტექსტები უფრო მოულოდნელია ხოლმე ჩემთვის, ვიდრე პოეტი ქალების ემოციები და მარი ბექაურის გამბედაობა კი დასაწყისშივე გამაკვირვებდა და გამახარა.

მაშინვე, როგორც კი ეს ავტორი გავიცანი, მივხვდი, რომ თანამედროვე ლიტერატურულ პროცესს ისეთი განსხვავებული და გამორჩეული ხმა შეემატა, როგორც განსაკუთრებით მიყვარს – თან მხიარული და თან ძალიან, ძალიან სევდიანი...“

დათო ტურაშვილი

მარი ბექაურის მოთხრობების კრებული „ელექტროთაობა“ 10 მოთხრობას აერთიანებს, ესენია: „დები“, „იაკობი“, „ლევ“, „ლიტერატურული ვოიაჟი“, „ჩემი მეზობლები და მეგობრები“, „ამ ბავშვს“,

„სახლი დედესთვის“, „ელექტროთაობა“, „ბავშვობა“, „როგორც სინამდვილეშია“, „AS THE SQUARES OF HOPSCOTCH“.

„ავტოპორტრეტი ნიგნების ფონზე“

ზაალ სამადაშვილი

გამომცემლობა: „დიოგენე“

გამოცემის წელი: 2012

ფასი: 7.90 ლარი

„ავტოპორტრეტი ნიგნების ფონზე“ ზაალ სამადაშვილის ბოლო წლების ჩანაწერებს აერთიანებს.

„მე ხომ იმ ადამიანებს, იმ სურათებს და იმ ხმებს ვისხენებ, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს პიროვნების, სახელად „ზაალ სამადაშვილის“ ჩამოყალიბებაში. მე ხან ვილაცასავით ვწერ, ხან ვილაცასავით ვლაპარაკობ, ხან ვილაცასავით ვიქცევი და მერე გონებას ვძაბავ, რომ დავადგინო – ვინ არის ის ვილაც? ჯონ ლენონი, ტომას ვულფი თუ მამაჩემი...“



„15 საუკეთესო ქართული მოთხრობა“

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

გამოცემის წელი: 2012

ფასი: 6.90 ლარი

თუ გსურთ, თვალი მიადევნოთ თანამედროვე ქართულ პროზას, „15 საუკეთესო“ იდეალური მეგზურია. კრებულში შესულია 2010 წელს ქართულ ლიტერატურულ პრესაში და კრებულებში გამოქვეყნებული მოთხრობებიდან შერჩეული 15 საუკეთესო მოთხრობა.

თითოეული მათგანი, ამავე დროს, არის ნომინანტი პრემიისა „წლის საუკეთესო მოთხრობა“, რომელსაც

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ წელს უკვე მეექვსედ გადასცემს სამი საუკეთესო მოთხრობის ავტორს.



„მიკითხველი უნდა მოკვდეს“

ჯაბა ზარქუა

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

გამოცემის წელი: 2012

ფასი: 6.90 ლარი

„მიკითხველი უნდა მოკვდეს“ სამეცნიერო-ფანტასტიკის ჟანრს განეკუთვნება. მოქმედება ვითარდება მომავალში, XXII საუკუნის დასაწყისში. მსოფლიო ორად არის გაყოფილი – მესამე რაიხის იმპერია და მცირე სახელმწიფოები, რომელთაგან ერთ-ერთია ვარმშტადი. ისევე როგორც, იმპერიაში, პოსტრევოლუციურ არმშტადშიც ხალხს ეროვნული პროპაგანდით კვებავენ. ორი რეჟიმი არსით ერთმანეთს ჰგავს, თუმცა ერთი რამით მაინც განსხვავდება – ვარმშტადული რეჟიმი უნიკალურია მსოფლიო დიქტატორულ რეჟიმებს შორის, რადგან იქ ადამიანების მორჩილებას ნიგნების საშუალებით ცდილობენ და მათ განათლებულ მონებად, რეჟიმის მსახურებად გადაქცევას ახერხებენ კიდევ. თითქოს ყველაფერი რიგზეა და იმპერია ვარმშტადის სამხედრო ანექსიას არ ჩქარობს... თუმცა, ეს მხოლოდ სიჩუმეა ქარიშხლის წინ! იმპერიის ერთ-ერთ გამორჩეულ მეცნიერს ვერაგი გეგმა აქვს შემუშავებული – მართული ამბოხის თეორია, რომლის პრაქტიკული განხორციელებაც ვარმშტადში დაიგეგმება; ხოლო თუ ექსპერიმენტი გაამართლებს, „თავისუფალი, მემბობხე ადამიანის“ ცნება წარსულს ჩაბარდება.

„მებრძოლთა კლუბი“

ჩაკ პალანიკი

მთარგმნელი: ნიკა სამუშია

გამომცემლობა: „დიოგენე“

გამოცემის წელი: 2012

ფასი: 9.90 ლარი

ჩაკ პალანიკის პირველი რომანი „მებრძოლთა კლუბი“ 1996 წელს გამოქვეყნდა. 1999 წელს დევიდ ფინჩერმა წიგნის მიხედვით იმავე სახელწოდების ცნობილი ფილმი გადაიღო.

„არსად ისეთი ცოცხალი არ ხარ, როგორც „მებრძოლთა კლუბში“. აქ მხოლოდ შენ და შენი მეტოქე ხარ, სარდაფის ცენტრში ნათურის ქვეშ დგახარ სხვა მებრძოლებით გარშემორტყმული. „მებრძოლთა კლუბში“ გამარჯვებას ან მარცხს მნიშვნელობა არ აქვს. „მებრძოლთა კლუბი“ ცარიელი სიტყვები არაა. ხედავ პირველად მოსულ ტიპს,

აშკარად ვილაც უტრაკო ცინგლიანია. გადის ექვსი თვე და იგივე ტიპი ქვისგან გამოკვეთილი გგონია, უკვე აღარაფრის ეშინია და თავდაჯერებულია. „მებრძოლთა კლუბშიც“ ისმის ხმაური და ხენემა, როგორც სპორტდარბაზში, ოღონდ აქ გარეგნობაზე არავინ ზრუნავს. აქაც ისმის ისტერიული წამოძახილები, როგორც ეკლესიაში და, როცა კვირას შუადღით იღვიძებ, თავს გადარჩენილად გრძნობ“.

„სტამბოლი – მოგონებები და ქალაქი“

ორჰან ფამუქი

მთარგმნელი: თამარ ალფენიძე

გამომცემლობა: „დიოგენე“

გამოცემის წელი: 2012

ფასი: 13.90 ლარი

„ნებისმიერი ადამიანი ცხოვრებაში ერთხელ მაინც სვამს კითხვას თავის

არსებობასთან, არსებობის არსთან, დაბადების ადგილისა და დროის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. რა აზრი დევს, ნეტავ, მაინცდამაინც მსოფლიოს ამ წერტილში, დროის ამ მონაკვეთში ჩვენს მოვლინებაში? სამართლიანია, თუ არა, რომ ლატარიის ბილეთივით შემხვდა ეს ოჯახი, ქვეყანა, ქალაქი, რომელიც უნდა შემყვარებოდა და გულწრფელად შემეყვარდა კიდევ. ხანდახან თავს უბედურად ვგრძნობ, რომ დავიბადე დაქუცმაცებული იმპერიის ნანგრევებსა და მტვერში, სიღარობის და სევდისგან გახუნებულ და დანგრეულ სტამბოლში – ამ დროს კი შინაგანი ხმა მეუბნება, რომ გამიმართლა“. ორჰან ფამუქის „სტამბოლი – მოგონებები და ქალაქი“ 2003 წელს გამოქვეყნდა. ეს ავტობიოგრაფიული წიგნი ცნობილი რომანისტიც ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად ითვლება.




GLORINA HOTEL

glorinahotel.com.tr; Tel: 00902164491657





**იგრძენით თავი ისე, როგორც საკუთარ სახლში
ისტამბულის ზღვისპირა სასტუმრო გლორინაში!
ხელმისაწვდომ ფასად**



სისოსხლის ბანკები

„გასული წლის ბოლოს ერთმა ტექნოლოგიურმა გარდატეხამ კვლევების ნაკადი და ეთიკურ საკითხზე დებატების ქარიშხალი გამოიწვია“ – წერდა ჟურნალი Science 1999 წლის დეკემბერში. კვლევა, რომელიც გავლენიანმა ჟურნალმა წლის უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო გარდატეხათა ნუსხაში შეიყვანა, ბიოლოგ ჯეიმს ტომსონს ეკუთვნოდა, უისკონსინ-მედისონის უნივერსიტეტიდან. სწორედ მან მიაგნო ემბრიონული ღეროვანი უჯრედების შენახვისა და გამრავლების ხერხს 1998 წლის ნოემბერში.

ეს არ იყო ერთი ჩვეულებრივი სამეცნიერო აღმოჩენა: ამ თემაზე მკვლევარები წლების განმავლობაში მუშაობდნენ, თუმცა 1981 წელს თავგებზე ჩატარებული ექსპერიმენტის შემდეგ ახალი არაფერი უპოვიათ. 1998 წელს კი მსოფლიო სამეცნიერო წრეებმა გაიგეს, რომ თურმე ადამიანის ემბრიონული ღეროვანი უჯრედების გამოყოფა და შემდგომი გამრავლება შესაძლებელი ყოფილა.

კვლევაში ღეროვანი უჯრედების „სასწაულოქმედებაზე“ იყო საუბარი. მეცნიერის თქმით, ამ უჯრედების უნიკალური თვისება ის იყო, რომ მათ ორგანიზმში არსებული ნებისმიერი უჯრედის ჩანაცვლება და მათი ფუნქციების შესრულება შეეძლოთ. აქედან გამომდინარე, შესაძლებელი ხდებოდა ისეთი დაავადებების მკურნალობა, რომელიც მანამდე ინკურაბელურ პათოლოგიად მიიჩნეოდა.

ის იყო და ის – ამ აღმოჩენის შემდეგ ემბრიონული ღეროვანი უჯრედები მეცნიერთა უმთავრესი კვლევებისა და მსჯელობის საგანი გახდა მთელ მსოფლიოში. ერთი მხარე მათ უნიკალურ პოტენციალზე საუბრობდა: ამ უჯრედებს აქვთ თვისება, „გადაიქცენ“ ზრდასრული ადამიანის ნებისმიერ უჯრედად. თუმცა აზრთა სხვადასხვაობას მათი მიღების გზა იწვევდა – ამ უჯრედების წყარო ხელოვნურად განაყოფიერებული ემბრიონია და მათ მისაღებად საჭიროა

ემბრიონის განადგურება. აქედან გამომდინარე, ამერიკისა და ევროპის სამეცნიერო წრეებში მკაცრი დებატები დაიწყო იმის შესახებ, თუ რამდენად დასაშვებია ემბრიონული ღეროვანი უჯრედების გამოყენება.

დილემა საკმაოდ დიდი იყო: ერთი მხრივ ეთიკური საკითხი იდგა, ხოლო მეორე მხრივ ისეთი დაავადებების განკურნების შესაძლებლობა, როგორცაა: პარკინსონის დაავადება, ზურგის ტვინის დაზიანებები, ალცჰეიმერი, ლეიქმის პათოლოგიები, გულის იშემიური დაავადებები და ა.შ.

უფრო ფართო დავის საგანი გახდა ე.წ. ფეტალური ღეროვანი უჯრედები. თუ ემბრიონული ღეროვანი უჯრედების მისაღებად ემბრიონის განადგურებაა საჭირო, ფეტალურ უჯრედებს 10-12 კვირის ნაყოფის, ლეგალური აბორტის შედეგად „მოიპოვებენ“: თუმცა ამ ხერხმა ბიოეთიკურთან ერთად რელიგიური ხასიათის წინააღმდეგობაც გამოიწვია,



შესაბამისად, მათ სამკურნალოდ ვერ იყენებენ.

ამ ფონზე საჭირო ხდებოდა ლეროვანი უჯრედების მიღების ისეთი წყაროს მოძიება, რომ არც ეთიკური საკითხები დარღვეულიყო და საბოლოოდ შესაძლებელი გამხდარიყო მათი სამკურნალოდ გამოყენება. დიდი ხნის კვლევების შემდეგ მეცნიერებმა მიაგნეს ლეროვანი უჯრედების კიდევ ერთ წყაროს – ახალშობილის ქიპლარის ანუ პლაცენტარულ სისხლს. აღმოჩნდა, რომ ახალშობილის ქიპლარის სისხლი მდიდარია ლეროვანი უჯრედებით. გარდა ამისა, ამ უჯრედებს გამრავლებისა და დიფერენცირებულ უჯრედად გარაქმნის დიდი პოტენციალიც გააჩნია.

ამ აღმოჩენამ საფუძველი ჩაუყარა სხვადასხვა დაავადების მკურნალობის ახალ მიმართულებას: ექიმებმა ქიპლარის სისხლის ლეროვანი უჯრედების გამოყენებით დაიწყეს თავისა და ზურგის ტვინის დაზიანებების, შაქრიანი დიაბეტის, ცერებრული დამბლის მკურნალობა. თუმცა მანამდე საჭირო გახდა, შექმნილიყო ისეთი დანესებულებები, სადაც ქიპლარის სისხლის შენახვა იქნებოდა შესაძლებელი. შედეგად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში, სპეციალური ბანკები გაჩნდა.

არსებობს ქიპლარის სისხლის ორგვარი ბანკი: საჯარო და კერძო.

საჯარო ბანკებში მშობლები შვილების ქიპლარის სისხლს უსასყიდლოდ გასცემენ. შედეგად ეს სისხლი ბანკის საკუთრება ხდება და მას, საჭიროებისამებრ, აწვდიან ლაბორატორიებსა და, კლინიკებს. საჯარო ბანკებში შენახული ლეროვანი უჯრედებით სარგებლობა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, თუმცა დიდი პრობლემაა ჯერ თანხვედრი დონორის მოძიება და შემდგომ საკმაოდ მაღალი ღირებულება, რაც დღეისათვის 15-50 ათასი ევროს ფარგლებში მერყეობს.

ქიპლარის სისხლის კერძო ბანკი საჯაროსაგან იმით განსხვავდება, რომ მშობლები აქ შვილების ქიპლარის სისხლს გარკვეული გადასახადის საფასურად ინახავენ. შესაბამისად, აქ შენახული ლეროვანი უჯრედები ბანკს არ ეკუთვნის და მათი გამოყენება მხოლოდ დონორის ოჯახის წევრებს შეუძლიათ.

კერძო და საჯარო ბანკების თვისებრივი განსხვავება მათ შორის დაპირისპირების მიზეზიც გახდა. საჯარო ბანკები აცხადებენ, რომ სადღეისო ჩვენებებით კერძო ბანკში შენახული ქიპლარის სისხლის გამოყენების ალბათობა არის 1:200. თუმცა ალბათობა მატულობს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქიპლარის სისხლი არა მარტო თავად ამ ჩვილს გამოადგება მომავალში, არამედ მის დედამამიშვილსაც.

საჯარო ბანკები სადღეისოდ მეტად მნიშვნელოვანია სისხლის სიმსივნური დაავადებების სამკურნალოდ. ამავე დროს, ალდგენით მედიცინაში შეუცვლელია კერძო ბანკებში შენახული ახალშობილის საკუთარი ლეროვანი უჯრედები. თუ სადღეისოდ რეგენერაციული მედიცინის წარმატებებსა და ექსპერიმენტული და კლინიკური კვლევების შედეგებსაც გავითვალისწინებთ, აღმოჩნდება, რომ არც ისე შორეულ მომავალში, სულ 10-15 წელიწადში შესაძლებელი იქნება საკუთარი ქიპლარის სისხლის უჯრედების წარმატების გამოყენება გულის დაავადებების (მაგ. მიოკარდიუმის ინფარქტის, გულის უკმარისობის, გულის მანკების), არტერიების სტენოზის (შენივროების), I ტიპის შაქრიანი დიაბეტის, იშემიური ინსულტის, თავისა და ზურგის ტვინის ტრავმების, ნეიროდეგენერაციული დაავადებების, მაგ. პარკინსონის დაავადების, ალცჰაიმერის დაავადების დროს, ნერვ-კუნთოვანი დაავადებების დროს, მაგ. გვერდითი ამიოტროფული სკლეროზის, ასევე გაფანტული სკლეროზის დროს, ლეიძლის ციროზის დროს, ართროზების დროს. ასე, რომ სულ მცირე კლიენტთა 70-80% მანაც ისარგებლებს მომავალში საკუთარი ქიპლარის სისხლის ლეროვანი უჯრედებით.

ავტორი ლევან კვიციანი



დედობა საჩუქრად

„აჰ, თქვენ ბაქოდან რეკავთ? ორსულადაა? ძალიან კარგი, გილოცავთ“, – მილოცვის შემდეგ ვანო მგალობლიშვილი პაციენტს დამატებით დანიშნულებას აძლევს, მე კი ვხვდები, რომ ინტერვიუს დასაწერად კარგი დასაწყისი მაქვს. აზერბაიჯანელი ქალბატონი ერთ-ერთია იმ ასობით პაციენტიდან, რომელსაც მალე დედობის ოცნება თბილისის „რეპროდუქციული მედიცინისა და უშვილობის ცენტრის“ დახმარებით აუხდება. კლინიკა 2001 წლიდან ფუნქციონირებს და კავკასიის რეგიონში ერთ-ერთ წამყვან სამედიცინო დაწესებულებას წარმოადგენს. ცენტრში შვილოსნობის აღმდგენი უნიკალური ოპერაციები კეთდება, პაციენტებს კი უშვილობის დიაგნოსტიკის „ოქროს სტანდარტად“ აღიარებული მეთოდით – ფერტილოსკოპიით მკურნალობენ.

კლინიკის სამედიცინო ხელმძღვანელი, პროფესორი ვანო მგალობლიშვილი და მისი და ექიმი-რეპროდუქტოლოგი მანანა მგალობლიშვილი ექიმების ოჯახიდან არიან. 7 და-ძმიდან ყველა ექიმია, ეს არჩევანი კი, ალბათ, გარკვეულწილად მამის, ბიძინა მგალობლიშვილის პროფესიამაც განაპირობა. ბიძინა მგალობლიშვილი აფხაზეთის დამსახურებული ექიმი და მთავარი ფსიქიატრი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი იყო. საუბარს სწორედ მისი პიროვნებით და ოჯახის „სამედიცინო ისტორიით“ ვიწყებთ.



ვანო მგალობლიშვილი: ჩვენმა მშობლებმა თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი დაასრულეს და ე.წ. განაწილებით სოხუმში მოხვდნენ. აფხაზეთში სწორედ იმ დროს იწყებოდა ფსიქიატრიის განვითარება, მამა ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარ ექიმად დანიშნა და ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა ფსიქიატრიას აფხაზეთში. 20 წლიდან ამ თანამდებობაზე მუშაობდა და საინტერესო ის არის, რომ მიუხედავად ამ ნომენკლატურული თანამდებობისა, კომუნისტური პარტიის წევრი არასდროს ყოფილა. მართალია, ამის გამო პრობლემებიც ჰქონდა, მაგრამ ძალიან პრინციპული პიროვნება იყო და პარტიაში მაინც არ შედიოდა. მამამ საქართველოში პირველმა გახსნა ნევროზების განყოფილება და, პრაქტიკულად, პირველი ნევროზოლოგიც იყო.



მანანა მგალობლიშვილი: მამა ნამდვილი ინოვაციური იყო. იმ დროს, როცა ფსიქიატრიული კლინიკა ყველაზე უარყოფით ასოციაციებს იწვევდა, როცა სულიერად ავადმყოფებს ლოგინზე აბამდნენ და გალიაში სვამდნენ, მამას განყოფილებაში

აბსოლუტურად სხვა სიტუაცია სუფევდა. პაციენტები თავისუფლად გადაადგილდებოდნენ, არც იგრძნობოდა, რომ ეს ფსიქიატრიული კლინიკა იყო. სალამობით იმართებოდა ცეკვები, კინოს ჩვენება, ჰქონდათ ტელევიზორი, ვიდეო... მამამ დაწერა მუსიკალური თერაპიის კურსიც და პაციენტებს ამ ინოვაციური მეთოდით მკურნალობდა. ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა ვიდეომონიტორინგის სისტემა. მოკლედ, ეს იყო პატარა, განსხვავებული ქალაქი... მერე კი კლინიკაში ფსიქიატრიული მუზეუმიც დააარსა.

ვანო მგალობლიშვილი: მამამ, რომელიც თავადაც ცნობილი მეცნიერი და 40-მდე ნაშრომის ავტორი იყო, სხვადასხვა ექსპონატები შეაგროვა: ცნობილი ქართველი ფსიქიატრების პორტრეტები, მათი მნიშვნელოვანი ნაშრომები, პირველი მკურნალობის მეთოდები და ხელსაწყოები და ამ ყველაფერს თავი ერთად მოუყარა და შექმნა უნიკალური მუზეუმი, რომელიც საქართველოში ფსიქიატრიის განვითარებას ასახავდა.

მათ, ვინც აფხაზეთში ცხოვრობდა, ბიძინა მგალობლიშვილი ახსოვთ, როგორც პატრიოტი, რომელსაც უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა...

მანანა მგალობლიშვილი: ეს ადამიანი იყო ძალიან თავისუფალი აზროვნების მქონე პიროვნება, აბსოლუტურად განსხვავებულად უყურებდა ყველაფერს, შემოქმედებითად. წერდა ლექსებს, იყო პუბლიცისტი, ყველა მნიშვნელოვან მოვლენაზე აქვეყნებდა საკუთარ პოზიციას. არ არსებობდა რაიმე მოვლენა, რომ მას საკუთარი შეხედულებები არ დაეფიქსირებინა, საზოგადოებრივად აქტიური იყო ყოველთვის.

უყვარდა ყველაფერი განსხვავებული, განსაკუთრებული და ამის საუკეთესო მაგალითი ჩვენი სახლი იყო, აუზებით, კალმახებით, ოქროს თევზებითა და დეკორატიული იხვებით.

ვანო მგალობლიშვილი: მამას ფოტოების გადაღება იტაცებდა და პატარა სახელოსნოც ჰქონდა. აფხა-

ზეთის ომის დროს მთელ ქალაქში წყალი არ მოდიოდა, ჩვენ ეზოში წყარო გვექონდა, რომელიც, სხვათა შორის, ომის დასრულების შემდეგ რატომღაც დაშრა. დღე-ღამის ნებისმიერ დროს სოხუმელები ამ წყაროსთან იყრიდნენ თავს. მამა ყველას ფოტოებს უღებდა და ამბობდა: ომი რომ დამთავრდება, თქვენი ფოტოების გამოფენას მოვანწყობ და ამ წყაროში წყლის ნაცვლად ღვინო წამოვავ.

მანანა მგალობლიშვილი: ხშირად იქცეოდა ასე: ამბობდა რაღაც წარმოუდგენელზე, უნდა გავაკეთოო. ხშირად მიკვირდა, ამას როგორ აპირებს-მეთქი, მაგრამ რასაც იტყოდა, იმას აუცილებლად ასრულებდა. დაწმუნებული ვარ, რომ იმ წყაროში შეძლებდა წყლის ნაცვლად ღვინოს გაშვებას.

დიდი მარანი გვექონდა და ომის დროს, როცა დაბომბვა იწყებოდა, მეზობლები იქ იმალებოდნენ, მამა კი თავისუფლად იდგა აივანზე, არასდროს დამალულა და არც ქალაქი დაუტოვებია. 23 სექტემბერს ველაპარაკე ბოლოს. თქვა, რომ ტყვიები პირდაპირ ეზოში ცვივა და პრაქტიკულად ფრონტის ხაზზე ვცხოვრობო. წესით, უნდა მეთქვა წამოდი-მეთქი, მაგრამ ვერ გავუბედე. ის ამას შეურაცხყოფად მიიღებდა. ამის მერე უკვე კავშირი აღარ გვექონია. 27 სექტემბერს მოკლეს. აგუძერაში უცნობი ქალები მიიყვანა გემთან მანქანით, მეორე გზაზე რომ მიბრუნდა, ზუსტად მაშინ დახვრიტეს.

მამის გავლენა იყო თქვენი და თქვენი და-ძმების პროფესიული არჩევანი? ყველანი ექიმები ხართ...

ვანო მგალობლიშვილი: მე სულ სხვა გზა მქონდა არჩეული. სწავლა თბილისის სამხატვრო აკადემიაში უნდა გამეგრძელებინა. 5 თვე კობა გურულის სახელოსნოშიც ვმუშაობდი, თუმცა ზუსტად იმ პერიოდში ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი გვესტუმრა. ბატონი ზადაროშნი მხატვრობით იყო გატაცებული და თავადაც ბევრი კოლექცია

ჰქონდა. ჩემი ნახატების ნახვის შემდეგ მითხრა: ხატვა ისედაც იცი, ნიჭიც გაქვს და ხატე, მაგრამ ექიმობას სწავლა უნდა და ჩემთან უნდა წამოხვიდეო. ასე რადიკალურად შეიცვალა ჩემი ბედი და მოვხვდი სამედიცინოზე.

მანანა მგალობლიშვილი: მამის მხრიდან ზენოლა არასდროს ყოფილა. მე თავიდანვე ვფიქრობდი, რომ ექიმი უნდა ვყოფილიყავი, ეს ძალიან ბუნებრივი იყო. თანაც, იმდროს ექიმის პროფესია დიდი პოპულარობით სარგებლობდა. სამე-

დიცინო ფაკულტეტზე უზარმაზარი კონკურსი იმართებოდა და იქ ჩაბარება ძალიან პრესტიჟული იყო.

რეპროდუქციული მედიცინის მართულებების არჩევა რამ განაპირობა?

ვანო მგალობლიშვილი: გინეკოლოგიაშიც შემთხვევით მოვხვდი. ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტში აკადემიკოს გრიშენკოს შევხვდი. სწორედ მისი გავლენით ავირჩიე მეან-გინეკოლოგია. მერე სოხუმში გავაგრძელე მუშაობა და დასავლეთ

საქართველოში პირველი ექოსკოპიის აპარატი ჩამოვიტანე. ახლა ექოსკოპია ჩვეულებრივი ამბავია, 1985 წელს კი სოხუმის სამშობიარო სახლისთვის ნამდვილი ინოვაცია იყო. ამის შემდეგ ამერიკელმა ექიმებმა რუსეთში პირველი ინვიტრო განაყოფიერების გაკეთება დაგემეს. ეს იყო მოსკოვი-ჩიკაგოს პროექტი, სამედიცინო ცენტრი კი სოჭში უნდა გახსნილიყო, სადაც ამერიკელების მიწვევით გავაგრძელე მუშაობა. ამ ცენტრში გაჩნდნენ საბჭოთა კავშირის პირველი ინვიტრო ბავშვები, რომლებიც ახლა უკვე დაოჯახებულებიც კი არიან. ამასობაში ჩემი შვილებიც იზრდებოდნენ. მინდოდა ქართულ გარემოში გაზრდილიყვნენ, ამიტომ გადავწყვიტე, 90-იანი წლების საკმაოდ მძიმე პერიოდში საქართველოში დაგბრუნებულიყავი.

მანანა მგალობლიშვილი: მე ვანოს ერთ-ერთი მოსწავლე ვარ. თბილისში ძალიან ბევრია ექიმი, რომელსაც ეს საქმე ვანომ ასწავლა. ფაქტობრივად, მისი მოსწავლეების დახმარებით შეიქმნა ეს კლინიკაც.

ვანო მგალობლიშვილი: სხვათა შორის, მანანა მხოლოდ მოსწავლე არ ყოფილა, მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ამ კლინიკის მენეჯმენტის დაგეგმვასა და განხორციელებაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია კლინიკის წარმატებისთვის.

თქვენი ხელმძღვანელობით საქართველოში არაერთი ინოვაციური სამკურნალო-დიაგნოსტიკური მეთოდი დაინერგა. მათ შორის ტრანსვაგინური ექოსკოპია, ტრანსვაგინური სონოსალპინოგრაფია, საკვერცხის კისტის მკურნალობა ოპერაციის გარეშე, საშვილოსნოსგარე ორსულობის მედიკამენტოზური მკურნალობა. ამ მეთოდების შესახებ პირველი სამეცნიერო სტატიები საერთაშორისო გამოცემებში სწორედ თქვენი ავტორობით გამოქვეყნდა. ფერტილოსოპიაზე მინდა გკითხოთ. ეს „ოქროს სტანდარტად აღიარებული მეთოდია, რომელიც თქვენს კლინიკაში დაინერგა. რაში გამოიხატება მისი ინოვაციურობა?



აქიმაზი და მანანა მგალობლიშვილები

ვანო მაგლობლიშვილი: ამ მეთოდის დანერგვა პირველად ჰოლანდიაში და ბელგიაში დაიწყო. რუსეთში მხოლოდ 2-3 წელია რაც ფერტილოსკოპიით მუშაობენ, ბრიტანეთში სულ ერთი ასეთი ცენტრია, ამერიკაში კი – ორი. ჩვენ, პრაქტიკულად, ლიდერები და პირველები ვართ აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც ეს მეთოდი 2002 წელს შემოვიტანეთ.

ფერტილოსკოპია ქალის რეპროდუქციული ორგანოების გამოკვლევის ენდოსკოპიური მეთოდია, რომლის დროსაც ხდება მინიატურული ვიდეოკამერით იმ ორგანოების დათვალიერება, რომლებშიც ორსულობისთვის აუცილებელი პროცესები მიმდინარეობს. ამ მეთოდით შესაძლებელია უშვილობის გამომწვევი ისეთი მიზეზების დიაგნოსტიკა, რაც შეუძლებელია დღეს არსებული რომელიმე სხვა მეთოდით. დიაგნოსტიკასთან ერთად ჩვენს კლინიკაში ტარდება შვილოსნობის აღმდგენი უნიკალური ოპერაციები, რომელთა ჩატარებაც მხოლოდ ფერტილოსკოპიითაა შესაძლებელი.

როგორც ცნობილია, უშვილობის გამომწვევი ძირითადი მიზეზი გაუმტარი მილებია, რომლის დროსაც დაორსულების შანსი პრაქტიკულად ნულის ტოლია, ამიტომ ამ დიაგნოზის შემთხვევაში, მიმართვენ ხელოვნურ განაყოფიერებას სინჯარაში, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია მრავალ ეთიკურ პრობლემასთან და ამასთანავე, საკმაოდ ძვირადღირებული მეთოდია და დაორსულების შანსი 40%-მდეა. ამის გამო პაციენტების უმრავლესობისთვის ეს მეთოდი მიუწვდომელია. ბოლო ერთი წელია ჩვენ ფერტილოსკოპიით უნიკალური ოპერაციების ჩატარება დავიწყეთ, რომლის დროსაც დახურული მილების გახსნას ვახდენთ. ეს ოპერაცია მსოფლიოს მხოლოდ ორ კლინიკაში ტარდება: ჩვენთან და იაპონიის იაზაკის ჰოსპიტალში. თანამედროვე რეპროდუქტოლოგიაში ეს მეთოდი განიხილება ინვიტრო განაყოფიერების ალტერნატივად, რომლის დროსაც ხდება ბუნებრივი შვილოს-



ზიქინა მაგლობლიშვილი და მისი მეუღლე, ივოლდა

ნობის აღდგენა და ქალს ეძლევა ფიზიოლოგიური გზით დაორსულების შანსი. თანამედროვე სტანდარტით, ყველა ქალმა, ვისაც უშვილობა აწუხებს, რეკომენდირებულია გაიკეთოს ფერტილოსკოპია. შესაძლოა ზოგიერთი ფიქრობს, რომ ყველანაირი გამოკვლევა და მკურნალობა ჩაიტარა, მაგრამ თუ არ ჩაუტარებია ფერტილოსკოპია, ე.ი. ყველაზე მთავარი არ გაუკეთებია.

უკვე 11 წელია ეს კლინიკა ქალებს დედობის ოცნების ახდენაში ეხმარება... რა შეგრძნებაა, როცა, ერთი მხრივ, სიცოცხლის მოვლენას ეხმარები, მეორე მხრივ, კი – უიმედოდ დარჩენილ წყვილებს?

მანანა მაგლობლიშვილი: ჩვენ იმდენად გვიხარია პაციენტის დაორსულება, რომ ის ზოგჯერ ამას თავადაც ვერ ხვდება. უკვე ტრადიციად გვექცა, რომ წელიწადში ერთხელ ვგროვდებით ჩვენი პაციენტებით, ბავშვებით და წვეულებას ვმართავთ. უკვე 1500-ზე მეტი ბავშვი გაჩნდა ამ კლინიკის წყალობით.

ვანო მაგლობლიშვილი: ჩემთვის ყველა მორიგი შემთხვევა დიდი სიხარულია.. შეგრძნება მაქვს ისეთი, როგორიც ნებისმიერ ადამიანს, რომელიც კარგად გააკეთებს თავის საქმეს. აქ გრძნობ, რომ ღმერთმა არ დაგტოვა და ის გეხმარება.

ამ დროს კარზე კაკუნია. ახალგაზრდა გოგონა შემოდის:

– ბატონო ვანო, ბოდიშს გიხდით, კიდევ ერთი ორსული გეყავს ფერტილოსკოპიის მერე, – ამბობს და გადის.

„რა კარგია!“ – ემოციებს ვერ ვმაღავე მე, ვანო მაგლობლიშვილი კი აგრძელებს:

კარგი უკვე ის არის, რომ ჩემთან მოდიან ის ორსული პაციენტები, რომელთა ამქვეყნად მოვლინებაშიც მე ვმონაწილეობდი. უკვე მეორე თაობას ვამშობიარებ და ეს მართლა სასიხარულოა.

„12 წელი არსად ჩანდა იმედის სხივი და აი, უცებ გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც დასასრული მოუძებნა ჩემს ჩაბნელებულ გვირაბს. ბატონო ვანო, თქვენ განმიხალეთ ცხოვრების ხალისი და მაჩუქეთ 2 ვაჟკაცი, გოგა და ლაზარე. მე და ბევრ ჩემნაირ დედას მთელი ცხოვრება გაგვყვება თქვენი ვალი, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა...“

წამოსვლამდე პაციენტების წიგნს გადავავლე თვალი. ეს მხოლოდ ნაწყვეტია დედების ჩანაწერებიდან. ასეთი უამრავი ვნახე: ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, ინგლისურ... არა, უფრო სწორად დედობის ენაზე დაწერილი ემოციური სიტყვები და შთაბეჭდილებები...

ავტორი ნინო ბერძენიშვილი



ილაპარაკეთ, მოგონებებო

საშა ჭავჭავაძის „ასანთების მუზეუმი“ ლიტერატურის მუზეუმში

ავტორი დავით ბუხრიკიძე

თუ ლიტერატურის მუზეუმში პირველ ივნი-სამდე შევიღით, უჩვეულო გამოფენას გადაწყდებით. „ასანთების მუზეუმი“ – ასე ეწოდება გამოფენას, რომელიც ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი ნიუ-იორკელი ხელოვანის, ალექსანდრა (საშა) ჭავჭავაძის ოცდახუთ მოზრდილ და ორმოცამდე პატარა ნამუშევარს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მხატვრის წინაპრები ქართული წარმოშობის არიან, საშა ჭავჭავაძე საქართველოში არასოდეს ყოფილა. ნიუ-იორკში მცხოვრები 87 წლის ქართველი ემიგრანტი-არისტოკრატის, დავით ჭავჭავაძის შვილი პირველად ესტუმრა თბილისს და საკუთარი, ფრიად ორიგინალური „ასანთების მუზეუმის“ ნამუშევრები ჩამოიტანა.

„ჩვენ ყველას გვერგება მემკვიდრეობით ერთი ასანთის მუზეუმი. ყველას გვეება ომი. ჩემი ასანთის მუზეუმი სურათებისგან და იატაკზე მონეტებივით მიმოხრეული რეალობის ნაგლეჯებისგან შედგება. ვაკვირდები, ამ მოჩვენებითი ქაოსიდან როგორ წარმოიქმნება ფორმები, იკვრება კავშირები.

ანწყო და წარსული უცნაურ ადგილებში კვეთენ ერთმანეთს. ვზივარ და ვცდილობ, სურათებისკენ გზა გავიკვლიო. ბრუკლინში, კეიპ-კოდის ძველი სახლი, სადაც ჩემი რუსი წინაპრები ორმოცდაათი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ, ახლა მე მცუთენის. პირველად სწორედ აქ, მეორე სართულზე, საძი-

ნებელში წავიკითხე ნაბოკოვის ასანთობანას თამაშის ამბავი“, – ამბობს საშა ჭავჭავაძე.

ათეული წლის შემდეგ გაიაზრა, რომ ასანთის ფიგურების გადალაგება მისი წინაპრების ბედის ცვლას ჰგავდა. თავის დროზე რუსი არისტოკრატები კეიპ-კოდზე ბედნიერად მოსახლე, გალარბებულ ემიგრანტებად იქცნენ. ბრუკლინში, და მოგვიანებით კეიპ-კოდზე ვლადიმერ ნაბოკოვის რბილყდიანი გამოცემა „ილაპარაკეთ, მოგონებებო“ მისთვის ინსპირაციის წყაროდ იქცა. გარეკანზე ავტორის ფოტოთი – ნავთან ახალგაზრდა კაცი დგას და სიგარეტს ეწევა. ეს დაახლოებით ის დროა, როცა საშას ბებია ნინა ნაბოკოვთან ერთად მდინარე კემზე სეირნობდა...

გარდასული არტისტულ-არისტოკრატულ მოგონებები უშუალოდ ცოცხლდება ნამუშევრებში: ასანთებისგან „აგებული“ საომარი ველის გეგმა, უცნაური პლანეტები, გაყვირებული ნაწერები, არტ-ობიექტად ქცეული, არისტოკრატ ბუბის კაბის ნაჭერი, თუ ასევე, ასანთების ღერებით განწყობილი გრაფიკული ნახატები. საშა ჭავჭავაძემ მუზეუმის დაარსების იდეის განსახორციელებლად მამის, სამხედრო თარჯიმანისა და ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურის აგენტის, დავით ჭავჭავაძის ისტორიები და წერილები გამოიყენა. იდეის უკეთ გააზრების მიზნით კი განსხვავებული ვიზუალური ფორმები მოიშველია.

„ასანთების ხატვა დავინწყე, მოგვიანებით კი ასანთის ღერებს ქალაღზე ვანებუბდი, სხვადასხვა ფორმები და ორნამენტები გამომყავდა. პროექტი სწრაფად მიიწედა წინ და მედიტაციური პროცესი ჩითილების დარგვას ჰგავდა. მამაჩემის ასანთობანა აღვადგინე. ამისთვის „ოჰაიო ბლუს“ აალებდათავიან ასანთის ღერებს ვხატავდი, რომლებსაც თავის დროზე მამა იყენებდა. ზოგჯერ ცივი ომის შესახებ წიგნებში მამაჩემის სახელს ვანყებობდი და სიტყვა „ასანთის“ სხვა მნიშვნელობებს ვპოულობდი. ასანთმა ცეცხლის გარდა სხვა დატვირთვაც შეიძინა – სიმეტრიული, წინააღმდეგობრივი, იგივე პირადი ურთიერთობების წარმართვის ინსტრუმენტის მნიშვნელობა. ასეთმა ვიზუალიზაციამ, ცივი ომი და მამასთან ჩემი დამოკიდებულება სხვაგვარად დამანახა“.

ნამუშევრები, რომლებიც ლიტერატურის მუზეუმშია გამოფენილი, დაახლოებით შვიდი წლის განმავლობაში იქმნებოდა. საშა ჭავჭავაძე მუელესთან და ორ შვილიან ერთად ნიუ-იორკში, ბრუკლინში ცხოვრობს. ბრუკლინის Proteus Gowanus Interdisciplinary Gallery-ს დამაარსებელი და დირექტორია. ასწავლის ხელოვნებას ბრუკლინის წმინდა ანას სახელობის სკოლაში. დაგეგმილია მისი წიგნის გამოცემა, რომელიც ქართულ ენაზე უკვე ითარგმნა და მისივე ნამუშევრებითაა ილუსტრირებული.

FM
სენტი
98.0





წერტილები და ხაზები

გივი მარგველაშვილი – დაბრუნება დროსა და სივრცეში ხატიალის შემდეგ

ავტორი ღვაწლი ბუხრიკიძე

„მე წიგნის გმირი ვარ. ეს იმას ნიშნავს, რომ მარტოოდენ წიგნში მაქვს ბინა, მხოლოდ ორ ყდას შორის ვარსებობ ნამდვილად და ტელეფონის ნომრის მაგივრად, გვერდის ნომერი გამაჩნია. დროდადრო – ეს ხშირად არ ხდება, მაგრამ წელიწადში ორი-სამი ვიზიტის იმედი მაქვს – რომელიმე რეალური პირი ჩამოხრის ხოლმე ჩემკენ თავს. ჩვენკენ-მეთქი, მიწოდდა მეთქვა, რადგან მე ხომ მარტო არა ვარ ჩემს წიგნში...“

ეს გივი მარგველაშვილის მთავარი წიგნის, „მუცალის“ დასაწყისია, რომელიც საკმაოდ რთულად დასაძლევია. იმდენად, რომ არათუ ლიტერატურის მოყვარულთ, ფილოსოფოსებსაც ხშირად აფრთხობს. თუმცა, დიდ მწერალთან გოეთეს ინსტიტუტში გამართული შეხვედრის შემდეგ, რომლის მოდერატორობა ცნობილმა მწერალმა, პუბლიცისტმა და გერმანისტმა, ნარა გელაშვილმა იკისრა, ეს სირთულე სადღაც გაქრა.

გივი მარგველაშვილის ლექსებისა და პროზაული მინიატურების გერმანულ-ქართული ნაზავი უცნაურად პოეტური და მოულოდნელი გამოდგა. მწერალი თავად კითხულობდა გერმანულად ტექსტის ფრაგმენტებს, ხოლო ნარა გელაშვილი, იმავე ტექსტს, ქართულად. გოეთეს ინს-

ტიტუტმა მარგველაშვილის წიგნების (პროზა, პოეზია, ფილოსოფია) მცირე გამოყვანაც მოაწყო. რომლებიც გერმანიასა და საქართველოშია გამოცემული. პირდაპირ რომ ვთქვათ, მისი შემოქმედების თავყვანისმცემლები გერმანიაში გაცილებით ბევრნი არიან, ვიდრე საქართველოში და ეს ლოგიკურია – ის ხომ მანც გერმანულენოვანი ქართველი მწერალია.

გივი მარგველაშვილი 1927 წელს ბერლინში, ქართველ ემიგრანტთა ოჯახში დაიბადა. 1946 წლის თებერვალში საბჭოთა უშიშროების სამსახურმა იგი მამასთან, ტიტე მარგველაშვილთან ერთად მოტყუებით აღმოსავლეთ ბერლინში ჩაიყვანა. ერთად გატარებული ღამის შემდეგ, ტიტე მარგველაშვილი მოსკოვში გადაიყვანეს, სადაც მალე დახვრიტეს. მისი ვაჟი კი 1947 წლის შემოდგომამდე საბჭოთა ბანაკ „ზაქსენჰაუზენში“ იმყოფებოდა, რის შემდეგაც საბჭოთა საქართველოში ჩამოიყვანეს. თბილისში ნათესავებთან ცხოვრობდა. აქ ისწავლა ქართული და რუსული, და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ენის ფაკულტეტი დაამთავრა. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როცა ვითარება ოდნავ „დათბა“, უცხო ენათა ინსტიტუტში პედაგოგობის საშუალება მიეცა.

გასული საუკუნის 50-იან წლებში გივი მარგველაშვილმა თავისი ყველაზე ცნობილი რომანის „კაპიტან ვაკუშის“ წერა დაიწყო. როდესაც თბილისის ჰაინრიხ ბიოლი ენია და „კაპიტან ვაკუშის“ პირველი ტომი წაიკითხა, აღტაცებულმა, დახმარება აღუთქვა, მაგრამ უშიშროების მეთვალყურეობის გამო ვერაფერი გააწყო. მოგვიანებით გივი მარგველაშვილი დაქორწინდა. სწორედ მისი მეუღლის, ნარა გელაშვილის მიერაა, ძირითადად, თარგმნილი მისი ტექსტები, რომლებსაც მხოლოდ ბოლო ოცი წლის განმავლობაში ელირსა გამოცემა.

გივი მარგველაშვილმა გერმანიის მოქალაქეობის მიღება მხოლოდ 1994 წელს შეძლო. მისი დაგვიანებული აღიარება მისივე ტრავმატიული ბიოგრაფიის ნაწილია. ევროპულ ენებზე გამოქვეყნდა მისი წიგნები, ავტორს მრავალი ჯილდო გადასცეს. მარგველაშვილი გერმანული PEN-ის წევრია (პოეტები, ესეისტები, ნოველისტები).

1992-1994 წლებში გერმანიაში გამოქვეყნდა მარგველაშვილის მრავალტომიანი რომანის, „კაპიტანი ვაკუშის“ ორი ტომი (პირველი ტომი ქართულად კარლო ჯორჯანელმა თარგმნა). აგრეთვე, რომანები: „მუცალი“ (ქართულად თარგმნა მია ბადრიძემ), „დიდი კორექტურა“, პროზაუ-

ლი კრებულები – „გადაუგდებელი ხელთათმანი“, „სიცოცხლე ონტოტექსტში“.

გივი მარგველაშვილი დიდი ხანია, აღიარეს თანამედროვეობის ერთ-ერთ თვალსაჩინო შემოქმედად, მის შესახებ გადაიღეს დოკუმენტური ფილმი გერმანიის ტელევიზიაში. მიიწვიეს გერსვაილერის „ქალაქის მწერლად“ გერმანიაში, ხოლო მოგვიანებით, ლექციების წასაკითხად გერმანიისა და აშშ-ის უნივერსიტეტებში. 1997 წელს გივი მარგველაშვილი აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად. 2006 წელს მიენიჭა გერმანიის გოეთეს მედალი.

...გერმანისტები ამბობენ, რომ მისი ენა მთლიანად აგებულია სიტყვების თამაშზე. თარგმანი კი სხვა ენაზე ინტერპრეტაციას ძნელად ემორჩილება. გივი მარგველაშვილის „მუცალი“, სწორედ ლიტერატურას, სიტყვას, წიგნს მიეძღვნა – გივი მარგველაშვილმა შექმნა ტექსტი ტექსტში, ოღონდ არა ჩინური ზარდახშის პრინციპით, რომელიც ასე მოსწონთ პოსტმოდერნისტებს. ის სიტყვებით ახალ რეალობას

ქმნის... ყოველი მისი ტექსტი უკვე არსებული, განვლილი და მომავალი ლიტერატურული სახეების ერთგვარი „ატრაქციონია“. შემოქმედება – მისთვის ისევე ტანჯვაა, ისევე ტკივილია. ამიტომაცაა მის წიგნში ამდენი სევდა და ტრაგედია, თუმცა გასათვალისწინებელია პიროვნული და ბიოგრაფიული მოტივებიც.

„ჩემს სიკვდილს მხოლოდ ის პერსონაჟი დასტირის, რომელიც მკლავს. მისი დავიანებული, თემატური სინანულის ცრემლები და სიტყვები ვერაფერი ნუგეშია. თუ ფაქტებს დავეყრდნობით, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მკითხველი ჩემ მიმართ სრულიად გულგრილია...“

83 წლის ასაკშიც ცდილობს, დრო არ დაკარგოს, ცდილობს, ყველაფერი მოასწროს. შუა საუკუნეების ცნობილი გერმანელი პოეტის, ვოლფრამ ფონ ეშენბახის მსგავსად, რომელმაც ეპოსი „პარსიფალი“ დანერა, გივი მარგველაშვილიც თავის „პარსიფალზე“ მუშაობს, ოღონდ თავისებურად, მოდერნისტულად... „შუა საუკუნეების ლიტერატურას აღარავინ

კითხულობს და ამიტომ წიგნის პერსონაჟებისთვის რთული და ცუდი დრო დადგა. არადა პერსონაჟები ხომ მაშინ ცოცხლდებიან, როცა მათ კითხულობ. და რაკი არავინ კითხულობს, ამიტომ ისინი ნელ-ნელა კვდებიან. ვცდლობ, წიგნის გმირები გადავარჩინო, ლიტერატურულ ცხოვრებას დავუბრუნო. თეორიულად ვერევი ამ აზრად, მაგრამ, ქაოსში და ვცდილობთ ქაოსი ცხოვრებას დავუბრუნოთ“...

ის სამშობლოში დაბრუნდა. დიდი ხნის განშორებისა და ხეტილის შემდეგ ფრანგი ფილოსოფოსის, ჟილ დელიოზის სიტყვებს იმეორებს: „ნუ დასვამთ წერტილებს, სჯობს ხაზები გაავლოთ!“ გივი მარგველაშვილი მიიჩნევს, რომ გაქცევა საზოგადოებიდან, ანუ საკუთარი თემიდან – სწორედ წერტილის დასმაზე უარის თქმა და საკუთარი ცხოვრების ხაზის გაგლეზაა. ეს არის იმ საზოგადოებიდან გაქცევა, რომელსაც არ ესმის მოკლული ქისტის მიმართ ქეთელაურის მონივნება და სინანული, რომელსაც მომხდარის გამო განიცდის.





ნაფტალიანი შენახული კანთონი

ავტორი ღაბია ბუხრიძე

ქართულ თეატრებში ლაშა ბულადის პიესების ნახვის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, რომ რეჟისორებს მათი „აუტანელი სიმსუბუქე“ უფრო აინტერესებთ, ვიდრე, ასე ვთქვათ, „თანამდევნი, უკვდავი სული“. არც გაემტყუნებათ. დაახლოებით იგივე პრინციპით მოქმედებენ, როგორც ბედკრული და ფარმაკოლოგიური სერილების მწარმოებელი ტელევიზიები – რაც მეტია გართობის დოზა, მით უფრო ივინყებს პუბლიკა, სინამდვილეში რა სურს.

პიესა „პანთეონი“, რომელიც ლაშა ბულადემ, ალბათ, „სახელოვან საბჭოთა ქართულ ინტელიგენციას“ ნატიფად ნაქსოვი ფარსისა თუ პაროდის სურვილით მიუძღვნა, თეატრებში უფრო უხეშად გამოთლილ გროტესკს დაემსგავსა. ასეა მუსიკისა და დრამის თეატრში, სადაც პიესა მიხეილ თუმანიშვილის მოწაფემ, გურანდა იაშვილმა დიდი ხნის შემოქმედებითი პაუზის შემდეგ დადგა. განსხვავებული ტონალობისაა „პანთეონი“ ახმეტელის სახელობის თეატრში, რომლის რეჟისორია დიმიტრი ხვთისიაშვილი.

პარალელურ პრემიერებს ერთი საბედისწირო რამ – პიესასთან უანრობრივი აცდენა აერთიანებთ. არ-

ცერთი არ ჰგავს იმას, რაც ლაშა ბულადის ტექსტში უმთავრესია – პაროდირება დროისა და სისტემის ნიშნებზე. „პანთეონი“ ხომ საბჭოთა ინტელიგენციის ნავსაყუდელია, მინისქვეშა სამეფოს მდინარე სტიქსი, რომელსაც მხოლოდ ერთეულები თუ გადაცურავენ. რეჟისორებს მეტი ფანტაზია რომ გამოეჩინათ და პიესაში, ვთქვათ, ბულგაკოვის ან ზოშჩენკოს „მცირე მემკვიდრეობა“ ან პარალელები ამოეკითხათ, გაცილებით მეტს მოიგებდნენ მანძილშიც და ძალაშიც (ფიზიკის ტერმინები რომ მოვიშველიოთ).

მუსიკისა და დრამის თეატრში ბულადის „პანთეონის“ პრესისათვის ჩვენებს კრიტიკის ისეთი ქარიშხალი მოჰყვა, რომ ძნელია რამე უარესი თქვა, ან მოიფიქრო. კრიტიკოსებმა და ჟურნალისტებმა არა მხოლოდ სპექტაკლს გამოუტანეს „განაჩენი“, არამედ ავტორსაც, რაც თავისთავად შეცდომა იყო. თუმცა ათვლის წერტილს გააჩნია. რეჟისორი გურანდა იაშვილი უფრო ზედაპირულ, ქორეოგრაფიულად გამართულ სანახაობას და ცალკეულ ნომრებად „დაშლილ“ წარმოდგენას ქმნის, ვიდრე მთლიან და სტრუქტურულად გამართულ სპექტაკლს.

ის, რომ მთანმინდა ქართული ინტელიგენციის „საყოველთაო სანალღებელი“ გახდა, დიდი ხანია, ცნობილია. ამ ვენებს აყოლილი მთავარი პერსონაჟები – ზეინაბ უნგიაძე, მომაკვდავი კომპოზიტორის, კონსტანტინე უნგიაძის მეუღლე (ნინო გომართელი) და ვერა ანჩაბაძე, მეცნიერ ვიქტორ ანჩაბაძის მეუღლე (მარინა ჯოხაძე) მთანმინდის „პატარა ფართობისათვის“ ცხადია, თავდაუზოგავად და გროტესკულობამდე მისული ძალისხმევით იბრძვიან. და ეს გასაგები ვენებაა – ვინც პირველი მოკვდება, მთანმინდაზეც ის დაიკრძალება.

ნინო გომართელი უფრო პროვინციულ და დამცინავ პერსონაჟს თამაშობს, მარინა ჯოხაძე კი ხელოვნურ დრამატიზმსა და ქარბ გროტესკს მიმართავს. ორივე თავისებურად საინტერესოა, მაგრამ ორივე მცდელობა მიზანს ცდება. შესაძლოა ეს რეჟისორის ერთგვარი სქემატური მიდგომითაც აიხსნას, რომელსაც მოქმედება გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩვენს დროში გადმოაქვს. ფხიზელი მონდომების შემთხვევაში, ალბათ, დაგამახსოვრდებათ ცისია მეტრეველის (ელისო უნგიაძე), ტატო ჩახუნაშვილის (სანდრო უნგიაძე), გიორგი ყველაშვილის (კულტურის მინისტრი ნოდარ



მუხიგული), ანა ზამბახიძის (ყურნა-ლისტი)... ვინძლო, არც ანანო მოსიძის მხატვრობა და კოსტიუმები გამოგრჩებათ მხედველობიდან და არც ქორეოგრაფ კოტე ფურცელაძის ხშირი და სცენურ გარემოს არცთუ ზუსტად მორგებული ნომრები.

როგორც არ უნდა ჩავეძიოთ „პანთეონის“ დადგმის ფსიქოლოგიურ თუ კონიუნქტურულ მოტივებს, მთავარი ისაა, რომ გურანდა იაშვილის რეჟისურა სატელევიზიო ესთეტიკით გამოჭრილ გროტესკულ შოუს უფრო ნააგავს, გამოკვეთილი აპარტეთი და ტექსტიდან ამოგლეჯილი მონოლოგებით, ვიდრე ფარსს. თუმცა სასაფლაოზე ჩუმად მისული, ღამის ფანრებით „შეიარაღებული“ მეტოქე-ქალბატონების ტრაგიკომიკური სცენა დასამახსოვრებელია.

ტექსტისადმი და პიესაში წარმოსახული დროისადმი ერთგულება შეინარჩუნეს ახმეტელის თეატრში, სადაც დიმიტრი ღვთისიაშვილმა საბჭოთა ეპოქა-ეპოსის სურნელი შემოიტანა. ეს არის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნებისა და სცენის სიღრმეში ჩამოკიდებული ლენინის პორტრეტებით წარმოდგენილი სამყარო, სადაც მიმართვა – „ამხანაგო“, კიდევ უფრო დამცინავად ჟღერს.

ბუღაძის საკმაოდ ტევად და ვრცელ რემარკებს სპექტაკლში თავად რეჟისორი კითხულობს, რაც უამთაღმწერელის ფუნქციას, ან უკანასკნელი

„საბჭოთა ინტელიგენტის“ მონოლოგის პაროდის ჰგავს. მომაკვდავი კომპოზიტორისა (მამუკა მაზავრიშვილი) და მეცნიერის (ვაჟა ციცილოშვილი) სანოლები აქ სცენის საპირისპირო მხარეზეა განლაგებული. რაც სცენური სივრცის ათვისებისა და „პარალელური მონტაჟის“ საშუალებას იძლევა. მითანმინდა რეალისტურად, ცნობილი ქართველების შავ-თეთრი ბუუსტებით, ფოტოებითა და საფლავებითაა წარმოდგენილი (მხატვარი აივენგო ჭელიძე), რომლის ფონზე გაუმართლებლად პათეტიკურად ნაკითხული მონოლოგები უფრო ლიტერატურული თეატრის ასოციაციებს იწვევს.

გაუმართლებელია ხშირი და მომაბეზრებელი ქორეოგრაფიული ნომრები, რომელიც გაურკვეველია, ვინ დადგა (ყოველ შემთხვევაში, პროგრამაში გვარი მითითებული არ არის). რაც უფრო არასაჭირო დივერტის-მენტს წააგავს და არა დრამატურ-გიულად გამართლებულ სვლას. არც მსახიობთა თამაშია მაინცადაამინც შთამბეჭდავი. ყველაზე დასამახსოვრებელია თამარ ბუჟუაშვილისა (ზეინაბ უნგიაძე) და ნელი ბადალაშვილის (ელისო) თამაში. დანარჩენები, უკეთეს შემთხვევაში, ნეიტრალურ შთაბეჭდილებას ტოვებენ: შალვა ბახტაძე (სანდრო უნგიაძე), ვაჟა ციცილოშვილი (ვიქტორ ანჩაბაძე), მზია ტალიაშვილი (ვერა ანჩაბაძე), ვალერი ტორონჯაძე (მინისტრი მიხიგული), კახა

ჯორჯოლიანი (ვალერიან ლოლაძე), თამთა პატაშური (ექთანია).

ახმეტელის დასის მსახიობთა არცთუ ხარისხიანი თამაშისა და უკონცეფციო, უსახო რეჟისურის მიუხედავად, შენარჩუნებულია ავტორისეული ტექსტი. განსხვავებით მუსიკისა და დრამის თეატრისგან, სპექტაკლის ფინალიც ზუსტად ისეთივეა, როგორც ბუღაძის პიესის ფინალი, რომელიც ზეინაბ უნგიაძისა და პოლიციელის დიალოგით მთავრდება. ეს თითქოს უმნიშვნელო დეტალია, მაგრამ წარმოაჩენს იმ განსხვავებას, რაც მუსიკისა და დრამის თეატრისა და ახმეტელის თეატრის სპექტაკლებს შორის არსებობს.

ბუღაძის პიესებს კიდევ ერთი თავისებურება აქვს – ისინი გაცილებით კარგია მოსასმენად და როცა რეჟისორი დიალოგს ზუსტად იცავს სცენაზე, ეფექტი უკეთესია, ვიდრე დამონტაჟებული სცენური სანახაობის ცქერისას, ჩამატებული ქორეოგრაფიული ნომრით ან ტექსტისათვის სრულიად შეუსაბამო მუსიკით. მაღე, საბჭოთა საქართველოს არტისტული „სინდრომით“ შთაგონებული მაყურებელი ლაშა ბუღაძის კიდევ ერთ ცნობილ პიესას, „ნაფტალინის“ იხილავს. პიესა საქართველოს რამდენიმე თეატრში ერთდროულად იდგმება. ასე რომ, პანთეონს დახურვა ჯერ არ ემუქრება, მერე რა, რომ იქ ადგილი კარგა ხანია, აღარ არის, ხოლო „მკვდრები ვერტიკალურად იმარხებიან“...



იფიქრე, ვიდრე გაიხდი

სლავომირ მროჟაქის „სტრიპტიზი“ სამეფო უზნის თეატრში

ავტორი ღვინო ბუხრიკიძე

მოკლედ და კონკრეტულად: პან მროჟაქის დრამატურგიას ჩვენში გვიან და მხოლოდ ნაწილობრივ გაუმართლა. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, როცა პოსტსაბჭოთა ეპოქის საქართველოში, აფიშებზე ცნობილი თანამედროვე პოლონელი დრამატურგის გვარიც გამოჩნდა, მისი პიესები უკვე ევროპული თეატრის ისტორიის ნაწილი იყო. გამოტოვებული დროის შევსება და „თეთრი ლაქების“ ესთეტიკურად გაუმართლებელი ამოვსება კი ყოველთვის არ ამართლებს.

სწორედაც დაგვიანებით ამეტყველდნენ უცნაურად დეპრესიული „ემიგრანტები“ ზურა ყიფშიძისა და გოგა პიპინაშვილის ერთ რეჟისორ ირაკლი აფაქიძის სპექტაკლში („თეატრი ათონელზე“); მაშინ გავიგეთ, რომ სახლი საზღვარზე პოლიტიკურ ფარსად შეიძლება იქცეს, რადგან მისაღებ ოთახსა და სამზარეულოს შორის შესაძლოა სახელმწიფო საზღვარმა გაიაროს („სახლი საზღვარზე“, რეჟისორი დავით საყვარელიძე, „სამეფო უზნის თეატრი“ და იგივე პიესა დავით დოიაშვილის ინტერპრეტაციით ვასო აბაშიძის სახელობის დრამისა და კომედიის თეატრში); ხოლო „ქვრივების“ სარკაზმი შესაძლოა მიუწვდომელ პოეზიად დარჩეს (მაღაზი ასლამაზიშვილის სპექტაკლი მარჯანიშვილის „სხვენზე“; მთავარ როლებში – დეა აბაკელია და ბაია დვალიშვილი).

ასეა თუ ისე, მროჟაქის პიესების მიხედვით დადგმული სპექტაკლების მოკრძალებულ სიას სამეფო უზნის თეატრში განხორციე-

ლებული „სტრიპტიზი“ შეემატა, რომელიც ავტორმა ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში დაწერა. სცენაზე მხოლოდ ორი პერსონაჟია: პირველი მამაკაცი – უფრო ირონიით შეიარაღებული ინტელექტუალი თუ დაძაბული მზერით გამორჩეული მეცნიერი (დათა თავაძე) და მეორე მამაკაცი (პაატა ინაური), რომელიც გარეგნულად მშვიდ და განონასწორებულ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ საკმარისია რამდენიმე მისთვის მოულოდნელი ფრაზა, რომ ნევროზი გარდაუვალია. მით უმეტეს, როცა ირკვევა, რომ ისინი ოთახში გამოკეტილი აღმოჩნდნენ.

ცხადია, ტექსტში ნათლად იკითხება 60-იანი წლების პოლონეთის პოლიტიკური კონტექსტი, თვითირონიის ბურუსში გახვეული ავტორის სამშობლოდან გაქცევა-დაბრუნების მოტივები, ნებისა და ბედისწერის გადაკვეთის საბედისწერო თემები, მაგრამ ნიკა თავაძის სპექტაკლი სრულიად სხვა, ჩვენთვის გასაგებ, თანამედროვე და ნაცნობ „სურნელს“ გამოსცემს...

„სტრიპტიზი“ – ეს არის სპექტაკლი მოულოდნელად გაცნობიერებულ ეგზისტენციალურ ელდასა და ამავე ელდით შობილ ირონიასზე. როცა აღმოაჩენ, რომ საგულდაგულო წესებითა და წესიერად განვლილი ცხოვრების მიუხედავად, არასოდეს ყოფილხარ თავისუფალი... როცა სივრცეიდან გამოწვეული ხელი (მხატვარ მურაზ მურვანიძის ვიდეოინსტალაცია თვალთვალის თანამედროვე ვერსიად

შეიძლება აღვიქვათ) სწორედ იმ ზებუნებრივი, თუ აბსტრაქტული ძალის გამოვლენაა, რომელმაც ორივე პერსონაჟი სცენა-ოთახის ტყვეებად აქცია.

ორივეს უთვალთვალევენ და ეს თავიდანვე ცხადია. ამაზე მეტყველებს არა მხოლოდ კომპოზიტორ ნიკა ფასურის ფანტაზიით შექმნილი ცვალებადი ინტონაციისა და ავი ნინასწარმეტყველებით სავსე, უცნაური ხმები, არამედ მრგვლად შემოფარგლული, შავი სცენური წრე-ოთახი, რომელიც, სინამდვილეში, აბსტრაგირებული საპატიმროა. მათ არ იციან, ვინ დააპატიმრა, ან რა მიზეზით. პირველს გადანყევტლი აქვს, არ იმოქმედოს და ბედს შეეგუოს, რადგან არჩევანით დაკარგავს არჩევანის შესაძლებლობას. მეორე კი – პირიქით, ცდილობს გააკეთოს ყველაფერი, რაც ჯერ კიდევ მისი შესაძლებლობების ფარგლებშია. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა შეხედულებები აქვთ და სხვადასხვაგვარად იქცევიან, მათ ერთნაირად სჯიან – ორივეს გახდას აიძულდნენ... და არა აქვს მნიშვნელობა ერთნაირი კოსტუმები ეცმევათ, თუ უბრალო, ზოლიანი ნიფხვები.

ურიცხვი და კარგად მოტივირებული „ბოდიშების“ მიუხედავად, ფინალში, რომელსაც ნარბენ-ნაჯაფი დათა თავაძე საოცარი ირონიით წარმოთქვამს, გამოსავალი ყოველთვის არსებობს. ამიტომ, იფიქრეთ, ვიდრე გაიხდით. იქნებ, ნიფხვის ამარა თავისუფლება, ტანსაცმლიანი კონფორმიზმი სჯობს.

სხადი ფოქრიალი

სტილი

სტილის დღიური
ლუბუტენი
დიზაინის მუზეუმი
ნაილი
რომაული ჩანაწერები
ისტორია
მამაკაცი ქალბისთვის



იუბილეები

თაბარ ალავეიძე

ამბობენ, თემატური ნომრების კეთება ადვილიაო. გამიჭირდება და-თანხმება. მგონია, რომ გარკვეულ ჩარჩოებში ექცევი, როდესაც ერთი თემის გარშემო გინევს ნომრის შეკვრა. ეს კი, თავის მხრივ, შესაძლებლობას გართმევს იმ მომენტისთვის აქტუალური მოვლენების, თუ უზრალოდ შენთვის საინტერესო ფაქტების ირგვლივ მისცე ფიქრს გასაქანი. თითქოს სამოქმედო არეალს გიზღუდავენ და ამ პატარა, „მოჯადოებული წრის“ შიგნით ტრიალებ, ასე – ციყვივით, ინსპირაციის ძიებაში.

მოკლედ, თემატური ნომრების იდეას არ მივესალმები, მაგრამ გამონაკლისების არსებობასაც ვაღიარებ. „ცხელი შოკოლადის“ იენისის ნომრის „სტილიც“ სწორედ ასეთი გამონაკლისი გამოდგა – თემატური, მაგრამ სასიამოვნო და ვფიქრობ, საინტერესოც (თუმცა, ეს მკითხველის გადასაწყვეტია).

ნომერზე მუშაობის დაწყებისთანავე ვიცოდი, რომ აუცილებლად გავაკეთებდი ალბერ ელბაზის ის-

ტორიას, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ, Lanvin-ში ყოფნის ათი წლის იუბილე აღნიშნა. ამ თარიღთან დაკავშირებით, უძველესმა ფრანგულმა მოდის სახლმა საიუბილეო წიგნიც კი გამოსცა სახელწოდებით „Alber Elbaz, Lanvin“. Lanvin-ის სახლის ეს შესტი ცოტა ვინმეს თუ გაუკვირებოდა – უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, ელბაზის მიერ ლეგენდარული ჟანა ლანვანის მემკვიდრეობის ფერფლიდან აღდგენა, ფენიქსის მსგავსად, მოდის ყველაზე შორეულ მიმდევრებსაც კი არ გამოჩენიათ. გამორჩეულად მგრძნობიარე და ფაქიზი ემოციების წყალობით, ელბაზი ქალების საუკეთესო მეგობრად იქცა, მის მიერ Lanvin-ისთვის შექმნილი კოლექციები კი, ყოველ სეზონზე, მოდის კრიტიკოსების მორიგი ოვაციების საგანია ხოლმე.

ელბაზის მსგავსად, და შესაძლოა უფრო მეტი სიმძაფრითაც, ქალების გული ოცი წლის წინ, ფრანგმა დიზაინერმა, კრისტინან ლუბუტენმა დაიპყრო: ლუბუტენმა ისინი ზღაპრული სამყაროს არსებობაში

დაარწმუნა. ლონდონის დიზაინის მუზეუმი ლუბუტენის იუბილეს აღსანიშნად მისი ნამუშევრების რეტროსპექტივას მასპინძლობს. მუზეუმში მისულ დამთვალიერებლებს შესაძლებლობა აქვთ, ბოლო ოცი წლის განმავლობაში შექმნილი ყველა ის მოდელი იხილონ, რომელთა მეშვეობითაც, არაერთ ქალს თავი ზღაპრის გმირად უგრძენია. ამ გამოფენის ექსკლუზიურ ფოტომასალას ამ ნომერში შემოგთავაზებთ.

იუბილეების თემა დაუგეგმავთან ერთად სიმბოლურიც აღმოჩნდა, ვინაიდან ამ თვეში, „ცხელი შოკოლადი“ მკითხველს მე-80 ნომერს სთავაზობს. მიუხედავად იმისა, რომ „სტილის“ რუბრიკა ჯერ მხოლოდ რამდენიმე თვეს ითვლის, ამ დროისთვის საუკეთესო განწყობების და გამოცდილების დაგროვება შევძელით და მგონია, რომ ყოველთვიურად კიდევ უფრო ვიზრდებით. ამიტომაც მჯერა, რომ „სტილს“ წინ არაერთი იუბილე და თარიღი აქვს, თქვენთან, ერთგულ მკითხველთან ერთად.

A woman with long, wavy brown hair and large hoop earrings is posing in a colorful, sequined bikini. She is looking upwards and to the left. The background is a bright blue gradient. The brand name 'Etam' is written in a large, black, cursive font in the top right corner, with 'lingerie' in a smaller, black, sans-serif font below it. Two price tags, '39 Gel', are connected to the bikini top and bottom pieces by dashed white lines. At the bottom right, there is text in Georgian: 'ჭავჭავაძის №16; ვუქინის №5'.

Etam

lingerie

39 Gel

39 Gel

ჭავჭავაძის №16; ვუქინის №5

ტრენდი



1



4



5



3



2



6

Garçon

1. Paul Smith, გაზაფხული-ზაფხული, 2012
2. Sonia Rykiel, გაზაფხული-ზაფხული, 2012
3. Hermes, გაზაფხული-ზაფხული, 2012
4. Jean Paul Gaultier, გაზაფხული-ზაფხული, 2012
5. Lanvin, გაზაფხული-ზაფხული, 2012
6. Maison Martin Margiela, გაზაფხული-ზაფხული, 2012



1

1. Mary Katrantzou, გაზაფხული-ზაფხული, 2012
2. Marni, გაზაფხული-ზაფხული, 2012
3. Rodarte, გაზაფხული-ზაფხული, 2012
4. Matthew Williamson, გაზაფხული-ზაფხული, 2012
5. Moschino, გაზაფხული-ზაფხული, 2012
6. Prada, გაზაფხული-ზაფხული, 2012
7. Valentino, გაზაფხული-ზაფხული, 2012




2




3


Vs. Flowers




4



5



6




7

DRIES VAN NOTEN

გაზაფხული-ზაფხული 2012

დრი ვან ნოტენი – გალან მოდას + უნიკალური პრინტები

ავტორი თამარ ალავეიძე



ფოტო: ჯეიმს რიში

დრი ვან ნოტენი და ჯეიმს რივი ერთმანეთს პირველად 2010 წელს შეხვდნენ – მაშინ ვან ნოტენი საფრანგეთში, იერში მიმდინარე მოდის ფესტივალის ყიურის თავმჯდომარე იყო. სწორედ იქ ჩაეყარა საფუძველი ბელგიელი დიზაინერის და ახალგაზრდა ბრიტანელი ფოტოგრაფის თანამშრომლობას, რომლის შედეგად დრი ვან ნოტენის 2012 წლის გაზაფხული-ზაფხულის ჩვენების მეორე ნაწილში უკვე ვიხილეთ.

თუმცა, ძნელი დასადგენია, ამ კოლექციის მონახაზზე ფიქრისას, ვან ნოტენისთვის რომელი იყო პირველადი ინსპირაციის წყარო: ჯეიმს რივის ფირზე აღბეჭდილი ღამის ლას-ვეგასის, მარსელის და ლონდონის ფოტოები, თუ ის სახასიათო პრინტები, რომლებიც მისი შემოქმედების უწყვეტი ლაიტმოტივია და ახლაც უხვად იყო წარმოდგენილი მის საგაზაფხულო კოლექციაში. სავარაუდოდ, დიზაინერის ძირითადი



DRIES VAN NOTEN, გაზაფხული/ზაფხული 2012

SHAPE
NOT
SIZE

Levi's
Curve ID



ჯონსონს მოიხიბვება ანაბინისთვის ბანსანაბრებით ხოსონი. მისი ფორმა ყოველთვის აქვს აბინისთვის სხვადასხვა ფორმის, მანსაბინის, იბინისა და ჯონსონს მანსაბინის

მთავარი ფორმა და ახალი ზომები

Levi's-მა აწარმოა ენის ანაბინის მთავარი აბინის მანსაბინით, რომლის ფორმა აბინისთვის 60 000 აბინი. მთავარი სხვადასხვა ფორმის აბინისთვის აბინისთვის, რომ აბინის 80%-ს აბინის სხვა ფორმისთვის აბინისთვის:

Bold
Curve

Demi
Curve

Slight
Curve

ბინი, რომლისთვის მთავარი ფორმა და მთავარი აბინისთვის


აბინისთვის აბინის მანსაბინის, სხვადასხვა აბინის მანსაბინით აბინისთვის აბინისთვის აბინისთვის აბინისთვის აბინისთვის აბინისთვის აბინისთვის აბინისთვის აბინისთვის აბინისთვის



- Levi's Original Store, n. ქვედაპირის გზა. 16
- Levi's, ს/ს GTC, ვ. ვეჯის ქ. 3
- Jeans Gallery, ს/ს "ქაიხაძე", თ. დავის ქ. 7
- Jeans Gallery, ვეჯის ქ. 14ა
- Jeans Gallery, ს/ს "ახალი ვილანო", გ. ცაბაძის ქ. 8
- Jeans Gallery, შიშხიშხიშხი "ბეჯილი", ფანავის მუხის გზა. 1
- Jeans Gallery, ბათუმი, ნ. ბახათუმილის ქ. 23



www.jeansgallery.ge



DRIES VAN NOTEN, გაზაფხული/ზაფხული 2012

შთაგონება მაინც ზღვის და ხმელეთის ლანდშაფტის ამსახველ ფოტოებში და პიერ ჟოზეფ რედუტეს ინტერპრეტაციებში უნდა ვეძიოთ.

მეცხრამეტე საუკუნის ბელგიელი მხატვარი და ბოტანიკოსი რედუტე ყვავილების თემაზე მრავალფეროვანი პრინტების შექმნით იყო ცნობილი (მას მეტსახელად „ყვავილების რაფაელსაც“ ეძახდნენ). სწორედ რედუტეს აკვარელით შესრულებული ნამუშევრები გადაიტანა ვან ნოტენმა კაბებზე, ბლუზებსა და ქვედაბოლოებზე: „მინდოდა ისეთი პრინტები

გამომეყენებინა, რომლებიც ქსოვილებისთვის არ არის გამიზნული“, – აღნიშნა ვან ნოტენმა ჩვენების დასრულების შემდეგ, კულისებში.

დიზაინერი ახალ კოლექციაზე მუშაობის დროსაც ასევე მოიქცა და უნიკალური ქსოვილების შექმნაზე გააკეთა აქცენტი: რედუტეს ბოტანიკურ პრინტებს წარმატებით შეუხამა ზღვის, ხმელეთის და ტროპიკული ფუნგლების ამსახველი ფოტოები. ეს ყველაფერი კი 1950-იანი წლების ესპანური და იტალიური მაღალი მოდის სილუეტებს მოარ-

გო, ლეგენდარული ესპანელი კუტურიეს, კრისტობალ ბალენსიაგას გამოკვეთილი ხელწერით: ესპანური ბოლეროები, „ტომარა“-ქვედაბოლოები, გოფირებული მანუეტები, ფლამენკოს საცეკვაო ქვედაბოლოებისთვის დამახასიათებელი თარგი. შედეგად მივიღეთ სამოსი, რომელიც ერთი მხრივ, მაღალი მოდის და თანამედროვე ფოტოგრაფიის საინტერესო სინთეზია და მეორე მხრივ, მარტივად მოსახდენი – საკუთარი განწყობისა და ხასიათის ხაზგასასმელად.

KÉRASTASE
PARIS







მაღალი კონცენტრირებული ინგრედიენტების
ჰირველი სისტემა,
რომელიც მოზადება ხალოსის მიერ
ინდივიდუალურად თქვენთვის



FUSIO-DOSE™

თმის წამიერი გარდასახვის რიბული

-  ინდივიდუალური მიღგობა
-  მოზადება წსამგლა
-  წამიერი გარდასახვა
-  აქსალუნირად ჰროფასიონალაბთან

7 აქსალუნიერი ჰაბანბი

Recherche Avancee L'Oreal



თეთრი აბრეშუმ-საბინის ორბანზისა და ბაზარის საქორწინო კაბა თავსაზურაპით, 1968 წლის ზაფხული



BALENCIAGA, ბაზაფხული/ზაფხული 2012

ბალენსიაგას ქუდის ევოლუსია

ავტორი თამარ ალავეიძე

Balenciaga-ს სახლისთვის ნიკოლა გესკიეს მიერ 2012 წლის გაზაფხული-ზაფხულის სეზონისთვის შექმნილი კოლექციის შეფასებისას, მოდის კრიტიკოსები ერთხმად აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი სეზონების განმავლობაში, ეს ახალგაზრდა დიზაინერის საუკეთესო კოლექცია უნდა ყოფილიყო. მათი კმაყოფილების მიზეზი პროპორციების, ფერის, ინოვაციური ქსოვილებისა და პრინტების იდეალურად შეხამების გარდა, იყო ის გარემოებაც, რომ ახალ კოლექციაში ოსტატურად იყო გაცოცხლებული ბალენსიაგას მთელი არქივი. კრიტიკოსების მხრიდან ყველაზე დიდი გამოხმაურება გამოიწვია 1967 და 1968 წლებში (ბალენსიაგას მოღვაწეობის უკანასკნელი წლები) ბალენსიაგას მიერ

შექმნილი საქორწინო ანსამბლის ერთ-ერთი დეტალის – მხრებს ქვემოთ ჩამოშვებული ქუდის ახლებურმა ინტერპრეტაციამ.

ბალენსიაგამ ამ აბრეშუმის გაზარის (ქსოვილი, რომელსაც Gazar-ი ეწოდება, კრისტობალ ბალენსიაგამ ტექსტილის შვეიცარულ კომპანია Alexander-თან ერთად შექმნა) საქორწინო კაბის შეკერვისას მინიმალური რაოდენობის ნაკერები გამოიყენა. ამის გამო, კაბა თავისი სიმყარითა და აგებულებით არქიტექტურულ ძეგლსაც კი წააგავს. ჩამოგრძელებული ქუდი, რომელიც ამ ანსამბლს ამშვენებს, თავისი მოხაზულობით, მონაზვნის თავსაბურავს მოგაგონებთ (ისევე როგორც, კაბის მთელი სილუეტი) და ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საქორწინო თავსაბურავის ალტერნატივას წარმოადგენს.



VOGUE, 1967 წლის ივლისი ფოტო: დევიდ ბაილი

„ბალენსიაგა სამოსს სიწმინდეს და სიმშვიდეს ანიჭებს და არავის და არაფერს შესწევს უნარი, ეს იდილია დაარღვიოს. სამყაროში ამ საქორწინო კაბაზე უფრო ახალგაზრდა და ლამაზი ქმნილება, ალბათ, არც არსებობს!“
– ამონარიდი 1967 წლის ივლისის Vogue-ის ამერიკული გამოცემიდან.



BANANA REPUBLIC

იხსნება 2012 წლის ზაფხულის, თბილისი ამიანი



რომაული ჩანაწერები

ავტორი თამარ სულავა



მაისში Casa del Cinema-ში (რომის კინოს სახლი), ჩრდილოეთის კინოფესტივალი დასრულდა. ამ ფესტივალს განსაკუთრებულად ველოდი, იმის გამო, რომ ძალიან მიყვარს ბერგმანის კინო, თან ფესტივალზე სხვა ჩრდილოელ რეჟისორებთან, როი ანდერსონთან, პერნილა აუგუსტთან და ზაიდა ბერგრეტთან შეხვედრებიც იყო დაგეგმილი. ეს კი კიდევ უფრო მეტი მოუთმენლობით მავსებდა.

როდესაც ჩრდილოეთს ვამბობ ხოლმე, ინგმარ ბერგმანის მუზა ლივ ულმანი, გრეტა გარბოს მისტიკური გარეგნობა, როი ანდერსონის ფილმი *Swedish Love Story* და ერთი პატარა რომაული ბუტიკი მასხენდება, სადაც ნორვეგიელი, ჰოლანდიე-

ლი, დანიელი და სხვა ჩრდილოეთ ევროპის დიზაინერების მიერ შექმნილი სამოსი იყიდება.

ამ ბუტიკმა ჩემი „ჩრდილოური რომანი“ კიდევ უფრო გაამძაფრა. სისადავეა ის, რაც ამ მაღაზიაში ყველაზე მეტად მომწონს – თვისება, რომელიც სკანდინავიის ქვეყნების მთავარი მახასიათებელი მგონია, სხვა ქვეყნებში კი იშვიათად თუ შემინიშნავს. ახლა სწორედ ამ ჩემს საყვარელ ბუტიკ *Betulla*-ზე მივინდა მოვიყვებ.

Betulla-მდე ისე ვერ მიხვალ, რომის ისტორიულ ცენტრში მდებარე *Campo dei Fiori*, ანუ „ყვავილების მოედანი“ თუ არ გაიარე. ვინც რომში ნამყოფი ხართ, ეს მოედანი აუცილებლად გემასხვრებათ,

ანდა ტურისტულ გზამკვლევებში მაინც გეჩენებათ ამოკითხული, რომ საუკუნეების წინ, აქ ჯორდანო ბრუნი დანვს. მოკლედ, მოედნის ახლოს, *Via della Grotta pinta*-ზე 38 ნომერს რომ დაინახავთ, სწორედ იქ მდებარეობს *Betulla*-ს ბუტიკი. *Betulla*-მდე მისასვლელი გზა უფრო იმიტომ აღვნიშნავ, რომ გამახსენდა, როგორ შემთხვევით მივადექი ამ ბუტიკს. ჩვევა მაქვს ასეთი – უცნობი ადგილების, სუნამოების, მხატვრების და სტილისტების აღმოსაჩენად გამიზნულად დავეხეტილობ ხოლმე ქუჩიდან ქუჩაზე, უბნიდან უბანში. ჰოდა, ერთ-ერთი ასეთი „ძიების“ დროს ამ მაღაზიას გადავეყარე და ერთი ნახვით შემეყვარა. მას შემდეგ, სამსახურის შემდეგ, დაღლილი, ხშირად მივაშურებ ხოლმე *Betulla*-ს განსატვირთად და იქაურობის მფლობელ, ულტრამოდურ ფლამინიას ახალ ამბებზე ვეჭორავები. თან მანს არ ვუშვებ ხელიდან, რომ ჩემი ბიუჯეტის ფარგლებში ხელს რამე გამოვაყოლო.

ვის აღარ ნახავთ *Betulla*-ში – ჩრდილოეთ ევროპის მოდის „ამომავალი ტალანტების“ (აქ ასე ამბობენ) სრული სპექტრია წარმოდგენილი: *Stephan Schneider, Christian Wijnants, Hope, Bobotic, Karstoft-Vestergaard, Christophe Lemaire, Ivana Helsinki, Carin Wester*. ეს დიზაინერები მსოფლიო მოდის ინდუსტრიაში სახელის დამკვიდრებას ცდილობენ (ქრისტოფ ლემერის გარდა, რომელიც რამდენიმე სეზონის წინ *Hermes*-ის სახლს ჩაუდგა სათავეში). მგონი, ადრე თუ გვიან, ისინი ისეთივე ცნობილები და პოპულარულები გახდებიან, როგორებიც დღეს არმანი, ვალენტინო და სხვა კლასიკოსები არიან. ყოველ შემთხვევაში, ძალიან მინდა, რომ ასე მოხდეს.

აი, დავეხეტილობ ტანსაცმლის რიგებში და ვამჩნევ: ამ სეზონზე განსაკუთრებულად ფხიზელი და აკადემიური კოლექციები აქვთ *Betulla*-ში. ფერები, ძირითადად, ნეიტრალურია, მინიმალისტური და ოდნავ კონცეპტუალურიც. სამოსს მამაკაცური თარგის ხიბლი აქვს, ორნამენტებით ზომიერად და თავშეკავებულად არის გაფორმებული, ხაზები კი სუფთა და თანამედროვეა. ქალი, რომელსაც მამაკაცის პერანგი და შარვალი აცვია – *ala Garcon*, ჩრდილოელი შემოქმედებისთვის, როგორც ჩანს, უკვდავი სტილია. ისე, სულ მგონია, რომ ამ ჩაცმულობაში ძლიერი და ირონიული ქალის სახე უნდა იმალებოდეს.

ძალიან მომეწონა შვედური *boyfriend* ტიპის ჯინსები, კიდევ – პერანგები და საბოები. როკის გავლენის გამო, გამორჩეული ნამუშევრები ჰქონდა ივანა შელსინკის – რეტრო კაბები და ჟილეტები მეტალის ნაქარგებით. ქრისტოფ ლემერის დიდი ზომის ქურთუკების კოლექციიდან კი ერთ-ერთს ახლა უკვე ჩემს გარდერობში მივუჩინე „საპატიო საკიდი“...



ახალი ქურთუკი რუდუნებით გამოვართვი გამყიდველ გოგონას. ფლამინიას დავემშვიდობე და როცა გარეთ გამოვედი, მივხდი, *Betulla*-მ ამ ჯერზეც მიშველა – სამსახურიდან გამოყოფილი დაღლილობა სადაც გაქრა. ახლის აღმოჩენას პლუს სისადავე – ეს შეუდარებელი მიქსია თვითთერაპიისთვის.

სიასლა

ისეთი დიდაბული
სირბილა
რომ გინდა,
ივღარო!



100%
ნატურალური

შავი ორქიდაა
და დამატენიანებელი რძე
მუსიკა სხეულისა და სულისათვის

მამაკაცი ქალბისთვის

ალბერ ელბაზი და LANVIN-ის სრულყოფილება

ავტორი არიელ ლევი
ინტელისურიდან თარგმნა თამარ ალავეიძე
პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „ნიუ იორკერის“, 2009 წლის
16 მარტის ნომერში



ზამთრის ერთ შუადღეს, ფრანგული მოდის სახლის Lanvin-ის დიზაინერი ალბერ ელბაზი მედისონ ავენიუზე მდებარე Barneys-ს სავაჭრო ცენტრის მეორე სართულზე დასაყრდნობდა. მის ირგვლივ უამრავი ქალი ირეოდა – მსხვილი საბანკო ანგარიშებითა და იმ იმედით, რომ ცნობილ დიზაინერთან შეხვედრასა და მისი ახალი, საგაზაფხულო კოლექციიდან რომელიმე მოდელის ყიდვას შეძლებდნენ.

Lanvin-ის მზინვარე მაღალქუსლიან ფეხსაცმელებში და ბაც ვარდისფერ კოქტილის კაბაში გამოწყობილი 20 წლის ქერათმიანი გოგონა სარკის წინ კეკლუცად ტრიალებდა – ნიშნობის საღამოსთვის კაბას არჩევდა. იქვე სკამზე გოგონას დედა იჯდა და კმაყოფილი გამომეტყველებით აკვირდებოდა ქალიშვილს. ნიშნობისთვის განკუთვნილი ვარდისფერი კაბა 4.525 დოლარი ღირდა. ელბაზმა გოგონას კაბა წელის არეში ოდნავ შეუსწორა: „ძალიან ლამაზია“, – თქვა ალბერმა და მართლაც ასე იყო.

საკუთარ შემოქმედებას ელბაზი სშირად უწოდებს „კლასიკას, მცირე გადახვევებით“ – იმას, რაც ახლა ასეა მოდაში: ელეგანტურობა, რომელიც წარსულსაც გვახსენებს და იმავდროულად აწმყოში გვტოვებს. ერთ-ერთ ტანზე მოყვანილ კაბას, ქვედაბოლო პლისირებული მარჯნისფერი სატინის, ზედა კი ხასხასა ვარდისფერი შალის ჰქონდა, რომელიც ვაფლის ქსოვილის ასოციაციას იწვევდა. „ვაფლის ქსოვილის“ თითოეულ ჩაღრმავებაში სარკისებრი ვერცხლისფერი დისკები იყო ჩამაგრებული. მეორე კაბას, შავი და მუქი ლურჯი ქსოვილი წინა მხარეს ბერძნული მითოლოგიის ქალღმერთის მსგავსად ჰქონდა დრაპირებული, უკან კი, წყლისფერი აბრეშუმის სილუეტი, თავისუფალი და გაშვებული იყო: „ეს იმისთვის, რომ ადვილად დაჯდეთ“, – განმარტა ელბაზმა.

Lanvin-ში შემოქმედებით დირექტორად მოსვლიდან რვა წლის განმავლობაში ელბაზმა შეძლო, პოპულარულ ბრენდად ექცია უძველესი ფრანგული მოდის სახლი, რომელიც მტკვარდადებულ ექსპონატს ჰგავდა. 2007 წელს Lanvin-მა 149 მილიონიანი სუფთა მოგება ნახა, რაც 60 პროცენტით აღემატებოდა წინა ორი წლის შემოსავლებს. ეს ერთგვარი ზიკი აღმოჩნდა ელბაზისთვის, მასმარკეტზეც ეფიქრა. შედეგად, ძალიან წარმატებულად ითანამშრომლა

Target-ის და Club Monaco-ოს ქსელებთან და მათთან ერთად ერთობლივი კოლექციები შექმნა.

მამინ, როცა ბევრი დიზაინერი ქალებს ეხმარება, უფრო გამხდრები და ლამაზები გამოჩნდნენ, ელბაზი ცდილობს, მათ საინტერესო იმიჯი შეუქმნას. „საუკეთესო კომპლიმენტი, რომელიც ქალმა შეიძლება მიიღოს, არის: „როგორი ინტელექტუალური, ძლიერი და მოხდენილი ჩანს ეს ქალი ამ სამოსში!“ და არა „ღმერთო, რა სექსუალურია!“ – წერს ელბაზი Rizzoli-ის გამომცემლობის ახალი წიგნის, Lanvin-ის შესავალში.

ერთ დილას, კარლაილ ჰოტელში საუზმისას, ელბაზმა მენიუს თვალი შეავლო და თქვა: „დღეს ცუდად მოვიქცეთ თუ კარგად? მოდით, კარგით დავინყოთ და შემდეგ აუფრიოთ“, – ელბაზს ბლინები უნდოდა, მაგრამ დასაწყისისთვის, ხილის საღაი შეუკვია.

ელბაზი ბევრს ფიქრობს თავის ქარბ ნონაზე. შეკითხვაზე, თუ როგორი წარმოუდგენია ცხოვრება ზედმეტი კილოგრამების გარეშე, სრული თავდაჯერებულობით პასუხობს, რომ ყველაფერი „შესანიშნავად იქნებოდა“. სინამდვილეში, არც ისეთი მსუქანია, უბრალოდ მრგვალია და ისეთი სახე აქვს, რომ ძნელია, არ მოგიხდეს, ერთი გემრიელად ჩაჩქმიტო. ლურჯი ფერის თვალებს გრძელი წამწამები კიდევ უფრო ბავშვურ ელფერს სძენს. დიდი, ოთხკუთხედი ფორმის შავი სათვალეები უკეთია, მოკლე შარვალი, ფეხსაცმელი კი უწინდოდ აცვია, პერანგზე ხან ხავერდის, ხანაც აბრეშუმის მსუქანა ბაფთა აქვს დაბნეული და მეოცნებე, მარტოსულ, სკოლის მოსწავლე ფრანგ ბიჭუნას უფრო ჰგავს, ვიდრე – 47 წლის გავლენიან დიზაინერს. მუდმივად ეტყობა მღელვარება და არც ცდილობს ამის დამალვას. სულ ისეთი იერი აქვს, მოგიხდება, მზრუნველობა არასდროს მოაკლო. 2004 წელს ფოტოგრაფმა ირვინ პენმა პორტრეტი გადაიღო, რომელიც ამაჟ დიზაინერს დედისთვის გაუგზავნია. როცა დედას ფოტო უნახავს, შვილისთვის უკითხავს: „კი, მაგრამ, რატომ ხარ ასე მოწყენილი?! და საერთოდაც, ვინ ან რამ შეგამინა?!“

ელბაზი ამბობს, რომ თავის ნეგატიურ თვისებებს საკუთარ ქმნილებებში ჩადებული პოზიტივით აბალანსებს: თუ თავად მელანქოლიური და მიძიმე ხასიათი აქვს, მისი სამოსი ლალი და მსუბუქია. როგორც

თვითონ ამბობს, ის ქალებს ეხმარება, თავი განსაკუთრებულ პიროვნებად იგრძნონ, რასაც საკუთარ თავთან მიმართებაში ვერასდროს ახერხებს. „ვფიქრობ, რომ დიზაინერის სამუშაო ძალიან ჰგავს მანჭეტენის რომელიმე პრესტიჟული სასტუმროს კონსიერჟის სამუშაოს, – ამბობს ელბაზი, – დღის ბოლოს აუცილებლად ბრუკლინში უნდა დაბრუნდე. ვიცი, რომ ბრუკლინი ახლა ძალიან მოდური ადგილია, ამიტომაც „ბრუკლინი“ რეალურად „სახლს“ ვგულისხმობ და იმას, რომ სახლში უნდა დაბრუნდე. ეს აუცილებლად უნდა გააკეთო იმისთვის, რომ ოცნება შეინარჩუნო. როგორც კი ოცნება რეალობად იქცევა და ამ ხალხს ზედმეტად შეერევი...“ – მან ცხვირი შეჭმუხნა იმის ნიშნად, რომ ამ იდეას არ მიესალმებოდა.

ელბაზი მაროკოში დაიბადა. რვა თვის იყო, როცა ოჯახმა, სხვა ებრაელების მსგავსად, ისრაელში გადასახლება არჩია. ელბაზი თელ-ავივის სამხრეთით, ხმელთაშუა ზღვისპირა ქალაქ ჰოლონში გაიზარდა. მამა დალაქი იყო, დედა – მხატვარი. თხუთმეტი წლის იყო, როცა მამა გარდაეცვალა, დედამ კი, ოთხი შვილი რომ ერჩინა, მოლარედ დაიწყო მუშაობა. მხატვრობით გატაცებულ ალბერს ყოველთვის ხელს უწყობდა (7 წლის იყო ალბერი, როცა კაბების ჩანახატების კეთება დაიწყო) და 1985 წელს, 800 დოლარის ამარა ნიუ-იორკში გაამგზავრა მოდის ინდუსტრიაში ბედის საძებნელად.

„თავიდან საპატარძლოს დედის კაბების კერვაზე ვმუშაობდი, ვერ წარმოიდგენთ, რა საშინელება იყო, – თქვა ელბაზმა და თან ჩანგლით მარწყვი გადააგორა თევზზე, – ჩემთვის ვფიქრობდი, თუ მარტო ამიტომ დავტოვე ოჯახი და სახლი, ეს რა სისულელე ჩამიდენია-მეთქი“. ამ სასონარკვეთილ მდგომარეობაში მას მხსნელად ჯეფრი ბინი მოევიდნა, რომელმაც ელბაზი ასისტენტ-დიზაინერად აიყვანა და მომდევნო 7 წლის განმავლობაში მისი მენტორის როლსაც ასრულებდა. 1997 წელს ელბაზი პარიზში გადავიდა და Guy Laroche-ის სახლის მთავარ დიზაინერად დაიწყო მუშაობა. აქ გატარებული ოთხი სეზონი საკმაოდ დრო აღმოჩნდა იმისთვის, რომ ელბაზს ფრანგული პრესის და მოდის ინდუსტრიის კეთილგანწყობა და მხარდაჭერა მოეპოვებინა – ის პარიზის მოდის ვარსკვლავად იქცა. ელბაზს დიზაინერად მუშაობის ათწლიანი

გამოცდილება ჰქონდა დაგროვილი, როცა ივ სენ ლორანმა და მისმა პარტნიორმა პიერ ბერჟემ YSL-ის სახლის პრეტაპორტე ხაზის მთავარ დიზაინერად აიყვანეს. როცა ლეგენდარულმა სენ ლორანმა „პენსიაზე გასვლა“ გადაწყვიტა, ელბაზი უცებ დადგა საოცნებო ფაქტის წინაშე – მას სულ ორი ნაბიჯი ამორებად იმას, რომ ივ სენ ლორანის პოსტამდე დაწინაურებულიყო, მაგრამ არ დასცალდა: 1999 წლის ნოემბერში, YSL-ის სახლი მოდის კონგლომერატის, Gucci Group-ის საკუთრებაში გადავიდა, რომელსაც იმ დროისთვის, დომენიკო დე სოლუ და ტომ ფორდი ხელმძღვანელობდნენ. ახალი მესაკუთრის გამოჩენიდან ორ თვეში (ელბაზს სულ 3 კოლექცია ჰქონდა ნაჩვენები),



LANVIN, გაზაფხული/ზაფხული 2012



LANVIN, შემოდგომა/ზამთარი 2012-13

ელბაზი პოსტიდან გაათავისუფლეს და მის შემცვლელად ტომ ფორდი დანიშნეს.

ელბაზი მორალურად განადგურებული იყო – პუტკუნა, მუდამ საკუთარ ძალებში დაქვემდებარებულ ებრაელ დიზაინერს Gucci Group-მა ტეხასელი, თავდაჯერებული, სპორტული აღნაგობის, გარუჯული ტომ ფორდი ამჯობინა.

დღეს არაერთი მოდის დიზაინერი სამოსის ძირითად ხაზთან ერთად, შედარებით იაფფასიან, მეორად ხაზს აწარმოებს: მაგალითად, მარკ ჯაკობსს Marc Jacobs-ის ბრენდთან ერთად Marc by Marc Jacobs ხაზი აქვს, Alexander McQueen-ის სახლს – McQ, Vera Wang-ს კი შედარებით იაფფასიან Vera Wang Lavender-ის ხაზის გარდა, კიდევ უფრო იაფი, მესამე Simply Vera-ს ხაზიც აქვს. ალბერ ელბაზისთვის ასეთი კომერციული პერსპექტივები ნაკლებად მომხიბვლელია. „მიჭირს მეორადი ხაზისთვის კოლექციების კეთება, – აღნიშნავს ელბაზი, – იმას ვგულისხმობ, რომ არავის უნდა იყოს „ნახევარდა“, ყველას უნდა იყოს კონკია!“

ელბაზს არ სურს ტენდენციების განსაზღვრა, ის, უბრალოდ, ისეთი სამოსის შექმნას ცდილობს, რომელიც დროის ცვალებადობას არ დაექვემდებარება. „Lanvin-ის ყოველი მომავლის ვინტაჟში ინვესტირებას ნიშნავს“ – ეს განმარტება მანჰეტენზე მდებარე პრესტიჟული ბუტიკი Kirna Zabete-ს ვებგვერდზე შეგიძლიათ, ნახოთ. ელბაზს სძულს „It Bag“-ის ცნება და მიაჩნია, რომ „ყველაზე საშიში დიზაინერისთვის კონკრეტულ დროში პოპულარობაა, ვინაიდან ასეთი დროის მონაკვეთები წარმავალია“.

ელბაზი ბევრს საუბრობს ღირებულების შექმნაზე, რაშიც ის სარფიან გარიგებას ნამდვილად არ გულისხმობს. „ვიცი, რომ ჩვენი სამოსი ძალიან, ძალიან, ძალიან ძვირადღირებულია, – ამბობს ელბაზი, – მაგრამ ეს სიძვირე იმით არ არის გამოწვეული, რომ კაბებს ალაღებდებ ვაკრავთ რამდენიმეციფრიან ფასებს. როცა ჩვენი ატელიეს ქვედა სართულზე ჩავდივარ, სიჩუმის მეტი არაფერი მესმის. ჩვენთან ერთგვარი ლაბორატორიაა და ამას ასე, ერთი შეხედვით, ვერ მიხვდებით, სანამ სამოსს საკუთარ სხეულზე არ მოირგებთ“. მაგალითად, ელბაზს საკმაოდ დრო და ექსპერიმენტირება დასჭირდა იმის მოსახერხებლად, რომ უბრეტელო კაბას მაღალი დგომა არ დაეკარგა და იმავდროულად სიმსუბუქეც შეენარჩუნებინა. „ექვსი თუ შვიდი კაბის

შეკერვა მომიხდა იმისთვის, რომ საბოლოოდ ის ერთი კაბა შემეკერა. ამ ყველაფერს კი დრო და ფული სჭირდება და არ დაგავინწყდეთ, რომ ჩვენ ოფშორულ ქვეყნებში არ ვმუშაობთ – ეს საფრანგეთია, სადაც 65 პროცენტს გადასახადებში ვიხდით. ეს ძალიან შრომატევადი პროცესია!“

როცა ელბაზი კოლექციაზე ან თუნდაც ერთ, ინდივიდუალურ შეკვეთაზე მუშაობს, ყველაფერი კონკრეტული „ისტორიით“ იწყება. მაგალითად, ერთ-ერთი ბოლო კოლექცია, რომელშიც ნამყვანი თემა ბაფთები იყო, ელბაზის თქმით „ადამიანებს და თაობებს შორის არსებულ კავშირებს გამოხატავდა“. ფისისა და ხელოვნური თვლებისგან დამზადებული ყელსაბამი კი, მისი წარმოდგენით, ბუბის გატეხილი ბრომის, ქმრის ნაჩუქარი მარგალიტის და ქალიშვილის მიერ საბავშვო ბაღიდან სახლში მოტანილი ნივთის კოლაჟი“ იყო.

მსგავს წარმოსახვით ისტორიებს ელბაზის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამ გამოგონილ ამბებს, რომლებიც ელბაზის ნამუშევრებს „მოჰყვება თან“, თავისი კოლექციების ფარული ენერჯის წყაროდაც კი მიიჩნევს.

„ჩემს ქმნილებებში ვერ ნახავთ ღრმა დეკორაციას ან გამჭვირვალე სამოსს, – ამბობს ელბაზი, – საკუთარი ჭარბწონიანობის გამო, კარგად ვიცი, რისი გამოჩენა შეიძლება და რისი არაა. და დარწმუნებული ვარ, რომ ის, რასაც ვაკეთებ, მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩემს ზედმეტ წონასთან. ხომ ხედავთ, ვოცნებობ, ვიყო გამხდარი! და საერთოდაც, საკუთარ ფანტაზიას ვასხამ ხორცს – უარს ვამბობ კორსეტზე და წინა პლანზე გამომაქვს კომფორტის შეგრძნება, ანუ ის, რაც მე არ გამაჩნია და რაზეც ხელი არ მიმინვდება. მეც იმ სასტიუმროს კონსიერჟივით ვარ, რომელიც სალამოს მანჰეტენიდან სახლში, ბრუკლინში ბრუნდება“.

როცა 2001 წელს ჩინური გამოცემლობის მაგანტმა შოლინ ვონგმა Lanvin-ის სახლის აქციების საკონტროლო პაკეტი შეიძინა, ერთადერთი მოთხოვნა, რაც მან ახალ შემოქმედებით დირექტორს, ალბერ ელბაზს ნაუყენა, „მძინარე მზეთუნახავის“ გამოღვიძება იყო. ვონგს სურდა, რომ ელბაზს ჟანა ლანვანის მანტია მოერგო და კომპანია პრემიალური ნივთების ბაზარზე აქტიურ მოთამაშედ ექცია – როგორც ეს გასული საუკუნის დასაწყისში იყო. „ალ-

Safilo

OPTICS



თბილისი: ჰაინის 20, ტელ: 032 2 38 15 86; შავსაპის 16, ტელ: 032 2 45 13 35;
რუსთაველის 14, ტელ: 032 2 99 91 66; ჰაე-ფხველას 15, ტელ: 032 2 18 39 31;
მ. „ახმეტელი“ ს.მ. „პრავიზი“ ოფისი.

ბათუმი, ღამბაძე თვალდაზღვევის (ერან ქაჩა) 4/29 ტელ: 27 55 29.
ქუთაისი, თამარ მეფის 4, ტელ: 25 30 43

www.facebook.com/www.safilooptics.ge



LANVIN-ის მოდელი მოჯინაჰი

ბერთან პირველი შეხვედრისთანავე ვიგრძენი მისი ნიჭიერება, – მითხრა ვონგმა, – ათი წუთი დაგვეჩივრა იმისთვის, რომ თანამშრომლობის შესახებ გადაწყვეტილება მიგვეღო“.

ლანვანების 11-შვილიან ოჯახში უფროსი შვილი ჟანა 1867 წელს დაიბადა – კოკო შანელამდე 16 წლით ადრე. „კოკო შანელთან ერთად, ლანვანი თვითნაბადი პროფესიონალის მაგალითია. ესაა ქალი, რომელსაც ორივე ჰქონდა – საოცარი შემოქმედებითი ნიჭი და კომერციული ხედვა“, – წერს ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმის კოსტიუმის ინსტიტუტის კურატორი, ჰაროლდ კოდა.

შანელმაც და ლანვანმაც საკუთარი კარიერა პარიზში ქუდების კერვით დაიწყეს. 1883 წელს ლანვანმა Maison Felix-ში დაიწყო მუშაობა, ფობურ სენ ონორეს ქუჩაზე, სადაც მოგვიანებით მისმა მოდის სახლმა დაიდო ბინა. მალევე, ლანვანი ხუთი წლით ბარსელონაში გაემგზავრა და ბავშვების და ქალების სამოსის დიზაინერთან მოეხსო შევიდა. ესპანეთში მუშაობის შედეგად დაგროვილი თანხით ლანვანი პარიზში დაბრუნდა და 1895 წელს ქუდების სამკერვალო გახსნა. მომდევნო წელს ჟანა გათხოვდა და ერთ წელიწადში გოგონაც შეეძინა: მარგარიტ მარი-ბლანში, რომელიც მომავალში დედის მუზად იქცა. ქალიშვილს ლანვანი ძალიან დახვეწილ სამოსს უკერავდა, რაც ჟანას კლიენტურას მხედველობიდან არ გამოორჩენია. „ლანვანის ქმნილებები ხელით იქმნებოდა და ძალიან დახვეწილი და შესაბამისად ძვირადღირებულიც იყო, – წერს დინ მერსერონი ნივში Lanvin, – მის სამოსს ერთგვარი ახირებულობა და ბავშვური გულუბრყვილობა ახასიათებდა“.

შემოქმედებით ნიჭთან ერთად, ჟანა ლანვანი საკმაოდ გამჭრიახი მარკეტოლოგიც იყო. მან თავისი სახლის ფოტოგრაფად პოლ ნადარი დაიქირავა, რომელიც პატარა გოგონებს ელეგანტურ დედებთან ერთად ულამაზეს პორტრეტებს უღებდა. სწორედ ამ ფოტოების დახმარებით მოახერხა ახალგაზრდა ჟანამ ის, რომ „დედობრივი გლამურის“ ცნება შემოეღო და პარიზელ ქალებში ეს მიმზიდველ იმიჯად ექცია.

1909 წელს ქალის სამოსის პირველი კოლექციის შექმნას პარიზის მაღალი მოდის სინდიკატში განუერთებია მოჰყვა, რომელიც იმ დროისთვის მხოლოდ მამაკაცი დიზაინერებით იყო დაკომპლექტებული. დღეს ამბობენ, რომ დიზაინერებს შორის ლანვანი იყო პირველი, რომელიც კლიენტებს, საკუთარ კოლექციებთან ერთად, ცხოვრების სტილსაც სთავაზობდა.

მან მალე სუნამოების, საპატარძლო კაბების და საკუთარი ქსოვილების წარმოებასაც მიჰყო ხელი. „ლანვანის ლურჯი“ (Lanvin Blue), რომელიც ლეგენდის თანახმად, იტალიელი მხატვრის, ფრა ანჟელიკოს ფრესკებზე გამოსახული ცისფერიდან მოდის, მალე ლანვანის საფირმო ფერად იქცა, 1923 წელს კი ჟანამ სამღებრო ქარხანა დააარსა ნანტერში, იმისათვის, რომ მისი საფირმო ლურჯი და „ველასკესის მწვანე“ (Velazquez Green) შეუზღუდავად ეწარმოებინა.

ელბაზის მსგავსად, ჟანა ლანვანიც მუდამ იმას ცდილობდა, რომ თავისი სამოსით მოდის სეზონური ახირებების საზღვრები დაედლია და ქალებისთვის ისეთი სამოსი შეეთავაზებინა, რომლის ტარებაც ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე იქნებოდა

შესაძლებელი. „ლანვანს თაობებს შორის საზღვრების გაქრობა სურდა, რაც სეზონიდან სეზონზე ხან წელის, ხან არზიის, ხანაც საყელოს ანევი-დანევაში გამოიხატებოდა“, – წერს მერსერონი.

კომპანიის ლოგოზე დედა-შვილია გამოსახული და ის ლანვანის და მისი ქალიშვილის 1907 წელს გადაღებული ფოტოს საფუძველზეა შექმნილი. თავდაპირველად ელბაზი ამ იმიჯმა ცოცხალი არ იყოს დააფრთხო, რადგან ის, თურმე, ღვთისმშობლის და ჩვილის გამოსახულებას აგონებდა. თუმცა, დროთა განმავლობაში, ელბაზმა ლოგოს გათავისება შეძლო და საერთოდაც, შეიძლება ითქვას, რომ ეს იმიჯი დიზაინერის ხელწერასაც მიეკუთვნება: ელბაზის ქალი ხომ არასდროსაა ვულგარული, რადგან, ელბაზი კაბებს არ ქმნის იმ მიზნით, რომ ქალმა მასში კაცს თავი შეაყვაროს. ელბაზის კაბა – ესაა სამოსი, რომელსაც შეყვარებული ქალი ირგებს.

ერთ საღამოს, ელბაზი თავის მეგობარ მამაკაცთან, ალექს კოსთან ერთად (უკვე 16 წელია, კო და ელბაზი ერთად ცხოვრობენ), რუსულ რესტორან Caviar Kaspia-ში კრებებსა და შებოლილ ორაგულს შეექცეოდა. კორეული წარმომავლობის ამერიკელ კოს საკმაოდ სასიამოვნო გარეგნობა აქვს და უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში Lanvin-ის სახლის მერჩანდაინინგით არის დაკავებული. მას მუხლამდე სიგრძის, ღია ნაცრისფერი Lanvin-ის ქაშმირის სვიტერი ეცვა, წელზე ქაშირი ეკეთა, ცხვირზე კი – დაკოფსილი ოვალური სათვალეები. „როგორ ფიქრობ, რისი მოლოდინი ჰქონდა ხალხს?“ – მიმართა კომ ელბაზს და „ხალხში“ ახალი კოლექციის დახურული ჩვენების დამსწრე საზოგადოება იგულისხმბა. „მათ

თბილისი



ჭანისთვი

უახისთვი



0% SLS
0% PARABENS
0% SILICONES

organic shop



ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში
თბილისი 0186, ქავთარაძის ქ. 21; ტელ/ფაქსი: +995 32 243 22 07; ელ-ფოსტა: audrey@audrey.ge



პატრიცია კასი



LANVIN, გაზაფხული/ზაფხული 2011

მძაფრი ემოციის მიღება სურდათ“, – უბასუხა ელბაზმა.

კო ადრე Prada-ში მუშაობდა. „როცა Lanvin-ში მოვედი, მივხვდი, რომ ალბერს მარკეტინგი საერთოდ არ აინტერესებს, – მითხრა კომ, – მას არ სჯერა კომერციული კოლექციების და, უბრალოდ, ყველაზე ლამაზი ნივთების შექმნა სურს. Lanvin-ის ღირებულებებიც სწორედ ამით იქმნება“.

ელბაზს თმა ყალყზე უდგება, როცა მოდაში არსებული „ჯგუფების“ კონცეფციაზე ელაპარაკები – იმაზე, რაც ასე უყვართ და რასაც ასე მოელიან ბაიერები. ამ კონცეფციის მიხედვით, მაგალითად, ერთი თარგის კაბა რამდენიმე განსხვავებულ ფერში არის წარმოდგენილი. „თუ წითელ კაბას ვკერავ, მაშინ მას ყვითელი კაბისგან განსხვავებული პროპორციები უნდა ჰქონდეს“, – აპროტესტებს ელბაზი. თუმცა, ვაჭრობის ნესებისადმი ელბაზის შეუწყნარებლობა, პრინციპულობაზე მეტად, შიშითაა გამოწვეული: რამე ისეთი არ მოხდეს, რაც ელბაზს არ დაუგეგმავს. დასტურად, ერთი ისტორია მიაშობო ჩანთებზე, რომლის გამოც ერთხელ კინლამ ჩვენება ჩაეშალა.

„ჩანთები ჩვენებამდე ორი ღამით ადრე მივიღეთ: დავხედე თუ არა, მივხვდი, რომ სასტიკად არ მომწონდა, – იხსენებს ელბაზი, – რამდენიმე წამში დეპრესიისგან შაკიკი დამწყო. ეს კრაზი იყო, რომელსაც ვერაფერს ვუშველიდი. თუმცა, ისიც გავიანზე, რომ არჩევანი ორგვარი მქონდა: ფარ-ხმალი დამეყარა, ან ბრძოლა დამწყო. მაშინ ჩემს თანამშრომლებს მივუ-

ბრუნდი და ვუთხარი: ხვალ, დილის რვა საათზე ყველანი აქ ვიკრიბებით. დილით ყველა მოვიდა, ზოგი ნახევრადმძინარე, ზოგი გადაღლილი, ზოგიც დეპრესიულ მდგომარეობაში და დავინყეთ ჩანთების სათითაოდ გავლა. ჩანთები წყალში ჩავალბეთ, დავხსენით საკეტები, მოვხსენით პომპონები, მოკლედ, სრულიად გადავაკეთეთ. ამის შემდეგ გოგონებს მივუბრუნდი და ვკითხე: არის თუ არა ეს ის ჩანთა, რომელსაც მაღაზიაში დანახვისას ხელს ვერ გაუშვებთ?! ისინი ერთხმად დამთანხმდნენ და ერთ-ერთმა მკითხა: ახლა ამ ჯგუფიდან კიდევ ერთი ჩანთა უნდა გავაკეთოთ, არა?! მე ვუპასუხე, რომ არავითარი „ჯგუფები“ და არავითარი მარკეტინგი არ არსებობდა, რომლის გამოც სამსხვადასხვა ზომის ჩანთას ოთხ ფერში და ხუთ განსხვავებულ ქსოვილში შეკერავდით. საბოლოოდ, შედეგი ძალიან ემოციური გამოგვივიდა: ეს ჩანთები სადღაც, ქარხანაში შეკერილებს არ ჰგავდნენ, ეს ადამიანების ხელით შექმნილი ნივთები იყო“.

სამყაროში, ცოტა რამ თუა ისეთი, რაც ელბაზს არ აღელვებს და ტკივილს არ აყენებს. ერთ-ერთ საღამოს, როცა შევხვდი, მომდევნო დღისთვის დაგეგმილ შეხვედრაზე ნერვიულობდა, რომელზეც, არქიტექტორებთან ერთად, ლონდონის ახალი ბუტიკის დიზაინი უნდა განეხილათ. „არქიტექტორების აზრით, კედლებს ხელი არ უნდა ახლო, – ამბობს ელბაზი, – მე კიდევ ვკითხვები, როგორ შეიძლება გქონდეს სექსი ისე, რომ კანს არ შეეხო?!“

ელბაზი მომდევნო ჩვენების ადგილმდებარეობაზეც ლელავდა, ამ სტატიის ბედიც ანალვებდა და იმაზეც დარდობდა, თუ სად უნდა გაეტარებინა კოსთან ერთად ოთხდღიანი შვებულება. „შვილი რომ მყავდეს, აუცილებლად ჰოსპიტალის ბოლო სართულზე, პენტჰაუზში ვიცხოვრებდი, – ამბობს ელბაზი, – ყოველ დაცემინებაზე, ექიმს გავასინჯებდი. ამ ამბავს კარგი მხრიდან თუ შევხედავთ, ჩემი შვილი მზრუნველობის ოაზისში იცხოვრებდა. კლინიკებში ყველაფერი მომწონს – საჭმელიც კი“.

მართალია, ელბაზი ინდუსტრიაში უკვე გამოცდილი მოთამაშეა, მაგრამ ეს სამუშაოს ოდნავაც არ უმარტივებს. „ერთ საღამოს, ჩვენების წინა ღამეს, ივ სენ ლორანთან და მის ძაღლებთან ერთად ვსეირნობდი, – იხსენებს ელბაზი, – ვკითხე, თავს როგორ გრძნობ-მეთქი, მან მიპასუხა, რომ შემინებული იყო. გამიკვირდა, ამდენი წლის შემდეგ შიშის გრძნობა რატომ უნდა ჰქონოდა, რაზეც სენ ლორანმა მიპასუხა, რომ სწორედ ამ წლების გამო განიცდიდა შიშს“.

ელბაზის სამუშაო ოთახი პატარაა. კედლებზე ჩანახატები და მისი სამოსის მინიატურული ვერსიები ჰკიდია – Lanvin-ის თითქმის ყველა მოდელის შექმნა ხომ სატინის, მაქმანის ან ხავერდის პანანკინტელა მოდელი-თოჯინით იწყება. ამ თოჯინებს ელბაზის ატელიეში საგანგებოდ კერავენ, შემდეგ პატარა ზომის კაბები რომ მოარგონ, და ამ მოდელებს ერთ კედელზე კიდებენ ელბაზის ოთახში. გოგონა-თოჯინებს შორის ადვილად გამოარ-

ჩვეთ თავად ელბაზის თოჯინასაც, რომელიც ზომით სხვებზე მოკლეა და სათვალე და ბაფთა ამშვენებს.

ელბაზის სამუშაო ოთახის უკან, დიდ ოთახში 20-30 წლის რვა ადამიანი მუშაობს. ერთ-ერთი გოგონა გიშრის მარცვლების დიდ გროვაში იქექება და ამ მარცვლებს სათითაოდ ხელით ამაგრებს ლენტზე. მეორე გოგონა კი, მატლდა, მანეკენს ოქროსფერ მაქმანს არგებს ქინძისთავებით.

ერთი სართულით ქვევით Lanvin-ის ჩვენებისთვის იკერება სამოსი. იქ მომუშავე დიზაინერები ზედა სართულის თანამშრომლებზე 10-20 წლით უფროსები მანაც არიან. ოთახში ისეთი სიჩუმე დგას, თავი მეცნიერებით სავსე ლაბორატორიაში გეგონება.

ელბაზი თითოეულ თანამშრომელს სახელით მიესალმა და შემდეგ ორივე ლოყაზე სათითაოდ ყველა გადაკოცნა. ერთ-ერთი მკერავი თვალცრემლიანი, თავჩაქინდრული იდგა – ცოტა ხნის წინ მამა გარდაცვლია.

ელბაზი მოეხვია და შეეცადა, ენუგეშებინა. ალბერისთვის მშობლის გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი ხომ უცხო არაა – დედის გარდაცვალებას თვითონ ვერაც გლოვობდა: „ეს ყველაზე მტკივნეული რამ იყო! – მითხრა ელბაზმა, – ძალიან ახლობელი ადამიანი იყო ჩემთვის დედა – ის, ვისაც წამებში შეეძლო ჩემი გაგიჟებაც და დამშვიდებაც. ძალიან რთულად გადავიტანე მისი დაკარგვა“.

გვიან, საღამოს პარიზის თეატრ Casino de Paris-ში მივედით: პატრიცია კასს უნდა ემღერა, ის კი, Lanvin-ის ერთგული კლიენტია და ელბაზმაც ამიტომ დააფასა. დარბაზში შუქი ნელ-ნელა ჩაქრა, წითელი ხავერდის ფარდები აინია და სცენაზე Lanvin-ში გამოწყობილი კასი გამოჩნდა: ვერცხლისფერი მალაქუსლიანი ფეხსაცმელები, ლეგინები და შავი, სატინის ქურთუკი.

ცოტა ხანში კასი აუდიტორიის წინაშე ცალ მხარზე მოშიშვლებული Lanvin-ის შავი კაბით წარსდგა და Falling in Love Again

იმღერა, ინგლისური და გერმანული ენების მიქსით. „ფანტასტიკურად გამოიყურება, არა?!“ – დაბალ ხმაზე მითხრა ელბაზმა.

შოუს დასრულების შემდეგ, ელბაზი მომღერლის მისალოცად კულისებში გავიდა. ის პირველი იყო, ვინც კასის საგრძობლოში შეუშვეს. მომღერალს სახე ოფლისგან თითქოს დანამული ჰქონდა და აღელვებული ჩანდა:

„ხალხმა ძალიან ცივად მიმილო!“ – თქვა კასმა.

„არა, რას ამბობ, არაჩვეულებრივი გამოსვლა იყო! – უთხრა ელბაზმა, – მათ ძალიან უყვარხარ! და ცეკვა ნამდვილი საოცრება იყო!“

„ცეკვა მაღალ ქუსლებზე! – დააკონკრეტმა კასმა და დაამატა, – არა, მაინც ვერ დაგეთანხმები“.

„ვიცი, რასაც გრძნობ, – უთხრა ელბაზმა ბოლოს და მხარზე ხელი მოუთათუნა, – ყოველი ჩვენების შემდეგ ჰანისა სწორედ მაგას ვეუბნები: მათ არ მოეწონათ!“

Shine for you!


ჩვენს პირად თუ საქმიან კარიერაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჩვენი გარეგნობა. წარმატების ამ გზაზე ესთეტიკური მედიცინა ჩვენი საიმედო პარტნიორია. კოსმეტოლოგიური პროცედურების დახმარებით შეგიძლია შევინარჩუნოთ ახალგაზრდობა და სრულყოფილი საკუთარი გარეგნობა.

ესთეტიკური მედიცინის შანინი

გთავაზობთ BIOLINE JATO -ს სახის მოვლის ზრთოფესიონალ სამგანზომილებიან, გამახსალგაზრდავებელ NANO ტექნოლოგიას SEDUCTAGE 3

Nano ტექნოლოგია 3D განზომილებაში:

- ჰორიზონტალურად: ლიფტინგი
- ვერტიკალურად: აღმდგენი
- სიდრმისეულად: შემავსებელი



იყავით უფრო რამდენიმე

- ლაზერული ეპილაცია ალექსანდრიტის ოქროს ლაზერით;
- სახის კანის დიაგნოსტიკა კომპიუტერული მეთოდით;
- მანუალური, ინექციური, აპარატურული კოსმეტოლოგია;
- სახისა და სხეულის მოვლის, მოდელირებისა და გაახალგაზრდავების თანამედროვე NANO პროცედურები – Bioline Jato -ს პროფესიონალი და სახლის ხაზით;
- მასაჟი-სხეულის გაჯანსაღება, კორექცია და რელაქსაცია;
- მალთაშუა დისკების პათოლოგიების მკურნალობა კომპიუტერული აპარატურული მეთოდით;
- მანუალური თერაპია;
- ფიზიოთერაპია;
- სოლარიუმი – უსაფრთხო და თანაბარი რუჯი;
- თმის, ხელისა და ფეხის ფრჩხილების სტილი და ჰიგიენა;

კ.კეკელიძის №14/რუსთაველის №37(ელბაქიდის ხიდთან) ტელ: (032) 2 230 330/ 2 932 934

www.shine.ge info.shine.ge FB: Aesthetic Medncentre Shine



ლუგუტენი დიჯაინის მუზეუმი

ავტორი თამარ ალავიძე
ფოტო LUKE HAYES

VABENE

ITALIAN SHOES

Tbilisi, Georgia, Vajha-Pshavela ave. #10. Tel: +995 32 272 66 55

Email: vabenetbilisi@gmail.com

www.italianshoes.ge

facebook: Vabene Dioggi E-store



„კარგად მახსოვს, 1992 წელი იყო და პრინც ჩარლზის ერთ-ერთი საჯარო გამოსვლის დროს გადაღებულ პრინცესა დაიანას ფოტოს ვათვალიერებდი, – ისხენებს ბრიტანული Vogue-სთვის მიცემულ ინტერვიუში კრისტიან ლუბუტენი, – ამ ფოტოზე დაიანას ძალიან სევდიანი და მონყენილი გამომეტყველება ჰქონდა. მაშინ

დაფიქრდი, როგორ შეიძლებოდა, დაიანას გამხიარულება? მის სახეზე ღიმილის დანახვა?! ასე დამებადა ახალი ფეხსაცმლის შექმნის იდეა, რომელსაც LOVE ჰქვია“.

LOVE-ის ჩათვლით, სულ 200 განსხვავებული მოდელის ფეხსაცმლის ხილვა შეეძლება კრისტიან ლუბუტენის შემოქმედების მოყვარულებს ცნობილი ფრანგი

დიზაინერის შემოქმედებისადმი მიძღვნილ გამოფენაზე. ეს რეტროსპექტივა ლუბუტენის ბრენდის დაარსების 20 წელს აღნიშნავს და მის ყველა ეტაპს მოიცავს. გამოფენას, რომელიც 1 მაისს მოცეკვავე დიტა ვონ ტიზის ჰოლოგრამით გაიხსნა, ლონდონის დიზაინის მუზეუმი მასპინძლობს და 9 ივლისამდე გასტანს.



www.radiokalaki.ge



ნაკბიურეთ, მიიღეთ მონაწილეობა

RADIOKALAKI.GE-ს გაშოქითხვებში

მოგვწერეთ თქვენი მოსაზრებები და რჩევები
მისამართზე

INFO@RADIOKALAKI.GE

თქვენი რადიო - ხიდი მსოფლიოსთან



სხარი
შოკოლადენი
98.5 FM

98.5

